


ორბელიანი

Orbeliani

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური ჟურნალი  
Academic Journal of Sulkhan-Saba Orbeliani University

**N7, 2024**



მთავარი რედაქტორი: **ვაჟა ვარდიძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი)

ალმასრულებელი რედაქტორი: **დიმიტრი გეგენავა** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო)

სარედაქციო საბჭო: **ბერნჰარდ უდე** (ალბერტ ლუდვიგის ფრაიბურგის უნივერსიტეტი), **გოჩა ბარნოვი** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **ნუგზარ ბარდაველიძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), **თამთა მიქაბერიძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **გიგი ყუფარაძე** (გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი), **შოთა შაბურიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **თამარ ქობულაძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **მაია მაჭავარიანი** (კავკასიის უნივერსიტეტი), **გია ნოდია** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), **გიორგი გორაძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **თეა სამჭუაშვილი** (გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი), **მარიამ ჯიქია** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), **პაატა ჯავახიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **პეტროს ათ. პანაიოტოპულოსი** (თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი), **პროტოპრესვიტერი ვასილიოს ა. გეორგოპულოსი** (თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი), **იოანე ანტ. პანაიოტოპულოსი** (ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტი, საბერძნეთი), **იოანა პიეჩოვიაკ-ლამპარსკა** (ტორუნის ნიკოლას კოპერნიკის სახელობის უნივერსიტეტი, პოლონეთი), **იაროსლავ კრაიკა** (მარია სკლოდოვსკა-კიურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), **რაფალ ვრეციონეკი** (უელონა გორას უნივერსიტეტი, პოლონეთი)

EDITOR IN CHIEF: **Vaja Vardidze** (Sulkhan-Saba Orbeliani University)

EXECUTIVE EDITOR: **Dimitry Gegenava** (Sulkhan-Saba Orbeliani University, Georgia)

EDITORIAL BOARD: **Bernhard Uhde** (Albert Ludwig University of Freiburg), **Gocha Barnovi** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Nugzar Bardavelidze** (Georgian Technical University), **Tamta Mikaberidze** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Gigi Kuparadze** (Grigol Robakidze University), **Shota Shaburishvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Tamar Kobuladze** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Maia Machavariani** (Caucasus University), **Ghia Nodia** (Ilia State University), **George Goradze** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Tea Samchkuashvili** (Grigol Robakidze University), **Mariam Jikia** (Georgian Technical University), **Paata Javakhishvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Protopresbyter Vasileios A. Georgopoulos** (Aristotle University of Thessalonica, Greece), **Petros Ath. Panagiotopoulos** (Aristotle University of Thessalonica, Greece), **Ioannes Ant. Panagiotopoulos** (National and Kapodistrian University of Athens, Greece), **Joanna Piechowiak-Lamparska** (Nikolas Copernicus University in Torun (Poland), **Jarosław Krajka** (Maria Curie-Skłodowska University, Poland), **Rafał Wrzecień** (University of Zielona Góra, Poland)

მექანიკური რედაქტირება ციკინო ხითარიშვილი

COPY EDITOR Tsitsino Khitarishvili



Content of this journal is licensed under a **Creative Commons Licence Attribution 4.0 International License** except where otherwise noted. For more information about the Creative Commons Licence, please visit: <https://creativecommons.org/licenses/by/4.0/>

ISSN 2667-9124  
9772667912002

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024  
Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2024

## სარჩევი

### სამართალი LAW

|                                                                                                                                                                         |    |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ირინა ალაპიშვილი                                                                                                                                                        | V  |
| უცხოური ინვესტიციების დაცვა შუახმელეთში და სარუმანის აიზენგარდი:<br>უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო<br>სისტემები განვითარების საერთო მსოფლიო მისწრაფებაში     |    |
| Irina Aghapishvili                                                                                                                                                      | 18 |
| FOREIGN INVESTMENT PROTECTION IN MIDDLE-EARTH AND<br>SARUMAN'S ISENGARD: INTERNATIONAL SYSTEMS OF FOREIGN<br>INVESTMENT PROTECTION IN THE COMMON PURSUIT OF DEVELOPMENT |    |
| მარიამ გაგოშიძე                                                                                                                                                         | 19 |
| რთული შემთხვევის გადაწყვეტის ჰარტიანული მეთოდი                                                                                                                          |    |
| Mariam Gagoshidze                                                                                                                                                       | 50 |
| THE HARTIAN METHOD FOR RESOLVING HARD CASES                                                                                                                             |    |
| ნინო მუხადგვერდელი                                                                                                                                                      | 51 |
| რთული შემთხვევების გადაწყვეტა და ამერიკული<br>სამართლებრივი რეალიზმი                                                                                                    |    |
| Nino Mukhadgverdeli                                                                                                                                                     | 80 |
| RESOLVING HARD CASES AND AMERICAN LEGAL REALISM                                                                                                                         |    |

### მენეჯმენტი და სოციალური მეცნიერებები MANAGEMENT AND SOCIAL SCIENCES

|                                                                             |    |
|-----------------------------------------------------------------------------|----|
| ტენგიზ ვერულავა                                                             | 81 |
| სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა:<br>პრობლემები და გადაწყვეტის გზები |    |
| Tengiz Verulava                                                             | 96 |
| ACCESIBILITY OF MEDICAL SERVICES: ISSUES AND POTENTIAL SOLUTIONS            |    |

|                                                                                                                            |     |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| გურამ ანანეიშვილი                                                                                                          | 97  |
| პოლიტიკური ანომია და სამოქალაქო ომი                                                                                        |     |
| Guram Ananeishvili                                                                                                         | 115 |
| POLITICAL ANOMIE AND CIVIL WAR                                                                                             |     |
| ნიკო კვარაცხელია                                                                                                           | 116 |
| აჭარული ნაქარგობა და ლურჯი სუფრის დამზადების ტექნოლოგია, რომორც საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები |     |
| Niko Kvaratskhelia                                                                                                         | 126 |
| ADJARIAN EMBROIDERY AND BLUE TABLECLOTH MAKING TECHNOLOGY AS MONUMENTS OF INTANGIBLE CULTURAL HERITAGE OF GEORGIA          |     |

## ჰუმანიტარული მეცნიერებები HUMANITIES

|                                                                                |     |
|--------------------------------------------------------------------------------|-----|
| მარი სიმონიშვილი                                                               | 127 |
| რაფიელ ერისთავის შემოქმედება და მისი ლირიკის ძირითადი თანდენციები              |     |
| Mari Simonishvili                                                              | 133 |
| THE MAIN TRENDS IN RAFIEL ERISTAVI'S LYRICAL WORKS                             |     |
| ნინო თოდუა                                                                     | 134 |
| მსხვერპლის კომპლექსი და მოქალაქე (სანდრო კაკულიას პიესა „ხიდზე წვიმს ან ცრის“) |     |
| Nino Todua                                                                     | 147 |
| SANDRO KAKULIA'S PLAY "IT RAINS OR DRIZZLES ON THE BRIDGE"                     |     |

## თარგმანი TRANSLATION

|                                                                                                                         |     |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| პრისილა მეიერი                                                                                                          | 148 |
| დოსტოევსკის ახალი სახარება:<br>„დანაშაული და სასჯელი“ და იოანეს სახარება<br>ინგლისურიდან თარგმნა ლუკა ბარამიძემ         |     |
| Priscilla Meyer                                                                                                         | 163 |
| DOSTOEVSKY'S MODERN GOSPEL:<br>CRIME AND PUNISHMENT AND THE GOSPEL OF JOHN<br>Translated from English by Luka Baramidze |     |

ირინა ალაპიშვილი\*

## უცხოური ინვესტიციების დაცვა შუახმელეთში და სარუმანის აიგანგარდი: უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სისტემები განვითარების საერთო მსოფლიო მისწრაფებაში\*\*

### I. შესავალი

უცხოური ინვესტიციებისათვის საერთაშორისო გარანტიებისა და დაცვის ღონისძიებებით უზრუნველყოფის არსებობის საჭიროება მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის გამოიკვეთა. გაჩნდა აუცილებლობა, განვითარებულიყო კონცეფციები, რომლებიც საერთაშორისოდ გავრცელდებოდა, განსაკუთრებით, მესამე სამყაროს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.<sup>1</sup> კოლონიების პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ მნიშვნელოვანი გახადა საერთაშორისო განვითარება განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის დაკვეთით, 1952 წლის რეზოლუციის<sup>2</sup> საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგად, 1954 წელს მომზადდა რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა წევრ-სახელმწიფოებს არაგანვითარებულ სახელმწიფოებში კაპიტალდაბანდებისკენ.<sup>3</sup> საყოველთაოდ მხარდაჭერილი რეზოლუცია ადასტურებდა, რომ „ინვესტიციების შედინება არ ემთხვევა იმ სფეროებს, სადაც განვითარების აუცილებლობა ყველაზე მეტად არის“<sup>4</sup>. ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობის ფონზე, შესაბამისი საერთაშორისო განვითარების მიზნით,

\* ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, iaghapishvili@gmail.com, <https://orcid.org/0009-0009-9430-2766>

\*\* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [პროექტი FR-21-11588 „ადამიანთა დისკრიმინაციისგან დაცვა: საქართველოს თანამედროვე გამოწვევების კრიტიკული ანალიზი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების ჩრდილში“].

<sup>1</sup> Okpe F., Endangered Element of ICSID Arbitral Practice: Investment Treaty Arbitration, Foreign Direct Investment, and the Promise of Economic Development in Host States, Richmond Journal of Global Law and Business, Vol. 13, No. 2, 2014, 225.

<sup>2</sup> G.A. Res. 622 C (VII), U.N. Doc. A/RES/622 (Dec. 21, 1952).

<sup>3</sup> G.A. Res. 824 (IX), U.N. Doc. A/RES/824 (Dec. 11, 1954).

<sup>4</sup> იქვე, par. 5.

რეზოლუცია ქვეყნებს, რომლებსაც უცხოური პირდაპირი ინვესტიციები სურდათ, მოუწოდებდა „საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, გადაე-  
სინჯათ ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა, ადმინისტრაციული პრაქტიკა,  
[...] შეჯერებულიყვნენ ინიციატივებზე, რომლებიც ნაახალისებდა და დაიცავდა  
უცხოურ ინიციატივებს მათ ტერიტორიაზე“<sup>5</sup>.

ერთ-ერთი შეფასებით სწორედ ამ რეზოლუციით ჩაეყარა საფუძველი განვი-  
თარებასა და უცხოურ ინვესტიციებს შორის ურთიერთმიმართებას.<sup>6</sup> თუმცა იმ  
ეტაპზე ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის პრინციპები უცხოურ ინვესტი-  
რებსა თუ ინვესტიციებს ბევრ ბარიერს უწესებდა, მათ შორის, სასამართლოში  
მიმართვასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა თავის დროზე დიპლომატიურ ჩა-  
რევას და ე.წ. „შეიარაღებული დიპლომატიის“ (Gunboat Diplomacy) გამოყენე-  
ბას შეუწყო ხელი, მის არსებობას საერთაშორისო სამართალში, თავის მხრივ,  
კი – საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარების მიზნით უცხო  
ქვეყნის საკუთრების დაცვის ვალდებულებამ.<sup>7</sup> თუმცა დიპლომატიური დაცვის  
გამოყენება, თავისი არსით, უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე სამართლებრივი.  
ამასთან, ყოველთვის არსებობდა მნიშვნელოვანი შეკითხვები მასპინძელი სახე-  
ლმწიფოს სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

საბოლოო ჯამში, უცხოური ინვესტიციების დაცვა პრობლემურ საკითხად  
იქცა განვითარების საერთაშორისო მისწრაფებაში. სხვაგვარად, საერთაშორისო  
საინვესტიციო დავების მოგვარების ყველასთვის მისაღები სისტემის არარსე-  
ბობა ყველაზე სუსტი რგოლი აღმოჩნდა ინვესტიციების წახალისებისა და და-  
ცვის საქმეში, განსაკუთრებით, საერთაშორისო განვითარებაზე პასუხისმგებელი  
საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

სტატიის მიზანია, განიხილოს ინვესტიციების დაცვის არსებული სისტემე-  
ბის განცალკევებულად არსებობის არაეფექტიანობა, რადგან ათწლეულების  
გამოცდილების მიუხედავად, უცხოური ინვესტიციების წახალისება და დაცვა  
განვითარების მსოფლიო მისწრაფებაში კვლავაც გამოწვევაა. კერძოდ, წარმო-  
აჩინოს, როგორია სირთულეები, რომლებიც გვხვდება მსოფლიო ბანკის სისტე-  
მის, მის მიერ დაფუძნებული საერთაშორისო საინვესტიციო ტრიბუნალის, ასევე

<sup>5</sup> იქვე, par. 1 (a-c).

<sup>6</sup> Higgins R., Problems and Process: International Law and How We Use It, Oxford University Press, 1994, 78-80.

<sup>7</sup> Nicholson F., The Protection of Foreign Property under Customary International Law, Boston College Law Review, Vol. 6, No. 3, 1965, 391-393.

გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა და ევროპის საბჭოს სისტემის მაგალითებზე. კომპლექსური ინტერდისციპლინური საკითხის სიმწვავის მარტივად გადმოცემა, სათაურებსა და დასკვნაში მკითხველისათვის კარგად ნაცნობი, ტოლკინის სამყაროს რამდენიმე პასაჟის, ალეგორიული ანალოგიის მოკლე შემოტანით გადავწყვიტე.

## **II. აიგენგარდი, ნაწილი პირველი: მსოფლიო ბანკის სისტემა და საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSID)**

საერთაშორისო ინვესტიციების დაცვა ეფუძნება თეორიას, რომ ეს ნაახალი-სებს ინვესტიციების შედინებას განვითარებად ქვეყნებში, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მარეგულირებელი სამართლებრივი რეჟიმები ხელს შეუწყობს საერთაშორისო ბაზრის ხელმისაწვდომობას, იმპორტის მაღალ მაჩვენებლებს და უცხოური კაპიტალის ეროვნულ ეკონომიკაში ინტეგრირების სხვა საშუალებებს. მსოფლიო ბანკის მიერ 1960-იანი წლებიდან საერთაშორისო საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო არბიტრაჟის შესაქმნელად გადადგმული ნაბიჯები და კონვენციის შემუშავებისათვის წარმატებული მოლაპარაკებების მხარდაჭერაც ამ მიზანს ემსახურებოდა.<sup>8</sup>

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, საინვესტიციო ხელშეკრულებაზე დაფუძნებული არბიტრაჟისა და ეკონომიკური განვითარების ურთიერთმიმართება წარმოაჩენდა საჭიროებას, შექმნილიყო სამართლებრივი სისტემა, რომელიც მოიზიდავდა ინვესტიციებს განვითარებად სახელმწიფოებში, მეტი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.<sup>9</sup> სწორედ ამგვარად, საერთაშორისო საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, უცხოური ინვესტიციების დაცვის საშუალებით, საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ქვაკუთხედად იქცა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი კრიტიკის ობიექტი ინვესტორის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების გამოც გამხდარა.<sup>10</sup>

<sup>8</sup> Tondapu G., *International Institutions and Dispute Settlement: The Case of ICSID*, *Bond Law Review*, Vol. 22, No. 1, 2010, 81.

<sup>9</sup> Muchlinski P., *Policy and Objectives*, in: *Oxford Handbook of International Investment Law*, Edited by P. Muchlinski, F. Ortino, C. Schreuer, Oxford University Press, 2008, 6.

<sup>10</sup> McArthur K., Ormachea, P., *International Investor-State Arbitration: An Empirical Analysis of ICSID Decisions on Jurisdiction*, *The Review of Litigation*, Vol. 28, No. 1, 2009, 563.

კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურად ინვესტორები იმდენჯერვე აგებენ, რამდენჯერაც სახელმწიფოები, დანახარჯები, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მაშინაც, როდესაც სახელმწიფოს დაუსაბუთებელი საქმის არსებითი ნაწილების გაბათილება უხდება მხოლოდ. საგულისხმოა ისიც, რომ დავების აბსოლუტური უმეტესობა განვითარებადი და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მონაწილეობით წარიმართება და ინვესტორის სასარგებლოდ სრულდება, აკისრებს რა სახელმწიფოებს სოლიდური კომპენსაციების გადახდას.<sup>11</sup>

მართალია, ზოგადად განვითარებადი ქვეყნებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, სხვადასხვა რისკის არარსებობის მხრივ, რეიტინგებში უკეთეს პოზიციასთან ასოცირდება,<sup>12</sup> ICSID-ის შემთხვევაში პროცესები სხვაგვარადაც წარიმართა, რადგან იგი დამატებით პასუხისმგებლობებსა და ინვესტორთა მოპყრობის სპეციალური სტანდარტების შესრულებასთან ასოცირდება. მაგალითად, 2007 წელს ბოლივია პირველი განვითარებადი სახელმწიფო გახდა, რომელმაც უარი განაცხადა ICSID-ის წევრობაზე ზუსტად მაშინ, როდესაც ქვეყანა მასობრივად ახდენდა ეკონომიკური სექტორის ნაციონალიზაციას. ამავე წელს ეკვადორმა შეზღუდა კონვენციის საფუძველზე შესაძლო დავები იმ მოტივით, რომ იგი აღარ დათანხმდებოდა ბუნებრივ რესურსებთან (მაგალითად, გაზი, ნავთობი და წიაღისეული) დაკავშირებულ დავებს; 2009 წელს კი, ბოლივიის მსგავსად, ეკვადორმაც კონვენციის დენონსირება მოახდინა, რასაც 2012 წელს მიჰყვა ვენესუელაც. თუმცა ბოლივიის გადაწყვეტილებიდან ათი წლის თავზე ავტორები აცხადებდნენ, რომ ქვეყანა ჯერაც აქტიურად იყო ჩართული ICSID-ის დავებში. მათ შორის, არა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ICSID-ისათვის გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინებამდე,<sup>13</sup> ან კონვენციით გათვალისწინებული შემდგომი ექვსთვიანი ვადის განმავლობაში დარეგისტრირდა, არამედ გასვლიდან დიდი ხნის შემდეგ.<sup>14</sup>

<sup>11</sup> The Changing Nature of World, World Development Report, A World Bank Group Flagship Report: Food and Water Watch, 2019, <<http://documents.worldbank.org/curated/en/816281518818814423/pdf/2019-WDR-Report.pdf>> [06.09.2024].

<sup>12</sup> Dreher A., Mikosch H., Voigt S., Membership Has Its Privileges: The Effect of Membership in International Organizations on FDI, World Development, Vol. 66, No. 1, 2010, 346.

<sup>13</sup> Quiborax S.A. and Non-Metallic Minerals S.A. v. Plurinational State of Bolivia, ICSID Case No. ARB/06/2, Award of 16 September 2012.

<sup>14</sup> E.T.I. Euro Telecom International N.V. v. Plurinational State of Bolivia, ICSID Case No. ARB/07/28, 21 October 2009.

აღნიშნული გამოწვეულია კონვენციის 72-ე მუხლის იმგვარი ინტერპრეტაციით, რომ სახელმწიფოზე, რომელიც გადის კონვენციის მოქმედების სფეროდან, მაინც გავრცელდება ICSID-ის იურისდიქცია, თუკი მას ცალმხრივად, მაგალითად, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ფარგლებში, უკვე გაცხადებული აქვს თანხმობა. შესაბამისად, რადგან ICSID-ის კარი ინვესტორისათვის სრულად დახურული არასდროსაა და დამატებით გარანტიებს სთავაზობს უცხოელ ინვესტორებს, არ აძლევს რა განვითარებად სახელმწიფოებს, ბოლივიის მსგავსად, არბიტრაჟის გზით სწრაფად დაღწევის საშუალებას. დავის საერთაშორისო ინსტრუმენტებით გადაწყვეტის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია, მათ შორის, განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან მიმართებით,<sup>15</sup> თუმცა ზოგჯერ შეიძლება ნაკლებად სასურველი იყოს პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>16</sup> სწორედ ამიტომ, ფუნქციონირების პირველივე წლებიდან ცენტრის ძირითადად მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას, ნევრი-სახელმწიფოების მოზიდვასა და საინვესტიციო ხელშეკრულებებში საარბიტრაჟო პირობის გაჩენას. თუმცა პირველ ეტაპზე ცნობიერების ამაღლება საკმაოდ ზოგადი და მხოლოდ კონვენციის „ინვესტიციების ნახალისების“ მიზანზე მიმანიშნებელი იყო;<sup>17</sup> როგორც ამას პროფესორი ლოვენფელდი განმარტავს, სახელმწიფოთა თანხმობის საზღვრებზე [ან უფრო სწორად საზღვრების არარსებობაზე] ხაზგასმამ კიდევ უფრო დააბნევა განვითარებად ქვეყნებს.<sup>18</sup>

ICSID-ის პირველი ეტაპი დაემთხვა სწორედ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მცდელობებს, ჩამოეყალიბებინათ ე.წ. ახალი ეკონომიკური წყობა, რასაც ამ ქვეყნების პოზიციები უნდა გაემყარებინა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში. 60-იან წლებში გაეროში განვითარებული „ჩრდილოეთისა“ და განვითარებადი „სამხრეთის“ პოზიციებს შორის ერთგვარი ჭიდილი იყო, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის შეზღუდვებთან დაკავშირებით განეხილა დავები უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით.<sup>19</sup> ICSID-ის შექმნის იდეა, მსოფ-

<sup>15</sup> Bello A., Arbitration: A Panacea for Investment Disputes, Arabian Journal of Business and Management Review, Vol. 4, No.2, 2014, 14.

<sup>16</sup> Voon T., Mitchell A., Denunciation, Termination and Survival: The Interplay of Treaty Law and International Investment Law, ICSID Review, Vol. 31, No. 2, 2016, 415.

<sup>17</sup> Mortenson J., The Meaning of “Investment”: ICSID’s Travaux and the Domain of International Investment Law, Harvard International Law Journal, Vol. 51, No. 1, 2010, 257.

<sup>18</sup> Lowenfeld A., The ICSID Convention: Origins and Transformations, Georgia Journal of International and Comparative Law, Vol. 38, No. 1, 2009, 51-52.

<sup>19</sup> Rozental A., The Charter of Economic Rights and Duties of States and the New International Economic Order, Virginia Journal of International Law, Vol. 16, No. 2, 1976, 309.

ლიო ბანკის ეგიდით, მსჯელობის გაეროს გენერალური ასამბლეიდან გადატანასაც ემსახურებოდა.<sup>20</sup> შესაბამისად, მსოფლიო ბანკში, სადაც განვითარებული სახელმწიფოების ხმას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, შეთანხმება, რომ უცხოელ ინვესტორებს საშუალება მისცემოდათ, პირდაპირ მიემართათ დავის შემთხვევაში სახელმწიფოების წინააღმდეგ, მიღწეულ იქნა. შედეგად, ჩამოყალიბდა ICSID-ის სისტემა – ცენტრი, *ex-officio* მსოფლიო ბანკის გენერალური მდივანის თავმჯდომარეობითა და ცენტრის გენერალური მდივანის ხელმძღვანელობით.

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე საუბრისას საინტერესოა სხვადასხვა დროს სწორედ გენერალური მდივანის პოზიციაზე მყოფი პირების დამოკიდებულება ცენტრის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. კერძოდ, საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით გაეროს ფარგლებში სახელმწიფოებს შორის განსხვავებული პოზიციების არსებობის გამო, ცენტრის პირველი გენერალური მდივანი, ყოველთვის განასხვავებდა პროცედურულ და არსებით სამართალს, ხაზს უსვამდა რა, რომ კონვენცია *lex fori*-ის როლს თამაშობდა.<sup>21</sup> აღნიშნული მიდგომა შეიცვალა 1983 წლიდან, მას შემდეგ, რაც ICSID-ის გენერალურმა მდივანმა, საერთაშორისო სამართლის ექსპერტმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორმა და გამოცდილმა დიპლომატმა, იბრაჰიმ შიჰატამ, ცენტრი განსაზღვრა „საერთაშორისო საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად“<sup>22</sup>. ამან საფუძველი ჩაუყარა ორგანიზაციის საქმიანობას სამი მიმართულებით, რაც მოგვიანებით მის მიზნებად ჩამოყალიბდა: საერთაშორისო დავებზე კონცენტრირება, სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების დეპოლიტიზირება და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

სწორედ მისი ხელმძღვანელობის პირობებში დაიწყო ICSID-ის მოხსენიება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც დავების მოგვარების სხვა კომერციული თუ საერთაშორისო საშუალებებისაგან „ძალიან განსხვავებულ“ შემთხვევებს განიხილავდა.<sup>23</sup> იგი მოითხოვდა საქმეების განხილვის ხარჯების მინიმუმამდე დაყვანას, მსოფლიო ბანკის სუბსიდირების ფონზე, რამაც ძალიან

<sup>20</sup> Schwebel S., The Story of the UN's Declaration on Permanent Sovereignty over Natural Resources, American Bar Association Journal, Vol. 49, No. 5, 1963, 464.

<sup>21</sup> Essien V., Aron Broches, Selected Essays: World Bank, ICSID and Other Subjects of Public and Private International Law, Fordham International Law Journal, Vol.19, No. 2, 1995, 724.

<sup>22</sup> Puig S., Emergence & Dynamism in International Organizations: ICSID, Investor-State Arbitration & International Investment Law, Georgetown Journal of International Law, Vol. 44, No. 531, 2013, 548.

<sup>23</sup> Shihata I., Remarks on the Obstacles Facing ICSID's Proceedings and International Arbitration in General, News from ICSID, Vol. 4, No. 1, 1987, 2.

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მომავალში ცენტრის მიერ განხილული საქმეებისა და ზოგადად, დარგის განვითარებაში წვლილის შეტანაში.

კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი შეიძლება გამოვეყნოთ მისი ხელმძღვანელობით ცენტრის ფუნქციონირების პერიოდიდან, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე. კერძოდ, მას სწამდა, რომ ICSID იყო არა მხოლოდ დავების მოგვარების მექანიზმი, არამედ ინსტიტუტი, რომლის როლი „საინვესტიციო დავების დეპოლიტიზირებაშიც“ მდგომარეობდა.<sup>24</sup> მისი რწმენით, სწორედ განვითარებითა და ეკონომიკურად ასიმეტრიულ სახელმწიფოებს შორის ბალანსის დაცვით შეძლებდა ცენტრი ამ მიზნის მიღწევას, რითაც დიპლომატიური დაცვისას არსებულ შეზღუდვებს შეამცირებდა. შესაბამისად, ცენტრის დამოუკიდებელ საერთაშორისო ორგანიზაციად დამკვიდრებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო დავების გადაწყვეტის მაღალი მაჩვენებელი და ასევე, განვითარებადი სახელმწიფოების აქტიური მონაწილეობა.

სწორედ დეპოლიტიზირების იდეამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ლათინური ამერიკის ქვეყნების კონვენციისადმი დამოკიდებულების შეცვლაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ განვითარებად ქვეყნებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წილი იკლებდა ჭარბვალიანობის კრიზისის გამო. შედეგად, 1991 წლისთვის სულ მცირე, რეგიონის ათმა, განვითარებადი ბაზრის მქონე სახელმწიფომ მოაწერა კონვენციას ხელი – 1964 წლის ცნობილი ე.წ. „*no de Tokio*“-ს ფონზე.

განსხვავებულ ქვეყნებს შორის თანასწორობაზე საუბარმა ცენტრის ფარგლებში სამი ისეთი საკითხი წამოჭრა, რომლითაც კონვენციამ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე მოახდინა გავლენა: (1) არბიტრების და მოსამართლეების მრავალფეროვნებისათვის პროფესიონალების საჭიროება, (2) ეროვნული სასამართლოებიდან უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული დავების საერთაშორისო არბიტრაჟში გადატანისა და (3) ICSID-ის საშუალებით დავის გადაწყვეტის საბოლოობის უპირატესობა.

საბოლოო ჯამში შეიძლება აღინიშნოს, რომ ICSID-მა გაამყარა არსებული მოსაზრება, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვა მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, ისევე, როგორც, ეკონომიკური თანამშრომლობა და სამართლის უზენაესობა, რაც დღეს საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ქვაკუთხედი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მან შეცვალა მთავრობებისა და ქვეყნების ქცევა უცხოური ინვესტიციებისადმი, მათ შორის, საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის დარგის განვითარების ხელშეწყობის საშუალებით.

<sup>24</sup> იქვე.

### III. აიზენგარდი, ნაწილი მეორე: მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ) და უცხოური ინვესტიციების დაცვა

საერთაშორისო საინვესტიციო სამართალთან მიმართებით, ICJ-ის როლის უკეთ გააზრებისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ ისეთი დოქტრინული საკითხი, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პრაქტიკაზე: რა არის საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ბუნება? სამართლებრივი სისტემაა? საერთაშორისო სამართლის „ქვესისტემაა“? და რა ფორმით ან რა მოცულობით გამოიყენება ამ „სისტემაში“ საერთაშორისო საჯარო სამართალი? შეკითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემა სცდება ამ სტატიის მიზნებს, თუმცა დაგვეხმარება დავეფიქრდეთ, რა შემთხვევაში და რატომ შეიძლება მივმართოთ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას.

მსჯელობა უნდა დავიწყოთ გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის ერთ-ერთი თავმჯდომარის მიერ წამოჭრილი შეკითხვით: რატომ არ ვხვდებით ICSID-ის იურისპრუდენციას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადანყვეტილებებში?<sup>25</sup> კერძოდ, აღნიშნული შედეგია იმისა, რომ გავრცელებული შეფასების თანახმად, თავს „უზენაეს საერთაშორისო საჯარო სამართლის სასამართლოდ“ მიიჩნევს და არ სურს სხვა სასამართლოებისა თუ ტრიბუნალების პრაქტიკას დაეყრდნოს,<sup>26</sup> თუ რაიმე სხვა საფუძველი არსებობს. აქვე, მიუხედავად იმისა, რომ მოტანილ არგუმენტზე უფრო ბევრი თქმულა, ვიდრე პრაქტიკაში გვინახავს, უდავოდ სიმართლეა როდესაც საქმე ICJ-ს ეხება. მაგალითად, *Diallo*-ს<sup>27</sup> შემთხვევა კარგი შესაძლებლობა იქნებოდა სასამართლოსთვის ICJ-ის არბიტრაჟზე ემსჯელა, მაგრამ ICJ-მა ძალიან დიდი სიფრთხილე გამოიჩინა და მას შემდეგ, რაც აღნიშნა, რომ სპეციალური ნორმები საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის შემთხვევაში ჯერ კიდევ *Barcelona Traction* საქმეზე აღიარა,<sup>28</sup>

<sup>25</sup> Pellet A., *The Case Law of the ICJ in Investment Arbitration*, ICSID Review, Vol. 28, No.2, 2013, 223.

<sup>26</sup> Mendelson M., *The International Court of Justice and the Sources of International Law*, in: *Fifty Years of the International Court of Justice: Essays in Honour of Sir Robert Jennings*, Edited by V. Lowe, M. Fitzmaurice, Cambridge University Press, 1996, 83.

<sup>27</sup> Ahmadou Sadio Diallo, *Republic of Guinea v Democratic Republic of the Congo*, Preliminary Objections: Judgment, 2007, ICJ Rep. 614.

<sup>28</sup> *Barcelona Traction Case*, I.C.J. Reports 1970, par. 90.

ხოლო დავების გადანყვეტა ძირითადად მონესრიგებულია ორმხრივი ან მრავალ-მხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით, განხილვისგან თავი შეიკავა.<sup>29</sup>

თავის მხრივ, ICSID-ის საარბიტრაჟო სისტემა, მისი შემოქმედების შეხედულებით, მიზნად ისახავდა, მიეღწია ისეთი საერთაშორისო სისტემისათვის, რომელიც ყველასგან დამოუკიდებლად შეძლებდა ფუნქციონირებას.<sup>30</sup> თუმცა კონვენციის ტექსტზე მუშაობის პირველივე ეტაპიდან მნიშვნელოვანია გაეროს ორგანოების, განსაკუთრებით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, როლი ამ დამოუკიდებელი სისტემის ფორმირების გააზრებისთვის.

ვაშინგტონის კონვენციაზე გავლენა გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებულმა არბიტრაჟის მოდელურმა წესებმა მოახდინა. აღნიშნული აშკარაა ჯერ კიდევ 1962 წლიდან, როდესაც ავტორები პირველად შეიკრიბნენ კონვენციის ტექსტზე სამუშაოდ<sup>31</sup> და საარბიტრაჟო გადანყვეტილებების განმარტების, შესწორებისა და გაუქმების პროცედურებზე მსჯელობისას საარბიტრაჟო გადანყვეტილებების გაუქმებაზე უფლებამოსილ ორგანოდ სწორედ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოიაზრებდნენ.<sup>32</sup> მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მიდგომა ტექსტის პირველ სამ ვერსიაში გვხვდება, აზრთა სხვადასხვაობა სწორედ შიდა გადახედვის მექანიზმის საჭიროებასა და *ad hoc* კომიტეტების დისკრეციას უკავშირდებოდა, რაც აისახა კიდევაც საბოლოო გადანყვეტილებაში. შედეგად, *ad hoc* კომიტეტმა სრულად შეითავსა როლი, რომელსაც მოდელური წესები ICJ-ს აკისრებდა.

<sup>29</sup> იქვე, par. 88. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ დიპლომატიურ დაცვასთან დაკავშირებით სხვადასხვა სასამართლოსა და პრაქტიკის შესწავლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ „ინვესტიციების დაცვის არაერთმა საერთაშორისო შეთანხმებამ და ვაშინგტონის კონვენციამ, ჩამოაყალიბა სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, აღნიშნული არ არის საკმარისი ჩვეულებითი სამართლის წესების შეცვლისთვის“. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ წინა საუკუნეში აღინიშნა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც „კომპანიებს უფლება აქვთ პირდაპირ დაიცვან თავისი უფლებები სახელმწიფოს წინააღმდეგ შესაბამისი წესების მეშვეობით“.

<sup>30</sup> Fouret J., Stay(ing) on Track or Falling off the Edge: The Absence of Legal Security in the Ad Hoc Committees' Decisions under Article 52(5) of the ICSID Convention, ICSID Review, Vol. 27, No. 2, 2012, 304.

<sup>31</sup> History of the ICSID Convention: Documents Concerning the Origin and the Formulation of the Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States, Vol. II-1, ICSID, 2009, 47-62.

<sup>32</sup> კერძოდ, წესების 36-ე მუხლის შესაბამისად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო იქნებოდა უფლებამოსილი გადანყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ გაუქმებინა; მასვე შეეძლო დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეეჩერებინა მოქმედება საბოლოო გადანყვეტილების გამოტანამდე.

მიუხედავად ამისა, ICSID-ის კონვენცია შეიცავს სულ მცირე ორ მექანიზმს, რომლებიც პირდაპირ არეგულირებს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთან ურთიერთობას. პირველი მოცემულია კონვენციის 27-ე მუხლის ბოლოს, რომლის შესაბამისად, თუკი ერთი სახელმწიფო არ აღასრულებს გადაწყვეტილებას, მეორე სახელმწიფო უფლებამოსილი ხდება სარჩელი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში შეიტანოს, ხოლო მეორე – 64-ე მუხლში, კონვენციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი და შევაფასოთ, შესაძლებელია თუ არა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა ეს მექანიზმები დაცვის დამატებით გარანტიებად გამოიყენონ.

კონვენციის 27-ე მუხლი: საინვესტიციო სამართალში უცხოელი ინვესტორები ყოველთვის თავს იკავებდნენ ეროვნული სასამართლოსთვის მიემართათ, მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის ნაკლებად რეპუტაციული მდგომარეობის გამო. ეს, უპირველეს ყოვლისა, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში განხორციელებულ ინვესტიციებს ეხებოდა, სადაც მეორე მხარე, როგორც წესი, განიხილებოდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ან პოლიტიკურად დაკავშირებულ ერთეულად, რომელსაც გავლენა შეიძლება მოეხდინა მართლმსაჯულების ადგილობრივ ორგანოებზე.<sup>33</sup> მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომაც არაერთხელ აღიარა დიპლომატიური დაცვის უფლება, უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი ხელშეკრულებები დავის მოგვარების საერთაშორისო მექანიზმებს იყენებენ.

კონვენციის 27-ე მუხლი სპეციალურობის პრინციპის საფუძველზე დიპლომატიურ დაცვას გამორიცხავს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „სახელმწიფო არ შეასრულებს და არ დაემორჩილება გამოტანილ გადაწყვეტილებას“. სწორედ ამ დროს ექნება შესაძლებლობა მეორე მხარეს, სარჩელი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში შეიტანოს. მიუხედავად იმისა, რომ 27-ე მუხლი ავტომატურად წარმოშობს ICJ-ის იურისდიქციას, აღნიშნული ამგვარად არაა გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ICSID-ის მიერ გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება სრულდება,<sup>34</sup> არამედ ICJ-ის ჩართულობა რამდენიმე პრაქტიკულ სირთულეს უკავშირდება.

<sup>33</sup> Vannieuwenhuysse G., Bringing a Dispute Concerning ICSID Cases and the ICSID Convention Before the International Court of Justice, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8, 2009, 118.

<sup>34</sup> Shihata I., Parra A., The Experience of the International Centre for Settlement of Investment Disputes, *ICSID Review – Foreign Investment Law Journal*, Vol. 14, No. 2, 1999, 344.

უპირველეს ყოვლისა, დიპლომატიური დაცვა ნებაყოფლობითია: სახელმწიფოს არ აქვს მისი გამოყენების ვალდებულება მოქალაქეებისა თუ კომპანიების ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, ინვესტორს თავისი წარმომავლობის სახელმწიფოს დარწმუნება მოუწევს, რომ ჩაებას პროცესში, რაც გამოიწვევს ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური საკითხების განხილვას, ეს კი სახელმწიფოსათვის სცდება მხოლოდ ინვესტორის ინტერესებს. გარდა ამისა, მოპასუხე სახელმწიფო უნდა დაეთანხმოს ICJ-ის იურისდიქციას, რომლის ვალდებულება ასევე არ არსებობს და მიუხედავად იმისა, რომ განხილვის დრო შესაძლებელია ინვესტორისათვის ყველაზე დიდი პრობლემა იყოს, ქვეყნების გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია. არადა, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის ინვესტორის ინტერესების დასაცავად ICJ-სათვის მიმართვის შემთხვევაში, სასამართლოს საშუალება ექნებოდა მდგრადი განვითარების მიზნების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ემსჯელა, რაც დღეს გაცხადებული მიზანია, – „არავინ დავტოვოთ უყურადღებოდ“<sup>35</sup>.

კონვენციის 64-ე მუხლი: კონვენციის სავალდებულო ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომ დავის გადაწყვეტა აუცილებლად მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საშუალებით უნდა მომხდარიყო, თუკი მოლაპარაკებების საშუალებით ვერ გადაწყდებოდა, კონვენციის ყველა სამუშაო ვარიანტში გვხვდება.<sup>36</sup> ამ მიდგომის არჩევა თავიდანვე საკმაოდ ლოგიკური იყო, რადგან კონვენციაზე მუშაობის პერიოდში საერთაშორისო სამართალში მას უკვე ავტორიტეტულ ორგანოდ განიხილავდნენ და იურისპრუდენციას საერთაშორისო საჯარო სამართლის სხვადასხვა დარგთან მიმართებით იზიარებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 64-ე მუხლის მიზანი ცალსახად არასდროს ყოფილა სააპელაციო სასამართლოს როლის ICJ-სათვის მინიჭება. ფორმულირება პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს შესაძლებელია იყოს „კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით“ მხოლოდ. მიუხედავად ამისა, კონვენციის 64-ე მუხლში მოცემული პროცედურაც სახელმწიფოებს არასდროს გამოუყენებიათ.

<sup>35</sup> გაეროს 2030 წლისათვის დაგეგმილი მიზნების მისაღწევად, წევრი-სახელმწიფოები თანხმდებიან მიზნების თანაბრად, ყველა ერისა თუ საზოგადოებისათვის მიღწევის აუცილებლობაზე. მეტიც, უპირველეს ყოვლისა, განვითარება სწორედ იმათზე უნდა გაგრძელდეს, ვინც ყველაზე ბოლოს არის ამ კუთხით. United Nations, The Sustainable Development Goals Report, 2016, <<https://unstats.un.org/sdgs/report/2016/leaving-no-one-behind>> [07.09.2024].

<sup>36</sup> Schreuer C., The ICSID Convention: A Commentary, 2<sup>nd</sup> Ed., Cambridge University Press, 2009, 1239.

არადა, მსოფლიო სასამართლოს, როგორც ICJ-ს ხშირად უწოდებენ, გადაწყვეტილებები, ნამდვილად მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის გაერთგვაროვნებაში, მით უფრო, რომ არსებობს ICSID-ის კონვენციის საკითხები, რომლებიც განმარტებას საჭიროებენ,<sup>37</sup> თუმცა ფორმალური იერარქიულობის არარსებობა პრობლემას მაინც გამოიწვევს: ICSID-ის ტრიბუნალები ვერ იქნებიან ვალდებულები შეასრულონ ICJ-ს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად იზიარებენ მის მიდგომებს.<sup>38</sup>

#### IV. აიზენგარდი, ნაწილი მესამე: ევროპის საბჭოს სისტემა და უცხოური ინვესტიციების დაცვა

ევროპის საბჭოს სისტემის განხილვამდე, აღსანიშნავია, რომ უცხოური ინვესტიციების დაცვის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ცოტა ხნის წინ გაკეთებულ განმარტებაში, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეროვნულმა რეჟიმებმა პატივი უნდა სცენ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებებს.<sup>39</sup> ევროკავშირში უცხოური საინვესტიციო რეჟიმების მზარდი კრიტიკის ფონზე, სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ეროვნულმა კონტროლის მექანიზმებმა პატივი უნდა სცენ ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების იდეას განვითარებისათვის და არ გამოიყენონ ევროკავშირის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტროლის მექანიზმი, რომელსაც ევროკავშირის ტერიტორიაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ლეგიტიმურობის საფუძვლების დადგენის შესახებ რეგულაცია ითვალისწინებს, მხოლოდ ტრანსსაზღვრო კონტროლის არგუმენტის საფუძველზე.

ინვესტიციების კონტროლის პოლიტიკა ქვეყნებმა 1960-იანი წლებიდან შემოიღეს და დღეისათვის მსოფლიოს ქვეყნების სულ მცირე მესამედს აქვს, თუმცა ძირითადად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებშია პოპულარული. გახმაურებული გადაწყვეტილებაც შეეხებოდა სამშენებლო ნედლეულის მომპო-

<sup>37</sup> მაგ., ფართოდ გავრცელებული მოსაზრებით დენონსირებისა და გადაწყვეტილებების გაუქმების განმხილველი კომიტეტის უფლებამოსილება საჭიროებს დამატებით განმარტებას.

<sup>38</sup> Fauchald O., *The Legal Reasoning of ICSID Tribunals – An Empirical Analysis*, *European Journal of International Law*, Vol. 19, No. 2, 2008, 301.

<sup>39</sup> Xella Magyarország Építőanyagipari Kft. v. Innovációs és Technológiai Miniszter [CJEU], C-106/22, 13 July 2023.

ვებელ უნგრულ კომპანიას, რომელსაც ირლანდიელი ბიზნესმენი ფლობდა და ბერმუდაში რეგისტრირებულ კომპანიას სურდა შეესყიდა; გარიგება აიკრძალა უნგრეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონით, „ეროვნული ინტერესების“ საფუძველზე. კერძოდ, უნგრეთის მთავრობამ მიიჩნია, რომ ბერმუდაში დაფუძნებული კომპანიის მიერ იმ საწარმოს მომავალი არაპირდაპირი მფლობელობა, რომლის წილი რეგიონის ნედლეულის მიწოდების 20,77%-ს შეადგენდა, გრძელვადიან პერსპექტივაში, რისკის შემცველი იქნებოდა ნედლეულის მიწოდების უსაფრთხოებისათვის ქვეყანაში. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ეროვნულმა მთავრობებმა, რომლებიც ზღუდავენ ევროკავშირის დაფუძნების თავისუფლებას უცხოური ინვესტიციების კონტროლის რეჟიმით, უფრო მეტად უნდა დაასაბუთონ, რომ გარიგება ნამდვილი და საკმარისად სერიოზული საფრთხეა ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის. საინტერესოა, რომ რეგულაციამდე ევროკავშირის ტერიტორიაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ლეგიტიმურობის საფუძვლების დადგენის ერთიანი სისტემა არ არსებობდა.

დაცვის სისტემებსა თუ მექანიზმებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს ევროპის საბჭო და მისი სისტემა, რომელიც ძირითადად საერთაშორისო ხელშეკრულებებით ოპერირებს და საერთო სამართლებრივ სტანდარტებს ადგენს. ევროპის საბჭოს სისტემის ყველაზე ცნობილი ორგანო, თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოა. ბოლო პერიოდში რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვას შორის არსებულ კავშირზე, განსაკუთრებით, „კანონისმიერი მოლოდინების“ დაცვის კონტექსტში.<sup>40</sup> ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ეს კონვენციით დაცული ადამიანის უფლებაა.<sup>41</sup> მეტიც, რადგან კონვენცია ინვესტიციებს ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან უყურებს, განიხილავს არა მხოლოდ როგორც უფლებებს, რომლებიც უნდა იყოს დაცული, არამედ როგორც მიზანს, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც მის ხელშეწყობასთან დაკავშირებული აქტივობები ინვეს სხვა უფლებების და-

<sup>40</sup> Sigron M., *Legitimate Expectations under Article 1 of Protocol No 1 to the European Convention on Human Rights*, Intersentia Publishing, 2014, 71-85. ასევე, *Plalam S.P.A. v Italy* [ECtHR], App. No. 16021/02, 18 May 2010, paras. 36-42; *Slivenko v Latvia* [ECtHR], App. No. 48321/99, 9 October 2003, par. 121.

<sup>41</sup> Elgueta G., *The European Convention on Human Rights and the Protection of Foreign Direct Investment: The Role of 'Legitimate Expectations'*, in: *The European Convention on Human Rights and its Impact on National Private Law: A Comparative Perspective*, Edited by M. Fornasier, M. Stanzione, Intersentia Publishing, 2023, 197-224.

რღვევას ან საფრთხეს უქმნის მათ.<sup>42</sup> საქართველოსაც აქვს მსგავსი გამოცდილება ერთ-ერთ საქმეში, რომელიც არ გამხდარა საჯარო, ვინაიდან საქართველომ თანხმობა არ განაცხადა ICSID-ის გადაწყვეტილების საჯაროობაზე<sup>43</sup> და რუსთავის რკინა-ფოლადის საწარმოს შეეხებოდა, ინვესტორმა ჯერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა, მაგრამ შეცვალა პოზიცია და სარჩელი ICSID-ში შეიტანა. როგორც ამ მაგალითიდანაც ჩანს – პრაქტიკა არამხოლოდ არასისტემური და მწირია, არამედ რთულად შესასწავლი და განსაზოგადებელი.<sup>44</sup>

## V. დასკვნა: სარუმანის აიზენგარდი, ანუ მითი უცხოური ინვესტიციების საერთაშორისო დაცვისა

ახლა კი ტოლკინი. შუახმელეთის ჯადოსნური ისტორია სიკეთისა და ბოროტის მარადიული ორთაბრძოლაა, ისევე, როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტების – სახელმწიფოთა – განვითარების მისწრაფების იდეა, რადგან საერთაშორისო საჯარო სამართლის, სამართლის ამ დამოუკიდებელი სისტემის, ერთ-ერთი დარგი – საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი, სხვა ფაქტორებთან ერთად, განვითარების იდეებს ემყარება, მაგრამ თითქოს მუდამ განმტკიცებას საჭიროებს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციის პრეამბულაში, მათ შორის, ვაჭრობისა თუ ინვესტიციების ნახალისების შესახებ ხელშეკრულებებსა თუ [საერთაშორისო] მოლაპარაკებების

<sup>42</sup> Fanou M., Vassilis T., The Shared Territory of the ECHR and International Investment Law, in: Research Handbook on Human Rights and Investment, Edited by Y. Radi, Edward Elgar, 2018, 93-136.

<sup>43</sup> ICSID-ის საარბიტრაჟო წესების 48(4) მუხლის შესაბამისად, ცენტრი მაინც ვალდებულია უზრუნველყოს თავის გამოცემებში გადაწყვეტილებების სამართლებრივი დასაბუთების ნაწილის გამოქვეყნება, Yannaca-Small K., Introductory Note to Case Excerpt to Ares International S.r.l. and MetalGeo S.r.l. v. Georgia, ICSID Review, Foreign Investment Law Journal, Vol. 23, No. 1, 2008, 189-190.

<sup>44</sup> განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნის ადვოკატი, რომელიც პოზიციის განმტკიცებისათვის მსგავს შემთხვევებზე საბოლოო გადაწყვეტილებების მოძიებას შეეცდება, სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება. საინვესტიციო დავების განმხილველ არბიტრაჟებს შორის მხოლოდ ICSID-ს აქვს სარჩელების საჯარო რეესტრი, სხვაგვარად რაოდენობაც კი უცნობია. თუმცა, ცენტრის შემთხვევაშიც თავად გადაწყვეტილება, მხარეთა თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში, რჩება ხელმოუწვდომელი. საუბრები ე.წ. „უხილავ წრეზე“ სულ უფრო ხშირია და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, როგორც აუთსაიდერები, რომლებსაც არ აქვთ საშუალება ძვირადღირებული იურიდიული მომსახურების გამწევი კომპანიები დაიქირაონ, წყაროებისა და ინფორმაციის სიმცირის რისკის ქვეშ არიან.

დღის წესრიგებში უცხოელ ინვესტორთა სტაბილურობისა და დაცვის დაპირებებს ვხვდებით, მათი საერთაშორისო მექანიზმებით მხარდაჭერა, როგორც სტაბილურობის ალიანსი, კვლავაც გამოწვევაა.

სხვადასხვა საერთაშორისო სისტემას შორის ფორმალური ინსტიტუციური კავშირების არარსებობის პირობებში<sup>45</sup> და გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში პროგრესი შეუძლებელი იქნება საჯარო ინტერესის დაცვის გარეშე, რომელიც დღეს მსოფლიოში გაცხადებული მიზნების ფონზე იკვეთება, სტაბილურობის განხილული მექანიზმების მნიშვნელობის გაზრდა და გამოყენების უპირატესობა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების წარმატებისთვის გარდაუვალია, როგორც ტოლკინის საგის ყველა გმირის ერთიანი ძალისხმევა შუახმელეთის გადარჩენაში.

საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის სტაბილურობა დამოკიდებულია დავის მოგვარების საშუალებების ეფექტიანობაზე, ფორმალურად და არაფორმალურად. გარდა ამისა, ნებისმიერ საერთაშორისო სასამართლოს „სამართლებრივი ვალდებულება აქვს გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლის დარგში ერთგვაროვანი მიდგომის საჭიროება“ თავისი გადაწყვეტილებების გამოტანისას. აღნიშნული განსკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო თანამშრომლობის (*comitas gentium*) გაუმჯობესების კონტექსტში, რისი რამდენიმე მაგალითი საერთაშორისო საინვესტიციო დავების შემთხვევაში გვქონდა, თუმცა შესაძლებელია უკეთ იყოს გამოყენებული საერთაშორისო ფორუმების მიერ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სასარგებლოდ.<sup>46</sup> მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებთ არსებითი დაცვის კოორდინირებულ სისტემას, რომელიც დაიცავს შუახმელეთს – უცხოურ ინვესტიციებს. ამისათვის სპეციალიზებული საერთაშორისო სასამართლოებისა თუ ტრიბუნალების გადაწყვეტილებები, მხარდაჭერას უნდა პოულობდნენ საერთაშორისო საჯარო სამართალში ფართო იურისდიქციის მქონე ფორუმებისაგან. აიზენგარდი, რომელიც ტოლკინის სამყაროში „დასავლეთის გუშაგია“, სიმბოლურად სწორედ ამ მნიშვნელობითაა შედარებული ინვესტიციების დაცვის სისტემებთან, რომლებმაც დღეს [ავტორის აზრით] სწორედ

<sup>45</sup> Brown C., *A Common Law of International Adjudication*, Oxford University Press, 2007, 25.

<sup>46</sup> *Southern Pacific Properties v. Egypt*, 3 ICSID Rep. 112, 1985, 129; *SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Republic of the Philippines*, Decision of the Tribunal on Objections to Jurisdiction, ICSID Case No. ARB/02/6, 2004. ამასთან, მნიშვნელოვანია კონკურენტული გადაწყვეტილებებიც, რაც კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს თანამშრომლობის საჭიროებას.

მცველის როლი უნდა ითამაშონ დარგის და განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერაში, შესაძლოა – დაცვაშიც.

და ბოლოს, სარუმანის ალეგორიის დაზუსტება სტატიის ფარგლებში განვითარებული მსჯელობის კვალდაკვალ, ალბათ, ნაკლებად საჭიროებს განმარტებას, განსაკუთრებით, ინვესტიციების დაცვის კონტექსტში. თუმცა ერთი კი უნდა აღინიშნოს, უცხოური ინვესტიციების კონტროლის ეროვნული მექანიზმების გააქტიურებას, დაცვის სისტემური და კოორდინირებული საერთაშორისო სისტემების ნაკლებობის ფონზე, თეთრი სარუმანის „გაშაგების“ ისტორიის მსგავსად, საფრთხის შემცველი ტენდენცია აქვს განვითარების საერთო მისწრაფებისთვის.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- Bello A., Arbitration: A Panacea for Investment Disputes, *Arabian Journal of Business and Management Review*, Vol. 4, No.2, 2014
- Brown C., *A Common Law of International Adjudication*, Oxford University Press, 2007
- Dreher A., Mikosch H., Voigt S., Membership Has Its Privileges: The Effect of Membership in International Organizations on FDI, *World Development*, Vol. 66, No. 1, 2010
- Elgueta G., The European Convention on Human Rights and the Protection of Foreign Direct Investment: The Role of 'Legitimate Expectations', in: *The European Convention on Human Rights and its Impact on National Private Law: A Comparative Perspective*, Edited by M. Fornasier, M. Stanzione, Intersentia Publishing, 2023
- Essien V., Aron Broches, Selected Essays: World Bank, ICSID and Other Subjects of Public and Private International Law, *Fordham International Law Journal*, Vol. 19, No. 2, 1995
- Fanou M., Vassilis T., The Shared Territory of the ECHR and International Investment Law, in: *Research Handbook on Human Rights and Investment*, Edited by Y. Radi, Edward Elgar, 2018
- Fauchald O., The Legal Reasoning of ICSID Tribunals – An Empirical Analysis, *European Journal of International Law*, Vol. 19, No. 2, 2008
- Fourret J., Stay(ing) on Track or Falling off the Edge: The Absence of Legal Security in the Ad Hoc Committees' Decisions under Article 52(5) of the ICSID Convention, *ICSID Review*, Vol. 27, No. 2, 2012
- Higgins R., *Problems and Process: International Law and How We Use It*, Oxford University Press, 1994
- History of the ICSID Convention: Documents Concerning the Origin and the Formulation of the Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States, Vol. II-1, ICSID, 2009

- Lowenfeld A., The ICSID Convention: Origins and Transformations, Georgia Journal of International and Comparative Law, Vol. 38, No. 1, 2009
- McArthur K., Ormachea, P., International Investor-State Arbitration: An Empirical Analysis of ICSID Decisions on Jurisdiction, The Review of Litigation, Vol. 28, No. 1, 2009
- Mortenson, J., The Meaning of "Investment": ICSID's Travaux and the Domain of International Investment Law, Harvard International Law Journal, Vol. 51, No. 1, 2010
- Muchlinski P., Policy and Objectives, in: Oxford Handbook of International Investment Law, Edited by P. Muchlinski, F. Ortino, C. Schreuer, Oxford University Press, 2008
- Nicholson F., The Protection of Foreign Property under Customary International Law, Boston College Law Review, Vol. 6, No. 3, 1965
- Okpe F., Endangered Element of ICSID Arbitral Practice: Investment Treaty Arbitration, Foreign Direct Investment, and the Promise of Economic Development in Host States, Richmond Journal of Global Law and Business, Vol. 13, No. 2, 2014
- Pellet A., The Case Law of the ICJ in Investment Arbitration, ICSID Review, Vol. 28, No.2, 2013
- Puig S., Emergence & Dynamism in International Organizations: ICSID, Investor-State Arbitration & International Investment Law, Georgetown Journal of International Law, Vol. 44, No. 531, 2013
- Rozental A., The Charter of Economic Rights and Duties of States and the New International Economic Order, Virginia Journal of International Law, Vol. 16, No. 2, 1976
- Schreuer C., The ICSID Convention: A Commentary, 2<sup>nd</sup> Ed., Cambridge University Press, 2009
- Schwebel S., The Story of the UN's Declaration on Permanent Sovereignty over Natural Resources, American Bar Association Journal, Vol. 49, No. 5, 1963
- Shihata I., Parra A., The Experience of the International Centre for Settlement of Investment Disputes, ICSID Review – Foreign Investment Law Journal, Vol. 14, No. 2, 1999
- Shihata I., Remarks on the Obstacles Facing ICSID's Proceedings and International Arbitration in General, News from ICSID, Vol. 4, No. 1, 1987
- Sigron M., Legitimate Expectations under Article 1 of Protocol No 1 to the European Convention on Human Rights, Intersentia Publishing, 2014
- Tondapu G., International Institutions and Dispute Settlement: The Case of ICSID, Bond Law Review, Vol. 22, No. 1, 2010
- Voon T., Mitchell, A., Denunciation, Termination and Survival: The Interplay of Treaty Law and International Investment Law, ICSID Review, Vol. 31, No. 2, 2016
- Yannaca-Small K., Introductory Note to Case Excerpt to Ares International S.r.l. and MetalGeo S.r.l. v. Georgia, ICSID Review, Foreign Investment Law Journal, Vol. 23, No. 1, 2008
- Vannieuwenhuysse G., Bringing a Dispute Concerning ICSID Cases and the ICSID Convention Before the International Court of Justice, The Law and Practice of International Courts and Tribunals, Vol. 8, 2009

Irina Aghapishvili\*

## FOREIGN INVESTMENT PROTECTION IN MIDDLE-EARTH AND SARUMAN'S ISENGARD: INTERNATIONAL SYSTEMS OF FOREIGN INVESTMENT PROTECTION IN THE COMMON PURSUIT OF DEVELOPMENT

### Abstract

The need for international guarantees and protective mechanisms for foreign investments became evident following World War II. In 1954, a resolution initiated by the UN Secretary-General identified a significant mismatch between investment flows and regions most in need of development. This resolution encouraged investment-seeking nations to “review and enhance national legislation” to improve their investment climate and implement measures to protect and promote foreign investments within their territories.

Despite these early recommendations, foreign investment protection remains a critical challenge in global development. A key obstacle has been the absence of a universally accepted framework for resolving international investment disputes. This article examines the limitations of current investment protection mechanisms through analysis of three major systems: the World Bank, the International Court of Justice, and the Council of Europe. The discussion enriches this analysis through analogies drawn from selected passages in Tolkien’s literary works.

*Keywords: Foreign Investments, Investment Protection Mechanisms, Development Agenda.*

---

\* PhD in Law, Assistant Professor at Georgian-American University, iaghapishvili@gmail.com  
<https://orcid.org/0009-0009-9430-2766>

მარიამ გაგოშიძე\*

## რთული შემთხვევის გადაწყვეტის ჰარტისეული მეთოდი

*„თქვენ ყველანი ბრმები ხართ“, – ბუნებითი სამართლის ფილოსოფოსებმა უთხრეს პოზიტივისტებს. „თქვენ ყველანი მოჩვენებებს ხედავთ“, – უპასუხეს პოზიტივისტებმა.“<sup>1</sup>*

### I. შესავალი

ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში სამართლის კონკრეტული ნორმა თუ სასამართლო პრეცედენტი არეგულირებს განსაზღვრულ სამართლებრივ დავებს, თუმცა პრაქტიკაში წამოიჭრება შემთხვევა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათი გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხს.<sup>2</sup> სამართალში წამოჭრილი განუსაზღვრელობის აღმოჩენისას სამართლის სკეპტიკოსი „იმედგაცრუებული აბსოლუტიზტია“ სამართლის ფორმალისტის სამოთხეში.<sup>3</sup>

სამართლის თეორიული მიდგომებით განსხვავებულია რთული შემთხვევების განსაზღვრება. ჰარტის თეორიები, პოზიტიური სამართლის მიმდევარ სხვა ფილოსოფოსთა (მაგალითად, ბენტამი, ოსტინი და სხვა ექსკლუზივისტები<sup>4</sup>), მო-

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, დოქტორანტი, mariam.gagoshidze@sabauni.edu.ge <https://orcid.org/0000-0001-6792-3318>

<sup>1</sup> Lacey N., A Life of H.L.A. Hart: The Nightmare and the Noble Dream, Oxford University Press, 2004, 264.

<sup>2</sup> Hart H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 121.

<sup>3</sup> იქვე, 187, იხ. ციტირება: Miller, 'Rules and Exceptions', 66 International Journal of Ethics (1956).

<sup>4</sup> მკიფე პოზიტივიზმი, ექსკლუზივიზმი არის ბუნებითი სამართლის პირველი სისტემური ალტერნატივა, რომელიც ჩამოაყალიბეს ჯერემი ბენტამმა და ჯონ ოსტინმა. ფილოსოფოსების შემდეგ, სწორედ ისინი იყვნენ პირველი იურისტები, ვინც დაიწყეს მსჯელობა სამართლის ფილოსოფიაზე სამართლებრივი პერსპექტივიდან. მკიფე პოზიტივიზმის მთავარი პრინციპია, რომ შესწავლისა და ანალიზისათვის სამართალი იმ კანონისაგან გაიმიჯნოს, რომელიც მორალთანაა დაკავშირებული. იხ., Corpus Juris, ნიგნი I, სამართალმცოდნეობის საკითხები, დ. გეგენაეას რედაქტორობით, თბილისი, 2015; Austin J., The Province of Jurisprudence Determined, London, 1832; Bentham J., A Fragment on Government; or, A Comment on the Commentaries, 2<sup>nd</sup> Edition, London, 1823.

ძღვრებებისგან განსხვავებით, სამართლის ნორმებში არსებული სოციალური ფაქტორის არსებობას განიხილავს.<sup>5</sup> მსგავსი თეორიული მიმდინარეობით, ჰარტისეული სასამართლო პროცესი განიხილავს საქმეთა კატეგორიას, რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია კანონის ნორმათა მითითებებით და გარდა ამისა, ემიჯნება სასამართლოს მიერ, „ფორმალიზმისა“ თუ „ლიტერალიზმის“ გავლენით, „ბრმად“ მიღებულ გადაწყვეტილებებს.<sup>6</sup> სამართლის განუსაზღვრელობისა და არსებული „სიცარიელების“ ამოსავსებად, ჰარტმა განსაზღრა სამართლის „ღია ტექსტურის“ მნიშვნელობა. ამასთან, განმარტა „პენუმბრული შემთხვევებისა“ და „პენუმბრული ნორმების“ გამოყენების მნიშვნელობა.

სხვა ქვეყნების სასამართლოთა მსგავსად, ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც არაერთი საკამათო შემთხვევაა განხილული და გადაწყვეტილი.<sup>7</sup> სამართალში ადამიანთა მონაწილეობისა და მათი უსაზღვრო ფანტაზიის გათვალისწინებით<sup>8</sup>, სასამართლოს კიდევ მრავალჯერ მოუწევს „სიბნელისა და სინათლის პენუმბრაში“<sup>9</sup> საქმეთა გადაწყვეტა. საკამათოა, რამდენად მსჯელობენ მოსამართლეები იმ პასუხის შესახებ, რომლებიც უკვე წინასწარ იციან.<sup>10</sup>

<sup>5</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 35.

<sup>6</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 15, 18.

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განჩინება Nას-242-2022; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განჩინება Nას-1027-2019; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება Nას-979-940-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივნისის განჩინება Nას-929-894-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-85-81-2017; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება N 23/4686-13; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება N23/1156-19; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება N2/1852-14.

<sup>8</sup> გეგენავა დ., რთული შემთხვევის სირთულე, წიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021, i.

<sup>9</sup> ჭეიშვილი ი., „პენუმბრის“ მნიშვნელობა სამართალში და მისი შინაარსობრივი ევოლუცია ჰარტამდე, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018, 23, იხ., Henly B., „Penumbra”: The Roots of Legal Metaphor, Hastings Constitutional Law Quarterly, Vol.15, No.1, 1987, 81, 83-84; Holmes O.W., 1873 The Theory of Torts, American Law Review, Vol. 7, No. 4, 1873, 652, 654.

<sup>10</sup> ლურსმანაშვილი ლ., მთარგმნელის წინათქმა, წიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021, xiv.

ნაშრომის მიზანია, მიმოიხილოს რთული შემთხვევების გადაწყვეტის პარტისული კრიტერიუმები. განსაზღვროს, რას გულისხმობს სამართლის ღია ტექსტურა და როგორ უნდა იმოქმედოს სასამართლომ დისკრეციის ფარგლებში; განმარტოს, სამართლის წესების მნიშვნელობა და სიღრმისეულად განიხილოს აღიარების წესის, როგორც ძირითადი ნორმის, საკითხი. კვლევის მიზანია, ასევე, მიმოიხილოს პენუმბრული ნორმის იდეა და განიხილოს მორალის მინიმალური სტანდარტის ინტეგრაცია რთული შემთხვევის გადაწყვეტისას, დაადგინოს მორალის მინიმალური მნიშვნელობა და მისი გამოყენების ფარგლები სამართალში, ასევე ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც წარმოიშობა რთული შემთხვევების გადაწყვეტის პარტისული მიდგომების გამოყენებისას.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა ანალიტიკურ, ისტორიულ-გენეტიკურ, დესკრიფციულ, ჰერმენეუტიკულ, შედარებითსამართლებრივ და სხვა სამეცნიერო მეთოდებს. კვლევის საფუძველზე მოხდება ჰერბერტ ჰარტის, როგორც რბილი პოზიტივიზმის ფუძემდებლის ნაშრომთა შესწავლა და შეფასება. საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ნაშრომში გამოყენებული იქნება, საქართველოს საერთო სასამართლოების, მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, ასევე ამერიკის უმაღლესი სასამართლოს, ინგლისისა და გერმანიის სასამართლო გადაწყვეტილებათა შედარებითსამართლებრივი ანალიზი.

## II. რთული შემთხვევის განსაზღვრის პარტისული კრიტერიუმები

სამართალი, როგორც სოციალური მოვლენა,<sup>11</sup> იცვლება საზოგადოებაში არსებულ ცვლილებებთან ერთად.<sup>12</sup> ხშირად სოციუმის ცვლილება იმაზე სწრაფად ხდება, ვიდრე საკანონმდებლო ორგანო შეიმუშავებს და გამოსცემს ახალ კანონს. ამასთან, ადამიანის მიერ შექმნილ კანონმდებლობას არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს სამართალით მონესრიგებული ყველა კომპინაცია, რომელიც შესაძლოა მომავალმა მოიტანოს და სწორედ აბსოლუტური წინასწარჭვრეტის უუნარობაა სამართალის განუსაზღვრელობის საფუძველი.<sup>13</sup> პარტისული ნეოპოზიტივიზმი, როგორც თავად უწოდებს – „ზომიერი პოზიტივიზმი“<sup>14</sup>, აღი-

<sup>11</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015, 51.

<sup>12</sup> იქვე, 166.

<sup>13</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 122.

<sup>14</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სენიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ.გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 39.

არებს სამართლის პრაქტიკაში გამოყენების პრობლემებს,<sup>15</sup> რაც სამართლის განუსაზღვრელი ბუნებიდან და კანონმდებლობაში არსებული „სიცარიელებიდან“ მომდინარეობს.<sup>16</sup>

წამოჭრილი პრობლემების, არასტანდარტული საკითხების გადაწყვეტის ჰარტიული მეთოდი, განსხვავდება სამართლებრივი ფორმალიზმის, სამართლებრივი სკეპტიციზმის, სამართლებრივი რეალიზმისა და დუორკინისეული მორალიზმისაგან.<sup>17</sup> მისთვის სასამართლო პროცესი ექვემდებარება სამართლებრივი სისტემის პირველად და მეორეულ წესებს.<sup>18</sup> ჰარტის მიდგომები, მინიმუმამდე ამცირებს სამართლის ნორმის მორალურ შინაარსს, სასამართლოს მიერ „არალოგიკური“ წესებისა“ და „შესაბამისი კანონის“<sup>19</sup> გამოყენების შესაძლებლობას, რაც განასხვავებს მის მიდგომებს დუორკინისეული რთული შემთხვევების განმარტებითი პროცესისაგან.<sup>20</sup>

## 1. სამართლის ღია ტექსტურა და სასამართლო დისკრეცია

სამართლის სისტემაში ნორმებს წინასწარ განსაზღვრული მიზანი აქვთ.<sup>21</sup> თუმცა, საკამათო შემთხვევების<sup>22</sup> განხილვისას, როდესაც ნორმის გამოყენების საკითხი საეჭვო ხდება, მას განუსაზღვრელი ხასიათი ენიჭება.<sup>23</sup> შესაბამისად, ნორმა მიიღებს იმ ფორმას, რაც იწოდება „ღია ტექსტურად“.<sup>24</sup> არსებული სიცა-

<sup>15</sup> იქვე, 38.

<sup>16</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 121.

<sup>17</sup> იქვე, 39.

<sup>18</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ.გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 34-36.

<sup>19</sup> იქვე, 39.

<sup>20</sup> Saurer J., *Die Hart-Dworkin-Debatte als Grundlagenkontroverse der angloamerikanischen Rechtsphilosophie: Versuch einer Rekonstruktion nach fünf Jahrhunderten*, ARSP: Archiv für Rechts- und Sozialphilosophie Vol. 98, No.2, 2012, 214-232.

<sup>21</sup> ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ლ. თოთლაძის თარგმანი, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 109-122.

<sup>22</sup> „debatable cases“ ჰერბერტ ჰარტის მიერ დამკვიდრებული ტერმინი; იხ., Hart H.L.A., *Positivism and Separation of Law*, *Essays in Law, Jurisprudence and Philosophy*, Clarendon Press, 1983, 49-88; ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლის (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დუორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 13.

<sup>23</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 121.

<sup>24</sup> იქვე.

რიელები რომლებიც შეესაბამება საჭიროებს.<sup>25</sup> ჰარტი აკრიტიკებს სამართლებრივ ფორმალიზმსა და სამართლებრივ სკეპტიციზმს, რადგან სამართლებრივი ფორმალიზმი თვალს ხუჭავს კანონის „ხარვეზებზე“ და გადანეტილებები ფორმალურად მიესადაგება სამართლის ნორმასა თუ დამკვიდრებულ პრეცედენტს, რაც ხშირად „მოსამართლეთა მანკია“<sup>26</sup>, სამართლებრივი სკეპტიციზმისათვის კი, ობიექტური სინამდვილის მიღწევა ფაქტობრივად შეუძლებელია.<sup>27</sup> რეალურად, სამართლებრივი ფორმალიზმიცა და ნეს-სკეპტიციზმიც იურიდიული თეორიის სკილა და ქარიბდა არიან.<sup>28</sup>

სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილი რთული შემთხვევების, ღია ტექსტურის, ამოსავსებად, ჰარტმა „პენუმბრული“ ნორმების განვითარების იდეა წამოჭრა, რითაც სასამართლოს საშუალება მიეცა, გადანეტილება მიეღო ფართო ინტერპრეტაციის საფუძველზე.<sup>29</sup> აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად პენუმბრული ნორმების მნიშვნელობას სამართლებრივი რეალიზმის მიმდევრებმა გაუსვეს ხაზი.<sup>30</sup> მაგალითად, აშშ-ში ჰოლმსი და კარდოზო, ინგლისში ლორდი მაკმილანი და ლორდი რეიდი მიიჩნევდნენ, რომ სამართლის სისტემაში არსებობს შემთხვევები, რომლებიც ვერ რეგულირდება კანონით და მოსამართლეს აქვს გარდაუვალი კანონშემოქმედებითი ამოცანა.<sup>31</sup> ჰარტის თეორია, რომელიც პენუმბრული ნორმებით „საკამათო შემთხვევების“<sup>32</sup> გადანეტილებას უკავშირდება, აშკარაა, რომ ყველაზე ახლოს მაინც რეალისტებად წოდებული კრიტიკოსების მოსაზრებებს უკავშირდება.

ჰარტის ანალიტიკური მიდგომა<sup>33</sup> სამართლის გაგებასთან დაკავშირებით, განსხვავდება როგორც მანამდე ჩამოყალიბებული, ასევე სხვა თანამედროვე

<sup>25</sup> გეგენავა დ., რთული შემთხვევის სირთულე, წიგნში: დვორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი 2021, iii., იხ., Bix B.H., A Dictionary of Legal Theory, Oxford University Press, 2004, 153.

<sup>26</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლის (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 17.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> Hart H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 140.

<sup>29</sup> ჭიჭიშვილი ი., „პენუმბრის“ მნიშვნელობა სამართალში და მისი შინაარსობრივი ევოლუცია ჰარტამდე, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018, 32.

<sup>30</sup> იქვე, 21-32.

<sup>31</sup> Hart H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 257.

<sup>32</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლის (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 13.

<sup>33</sup> აფონასიანი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 25.

თეორიული მიდგომებისაგან. მისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანონში გადმოცემული ტექსტის ლინგვისტურ მნიშვნელობას. სამართლებრივი რეალიზმისაგან განსხვავებით, სადაც ტრადიციული ტერმინოლოგია გამოყენებულია წესებით მართვადი ქმედების ანალიზისათვის,<sup>34</sup> ჰარტის მსჯელობა აფუძნებს მოსაზრებას, რომ ენობრივი გამოთქმების ფუნქცია კონკრეტული სიტუაციის აღწერა კი არ არის, არამედ, ბუნებრივი თუ სოციალურ მოვლენათა იურიდიული მნიშვნელობის მინიჭებაა.<sup>35</sup> ნორმის ტექსტში ენობრივი მნიშვნელობის განსამართლად ჰარტს მაგალითად მოჰყავს ტერმინი „სატრანსპორტო საშუალება“. მისი მტკიცებით, როდესაც სამართლის ნორმით საზოგადო სარგებლობის პარკში აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებით შესვლა, ნათელია, რომ კანონმდებელმა მოიაზრა ავტომანქანა, თუმცა, ნორმაში ზუსტად განსაზღვრავრული არ არის თუ რა მოიაზრება სატრანსპორტო საშუალებაში.<sup>36</sup> მოცემული მსჯელობით ჰარტი განმარტავს, რომ სამართლის ნორმა გადმოცემულია ზოგადი სიტყვებით, რომელსაც მნიშვნელოვანია რაიმე სტანდარტული განმარტება<sup>37</sup> ჰქონდეს, რათა ნორმის გამოყენების შემთხვევაში ტერმინის მნიშვნელობა „საკამათო არ გახდეს“.<sup>38</sup> ამასთან, გამოგონებების ეპოქაში გასაკვირი არ არის ტერმინმა ცვლილება განიცადოს. ჰარტი განმარტავს, რომ ნორმით განსაზღვრულ ტერმინებს გარდა ბირთვული (core) მნიშვნელობისა გააჩნიათ „საკამათო შემთხვევების პენუმბრა“,<sup>39</sup> როდესაც ტერმინის მნიშვნელობა არც აშკარად გულისხმობს და არც გამორიცხავს ნორმის გამოყენებას.<sup>40</sup> საკითხის განხილვისას კი, მოსამართლე ვალდებულია საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და გადანეციტოს „სატ-

<sup>34</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, სამართლის ფილოსოფია, რ. მ., დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 13.

<sup>35</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 29.

<sup>36</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, სამართლის ფილოსოფია, რ. მ., დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 13.

<sup>37</sup> აღსანიშნავია, რომ ტერმინი „სტანდარტული განმარტება“ მოცემულია მხოლოდ ქართულ ტექსტში, ორიგინალურ ტექსტში ჰარტი იყენებს ტერმინს – “core”. შეად: Hart H.L.A., *Positivism and Separation of Law*, in: *Essays in Law, Jurisprudence and Philosophy*, Clarendon Press, 1983, 49-88.

<sup>38</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, სამართლის ფილოსოფია, რ. მ., დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 13.

<sup>39</sup> Hart H.L.A., *Positivism and Separation of Law*, in: *Essays in Law, Jurisprudence and Philosophy*, Clarendon Press, 1983, 63.

<sup>40</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, ნიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 14.

რანსპორტო საშუალების“, როგორც „პენუმბრას პრობლემის“<sup>41</sup> მნიშვნელობა. ჰარტის მსჯელობით, პენუმბრული შემთხვევების განმარტებისას სასამართლო ადგენს გაურკვევლობის შუქ-ჩრდილში მოქცეული ნორმის შინაარსს, ნორმის განმარტებისას მხოლოდ დედუქციური მსჯელობით შეუძლებელია ტერმინი „სატრანსპორტო საშუალების“ მნიშვნელობის დადგენა, ვინაიდან დეფინიცია წინაპირობასთან რაიმე ლოგიკურ კავშირს კი არ უნდა ეფუძნებოდეს, არამედ საკითხის გადაწყვეტისას რაციონალური უნდა იყოს სამართლებრივი არგუმენტები.<sup>42</sup> აქედან გამომდინარე, თუ რაციონალური და გონივრულია განმარტება იმის შესახებ, რომ მაგალითად, აეროპლანი არ არის „სატრანსპორტო საშუალება“, მაშინ განმარტება რაციონალური და გონივრულია „ლოგიკური დამაჯერებლობის გარეშე“. <sup>43</sup> ნამოჭრილ იდეას ეწინააღმდეგებოდა ფულერი, რომელიც მიიჩნევდა, რომ მიზანშეუწონელია მსჯელობა თითქოს ტერმინს – „სატრანსპორტო საშუალება“ თავისი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ფულერი აღნიშნავდა, რომ ჰარტის ეს მოსაზრება ზიანს აყენებდა კანონის „სტრუქტურულ მთლიანობას“.<sup>44</sup>

ჰერბერტ ჰარტის ფილოსოფიური იდეა ეფუძნება მოსაზრებას, რომ კანონის ტექსტის ენის ღია ტექსტურის ტერმინები არ არის მკაცრად განსაზღვრული, მისი მიზანი, „გონივრული სოციალური მიზნის მიღწევაა“.<sup>45</sup> სამართლის მომწესრიგებელი ნორმის მიღებისა და ჩამოყალიბების დროს კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს მისი ისეთი ფორმულირება, რომ ნორმის ადრესატისთვის გასაგები იყოს მისი შინაარსი.<sup>46</sup> ნორმას ადგენს კანონმდებელი, თუმცა მის ობიექტურ

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> იქვე; ღია ტექსტურის იდეას ემხრობა ფრიდრიხ ვაისმანიც, მისი თეორია განასხვავებს წესების ღია ტექსტურასა და ბუნდოვანებას, თუმცა, ჰარტის იდეისაგან განსხვავებით, მისი თეორიული მიდგომები რადიკალურია. იხ., Waismann F., *Verifiability, Proceedings of the Aristotelian Society, Supplementary Volumes*, Vol. 19, 1945; Bix B.H., H.L.A. Hart and the “Open Texture” of Language, *Law and Philosophy*, Vol. 10, No.1, 1991, 64.

<sup>44</sup> Galeza D., *Hard Cases*, *Manchester Student Review*, Vol. 2, 2013, 242, იხ., Fuller L.L., *Positivism and Fidelity to Law – A Reply to Professor Hart*, *Harvard Law Review*, Vol. 71, No.4, 1958, 663.

<sup>45</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 123. ამას დუორკინი ეწინააღმდეგება. მისი აზრით, მსგავსი მსჯელობა ამყარებს მოსაზრებას: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში მხოლოდ იმის გამო გამოვლინდება, რომ სამართლის წესებში არსებობს „ღია ტექსტურა“. იხ., დუორკინი რ., *რთული შემთხვევები*, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 68.

<sup>46</sup> მამუკაშვილი ნ., ნორმის განსაზღვრულობის პრინციპის სამართლებრივი ასპექტები, *ჟურნ. „სამართლის მეთოდები“*, N3, 2019, 70; McGarry J., *Effecting Legal Certainty under The Human Rights Act*, *Journal of Judicial Review*, Vol.16, No.1, 2011, 66.

შინაარსს განსაზღვრავს – სასამართლო. შესაბამისად, სამართლის ძირითადი მიზანი როდესაც სამართლიანობაა, ნორმის შეფარდებისა და განსაზღვრისას სასამართლოს როლი მნიშვნელოვანია.<sup>47</sup> სწორედ ამიტომ, ჰარტის მსჯელობით, რთული შემთხვევების გადაწყვეტისას, სასამართლოს არა მხოლოდ ენიჭება დისკრეციის გამოყენების შესაძლებლობა, არამედ ეკისრება „შეზღუდული კანონ-შემოქმედებითი ფუნქცია.“<sup>48</sup> მსგავს შემთხვევაში, ჯერ კიდევ, ბენტამის იდეით, სასამართლომ თავისი დისკრეციული უფლებამოსილება უნდა გამოიყენოს და შექმნას სამართალი,<sup>49</sup> ჰარტის შეფასებით კი, ისეთი შემთხვევების გადაწყვეტისას, რომელიც კანონით დარეგულირებული არ არის, სასამართლო არა მხოლოდ ქმნის<sup>50</sup> ახალ სამართალს, არამედ, იშველიებს კანონით დადგენილ იმ წესებს, რომლებიც მას კანონშემოქმედებით უფლებამოსილებას ანიჭებს.<sup>51</sup> აღნიშნული გულისხმობს სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის აღებას, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობითა და ინტერპრეტაციის გზით, ენაში არსებულ ზოგად სიტყვებს მიანიჭოს სტანდარტული განმარტება.<sup>52</sup> შესაბამისად, სასამართლო დისკრეცია შებოჭილია კანონის ფარგლებში და სამართლის შექმნის უფლებამოსილება მოსამართლეს საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებით კი არ აღჭურავს, უბრალოდ საშუალებას აძლევს მას კანონით დაურეგულირებელი საკითხები გადაწყვიტოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას. აღნიშნული არ შეიძლება სასამართლომ გამოიყენოს

<sup>47</sup> მამუკაშვილი ნ., ნორმის განსაზღვრულობის პრინციპის სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N3, 2019, 71, Paunio E., *Legal Certainty in Multilingual EU Law Language, Discourse and Reason at The European Court of Justice*, Ashgate Publishing, 2013, 54-55.

<sup>48</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 238; Rogg R., *Das Recht zwischen Sein und Sollen – Auszüge aus der Hart-Fuller-Debatte*, Stuttgart, 2021, S.4. აღსანიშნავია, რომ სამართლის ფილოსოფიაში მთავარი საგანია, რთული შემთხვევების განხილვისას ქმნის თუ არა მოსამართლე ახალ კანონს. სამართლის პოზიტივისტების უმრავლესობისთვის მოსამართლეებს კანონშემოქმედებითი ფუნქცია არ გააჩნიათ. ჰარტის მიდგომა კი აღიარებს სასამართლოს მიერ ახალი კანონის მიღებას, რაც ჰარტის ინკლუზიურობას უსვამს ხაზს. იხ., Galeza D., *Hard Cases*, Manchester Student Review, Vol. 2, 2013, 240-261.

<sup>49</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 256.

<sup>50</sup> დუორკინის მიერ ჰარტის თეორიის კრიტიკისას განიმარტა, რომ მოსამართლე არათუ ქმნის, არამედ აღმოაჩენს კანონს. აღნიშნული კვლავ საკამათო საკითხია, იხ., Rogg R., *Das Recht zwischen Sein und Sollen – Auszüge aus der Hart-Fuller-Debatte*, Stuttgart, 2021, 5; Gómez J.V., *The Hart-Fuller Debate*, Philosophy Compass Vol. 9, 2014, 49.

<sup>51</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 256.

<sup>52</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დუორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 13.

თვითნებურად. აქედან გამომდინარე, ჰარტის მოსაზრებით, კანონშემოქმედებითი უფლებამოსილების განხორციელებისას, მოსამართლე უნდა მოიქცეს, როგორც „კეთილსინდისიერი კანონმდებელი“.<sup>53</sup>

ჰარტისათვის სასამართლოს მიერ რთული შემთხვევების განხილვისას წამოჭრილი ეჭვი, – წესებისა თუ მანამდე არსებული პრეცედენტის გამოყენების სადავოობა, მოითხოვს დისკრეციის გამოყენებას.<sup>54</sup> მან ჩამოაყალიბა სასამართლოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევათა ჩამონათვალი და განმარტა, რომ დისკრეცია შუალედურ ადგილს იკავებს წმინდა პირად ახირებასა და იმ არჩევანს შორის, რომელიც გაკეთდა მკაფიო მიზნების მისაღწევად, – მეთოდები შეესაბამებოდეს წესებს, რომელთა გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში აშკარაა.<sup>55</sup> მისი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანისთვის წინასწარ იქნება განჭვრეტადი სამართალში წამოჭრილი ყველა შესაძლო შემთხვევა, მაშინ წესების შედგენისას წინასწარ ამომწურავად განისაზღვრებოდა ყველა შემთხვევა.<sup>56</sup> თუმცა რეალურ სამყაროში არსებობს წესები, რომელთა გამოყენებაც კონკრეტულ შემთხვევებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.<sup>57</sup> მაგალითად, თუ წესის გამოყენების მიზანი იქნება სარეკრეაციო ზონის მოწყობა, რათა ხალხმა დაისვენოს, ითამაშოს, თავისუფლად ისეირნოს, უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მინიჭების გარეშე, მაშინ აიკრძალება გადაადგილება სატრანსპორტო საშუალებით, მიზანი განსაზღვრულია, მისი განხორციელება მკაფიო სტანდარტულ შემთხვევაზე მიუთითებს, როდესაც საქმე ეხება მანქანას, ავტობუსს, თუმცა წესის გამოყენებისას იკვეთება მიჯნაზე მყოფი საშუალებები, მაგალითად, ველოსიპედი, შესაბამისად, საკითხავია – მიიჩნევა ის სატრანსპორტო საშუალებად თუ არა.<sup>58</sup>

## 2. აღიარების წესი, როგორც „ძირითადი ნორმა“

ჰარტის ფილოსოფიური იდეა სამართლის არსის შესახებ განმარტავს სამართალს, როგორც წესების სისტემით მართულ რთულ სოციალურ და პოლიტი-

<sup>53</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 257; შეად., დუორკინი რ.მ., წარმოადგენს თუ არა სამართალი წესების სისტემას, სამართლის ფილოსოფია, რ. დუორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 53-64.

<sup>54</sup> Hart H.L.A., *Discretion*, Harvard Law Review, Vol. 127, No. 2, 2013, 656.

<sup>55</sup> იქვე, 652-665.

<sup>56</sup> იქვე, 662.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> იქვე.

კურ ინსტიტუტს.<sup>59</sup> ჰარტი განასხვავებს სამართლებრივი სისტემის პირველად და მეორეულ წესებს, სადაც მოქმედი სამართლის ნორმები, რომლებიც მოიცავს ვალდებულებისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელ წესებს, განეკუთვნება პირველად წესს.<sup>60</sup> რაც შეეხება მეორეულ წესებს, ჰარტი მოიაზრებს მათ სამ სხვადასხვა სახეს: „აღიარების წესი“, ცვლილებების წესი“ და „სასამართლო ან სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების წესი“.<sup>61</sup> ამათგან, მეორეული წესებში დამკვიდრებული ცვლილებების წესი სამართლებრივ სისტემაში მნიშვნელოვანია სტატიკურობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების მიღების წესი, სასამართლოსა თუ ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირებს უფლებამოსილებას ანიჭებს ნამოჭრილი სამართლებრივი დავები გადაწყვიტონ კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>62</sup>

ჰარტის მიერ ჩამოყალიბებულ სამართლის სისტემის წარმოდგენილ წესთა იერარქიაში უმთავრესი მნიშვნელობა მეორეულ წესებში მოაზრებულ „აღიარების წესს“ ენიჭება.<sup>63</sup> ჰარტისათვის აღიარების წესი თეორიული თვალსაზრისით, ისეთივე ფუნდამენტურ როლს ასრულებს, როგორც ოსტინის მიერ წარმოდგენილი სუვერენი.<sup>64</sup> გარდა ამისა, ის თეორიულად კელზენის ფილოსოფიური იდეით გადმოცემული „ძირითადი ნორმის“ მსგავსად,<sup>65</sup> იურიდიული ნამდვილობის კრიტერიუმია, რომელსაც აქვს ემპირიული ბუნება, თუმცა იმ განსხვავებით, რომ „ძირითად ნორმას“ ყველა სხვა წესი „კონსტიტუციის მორჩილების პრინცი-

<sup>59</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 227.

<sup>60</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ.გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 34-36.

<sup>61</sup> ალადაშვილი გ., საერთაშორისო საჯარო სამართლის ჰარტისეული კონცეფცია, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N5, 2021, 83.

<sup>62</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ.გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 36.

<sup>63</sup> იქვე, 34-37; უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 43; ალადაშვილი გ., საერთაშორისო საჯარო სამართლის ჰარტისეული კონცეფცია, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N5, 2021, 82-84

<sup>64</sup> Tebbit M., *Philosophy of Law, An Introduction*, 3<sup>rd</sup> Ed., Routledge, 2017, 42.

<sup>65</sup> Kelsen H., *Reine Rechtstheorie*, der 1. Ausgabe, Mohr Siebeck, 1934; Kelsen H., *Allgemeine Theorie der Normen*, Wien, 1979; კელზენი ჰ., ძირითადი ნორმის საკითხისთვის, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნ. „სარჩევი“, N1-2(3-4), 2012, 241-244; კელზენი ჰ., რა არის სამართლის წმინდა თეორია, ლ. ბრეგვადის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2011, 296-304.

პამდე“ დაჰყავს, ხოლო ჰარტმა „ალიარების წესს“ მრავალფეროვანი ბუნება მიანიჭა.<sup>66</sup> აშკარაა, რომ სამართლის სისტემის პირველადი და მეორეული წესებად დაყოფის შესახებ ჰერბერტ ჰარტის იდეა, ერთი შეხედვით, იდეალურად ვერ აღწერს მის სისტემურ შინაარსს. სწორედ ეს გახდა ამ თეორიის ხშირი კრიტიკის საფუძველი.<sup>67</sup> იმ შემთხვევაში, თუ „ალიარების წესი“ განსაზღვრავს იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებითაც სხვა წესების მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება,<sup>68</sup> მაშინ საკითხავია, ლოგიკურად რატომ არ განისაზღვრათ მისი ადგილი პირველადი წესების გვერდით. უნდა აღინიშნოს, რომ ჰარტის სამართლის წესებად დაყოფის იდეა დაკავშირებული იყო, იმ კრიტერიუმების განსაზღვრებასთან, როდესაც საკითხი ეხება „პენუმბრულ შემთხვევებს. აქედან გამომდინარე, „ალიარების წესი“ შეიძლება შეიცავდეს მორალურ პრინციპებთან თუ არსებით ღირებულებებებთან შესაბამისობას.<sup>69</sup> გარდა ამისა, ჰარტი თავად განმარტავს, რომ გაურკვევლობის „პენუმბრა“ არა მხოლოდ რთული შემთხვევების განხილვისას საკამათო ნორმებს, არამედ თავად „ალიარების წესსაც“ აქვს.<sup>70</sup> შესაბამისად, ალიარების წესის მეორეულ წესად განსაზღვრა მნიშვნელოვანია სისტემის სტატიკურობისთვის. რამდენადაც მნიშვნელოვანია ფორმალიზმზე უარის თქმა, იმდენად მნიშვნელოვანია „პენუმბრაში მთლიანად ჩაფლობისგან“ თავშეკავება.<sup>71</sup> სწორედ ამ მიზეზით, დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ მას შემდეგ ენიჭება სასამართლოს, რაც აშკარა გახდება, რომ პირველადი წესებით შეუძლებელია საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა.

<sup>66</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 37.

<sup>67</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012; Fuller L.L., *Positivism and Fidelity to Law: A Reply to Professor Hart*, *Harvard Law Review*, Vol. 71, No. 4, 1958, 630-672; Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977; Dworkin R., *A Matter of Principle*, Harvard University Press, 1985; Dworkin R., *Law's Empire*, Belknap Press of Harvard University Press, 1986; ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, *ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“*, N7, 2014.

<sup>68</sup> უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 43.

<sup>69</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 237.

<sup>70</sup> იქვე, 293.

<sup>71</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 22-23.

### III. რთული შემთხვევის კვალიფიკაცია და პენუმბრული ნორმის განმარტება

ჰარტისთვის რთული შემთხვევები განიხილება ლინგვისტური პერსპექტივით, იგი განაცალკევებს სამართლებრივი შემთხვევების ბირთვულ (core) და პენუმბრულ კატეგორიებს.<sup>72</sup> ჰარტი განსაზღვრავს სამართლის ნომაში არსებული „ღია ტექსტურის“ მნიშვნელობას, როგორც ლინგვისტურ ფენომენს, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება რთული შემთხვევების წარმოქმნაზე.<sup>73</sup> „პენუმბრული შემთხვევები“ ჰარტისეული რთული შემთხვევებია და ბირთვული შემთხვევებისაგან განსხვავებით, წარმოიქმნება მაშინ, როდესაც წესის ბუნდოვანების გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მისი გამოყენების საკითხი.<sup>74</sup> ამასთან, იგი განასხვავებს რთული შემთხვევების ორ კატეგორიას: 1. საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტის შესახებ იურისტთა შეხედულებები განსხვავდება და 2. საქმეები, რომელთა გადაწყვეტა სამართლებრივი წესის არარსებობის გამო შეუძლებელია.<sup>75</sup>

რთული შემთხვევების განხილვისას მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რა უნდა გააკეთოს სასამართლომ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაყენებლად საკმარისი წესები არ არსებობს.<sup>76</sup> ჰარტმა პასუხი გასცა წამოჭრილ კითხვას და განმარტა, რომ ასეთ სიტუაციაში, დისკრეციული უფლებამოსილებით, მოსამართლის ვალდებულება „საუკეთესოს“ შექმნაა.<sup>77</sup> მისი მტკიცებით, მოსამართლეს საუკეთესო მორალური განსჯა შეუძლია ნებისმიერ მორალურ საკითხზე, რომელიც გადასაწყვეტი აქვს.<sup>78</sup> ნათელია, რომ ჰარტისათვის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მორალს „მკაცრად დადგენილი“ საზღვარი აქვს, რითაც იგი განსხვავდება დუორკინისეული რთული შემთხვე-

<sup>72</sup> Zygmunt T.J.G., An Intuitive Approach to Hard Cases, Utrecht Law Review, Vol. 16, No. 1, 2020, 27.

<sup>73</sup> იქვე; იხ., Hart H.L.A., Concept of Law, Oxford University Press, 1961, 68.

<sup>74</sup> Zygmunt T.J.G., An Intuitive Approach to Hard Cases, Utrecht Law Review, Vol. 16, No. 1, 2020, 27; Hart H.L.A., Positivism and the Separation of Law and Morals, Harvard Law Review, Vol. 71, No. 4, 1957, 607.

<sup>75</sup> ; Hart H.L.A., The Morality of the Law, Harvard Law Review, Vol. 78, No. 6, 1965, 1293.

<sup>76</sup> Zygmunt T.J.G., An Intuitive Approach to Hard Cases, Utrecht Law Review, Vol. 16, No. 1, 2020, 27, „ტერმინი „წესები“ აქ ისევეა გაგებული, როგორც განმარტებულია ჰარტის პოზიტივიზმის ვერსიაში“. იხ., Dworkin R., Taking Rights Seriously, Harvard University Press, 1978, 17.

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> იქვე.

ვების კონცეფციისა და „სამართლებრივი მორალიზმისაგან“<sup>79</sup>. დუორკინისეული რთული შემთხვევა მაშინაა, როდესაც არ არსებობს დადგენილი წესი მათ გადასაწყვეტად და მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სამართლის ფუძემდებლური მორალური თუ სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე.<sup>80</sup> დუორკინისთვის სამართალი შედგება არა მხოლოდ წესებისაგან, როგორც ჰარტი განსაზღვრავს, არამედ წესისგარეშე სტანდარტებისაგან, რომელსაც სასამართლო რთული შემთხვევების განხილვისას მოუხმობს;<sup>81</sup> მისთვის სამართლებრივი სისტემა სრულია და გამოსავალი ნებისმიერ სისტემაში არსებობს, მათ შორის, რთული შემთხვევების განხილვისას.<sup>82</sup>

რთული შემთხვევების საკითხის გადაწყვეტისას პოზიტივიზმის მიმდევართა განსხვავებული თეორიული მიდგომების გასარჩევად საუკეთესო მაგალითია ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლოს „უღირსი მემკვიდრის საქმე“, სადაც სასამართლოს დიდი მსჯელობის საგანი გახდა, შეეძლო თუ არა მემკვიდრეს, როგორც მკვლელს, მიეღო ანდერძით დატოვებული მემკვიდრეობა.<sup>83</sup> ჰარტისეული პოზიტივიზმით, არავის აქვს უფლება შეცვალოს მოანდერძის ნება, სისხლისსამართლებრივი სასჯელი უნდა აკმაყოფილებდეს ჩადენილი დანაშაულისთვის სამართლებრივ სფეროს.<sup>84</sup> ამ საქმეში მოსამართლე გრემი განსხვავებული აზრი წარადგინა.<sup>85</sup> მოსამართლემ, ჰარტისეული მიდგომის მსგავსად განმარტა, რომ სასამართლო არ უნდა იყოს კანონშემოქმედი და უნდა იხელმძღვანელოს დადგენილი ნორმებით.<sup>86</sup> გრემის შეფასებით, არ არსებობს მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევის შესაბამისი ნორმა და გარდა ამისა, მამკვიდრებლის მიერ გამოვლენილი ნების გაუქმება სასამართლოს მხოლოდ

<sup>79</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 39.

<sup>80</sup> უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 58-67.

<sup>81</sup> იქვე, 60.

<sup>82</sup> იქვე, 58-67; Zygmunt T.J.G., An Intuitive Approach to Hard Cases, *Utrecht Law Review*, Vol. 16, No. 1, 2020, 27.

<sup>83</sup> *Riggs v. Palmer*, 115 N.Y. 512 (1889); ნიკლაური ნ., ნანეიშვილი მ., რიგის პალმერის წინააღმდეგ, წიგნში: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 26-31.

<sup>84</sup> ნიკლაური ნ., ნანეიშვილი მ., რიგის პალმერის წინააღმდეგ, წიგნში: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 30.

<sup>85</sup> იქვე, 30.

<sup>86</sup> იქვე.

კანონის საფუძველზე შეუძლია, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა.<sup>87</sup> მოსამართლე გრეის მოსაზრება მხარს უჭერს საქმის პოზიტივისტურ გადაწყვეტას, რაც გამოიხატება მის მოქმედებაში, იმოქმედოს მკაცრი ინტერპრეტაციის შესაბამისად და რაც შეიძლება ახლოს დარჩეს კანონით განსაზღვრულ მნიშვნელობასთან.<sup>88</sup> აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მოსამართლე გრეის განსხვავებული აზრისა, ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა სამართლის პრინციპებს და მემკვიდრის მიერ ანდერძით მისაღები ქონება დანაშაულის ნაყოფად მიიჩნია,<sup>89</sup> სასამართლოს განმარტებით, „ვერცერთმა ადამიანმა ვერ უნდა ისარგებლოს თავის მიერ ჩადენილი ბოროტებით“<sup>90</sup>. აშკარაა, რომ დუორკინისა და ჰარტის მიდგომები ერთმანეთისაგან ფუნდამენტურად განსხვავდება, თუმცა ორივე ყურადღებას ამახვილებს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების მნიშვნელობაზე სამართლებრივი მოთხოვნის მორგების კუთხით.<sup>91</sup>

სამართლებრივ ენაში ზუსტი რეალობის გადმოსაცემად ხშირია მეტაფორები.<sup>92</sup> ჰარტის მიერ გამოყენებული ტერმინი „პენუმბრა“ მომდინარეობს ლათინური ენისგან, რაც ნიშნავს „თითქოს“, „მიახლოებულს“<sup>93</sup>. სამართალში „პენუმბრა“ პირველად მოსამართლე ჰოლმსმა გამოიყენა:<sup>94</sup> სჯობს ახალი კანონი მართებული ინტერპრეტაციით ჩამოყალიბდეს „სიბნელისა და სინათლის პენუმბრაში, ვიდრე დარჩეს გაურკვეველობაში“.<sup>95</sup> ჰარტის ანალიზი განსხვავდება ჰოლმსისეული პე-

<sup>87</sup> იქვე,

<sup>88</sup> Zygmunt T.J.G., An Intuitive Approach to Hard Cases, *Utrecht Law Review*, Vol. 16, No. 1, 2020, 27.

<sup>89</sup> ნიკლაური ნ., ნანეიშვილი მ., რიგსი პალმერის წინააღმდეგ, წიგნში: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, 2018, 27-28; იხ., *Riggs v. Palmer*, 115 N.Y. 512 (1889).

<sup>90</sup> უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 59; *Riggs v. Palmer*, 115 N.Y. 512 (1889).

<sup>91</sup> Zygmunt T.J.G., An Intuitive Approach to Hard Cases, *Utrecht Law Review*, Vol. 16, No. 1, 2020, 28.

<sup>92</sup> Henly B., „Penumbra”: The Roots of Legal Metaphor, *Hastings Constitutional Law Quarterly*, Vol.15, No.1, 1987, 81.

<sup>93</sup> ქეიშვილი ი., „პენუმბრის“ მნიშვნელობა სამართალში და მისი შინაარსობრივი ევოლუცია ჰარტამდე, *ჟურნ. „სამართლის მეთოდები“*, N2, 2018, 22.

<sup>94</sup> იქვე, 23; Henly B., „Penumbra”: The Roots of Legal Metaphor, *Hastings Constitutional Law Quarterly*, Vol.15, No.1, 1987, 81.

<sup>95</sup> ქეიშვილი ი., „პენუმბრის“ მნიშვნელობა სამართალში და მისი შინაარსობრივი ევოლუცია ჰარტამდე, *ჟურნ. „სამართლის მეთოდები“*, N2, 2018, 23, იხ., Henly B., „Penumbra”: The Roots of Legal Metaphor, *Hastings Constitutional Law Quarterly*, Vol.15, No.1, 1987, 81, 83-84; Holmes O.W., 1873 The Theory of Torts, *American Law Review*, Vol. 7, No. 4, 1873, 652, 654.

ნუმბრისაგან: ის განასხვავებს გაურკვევლობის პენუმბრასა და ძირითად სფეროს, როდესაც ერთი მხრივ, ნორმაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება, არის მანქანა, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს რთული შემთხვევები, როდესაც თვითმფრინავი შესაძლოა ჩაითვალოს, ან არ ჩაითვალოს სატრანსპორტო საშუალებად.<sup>96</sup> ჰარტის განმარტებით, წესის ზოგადი ტერმინის განსაზღვრისას პირველი ნაბიჯი არის გამოსახულების, მაგალითის ან სიტუაციის მოხმობა, რომლისკენაც ეს წესი იყო მიმართული.<sup>97</sup> აქედან გამომდინარე, ჰარტის ანალიზი განსხვავდება ჰოლმის მიდგომებისაგან, რადგან იძლევა უფრო ძლიერ აღქმას, თუ სად მთავრდება მტკიცე პოზიცია და იწყება გაურკვევლობა.<sup>98</sup>

#### IV. მორალის მინიმალური სტანდარტის ინტეგრაცია რთული შემთხვევის გადაწყვეტისას

რა უნდა გააკეთონ მოსამართლეებმა, როდესაც განიხილავენ საქმეს, რომლის გადასაწყვეტადაც არ არსებობს სასამართლო პრეცედენტი ან კანონის მითითებები, სამართლის პოზიტივისტებსა და მათ ოპონენტებს შორის მთავარი საკამათო საკითხია.<sup>99</sup> ჰარტი სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ რთულ შემთხვევებს „პენუმბრულ შემთხვევებს“<sup>100</sup> უწოდებს. მისი აზრით, რთულ შემთხვევებში არსებობს წესების გამოყენებასთან დაკავშირებული „გაურკვევლობის პენუმბრა“.<sup>101</sup> სამართლის ენაში არსებული ღია ტექსტურები განაპირობებს პრაქტიკაში რთული შემთხვევების განვითარებას,<sup>102</sup> შესაბამისად, რთული შემთხვევების გადაწყვეტის ჰარტისეული მეთოდი დაფუძნებულია სამართლის „შერმენეტიკულ“ თეორიაზე.<sup>103</sup>

<sup>96</sup> Henly B., “Penumbra”: The Roots of Legal Metaphor, Hastings Constitutional Law Quarterly, Vol.15, No.1, 1987, 91.

<sup>97</sup> Bix B.H., H.L.A. Hart and the “Open Texture” of Language, Law and Philosophy, Vol. 10, No.1, 1991, 54.

<sup>98</sup> Henly B., “Penumbra”: The Roots of Legal Metaphor, Hastings Constitutional Law Quarterly, Vol.15, No.1, 1987, 92.

<sup>99</sup> იქვე, 79-80.

<sup>100</sup> Hart H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012; Hart H.L.A., Positivism and the Separation of Law and Morals, in: Essays in Jurisprudence and Philosophy, Clarendon Press, 1983.

<sup>101</sup> Tebbit M., Philosophy of Law, An Introduction, 3<sup>rd</sup> Ed., Routledge, 2017, 80.

<sup>102</sup> იქვე, 80.

<sup>103</sup> Bix B.H., Kelsen, Hart and Legal Normativity, Journal for Constitutional Theory and Philosophy of Law, Vol. 34, 2018, 33.

ჰარტის თეორიის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პენუმბრული შემთხვევები, კონკრეტული ცნების თუ ინსტიტუტის განსაზღვრებისას მაინც არსებობს დამკვიდრებული მნიშვნელობის ბირთვი.<sup>104</sup> ჰარტისათვის „პენუმბრულ სივრცეში“, სადაც კანონის მნიშვნელობა განსაზღვრულია, საკითხის განხილვისას მოსამართლეს ენიჭება თავისუფალი დისკრეცია, ჩამოაყალიბოს შესაბამისი ნესი და შექმნას ახალი კანონი.<sup>105</sup>

## 1. მორალის მინიმალური მნიშვნელობა

სამართლის ცნების განმარტებისას სამართლის ფილოსოფოსთა აზრები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება.<sup>106</sup> სადავო საკითხი სამართლისა და მორალის ურთიერთმიმართებაა.<sup>107</sup> არაპოზიტივისტებისაგან განსხვავებით, სამართლის პოზიტივიზმის მიმდევრები მხარს უჭერენ „დაყოფის თეზას“, რითაც სამართალს მორალისაგან მიჯნავენ.<sup>108</sup> ჰარტის სამართლებრივი პოზიცია თავდაპირველად შეესაბამებოდა მის კრიტიკულ მორალს.<sup>109</sup> თავის ნაშრომში „სამართლის გაგება“, რომელიც შეეხება მოძღვრებას სამართლის არსის შესახებ,<sup>110</sup> ჰარტმა გაითვალისწინა სამართლის ფილოსოფოსთა კრიტიკა<sup>111</sup> და აღიარა მორალის მინიმალური შინაარსი სამართალში.<sup>112</sup>

ჰარტის თეორიამ თანამედროვე იურისპრუდენციაზე დიდი გავლენა მოახდინა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მანამდე არსებული თეორიების კრიტიკა

<sup>104</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 13-14.

<sup>105</sup> Tebbit M., *Philosophy of Law, An Introduction*, 3<sup>rd</sup> Ed., Routledge, 2017, 87.

<sup>106</sup> ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N.7, 2014, 26.

<sup>107</sup> იქვე.

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> Starr W.C., *Law and Morality in H.L.A. Hart's Legal Philosophy*, *Marquette Law Review*, Vol. 67, No.4, 1984, 689.

<sup>110</sup> ალადაშვილი გ., საერთაშორისო საჯარო სამართლის ჰარტისეული კონცეფცია, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N5, 2021, 75.

<sup>111</sup> იხ., Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012; Fuller L.L., *Positivism and Fidelity to Law: A Reply to Professor Hart*, *Harvard Law Review*, Vol. 71, No. 4, 1958, 630-672; Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977; Dworkin R., *A Matter of Principle*, Harvard University Press, 1985; Dworkin R., *Law's Empire*, Harvard University Press, 1986.

<sup>112</sup> აფონასიანი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 39.

იყო. მისი შეფასებით, პოზიტივიზმსა და ბუნებით სამართალს შორის იმდენად დიდი კონფლიქტი არსებობდა, რომ ეს ორი აზროვნება ვერასდროს შეურიგდებოდა ერთმანეთს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ორივე არასწორი საწყისი წერტილიდან მომდინარეობდა. აჰარტის თეორია დაფუძნებულია სამართლის ანალიზზე, რომელიც მომდინარეობს პოზიტივისტური აზროვნებისა და ბუნებითი სამართლის თეორიის ახლებური გაგებიდან, რომელსაც ჰარტმა ბუნებითი სამართლის თეორიის „მინიმალური შინაარსი“ უწოდა.<sup>113</sup>

მორალის მნიშვნელობის განმარტებისას, ჰარტი მიმართავს ენობრივ-დეფინიციურ მეთოდს. მისი თქმით, ეს არის ფაქტობრივად გადამწყვეტი მომენტი, რადგან ინგლისური ენის შეზღუდვები ყოველთვის აჩენდა მორალისა (**morality**) და ამორალურობის (**immorality**), როგორც ორი გრძნობის შერწყმის ტენდენციას.<sup>114</sup> ინგლისურის მსგავსადეა აღნიშნული ქართულ ენაშიც. ჰარტი განმარტავს, რომ „ამორალური“ უბრალოდ ნიშნავს „არასწორს“, ამ სიტყვის უფრო კონკრეტული გაგებით, „ამორალური“ ეხება გადახრებს ჩვეულებრივი ნორმებიდან.<sup>115</sup> გარდა ენობრივ-დეფინიციური განმარტებისა, ჰარტის მიზანია, განმარტოს მორალისა და სამართლის ურთიერთმიმართება, – რამდენად გულისხმობს მორალზე მითითებას სამართალი თუ ზოგადად სამართლის სისტემა.<sup>116</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მორალურ საკითხში ჩაღრმავება ფილოსოფიური წარმოსახვის გამოყენებას გულისხმობს, ჰარტი ეცადა გადმოეცა თავისი იდეა მორალისა და სამართლის კავშირის შესახებ.<sup>117</sup> ჰარტისეული რბილი პოზიტივიზმის იდეა აღიარებს, რომ სამართალი ეფუძნება ფუნდამენტურ წესებს („ადამიანური მოწყვლადობა“; „მიახლოებითი თანასწორობა“; „შეზღუდული ალტრუიზმი“; „შეზღუდული რესურსები“; „შეზღუდული გაგება და ნებისყოფის სიძლიერე“<sup>118</sup>), რომლებიც მომდინარეობს ბუნებითი სამართლიდან და სახელმწიფოში ადამიანებისა და საკუთრების დაცვას უზრუნველყოფს<sup>119</sup>.

ჰარტის განმარტებით, სამყარო, როგორც დღეს არის და ადამიანები, რომლებიც ამ სამყაროში ცხოვრობენ, შესაძლებელია სხვადასხვაგვარად შე-

<sup>113</sup> Tebbit M., *Philosophy of Law, An Introduction*, 3<sup>rd</sup> Ed., Routledge, 2017, 40.

<sup>114</sup> Hart H.L.A., *Law, Liberty and Morality*, Oxford University Press, 1963, 50-51.

<sup>115</sup> იქვე.

<sup>116</sup> იქვე, 2.

<sup>117</sup> Hart H.L.A., *Positivism and Separation of Law*, in: *Essays in Law, Jurisprudence and Philosophy*, Clarendon Press, 1983, 80.

<sup>118</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 183-190.

<sup>119</sup> უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 37-39.

იცვალონ. აქედან გამომდინარე, დღევანდებლობაში ადამიანთა მიერ აღქმული მთელი სოციალური, მორალური და სამართლებრივი ცხოვრება, რომელიც პირობით ფაქტებს ეფუძნება შესაძლოა შეიცვალოს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სამყაროში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ხდება იმდენად რადიკალურად და სწრაფად, რომ ძალა დაკარგოს ფუნდამენტურმა კანონებმა, როგორცაა, მაგალითად, მკვლელობისა თუ ქურდობის აკრძალვა.<sup>120</sup> ჰარტისთვის სამართლის სისტემაში არსებული ფუნდამენტური ნორმები შეესაბამება მორალს და ასეთ დამთხვევას მხოლოდ „ბუნებრივ“ აუცილებლობად მიიჩნევს.<sup>121</sup> სწორედ ამ მიზეზით, რბილი პოზიტივიზმი განსხვავდება ბუნებითი სამართლის მიდგომებისაგან, იგი არ ცდილობს სამართალში არსებული მორალური საკითხის უფრო გაღრმავებას.<sup>122</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ჰარტისათვის მორალის მნიშვნელობა სამართალში შემოიფარგლება მხოლოდ მინიმალური ფარგლებით. შესაბამისად, მისთვის მორალის იდეის განხილვა არა იურისტების, არამედ ფილოსოფოსების საქმეა.<sup>123</sup>

## 2. მორალის მინიმალური სტანდარტის გამოყენების ფარგლები

ჰარტი აღიარებს, რომ კანონები „განუკურნებლად არასრულყოფილია“ და პენუმბრული შემთხვევები სოციალური მიზნების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.<sup>124</sup> აქედან გამომდინარე, მორალის მინიმალური სტანდარტის ინტეგრაცია სასამართლო პრაქტიკაში გულისხმობს მორალის გამოყენებას მხოლოდ მაშინ, როდესაც საკითხი არ განისაზღვრება პირველადი წესებით.<sup>125</sup> პენუმბრულ შემთხვევებში დამკვიდრებული მნიშვნელობის ბირთვი კანონია და იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არსებობს საზღვარი, არსებობს ხაზები<sup>126</sup>, რომელთაც სასამართლოები გადანყვეტილების მიღებისას უნდა გაჰყვნენ.<sup>127</sup> ჰარტის მსჯელობა არის უტილიტარისტებისა და რეალისტების იდეების შეთავსება,

<sup>120</sup> Hart H.L.A., *Positivism and Separation of Law*, in: *Essays in Law, Jurisprudence and Philosophy*, Clarendon Press, 1983, 80-81.

<sup>121</sup> იქვე, 80.

<sup>122</sup> იქვე, 80-81.

<sup>123</sup> იქვე.

<sup>124</sup> იქვე, 70.

<sup>125</sup> იქვე, 69-71.

<sup>126</sup> Hart H.L.A., *Positivism and Separation of Law*, in: *Essays in Law, Jurisprudence and Philosophy*, Clarendon Press, 1983, 71.

<sup>127</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., *პოზიტივიზმი და სამართლის (კანონისა) და მორალის გამიჯვნა*, სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 22.

რომელიც აღიარებს კანონის მნიშვნელობას, თუმცა კანონის ბუნდოვანების შემთხვევაში საშუალებას იძლევა საკითხი სოციალური მიზნების გათვალისწინებით გადაწყვიტოს (თუმცა რეალისტებისაგან განსხვავებით ზედმეტი „გაზვიადების“ გარეშე).<sup>128</sup>

ჰარტი აღიარებს მორალის მინიმალურ მნიშვნელობას სამართალში, თუმცა მისთვის აუცილებელია სამართლის ნორმებმა მიუკერძოებელი და ობიექტური მნიშვნელობა არ დაკარგონ.<sup>129</sup> აქედან გამომდინარე, ჰარტისათვის მინიმალური მნიშვნელობა უნდა შედგებოდეს ზოგადი წესებისაგან, რაც მოიცავს ქმედებებს და არა, რომელიმე კონკრეტულ ქმედებას, ასევე საჭიროა მოიცავდეს მრავალ ადამიანს და არა – რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას, რათა მსგავსი შემთხვევების ერთნაირად გადაწყვეტის პრინციპი მოქმედი დარჩეს.<sup>130</sup> მაგალითისთვის, სარგებლის ოდენობის განსაზღვრისას ქართული სასამართლო პრაქტიკა იყენებს მორალური განსჯის ფარგლებს: სესხის წლიური სარგებლის შეფასებისას სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის ოდენობა ეწინააღმდეგებოდა დამკვიდრებული ზნეობის<sup>131</sup> პრინციპებსა და ღირებულებებს.<sup>132</sup> საპროცენტო განაკვეთის ოდენობასთან დაკავშირებით, ასევე განიმარტა მორალისა და ზნეობის მნიშვნელობა და მისი ოდენობა სწორედ ამორალური ხასიათის გამო ბათილად იქნა მიჩნეული.<sup>133</sup>

სამართლისა და მორალის გამიჯვნის შესახებ მსჯელობისას ჰარტი ცალკე გამოყოფს გუსტავ რადბრუხის ფილოსოფიურ იდეას.<sup>134</sup> მისი აზრით, უტილი-

<sup>128</sup> Hart H.L.A., *Positivism and Separation of Law*, in: *Essays in Law, Jurisprudence and Philosophy*, Clarendon Press, 1983, 63, 72.

<sup>129</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 30-32.

<sup>130</sup> იქვე, 32.

<sup>131</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შინაარსით აღრეულია მორალისა და ზნეობის ცნებები, რაც დასტურდება სასამართლო პრაქტიკითაც, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ინგლისურ ენაში ტერმინი „morality“ გულისხმობს ქართულ ენაში დამკვიდრებულ „მორალს“ და „ზნეობას“, თუმცა გაცილებით ობიექტურად შეფასებითი შინაარსით. იხ., გაგოშიძე მ., „მორალი“ და „ზნეობა“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შინაარსში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი გადაწყვეტილების ჩრილში, წიგნში: გიორგი კვერენჩილაძე 50, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022, 119-131.

<sup>132</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება Nსს-663-629-2015.

<sup>133</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება N28/4259-14.

<sup>134</sup> Hart H.L.A., *Positivism and the Separation of Law and Morals*, in: *Essays in Jurisprudence and Philosophy*, University Press Oxford, 1983, 72.

ტარისტების კრიტიკისას რადბრუხის არგუმენტი ნაკლებად გონივრული<sup>135</sup> და ნეგატიური გამოცდილებით გამოწვეული პოზიციაა.<sup>136</sup> რადბრუხის ფორმულის კრიტიკისას ჰარტი განმარტავს, რომ საკანონმდებლო უსამართლობის წინააღმდეგ სამართლის ცნებაში მორალური ელემენტების ჩართვა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.<sup>137</sup> საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად მას მოჰყავს მაგალითი გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან,<sup>138</sup> სადაც საქმე ეხება 1944 წელს ქმრის მოშორების მიზნით, ქალის მიერ მის ნაცისტურ ხელისუფლებასთან ცრუ დასმენას.<sup>139</sup> ქმარს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, თუმცა, საბოლოოდ, ის სიკვდილით არ დასაჯეს და მხოლოდ ფრონტზე გაუშვეს.<sup>140</sup> 1949 წელს ცოლი დასავლეთ გერმანიის სასამართლომ თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის გაასამართლა.<sup>141</sup> ცოლს მიაჩნდა, რომ დანაშაული არ ჩაუდენია, ვინაიდან მისი ქმრის გასამართლება ნაცისტების კანონების თანახმად მოხდა<sup>142</sup>, თუმცა სასამართლომ განმარტა, რომ კანონი ეწინააღმდეგებოდა ყველა წესიერი ადამიანის გონივრულ სინდისსა და სამართლიანობის გრძნობას.<sup>143</sup> აღსანიშნავია, რომ

<sup>135</sup> იხ., Radbruch G., Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, *Süddeutsche Juristen-Zeitung*, Jg. 1, Nr. 5, 1946, 105-108; რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნ. „სარჩევი“, N1-2(3-4), 2012; გეგენავა დ., გუსტავ რადბრუხი და „სამართლის ფილოსოფიის“ ქართული თარგმანი, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N6, 2022; Radbruch G., *Vorschule der Rechtsphilosophie*, in: Radbruch Gustav: *Gesamtausgabe, Rechtsphilosophie*, Bd. 3, herausgegeben von A. Kaufmann, bearbeitet von W. Hassemer, Heidelberg, 1990.

<sup>136</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლის (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 23; ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N.7, 2014, 27.

<sup>137</sup> ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N7, 2014, 30, იხ., Hart H.L.A., *Der Positivismus und die Trennung von Recht und Moral*, in: Hart H.L.A., *Recht und Moral. Drei Aufsätze*, Göttingen, 1971, 14.

<sup>138</sup> OLG Bamberg 27.07.1949, *Süddeutsche Juristen-Zeitung*, herausgegeben von: Mohr Siebeck, Vol.5, No. 3, 1950, 207-210.

<sup>139</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლის (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 27.

<sup>140</sup> იქვე.

<sup>141</sup> OLG Bamberg 27.07.1949, *Süddeutsche Juristen-Zeitung*, herausgegeben von: Mohr Siebeck, Vol.5, No. 3, 1950, 207; ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N.7, 2014, 32.

<sup>142</sup> ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N7, 2014, 32.

<sup>143</sup> Hart H.L.A., *Positivism and the Separation of Law and Morals*, in: *Essays in Jurisprudence and Philosophy*, Clarendon Press, 1983, 76.

ჰარტი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ გადანყვეტილებაში ჩამოყალიბებულ მსჯელობას.<sup>144</sup> მისი თქმით, მსგავსი მსჯელობა მოგვიანებით სხვა მრავალ გადაწყვეტილებაში აისახა, რაც შეფასდა, როგორც პოზიტივიზმის დამხობის მანიშნებელი და ბუნებითი სამართლის დოქტრინათა ტრიუმფი.<sup>145</sup> აქედან გამომდინარე, იგი აკრიტიკებს სასამართლო გადანყვეტილებას და საქმის გადანყვეტა უკუძალის მქონე კანონის გამოყენებით უფრო მართებულად მიაჩნია.<sup>146</sup> მისი აზრით, არ შეიძლება გარკვეული წესების კანონებად არალიარება მხოლოდ მორალთან შეუსაბამობის გამო.<sup>147</sup> პირიქით, ჰარტის აზრით, საჭიროა იმის მტკიცება, რომ მაგალითად მოტანილი კონკრეტული ბოროტი ქმედებები არ არის სამართალი და ამის დასამტკიცებლად მორალის, როგორც „რომანტიკული ოპტიმიზმის“, მოხმობა არ არის აუცილებელი, ვინაიდან ის წამოჭრილი პრობლემის ჭეშმარიტ ბუნებას დაფარავს.<sup>148</sup> უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სასამართლო გადანყვეტილების კრიტიკისას ნათლად ჩანს ჰარტის იდეა, წარმოაჩინოს თავისი „რბილი პოზიტივიზმი“ დაყოფის თეზასთან დაკავშირებით.<sup>149</sup> ჰარტისეული რბილი პოზიტივიზმის იდეა ეფუძნება ოსტინის იმპერატიული თეორიის კრიტიკას<sup>150</sup> და განმარტავს, რომ სამართლებრივი ვალდებულება ხშირად შეიძლება განსხვავდებოდეს მხოლოდ იძულების გრძნობისგან.<sup>151</sup> მიუხედავად ამისა, ჰარტი, როგორც პოზიტივისტი, ემხრობა სამართლისა და მორალის გამიჯვნას და ხაზს უსვამს, რომ კანონის მოქმედებას არ სჭირდება მორალური მიზეზები,<sup>152</sup> მაშინ, როდესაც ადამიანები კანონს წმინდა გონივრული მიზეზების გამო ემორჩილებიან, მორალი არ შეიძლება იყოს კანონის აღიარების საფუძველი.<sup>153</sup> როდესაც ადამიანი ჭადრა-

<sup>144</sup> იქვე, 76-77.

<sup>145</sup> იქვე, 76.

<sup>146</sup> იქვე, 76; შეად., ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N7, 2014, 32; Alexy R., Begriff und Geltung des Rechts, Verlag: Freiburg/München, Auf. 5, 2011, 98-100.

<sup>147</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლის (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 29.

<sup>148</sup> იქვე, 28-29.

<sup>149</sup> იქვე; Hart H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 236.

<sup>150</sup> Bix B.H., Kelsen, Hart and Legal Normativity, Journal for Constitutional Theory and Philosophy of Law, Vol. 34, 2018, 33; Tebbit M., Philosophy of Law, An Introduction, 3<sup>rd</sup> Ed., Routledge, 2017, 35; უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 34.

<sup>151</sup> Bix B.H., Kelsen, Hart and Legal Normativity, Journal for Constitutional Theory and Philosophy of Law, Vol. 34, 2018, 34.

<sup>152</sup> იქვე, 37.

<sup>153</sup> იქვე, 37-39.

კის თამაშის დროს ფიგურას წესების დაცვით ამოძრავებს, ის მისთვის უბრალოდ წესია და არ ეძებს მასში მიზეზს, შესაბამისად, კანონის მიერ მოტანილი მიზეზი შესაძლოა უბრალოდ იურიდიული მიზეზი იყოს და არა მორალური.<sup>154</sup>

თავისი პოზიტივისტური შეხედულებებით, იგი უპირისპირდება ინტერპრეტივიზმის იდეას.<sup>155</sup> რთული შემთხვევის განხილვისას, როდესაც სასამართლო არღვევს ძველ გადაწყვეტილებას ახალი გადაწყვეტილების მიღებით, თითქოს მან მხოლოდ შეცდომა გამოასწორა ან მაშინ, როდესაც სასამართლო კი არ ქმნის, ეძებს სადღაც არსებულ კანონს, უბრალოდ „კეთილშობილური ოცნებაა“.<sup>156</sup> შემოქმედებითი ინტერპრეტაციის ყველაზე მოკრძალებულ მაგალითად იგი მიიჩნევს გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს გადაწყვეტილებას „დონოჰიუ სტივენსონის წინააღმდეგ“<sup>157</sup> საქმეზე.<sup>158</sup> დონოჰიუ სარჩელით ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას ლუდის დამამზადებელი დევიდ სტივენსონისგან.<sup>159</sup> მოსარჩელის ზიანი გამოწვეული იყო კოჭას ლუდის ბოთლში გახრწნილი ლოკოკინის არსებობით, რის გამოც ლუდის დაღევის შემდეგ მოსარჩელეს დაუდგინდა გასტროენტერნიტის დიაგნოზი.<sup>160</sup> მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის არ არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, ხოლო ინგლისის პრეცედენტული სამართალი არ იცნობდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მსგავსი დელიქტის საფუძველზე მიყენებული ზიანისთვის, ლორდთა პალატამ იხელმძღვანელა სამართლის ზოგადი პრინციპებით და დააკმაყოფილა სარჩელი.<sup>161</sup> აღიარების წესის შესახებ ჰარტის თეორია ეწინააღმდეგება სამართლის პრინციპებს<sup>162</sup> და „დონოჰიუ სტივენსონის წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება თუ გულისხმობს სასამართლოს მიერ აღიარების წესის გამოყენებას, მაშინ ჰარტისათვის გაურკვე-

<sup>154</sup> იქვე, 35; Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 133.

<sup>155</sup> დუროკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021.

<sup>156</sup> Hart H.L.A., *American Jurisprudence through English Eyes: The Nightmare and the Noble Dream*, *Georgia Law Review*, Vol. 11, No. 5, 1977, 978.

<sup>157</sup> გაგოშიძე მ., მუხადგვერდელი ნ., დონოჰიუ სტივენსონის წინააღმდეგ, წიგნში: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 85.

<sup>158</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 252;

<sup>159</sup> გაგოშიძე მ., მუხადგვერდელი ნ., დონოჰიუ სტივენსონის წინააღმდეგ, წიგნში: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 86; *Donoghue v. Stevenson*, UKHL 100, (26 May 1932).

<sup>160</sup> იქვე.

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 249-252.

ველი რჩება, რა იქნება გადაწყვეტილების სამართლებრივი სტატუსი.<sup>163</sup> ჰარტის თეორიის თანახმად, როცა სამართლის ნორმა განუსაზღვრელია, მოსამართლეს მხოლოდ ამის შემდეგ აქვს შესაძლებლობა, გვერდით გადადოს სამართლის წიგნები და განაგრძოს კანონების შექმნა.<sup>164</sup> „სახელმწიფო ტეილორის წინააღმდეგ“<sup>165</sup> გადაწყვეტილებაში სასამართლომ უარყო მანამდე არსებული პრეცედენტი<sup>166</sup> და განმარტა, რომ მას ყოველთვის აქვს თანდაყოლილი უფლებამოსილება, გადაუხვიოს სავალდებულო პრეცედენტი.<sup>167</sup> საქმესთან დაკავშირებით ჰარტმა განმარტა, რომ საკითხი, რამდენად იზოჭებოდა სასამართლო პრეცედენტებით, შესაძლოა სრულებით ღიად გამოჩენილიყო, თუმცა გადაწყვეტილება მიღებულია და კანონის სახით მოქმედებს.<sup>168</sup> მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ის ექვემდებარება საკანონდებლო ცვლილებებს, კანონთან შედარებით დაბლა მდგომ სამართლად უნდა ჩაითვალოს.<sup>169</sup>

საინტერესოა ჰარტის მიდგომა მოსამართლის მიერ მორალურ განსჯასთან დაკავშირებით. როგორც ის განმარტავს, მოსამართლისაგან მორალურ განსჯას ყველაზე აშკარად განაჩენის გამოტანა მოითხოვს: სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია მორალური ფაქტორი, რათა არც გადაჭარბებული „ტანჯვა გამოიყენონ“ და აღდგეს კიდეც მისი ქმედებით დარღვეული სამართლიანობა.<sup>170</sup> რეალურად, ასეთივე მსჯელობა შეიძლება საერთო სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ ქართულ სამართალში მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის (გამოთვლის) კრიტერიუმები ფაქტობრივად არ არსებობს, სასამართლოს ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება, „გონივრულობისა“ და „სამართლიანობის“ უზოგადესი კრიტერიუმების გათვალისწინებით, განსაზღვროს კომპენსაციის ოდენობა.<sup>171</sup> საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს როგორც მოპასუხის მატერიალურ მდგომარეობას და ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ

<sup>163</sup> იქვე, 307.

<sup>164</sup> Hart H.L.A., *American Jurisprudence through English Eyes: The Nightmare and the Noble Dream*, *Georgia Law Review*, Vol. 11, No 5, 1977, 981.

<sup>165</sup> *Rex v. Taylor*, 2 K.B. 368, (1950).

<sup>166</sup> იქვე.

<sup>167</sup> Galeza D., *Hard Cases*, *Manchester Student Review*, Vol. 2, 2013, 251.

<sup>168</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 146.

<sup>169</sup> Galeza D., *Hard Cases*, *Manchester Student Review*, Vol. 2, 2013, 251.

<sup>170</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 21.

<sup>171</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 413-ე მუხლი.

დამოკიდებულებას ზიანის სიმძიმის მიმართ.<sup>172</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მორალური განსჯის გარეშე სასამართლოსათვის შეუძლებელია დაადგინოს კომპენსაციის ოდენობა.

სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საკითხი კანონით მოწესრიგებულია, თუმცა ამავე ნორმით განსაზღვრულია სასამართლო დისკრეცია, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევითა და შეფასებით, დაადგინოს ნორმის ობიექტური შინაარსი. მაგალითისთვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მსგავსი დებულების მიუხედავად, ბუნდოვანია პირგასამტეხლოს ოდენობა – „შეუსაბამოდ მაღალი“. სწორედ ამ მიზნით, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისას სასამართლო მხარის მოთხოვნით, თავად განსაზღვრავს პირგასამტეხლოს ოდენობას. აქედან გამომდინარე, როდესაც პირგასამტეხლოს ოდენობა გონივრულ საზღვრებს ცდება, კანონდმებელმა დაადგინა მექანიზმი, რომელიც „სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით“, დაიყვანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო სამართლიან და გონივრულ ოდენობამდე.<sup>173</sup>

### 3. რბილი პოზიტივიზმის პენუმბრული გზა სამართლიანობისკენ

ჰარტმა თეორიულად განმარტა „სწორი“ (ანუ პოზიტივისტური) გადანყვეტილების მისაღებად სასამართლოს პრაქტიკული მოქმედების ფარგლები, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად უზრუნველყოფს მისეული მიდგომები სამართალწარმოების პროცესში წამოჭრილი „თავსატეხის ამოხსნას“.<sup>174</sup> ამისათვის მთავარია ჰარტის მიდგომების ერთ მთლიანობად აღქმა: სამართალი, როგორც წესების სისტემა; პირველადი და მეორეული წესები (მათ შორის, ყველაზე ცნობილი აღიარების წესი); სამართლის ღია ტექსტურა; პენუმბრული ნორმები; ბირთვული და პენუმბრული შემთხვევები; დისკრეცია და მისი ფარგლები; მორალისა და სამართლის ურთიერთმიმართება, უფრო ზუსტად, მორალის მინიმალური შინაარსი სამართალში.<sup>175</sup> საკითხში უკეთ გასარკვევად, უმჯობესია თეზისების პრაქტი-

<sup>172</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის გადანყვეტილება N28/679-12.

<sup>173</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განჩინება Nას-242-2022, 21; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განჩინება Nას-1027-2019, 64.

<sup>174</sup> დუორკინი რ.მ., წარმოადგენს თუ არა სამართალი წესების სისტემას, სამართლის ფილოსოფია, რ. დუორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 70.

<sup>175</sup> იხ., Hart H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012.

კულ ქრილში განხილვა, გაცნობიერება, – როგორ მოქმედებს სასამართლო რბილი პოზიტივიზმის ფარგლებში, როდესაც ვალდებულია გადაწყვიტოს ისეთი შემთხვევა, რომელიც აიძულებს, გადახედოს სამართლის თეორიებს.<sup>176</sup> იგი, უპირველესად, არკვევს ხომ არ არსებობს პირველადი წესი, რომელსაც საკითხის გადაწყვეტა შეუძლია და თუ დარწმუნდება, რომ ასეთი წესი არ არსებობს, მხოლოდ მას შემდეგ მიენიჭება დისკრეტია, გადაწყვიტოს საკითხი მეორეული წესებით და ვალდებულება, იმოქმედოს „კეთილსინდისიერი კანონმდებლის ფარგლებში“. აღნიშნული იმას გულისხმობს, რომ ნორმის ბუნდოვანებისას შემთხვევა უნდა გადაწყვიტოს „ბირთვული“ (ძირითადი) მნიშვნელობით, ხოლო შესაბამისი ნორმის არარსებობისას გამოიყენოს მორალის მინიმალური შინაარსი. რა თქმა უნდა, შესაბამისი საზღვრებისა და ხაზების დაცვით<sup>177</sup>.

წარმოდგენილი თეორიებით ჰარტი არ უღრმავდება იმ რთულ შემთხვევებს, რომელთაც გადაწყვეტაც სასამართლოს სჭირდება ან განგებ „ვერ ამჩნევს“ საკითხის მნიშვნელობას,<sup>178</sup> რაც ხაზს უსვამს თავისი თეორიების მიმართ ერთგულებას. რთული შემთხვევების ჰარტისეული მეთოდოლოგიით განხილვისას იკვეთება პოზიტიური სამართლის ფასეული თეორიების მნიშვნელოვანი ანალიზი, თუმცა თვალშისაცემია ის „ხარვეზები“, რომლებიც ბადებს საკმაოდ საფუძვლიან ეჭვს, არის თუ არა მიღწეული შედეგი სამართლიანი და გულისხმობს თუ არა სამართლის სისტემა – ასეთი შედეგების მიღებას.

პოზიტიური სამართლის წესების სისტემამ სასამართლო შებოჭა პოზიტივიზმის ბორკილებით.<sup>179</sup> ჰარტმა, როგორც პოზიტიური სამართლის იდეის ღირსეულმა მიმდევარმა, კრიტიკა არ დაიშურა ისეთი პრეცედენტების მიმართ, რომლებმაც პოზიტივიზმის გვერდის ავლით სამართლისათვის გაცილებით დიდ ფასეულობას – სამართლიანობას მიაღწიეს.<sup>180</sup> აქედან გამომდინარე, როდესაც კანონის გამოყენებისგან თავის შეკავებით შესაძლებელია გაცილებით სამართლიანი შედეგის მიღწევა, რა თქმა უნდა, სამართლიანობა უფრო დიდი ფასე-

<sup>176</sup> დუორკინი რ.მ., წარმოადგენს თუ არა სამართალი წესების სისტემას, სამართლის ფილოსოფია, რ. დუორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 70.

<sup>177</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 172-174.

<sup>178</sup> ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N7, 2014, 35.

<sup>179</sup> გეგენავა დ., რთული შემთხვევის სირთულე, წიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021, vii.

<sup>180</sup> Riggs v. Palmer, 115 N.Y. 512 (1889); OLG Bamberg, 27.07.1949.

ულობაა, ვიდრე მსგავს სიტუაციაში იურისტის სიცარიელით სავსე სიტყვები – „კანონი კანონია“<sup>181</sup>.

ჰარტმა დაუშვა მორალის მინიმალური მნიშვნელობა სამართალში, თუმცა მისი პოზიტივისტური შეხედულებები იმდენად მკვეთრ ხაზებს ავლებს სამართალსა და მორალს შორის, რომ „რბილი პოზიტივიზმის“ ფარგლებში სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღება ზოგიერთ შემთხვევაში ერთგვარ ფორმალიზმს ესმგავსება, რასაც ინგლისის სამართლებრივ ტრადიციაში თავადვე აკრიტიკებდა.<sup>182</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მის თეორიაში პოზიტივისტური მიდგომისა და წესების სისტემის მკაცრი საზღვრების გამო, იგი, როგორც სემანტიკური თეორეტიკოსი, შედარებულია ჯონ ოსტინთან.<sup>183</sup>

მართალია, რთული შემთხვევების გადანყვეტის ქრილში აღნიშნული პრობლემები თვალშისაცემია, თუმცა მისი სამართლებრივი იდეები, ღირებულებები აღიარებული და პატივსაცემია პოზიტიური სამართლის მიმდევრებში.<sup>184</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰარტს საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი სამართლისა და მორალის ურთიერთმიმართება.<sup>185</sup> პოზიტივიზმის ფარგლებში სასამართლო გადანყვეტილებათა დასაბუთება გაცილებით ეფექტიანია „ნაკლებად იდუმალი“ საშუალებების გამოყენებით.<sup>186</sup> ქართული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირად მორალის ცნებას სასამართლო სხვადასხვა მნიშვნელობით განმარტავს, რაც სამართლებრივ სისტემაში არასტაბილურობას ქმნის.<sup>187</sup> შედეგად, ჰარტის თეორიით აღიარებული დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება სასამართლოსთვის მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემთხვევის გადანყვეტა არ ექვე-

<sup>181</sup> რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნ. „სარჩევი“, N1-2(3-4), 2012, 247.

<sup>182</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 23.

<sup>183</sup> Hart H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 233; Dworkin R., Law's Empire, Harvard University Press, 1986.

<sup>184</sup> ალადაშვილი გ., საერთაშორისო საჯარო სამართლის ჰარტისეული კონცეფცია, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N5, 2021, 84.

<sup>185</sup> Hart H.L.A., Positivism and the Separation of Law and Morals, in: Essays in Jurisprudence and Philosophy, University Press Oxford, 1983; Hart H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012.

<sup>186</sup> ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 22.

<sup>187</sup> გაგოშიძე მ., „მორალი“ და „ზნეობა“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შინაარსში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი გადანყვეტილების ქრილში), წიგნში: გიორგი კვერენჩილაძე 50, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022

მდებარება არსებულ წესს,<sup>188</sup> არა პოზიტივიზმის ბორკილები, არამედ – ბოჭვითი ფუნქციაა სამართლებრივი სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

## V. დასკვნა

ჰარტი მიიჩნევდა, რომ სამართალი განუსაზღვრელი ბუნებისაა, და სწორედ მისი არასრულყოფილება განაპირობებს სასამართლო პრაქტიკაში რთული შემთხვევების წარმოშობის საფუძველს. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სისტემა, საზოგადოებისათვის დაწერილი ქცევის წესების სისტემაა. შესაბამისად, ცვლილებები, რომლებიც ყალიბდება საზოგადოებაში სწრაფ ასახვას ვერ პოვენს დაწერილ სამართალში.

რთული შემთხვევების გადაწყვეტის კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია ჰარტის მიერ შემუშავებული წესების სისტემა და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი – აღიარების წესი, რომელიც ძირითადი ნორმის მსგავსად ერთგვარი ნამდვილობის კრიტერიუმი. უნდა აღინიშნოს, რომ არა პრაქტიკული, არამედ საკითხის თეორიული გაგებაც კი დიდ სირთულეს უკავშირდება, ვინაიდან აღიარების წესი ჰარტმა არ მიაკუთვნა პირველადი წესების კატეგორიას და მეორეულ წესად მიიჩნია, რაც წმინდა პოზიტივისტური მიდგომით იყო განპირობებული. მისთვის მეორეული წესები მას შემდეგ ამოქმედდება, როდესაც პირველადი წესებით პასუხის გაცემა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ პირველადი წესებიც აღიარების წესის დაქვემდებარებაში არიან, მისი პირველად წესად განსაზღვრა პრაქტიკული გამოყენებისას მეტ თავისუფლებას მისცემდა სასამართლოს, რაც ჰარტის იდეას ეწინააღმდეგებოდა, მიუხედავად იმისა, რომ არის ამ იდეაში რალაც ლოგიკური.

რთული შემთხვევის გადაწყვეტისას მორალის მინიმალური სტანდარტის ინტეგრაციასთან დაკავშირებით კრიტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ თეორიულად, მორალი არ შეიძლება იყოს სამართლის ნამდვილობის კრიტერიუმი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მისი ობიექტური ცნება არ არსებობს. თუმცა აღსანიშნავია, რომ რბილი პოზიტივიზმი, როგორც რთული შემთხვევის განხილვის მეთოდი, ზოგჯერ წესებით მართულ სისტემაში უსამართლობის განცდას ტოვებს.

რთული შემთხვევები ჰარტისათვის მხოლოდ ის საკამათო შემთხვევებია, სადაც მომწესრიგებელი ნორმა არ არსებობს ან არსებობს, მაგრამ საკითხის გა-

<sup>188</sup> დუორკინი რ.მ., წარმოადგენს თუ არა სამართალი წესების სისტემას, სამართლის ფილოსოფია, რ. დუორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 56.

დანყვეტისას არა აქვს მკაფიო მნიშვნელობა. ჰარტის თეორიით, თუ არსებობს პრეცედენტი ან მომწესრიგებელი ნორმა, სასამართლოს ერთადერთი არჩევანი რჩება – მათზე დააფუძნოს მიღებული გადაწყვეტილება. ხშირად მსგავსი შეზღუდვა სასამართლოს „აიძულებს“, არჩევანი გააკეთოს დადგენილ სამართალსა და სამართლიანობას შორის, აქედან გამომდინარე, რთული შემთხვევის გადაწყვეტის ჰარტისეულ მეთოდს ვერ ექნება სრულყოფილებაზე პრეტენზია.

## გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ალადაშვილი გ., საერთაშორისო საჯარო სამართლის ჰარტისეული კონცეფცია, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N5, 2021 [aladashvili g., saertashoriso sajaro samartlis hart'iseuli k'ontseptia, zhurn. „samartlis metodebi“, N5, 2021]
- აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ.გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017 [aponasini e., didik'ini a., samartlis pilosopia, t. sekhniashvilis, t. zarkuas, t. mamulashvilis, l.giorgadzis da l. giorgadzis targmani, d. gegenavas redakt'orbit, tbilisi, 2017]
- გაგოშიძე მ., „მორალი“ და „ზნეობა“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შინაარსში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი გადაწყვეტილების ქრილში, წიგნში: გიორგი კვერენჩილაძე 50, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022 [gagoshidze m., „moral“ da „zneoba“ sakartvelos samokalako k'odeksis 54-e mukhlis shinaarsshi (sakartvelos sak'onst'it'utsio sasamartlos erti gadats'q'vet'ilebis ch'rilshi, ts'ignshi: giorgi k'verenchkhiladze 50, d. gegenavas redakt'orbit, tbilisi, 2022]
- გაგოშიძე მ., მუხადგვერდელი ნ., დონოჰიუ სტივენსონის წინააღმდეგ, წიგნში: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018 [gagoshidze m., mukhadgverdeli n., donohiu st'ivenstonis ts'inaaghmdag, ts'ignshi: rtuli shemtkhvebi sasamartlo p'rakt'ik'ashi, t. I, d. gegenavas redakt'orbit, tbilisi, 2018]
- გეგენავა დ., გუსტავ რადბრუხი და „სამართლის ფილოსოფიის“ ქართული თარგმანი, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N6, 2022 [gegenava d., gust'av radbrukhi da „samartlis pilosopiis“ kartuli targmani, zhurn. „samartlis metodebi“, N6, 2022]
- გეგენავა დ., რთული შემთხვევის სირთულე, წიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021 [gegenava d., rtuli shemtkhvevis sirtule, ts'ignshi: duork'ini r., rtuli shemtkhvebi, n. karkusashvilisa da l. lursmanashvilis targmani, d. gegenavas redakt'orbit, tbilisi, 2021]
- დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021 [duork'ini r., rtuli shemtkhvebi, n. karkusashvilisa da l. lursmanashvilis targmani, d. gegenavas redakt'orbit, tbilisi, 2021]

- დუორკინი რ.მ., წარმოადგენს თუ არა სამართალი ნესების სისტემას, სამართლის ფილოსოფია, რ. დუორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010 [duork'ini r.m., ts'armoadgens tu ara samartali ts'esebis sist'emas, samartlis pilosopia, r. dvork'inis redakt'orobit, tbilisi, 2010]
- კელზენი ჰ., რა არის სამართლის წმინდა თეორია, ლ. ბრეგვადის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2011 [k'elzeni h., ra aris samartlis ts'minda teoria, l. bregvadzis targmani, „samartlis zhurnali“, N2, 2011]
- კელზენი ჰ., ძირითადი ნორმის საკითხისთვის, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნ. „სარჩევი“, N1-2(3-4), 2012 [k'elzeni h., dziritadi normis sak'itkhistvis, d. gegenavas targmani, zhurn. „sarchevi“, N1-2(3-4), 2012]
- ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N7, 2014 [loladze b., herbert' hart'is mier radbrukhis pormulis k'rit'ik'a, zhurn. „sak'onst'it'utsio samartlis mimokhilva“, N7, 2014]
- ლურსმანაშვილი ლ., მთარგმნელის წინათქმა, წიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021 [lursmanashvili l., mtargmnelis ts'inatkma, ts'ignshi: duork'ini r., rtuli shemtkhvebi, n. karkusashvilisa da l. lursmanashvilis targmani, d. gegenavas redakt'orobit, tbilisi, 2021]
- მამუკაშვილი ნ., ნორმის განსაზღვრულობის პრინციპის სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N3, 2019 [mamuk'ashvili n., normis gansazghvrulobis p'rintsip'is samartlebrivi asp'ekt'ebi, zhurn. „samartlis metodebi“, N3, 2019]
- რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნ. „სარჩევი“, N1-2(3-4), 2012 [radbrukhi g., samartlis pilosopiis khuti ts'uti, d. gegenavas targmani, zhurn. „sarchevi“, N1-2(3-4), 2012]
- უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012 [ueksi r., samartlis pilosopia, dzalian mok'le shesavali, m. babukhadias targmani, i. bachiashvilis redakt'orobit, tbilisi, 2012]
- ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ლ. თოთლაძის თარგმანი, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2009 [tsip'eliusi r., iuridiuli metodebis modzghvreba, l. totladzis targmani, m. t'uravas redakt'orobit, tbilisi, 2009]
- ნიკლაური ნ., ნანეიშვილი მ., რიგის პალმერის წინააღმდეგ, წიგნში: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018 [ts'ik'lauri n., naneishvili m., rigsi p'almeris ts'inaaghmdeg, ts'ignshi: rtuli shemtkhvebi sasamartlo p'rakt'ik'ashi, t. I, d. gegenavas redakt'orobit, tbilisi, 2018]
- ჭეიშვილი ი., „პენუმბრის“ მნიშვნელობა სამართალში და მისი შინაარსობრივი ევოლუცია პარტამდე, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018 [ch'eishvili i., „p'enumbris“ mnishvneloba samartalshi da misi shinaarsobrivi evolutsia hart'amde, zhurn. „samartlis metodebi“, N2, 2018]

- ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015 [khubua g., samartlis teoria, me-2 gamotsema, tbilisi, 2015]
- ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლის (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რ. დვორკინის რედაქტორობით, თბილისი, 2010 [hart'i h.l.a., p'ozit'ivizmi da samartlisa (k'anonisa) da moralis gamijvna, ts'ignshi: samartlis pilosopia, r. dvork'inis redakt'orobit, tbilisi, 2010]
- Corpus Juris, წიგნი I, სამართალმცოდნეობის საკითხები, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2015
- Austin J., The Province of Jurisprudence Determined, London, 1832
- Bentham J., A Fragment on Government; or, A Comment on the Commentaries, 2<sup>nd</sup> Edition, London, 1823
- Bix B.H., A Dictionary of Legal Theory, Oxford University Press, 2004
- Bix B.H., H.L.A. Hart and the "Open Texture" of Language, Law and Philosophy, Vol. 10, No.1, 1991
- Bix B.H., Kelsen, Hart and Legal Normativity, Journal for Constitutional Theory and Philosophy of Law, Vol. 34, 2018
- Dworkin R., A Matter of Principle, Harvard University Press, 1985
- Dworkin R., Law's Empire, Belknap Press of Harvard University Press, 1986
- Dworkin R., Taking Rights Seriously, Harvard University Press, 1977
- Fuller L.L., Positivism and Fidelity to Law – A Reply to Professor Hart, Harvard Law Review, Vol. 71, No.4, 1958
- Galeza D., Hard Cases, Manchester Student Review, Vol. 2, 2013
- Gómez J.V., The Hart-Fuller Debate, Philosophy Compass Vol. 9, 2014
- Hart H.L.A., American Jurisprudence through English Eyes: The Nightmare and the Noble Dream, Georgia Law Review, Vol. 11, No. 5, 1977, 981.
- Hart H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012
- Hart H.L.A., Discretion, Harvard Law Review, Vol. 127, No. 2, 2013
- Hart H.L.A., Law, Liberty and Morality, Oxford University Press, 1963
- Hart H.L.A., Positivism and Separation of Law, Essays in Law, Jurisprudence and Philosophy, Clarendon Press, 1983
- Hart H.L.A., The Morality of the Law, Harvard Law Review, Vol. 78, No. 6, 1965
- Henly B., "Penumbra": The Roots of Legal Metaphor, Hastings Constitutional Law Quarterly, Vol.15, No.1, 1987
- Holmes O.W., 1873 The Theory of Torts, American Law Review, Vol. 7, No. 4, 1873
- Lacey N., A Life of H.L.A. Hart: The Nightmare and the Noble Dream, Oxford University Press, 2004
- Paunio E., Legal Certainty in Multilingual EU Law Language, Discourse and Reason at The European Court of Justice, Ashgate Publishing, 2013

- Starr W.C., Law and Morality in H.L.A. Hart's Legal Philosophy, Marquette Law Review, Vol. 67, No.4, 1984
- Tebbit M., Philosophy of Law, An Introduction, 3<sup>rd</sup> Ed., Routledge, 2017
- Waismann F., Verifiability, Proceedings of the Aristotelian Society, Supplementary Volumes, Vol. 19, 1945
- Zygmunt T.J.G., An Intuitive Approach to Hard Cases, Utrecht Law Review, Vol. 16, No. 1, 2020
- Alexy R., Begriff und Geltung des Rechts, Verlag: Freiburg/München, Auf. 5, 2011
- Kelsen H., Allgemeine Theorie der Normen, Wien, 1979
- Kelsen H., Reine Rechtslehre, der 1. Ausgabe, Mohr Siebeck, 1934
- Radbruch G., Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, Süddeutsche Juristen-Zeitung, Jg. 1, Nr. 5, 1946
- Radbruch G., Vorschule der Rechtsphilosophie, in: Radbruch Gustav: Gesamtausgabe, Rechtsphilosophie, Bd. 3, herausgegeben von A. Kaufmann, bearbeitet von W. Hassemer, Heidelberg, 1990
- Rogg R., Das Recht zwischen Sein und Sollen – Auszüge aus der Hart-Fuller-Debatte, Stuttgart, 2021
- Saurer J., Die Hart-Dworkin-Debatte als Grundlagenkontroverse der angloamerikanischen Rechtsphilosophie: Versuch einer Rekonstruktion nach fünf Jahrzehnten, ARSP: Archiv für Rechts- und Sozialphilosophie Vol. 98, No.2, 2012

Mariam Gagoshidze\*

## THE HARTIAN METHOD FOR RESOLVING HARD CASES

### Abstract

Legal systems typically resolve disputes through established legal norms and judicial precedents. However, the legal process occasionally encounters situations where the applicability of these norms or precedents becomes questionable. Legal practitioners and philosophers designate such judicial cases as “hard cases.” This raises critical questions: What methods should courts employ when legislation is silent and no relevant precedent exists? How should they proceed when legal norms exist but are too vague to resolve specific issues without interpretation?

Different theoretical approaches to law offer varying definitions of hard cases. Herbert Hart’s theories distinguish themselves from other positivist legal doctrines by acknowledging the social factor within legal norms. His approach to the judicial process addresses categories of cases that cannot be resolved through mere reference to legal norms, while rejecting decisions made “blindly” under the influence of “formalism” or “literalism” in judicial reasoning.

The Georgian court system, like courts worldwide, has encountered and resolved numerous contentious cases. Given that achieving completely flawless written law is impossible, even within the most ideal framework, analyzing Hart’s philosophical approach becomes crucial. Furthermore, within the context of legal positivism, the search for and analysis of methods to resolve hard cases holds particular significance.

*Keywords: Hart, Hard Cases, Open Texture, Penumbra.*

---

\* Assistant, PhD Candidate at Sulkhan-Saba Orbeliani University, [mariam.gagoshidze@sabauni.edu.ge](mailto:mariam.gagoshidze@sabauni.edu.ge) <https://orcid.org/0000-0001-6792-3318>

ნინო მუხადგვერდელი\*

## რთული შემთხვევების გადაწყვეტა და აპერიკული სამართლებრივი რეალიზმი

„ვფიქრობ, ამ სამყაროში დიდებული რამ ის კი არ არის, თუ სად ვართ, რამდენადაც ის, თუ რა მიმართულებით მივდივართ.“<sup>1</sup>

### I. შესავალი

სამართალს ბუნდოვანება და ორაზროვნება ახასიათებს, რაც წარმოქმნის რთულ შემთხვევებს.<sup>2</sup> მათი გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანია სამართლის ღირებულებების სწორი შეფასება, თანამედროვე სინამდვილესთან თანმხვედრი, ემპირიული კვლევებით მოტივირებული გადაწყვეტილების მიღება. რთული შემთხვევების განხილვისას სამართლებრივი რეალიზმი აფართოებს სამართლის ფორმალურ საზღვრებს და სამართალშემოქმედების გზით ქმნის თანამედროვე სინამდვილეს მორგებულ პრაქტიკას. ნორმებისა და რეგულაციების უკან ყოველთვის ადამიანები დგანან.<sup>3</sup> შესაბამისად, სამართალი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც „ჰუმანურობისაგან“ დაცლილი სივრცე, სადაც ღირებულებათა სისტემაში უპირატესობა დაწერილ, პოზიტიურ ნორმებს ენიჭება და არა მათ უკან მდგომი ადამიანების ცხოვრებას.<sup>4</sup> სამართლის სოციალური კონტროლის მიზნიდან<sup>5</sup> გამომდინარე ის სწორედ სოციალურ სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს.<sup>6</sup> მართლაც, სამართლებრივი რეალიზმის მეთოდოლოგიით გადაწყვეტილი

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, დოქტორანტი, n.mukhadgverdeli@sabauni.edu.ge <https://orcid.org/0009-0004-7712-5124>

<sup>1</sup> Holmes O.W. Jr., *The Autocrat of the Breakfast-Table*, Vol. 2114, 1883, 80.

<sup>2</sup> Schauer F., *Easy Cases*, *Southern California Law Review*, Vol. 58, No. 2, 1985, 415.

<sup>3</sup> Pound R., *The Need of Sociological Jurisprudence*, *Green bag*, Vol. 19, 1907, 612.

<sup>4</sup> გეგენავა დ., კამიუ „უცხო“, სამართალი და მორალი გემოვნებით, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018, 59.

<sup>5</sup> Pound R., *The Lawyer as a Social Engineer*, *Journal of Public Law*, Vol. 3, No. 2, 1954, 292.

<sup>6</sup> ერლიხი ო., სამართლის სოციოლოგია, ლ. ბრეგვაძის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2021, 238.

რთული შემთხვევები შეესაბამება იმ ემპირიულ მონაცემებსა და პრაქტიკას, რომელ დროსა და სივრცეშიც ის მოცემულ მომენტში არსებობს.<sup>7</sup>

რთული შემთხვევების გადაწყვეტის პროცესში მოსამართლეს ეძლევა შესაძლებლობა, იხელმძღვანელოს არა მხოლოდ პოზიტიური სამართლით ან უკვე არსებული პრეცედენტების მიზიდულობის ძალით,<sup>8</sup> არამედ სამართალშემოქმედებით პროცესში გამოიყენოს ადამიანთა ქცევის შემსწავლელი მეცნიერებები.<sup>9</sup> მართლმსაჯულება იმდენად სიღრმისეულად ეხება ადამიანებს შორის ურთიერთობებს, რომ ლოგიკურად მოითხოვს ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა თუ ეკონომიკური კვლევების ჩართულობას.<sup>10</sup> ფსიქო-სოციალური ფაქტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისკრიმინაციასთან და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული რთული შემთხვევების განხილვის პროცესში.<sup>11</sup> ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში აქტიურად დგას არასტანდარტული მიდგომების აუცილებლობა, რაც სასამართლოს არგუმენტაციაში ინტერდისციპლინური მეცნიერებების დასკვნების გამოყენებაში აისახება.<sup>12</sup>

წინამდებარე ნაშრომის მიზანია რთული შემთხვევების კონცეფციის სამართლებრივი რეალიზმის ფარგლებში მიმოხილვა, სასამართლო პრაქტიკისა და ემპირიული კვლევის საფუძველზე რთული შემთხვევების შეფასების კრიტერიუმების გამოკვეთა. ნაშრომი მიზნად ისახავს ასევე რთული შემთხვევების რეალიზმის მეთოდოლოგიით გადაწყვეტის პროცესში არსებული პრობლემების ანალიზს და მათ შეფასებას, გამოწვევებისა და სამართალშემოქმედების პროცესში წარმოქმნილი საკითხების განხილვას.

კვლევა ეყრდნობა შედარებითსამართლებრივ, ანალიტიკურ და ჰერმენევტიკულ მეთოდოლოგიას. აღნიშნული მეთოდების საფუძველზე შესწავლილი იქნება სამართლებრივი რეალიზმისთვის რთული შემთხვევების არსი და მნიშვნელობა. ჰერმენევტიკული კვლევის მეშვეობით გაანალიზდება რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, მათი მახასიათებლები და გადაწყვეტის რეალისტური

<sup>7</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის, თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 67

<sup>8</sup> Dworkin R., Hard Cases, Harvard Law Review, Vol. 88, No. 6. 1975, 1089.

<sup>9</sup> Savarese R.J., American Legal Realism, Houston Law Review, Vol. 3, No. 2, 1965, 181.

<sup>10</sup> Pound R., Mechanical Jurisprudence, Columbia Law Review, Vol. 8, No. 8, 1908, 606.

<sup>11</sup> იხ., Kentucky v. Stincer, 482 U.S 730 (1987); Brown v. Board of Education of Topeka, 347 U.S. 488 (1954).

<sup>12</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განჩინება Nას-967-916-2015; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება N3-/6778-20.

მეთოდოლოგია. ნაშრომში ასევე განხილული იქნება ქართული და ამერიკული სასამართლო პრაქტიკა სამართლებრივი რეალიზმის კონტექსტში.

## II. რთული შემთხვევის კონცეფცია სამართლებრივი რეალიზმისთვის

კანონი ფორმირდება და შინაარსს იძენს პრაქტიკაში. მისი მოქმედების პერიოდის განმავლობაში იხვეწება და ერგება კონკრეტულ სამართლებრივ და სოციალურ რეალობას.<sup>13</sup> სამართლებრივი რეალიზმის წარმომადგენლების გამოწვევაა საკუთრივ სამართლის შესწავლა და გაგება<sup>14</sup>, „სიბნელისა და სინათლის პენუმბრაში“<sup>15</sup> კანონის დახვეწა და მისი მორგება სოციალურ რეალობასთან. სწორედ ამიტომაც სამართლებრივი რეალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი სამართალში წარმოქმნილი კითხვებისა და სიცარიელეების გადასაწყვეტად ყველაზე პრაქტიკული გზების მოძიებაა.<sup>16</sup>

კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი და ორაზროვანი ლინგვისტიკური ფორმულირებები წარმოშობს რთულად გადასაწყვეტ სამართლებრივ დილემებს და შესაბამისად, რთულ შემთხვევებს.<sup>17</sup> მსგავსი დილემების რამდენიმე მახასიათებელი შეიძლება გამოიყოს. შაუერის მოსაზრებით, დილემას ქმნის ერთ სამართლებრივ პრობლემაზე ორი სხვადასხვა პასუხი, რომელსაც ორი განსხვავებული კანონი აწესებს, შესაბამისად, არსებული, მოქმედი კანონმდებლობა ვერ არეგულირებს სამართლებრივ დილემას.<sup>18</sup> სამართლებრივი რეალისტებისთვის რთული შემთხვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად განისაზღვრება შემთხვევა, როდესაც კანონით გათვალისწინებული რელევანტური ნორმის გამოყენების შედეგად მორალურად, სოციალურად ან პოლიტიკურად რთული გადაწყვეტილება დგება.<sup>19</sup> გარდა ნორმის შეფარდებით გამოწვეული შედეგებისა, რთული შემთხვევად განიხილება გარემოება, როდესაც არსებობს კონფლიქტი

<sup>13</sup> Holmes O.W. Jr, *The Path of the Law*, Harvard Law Review, Vol. 10, No. 8, 1897, 12.

<sup>14</sup> Schauer F., *Legal Realism Untamed*, Texas Law Review, Vol. 91, No. 4, 2013, 773.

<sup>15</sup> ჭიშვილი ი., „პენუმბრის“ მნიშვნელობა სამართალში და მისი შინაარსობრივი ევოლუცია ჰარტამდე, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018, 23.

<sup>16</sup> აფონასიანი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის, თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 67.

<sup>17</sup> Schauer F., *Easy Cases*, Southern California Law Review, Vol. 58, No. 2, 1985, 415.

<sup>18</sup> იქვე, 417.

<sup>19</sup> იქვე.

ლინგვისტიკურად მარტივ შემთხვევასა და ამ შემთხვევის გადასაწყვეტად გამოყენებული ნორმის მიზანს შორის.<sup>20</sup>

ხშირად კანონი არაა გამჭვირვალე და ორაზროვანია, რა დროსაც მოსამართლე, როგორც სოციალური ინჟინერი,<sup>21</sup> ვალდებულია განმარტოს ის. სწორედ ნორმათა არასრულყოფილების ან ბუნდოვანების გამო დგება მათი ინტერპრეტაციის, კანონის მნიშვნელობის განსაზღვრის, საჭიროება.<sup>22</sup> მოცემული განმარტების კონკრეტულ შემთხვევებთან მისადაგების პროცესს ეწოდება კონსტრუირება.<sup>23</sup>

სამართლებრივი რეალიზმის მიხედულობით სამართალი შეესაბამება პრაქტიკას.<sup>24</sup> შესაბამისად, რთული შემთხვევების იდენტიფიცირებისათვის არსებითია ემპირიული სინამდვილე, დრო და სივრცე, რომელშიც განსახილველი საკითხი დგება.<sup>25</sup> შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი რეალიზმისათვის რთული შემთხვევების განმსაზღვრელი, ხშირად, ნორმის ბუნდოვანი ან ორაზროვანი დანაწესია, რომელიც ერთგვარ დილემას წარმოშობს და მოსამართლეს სამართალშემოქმედებისკენ უბიძგებს.<sup>26</sup> რთული შემთხვევები შესაძლოა წარმოიქმნას მაშინ, როდესაც კონკრეტული სამართლებრივ სისტემაში არსებული კანონმდებლობის შეფარდებით არ დგება გონივრულობით ნაკარნახევი და სამართლიანი შედეგი.<sup>27</sup> რთულ შემთხვევებს სამართლებრივ რეალიზმში განსაზღვრავს ასევე შემთხვევის გადაწყვეტასთან დაკავშირებით გზების სიმრავლე,<sup>28</sup> პრეცედენტების შემთხვევაში კი – განსახილველი დავის გადაწყვეტის რამდენიმე გზა, რომელიც ერთმანეთისგან რადიკალურად სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს.<sup>29</sup> ერთი შემთხვევის გადასაწყვეტად თანაბარწილად შესაფერისი რამდენიმე კანონის არსებობა ასევე რთული შემთხვევების წარმოშობისა და სამართლის განუსაზღვრელობის საფუძველია.<sup>30</sup>

<sup>20</sup> იქვე, 416.

<sup>21</sup> Burrus B.R., American Legal Realism, Howard Law Journal, Vol. 8, No. 1, 1962, 38.

<sup>22</sup> იქვე, 113.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის, თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 67.

<sup>25</sup> Schauer F., Legal Realism Untamed, Texas Law Review, Vol. 91, No. 4, 2013, 751.

<sup>26</sup> იქვე, 765.

<sup>27</sup> Llewellyn K.N., Remarks on the Theory of Appellate Decisions and the Rules or Canons about How Statutes are to be Constructed, Vanderbilt Law Review, Vol. 3, 1950, 398.

<sup>28</sup> Altman A., Legal Realism, Critical Legal Studies, and Dworkin, Philosophy and Public Affairs, Vol. 15, No. 3. 1986, 209.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> Leiter B., Legal Indeterminacy, Legal Theory, Vol. 1, No. 4, 1995, 483.

ჰოლმსისთვის რთული, იგივე განუსაზღვრელი შემთხვევები<sup>31</sup> ცუდ სამართალს აყალიბებს.<sup>32</sup> ამ უკანასკნელს აქვს უნარი, ზენოლის ძალით სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი ან თუნდაც მტკიცედ ჩამოყალიბებული პრინციპები შეცვალოს.<sup>33</sup> განუსაზღვრელი შემთხვევების ინდიკატორი მსგავსი შემთხვევის გადანყვების უკვე არსებული და დამკვიდრებული მოდელისათვის შეუსაბამო შემთხვევაა, ანუ საქმე, რომელიც არ ერგება მსგავს სამართლებრივ სივრცეში უკვე არსებულ გადანყვებას.<sup>34</sup> სამართალი, ისევე როგორც სამყარო, შეესაბამება იმ მიზეზ-შედეგობრივ წესრიგს, რომელიც ლოგიკურად უკავშირდება ქცევასა და მის შედეგს კონკრეტულ დროსა და სივრცეში.<sup>35</sup> ამიტომ, ფართო გაგებით, სამართალი ლოგიკური და პრაქტიკასთან შესაბამისია (ან უნდა იყოს). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია სამართალს ის მათემატიკური სიზუსტე მოეთხოვებოდეს, რომელიც საშუალებას მისცემდა კანონმდებელს, ყველა შესაძლო შემთხვევა წინასწარ განესაზღვრა. უენდელ ჰოლმსისთვის „სიზუსტე ზოგადად ილუზიაა“<sup>36</sup>, შესაბამისად, შეუძლებელია სამართლებრივი სისტემებისთვის განსაზღვრულობისა და სიზუსტის მოთხოვნების წაყენება. ამიტომ რთული შემთხვევების სამართლებრივი რეალიზმის ჭრილში განხილვისას მნიშვნელოვანია მათი ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით განხილვა და მათი ლოგიკური გადანყვება.

კანონებისათვის ერთ-ერთი რთული გამოწვევაა სტაბილურობა, მდგრადი პრეცედენტის შექმნის მიზნით და ამავედროულად, თანამედროვე სინამდვილეს მორგება და განვითარება.<sup>37</sup> ლოგიკურად, ცხადია, რომ მოცემული მიზნების მისაღწევად შეუძლებელია იმგვარი კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი სფეროს ყველა შესაძლო შემთხვევას მოერგება და ზუსტად მოაწესრიგებს მათ. მოცემული მიზნის მიღწევა შეუძლებელია კანონით და მით უფრო, კონსტიტუციით. უზენაესი კანონი არ შედგება ზუსტი განსაზღვრებებისგან, მეტიც, ის არის სამართლებრივი უფლებამოსილების წყარო,

<sup>31</sup> Kellogg F.R., Holmes, Common Law Theory, and Judicial Restraint, The John Marshall Law Review Vol. 36, No. 2, 2003, 465.

<sup>32</sup> Northern Securities Co. v. United States, 193 U.S. 197 (1904).

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> Kellogg F.R., Holmes, Common Law Theory, and Judicial Restraint, The John Marshall Law Review, Vol. 36, No. 2, 2003, 465.

<sup>35</sup> Holmes O.W., Jr, The Path of the Law, Harvard Law Review, Vol. 10, No. 8, 1897, 8.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 69.

რომლის დანაწესებიც პენუმბრაში იკვეთება.<sup>38</sup> მოსამართლე ჰოლმსისათვის, კონსტიტუციის „პენუმბრული გაურკვევლობის“ აღიარებით შესაძლებელი ხდება სიზუსტის, როგორც ილუზიის, აღქმა და შესაბამისად, მოსამართლის მიერ საკუთარი გადაწყვეტილების უკვე პრაქტიკულ რეალობასთან შესაბამისობაში, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით მიღება. მისი მოსაზრებით, სამართალში არსებული უზუსტობებისთვის გვერდის ავლის ნაცვლად, სჯობს კონკრეტული ხაზის გავლება ურთიერთსაინანაღმდეგო მოსაზრებებსა და შემთხვევებს შორის პენუმბრულ ზონაში<sup>39</sup>.

პენუმბრას, როგორც კანონის საშუალებას, გასცდეს მისი დანაწესის საზღვრებს კონკრეტული შემთხვევისას სამართლის სუბექტების დასაცავად<sup>40</sup>, ჰოლმსის მსგავსად იყენებდა მოსამართლე კარდოზო.<sup>41</sup> მის რამდენიმე გადაწყვეტილებაში გადმოცემული მოსაზრებების თანახმად, პენუმბრა ხასიათდება, როგორც კანონმდებლობაში არსებული სივრცე, სადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლე თავისუფალია.<sup>42</sup> კონსტიტუცია კანონზე მაღლა დგას, კონსტიტუციასთან შესაბამისი კანონი მოსამართლეს მის წინაშე დამდგარი საკითხის გადაწყვეტაზე მიუთითებს. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ საკუთარი მსჯელობით უნდა შეავსოს სამართალში არსებული სიცარიელები და ორაზროვნება.<sup>43</sup> მოსამართლის მიერ, რთული შემთხვევის, რეალიზმის ფარგლებში, გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად განისაზღვრება მოსამართლის მიერ კანონმდებლის მიზნისა და განზრახვის დადგენა. შესაბამისად, გამოიყოფა რთული შემთხვევის ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: შემთხვევა, როდესაც გადასაწყვეტი საკითხი მოცემულ მომენტამდე არ დამდგარა, ან არ არსებობს შემთხვევის მარეგულირებელი კანონმდებლობა.<sup>44</sup> სამართლებრივი რეალისტები რთულ შემთხვევებს, უმეტესწილად, აკავშირებენ სამართლის სისტე-

<sup>38</sup> Henly B., *Penumbra: The Roots of a Legal Metaphor*, *Hastings Constitutional Law Quarterly*, Vol. 15, No. 1, 1987, 86; იხ. *Springer v. Government of the Phil. Islands*, 277 U.S. 189 (1928) (Holmes, J., dissenting).

<sup>39</sup> Greely H.T., A Footnote to “Penumbra” in *Griswold V. Connecticut*, *Constitutional Commentary*, Vol. 6, No. 2, 1989, 253

<sup>40</sup> ჭიჭიშვილი ი., „პენუმბრის“ მნიშვნელობა სამართალში და მისი შინაარსობრივი ევოლუცია ჰარტამდე, *ჟურნ. „სამართლის მეთოდები“*, N2, 2018, 25.

<sup>41</sup> Henly B., *Penumbra: The Roots of a Legal Metaphor*, *Hastings Constitutional Law Quarterly*, Vol. 15, No. 1, 1987, 88.

<sup>42</sup> იქვე. იხ., *Dayton Power & Light Co. v. Public Utils. Comm’n*, 292 U.S. 290, 309 (1934), *A.L.A. Schechter Poultry Corp. v. United States*, 295 U.S. 495, (1935) (Cardozo, J., concurring), *Helvering v. Davis*, 301 U.S. 619, 640 (1937).

<sup>43</sup> Cardozo B. N., *The Nature of the Judicial Process*, Yale University Press, 15.

<sup>44</sup> იქვე.

მაში არსებული სიცარიელების შევსებასთან, რაც თავისთავად გაიგივებულია მოსამართლის სამართალშემოქმედებით პროცესთან.<sup>45</sup> შესაბამისად, მოსამართლე სამართალშემოქმედების გზით განმარტავს კანონში არსებულ ბუნდოვან დანაწესებს ან ქმნის ახალ პრეცედენტს. სამართლებრივი რეალიზმის ერთ-ერთი გამორჩეული მოსამართლე კარდოზო მის, და ზოგადად მოსამართლეების, მოვალეობად მიიჩნევს კანონის განმარტებისას კანონმდებლის განზრახვის დადგენას და ამ გზით საკანონმდებლო ნაკლოვანების აღმოფხვრას.<sup>46</sup> მოსამართლე კარდოზოს მიერ პენუმბრასთან დაკავშირებული განმარტებები ძირითადად თანმხვედრია ჰოლმსისეულ მოსაზრებებთან. კარდოზოს განმარტებიდან გამომდინარე, პენუმბრად განიხილება ის განუსაზღვრელობა, რომელიც მოსამართლეს კანონშემოქმედებითი პროცესისაკენ უბიძგებს.<sup>47</sup> სახელმწიფოსა და კონგრესს შორის საკანონმდებლო უფლებამოსილების განსაზღვრისას მოსამართლე პენუმბრას, უზუსტობად განმარტავს. მისი მოსაზრებით, კანონმდებლობაში არსებული უზუსტობები განსჯას არაცხად ბუნებას სძენს. მსგავსი უზუსტობები კი მოსამართლეს სამართალშემოქმედებისკენ უბიძგებს,<sup>48</sup> ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოსამართლისათვის პირდაპირკავშირშია შემოქმედებასთან.<sup>49</sup>

სამართალი სოციალური და შესაბამისად დროსა და სივრცეში განვითარებადი მოვლენაა.<sup>50</sup> უკვე არსებული სასამართლო პრეცედენტები, გარე სამყაროს დინამიკური განვითარებიდან გამომდინარე, ხშირად, მეტისმეტად ზოგადი და მოცემული დროისათვის შეუსაბამოა.<sup>51</sup> სამართლებრივი რეალიზმის ფარგლებში, რა თქმა უნდა, არაა უარყოფილი მოსამართლის მიერ დავის უკვე არსებული კანონმდებლობის ან პრეცედენტის საფუძველზე გადაწყვეტა. პირიქით, ლეგალიზმი სამართლებრივი რეალიზმის განუყოფელი ნაწილია.<sup>52</sup> თუმცა, ცხადია სამარ-

<sup>45</sup> იქვე, 16.

<sup>46</sup> Charles P. L. Jr., *Future Constitutional Opinions of Mr. Justice Cardozo*, *Cornell Law Review*, Vol. 17, No. 4, 1932, 544.

<sup>47</sup> *Dayton Power & Light Co. v. Public Utils. Comm'n*, 292 U.S. 290, 309 (1934) (Cardozo, J.) 55.

<sup>48</sup> *A.L.A. Schechter Poultry Corp. v. United States*, 295 U.S. 495, (1935) (Cardozo, J., concurring) 62.

<sup>49</sup> Coplan K.S., *Legal Realism, Innate Morality, and the Structural Role of the Supreme Court in the U.S. Constitutional Democracy*, *Tulane Law Review*, Vol. 86, No. 1, 2011, 191.

<sup>50</sup> Pound R., *The Lawyer as a Social Engineer*, *Journal of Public Law*, Vol. 3, No. 2, 1954, 293.

<sup>51</sup> Leiter B., *Legal Realism and Legal Doctrine*, *University of Pennsylvania Law Review*, Vol. 163, No. 7, 2015, 1977.

<sup>52</sup> Posner R.A., *Realism about Judges*, *Northwestern University Law Review*, Vol. 105, No. 2, 2011, 580.

თლებრივ სისტემებს ცვლის და აყალიბებს არა სამართლის პოზიტივისტური, ხისტი მიდგომა, არამედ რთული შემთხვევების განხილვა და მათი სოციალურ რეალობასთან შესაბამისობაში გადანყვება. რთულ შემთხვევებს რეალისტები ხშირად გაურკვეველ საქმეებს (*unclear cases*) უწოდებენ.<sup>53</sup> ეს უკანასკნელი, პოზნერის მიხედულობით ისეთი შემთხვევებია, როდესაც კანონის გამოყენებისას მოცემულ სინამდვილესთან შეუსაბამო შედეგები დგება.<sup>54</sup> კანონის ბუნდოვანი დანაწესების არსებობისას მოსამართლე მათი განმარტების პროცესში აყალიბებს განსახილველი კანონის შინაარსსა და საზღვრებს.<sup>55</sup> გაურკვეველი საქმეების და სხვა რთული შემთხვევების წარმომშობ ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა განიხილებოდეს სამართლის განუსაზღვრელი ბუნება.<sup>56</sup> სამართლებრივი რეალიზმის ფარგლებში, სამართლის განუსაზღვრელობა განპირობებულია რამდენიმე ძირითადი გარემოებიდან. უპირველეს ყოვლისა, ესაა ერთ სამართლებრივ პრობლემაზე არსებული გადაჭრის რამდენიმე, ერთმანეთს დაპირისპირებული, გზა.<sup>57</sup> სამართალს განუსაზღვრელ ბუნებას სძენს ასევე ის ბუნდოვანი ტერმინები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, სამართალშემოქმედის განმარტების საგანი ხდება.<sup>58</sup> არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოსაყენებელი კანონის ფარგლებისა და შეფარდების საკითხი, რომელიც მოსამართლეს აძლევს უფლებამოსილებას კანონის გამოყენებისა და მისი სოციალურ რეალობასთან მისადაგების მიზნებიდან განსაზღვროს ამა თუ იმ კანონის ფარგლები და მასშტაბი.<sup>59</sup> ცხადია, რიჩარდ პოზნერის მიხედულობით რთული შემთხვევების განმარტება ექცევა კანონის ბუნდოვანებისას, მისი განმარტების პროცესების ფარგლებში.<sup>60</sup> მოსამართლის მიერ კანონის განმარტების პროცესის საჭიროება დგება კანონში მოცემული გაურკვეველი დებულებების არსებობისას. შესაბამისად, ამ დებულებების ინტერპრეტაცია მოიცავს კანონის ენობრივი და კულტურული შესაბამისობის დადგენას კონკრეტულ სოციალურ რეალობასთან შესაბამისობაში.<sup>61</sup> მართლაც, სამართლის სახეცვლილება, მისი განმარტება და რეალობასთან მისადაგება პირ-

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> იქვე, 579.

<sup>55</sup> იქვე, 581.

<sup>56</sup> Wilkins D.B., Legal Realism for Lawyers, Harvard Law Review, Vol. 104, No. 2, 1990, 478.

<sup>57</sup> Schauer F., Legal Realism Untamed, Texas Law Review, Vol. 91, No. 4, 2013, 751.

<sup>58</sup> Wilkins D.B., Legal Realism for Lawyers, Harvard Law Review, Vol. 104, No. 2, 1990, 481.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> Posner R.A., Legal Formalism, Legal Realism, and the Interpretation of Statutes and the Constitution, Case Western Reserve Law Review, Vol. 37. No. 2, 1986, 179.

<sup>61</sup> იქვე, 213.

დაპირკავშირშია „კეთილგონიერებით განვითარებულ გამოცდილებასთან“<sup>62</sup>, რომელიც თავის მხრივ გონივრული ქმედებების მსაზღვრელია.<sup>63</sup>

### III. რთული შემთხვევის შეფასების სტანდარტი სამართლებრივ რეალიზმში

სამართლებრივი რეალიზმის მიდგმებით რთული შემთხვევების შეფასების რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იკვეთება. უპირველესად, რთული შემთხვევის შეფასებისა და გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ სამართალშემოქმედებით პროცესში სამართლებრივი სისტემის გარეთ არსებული მეცნიერებების გამოყენება. ეს უკანასკნელი არსებითად ცვლის და სრულყოფს რთული შემთხვევების გადაწყვეტის არგუმენტაციას, სწორედ მათი არასტანდარტული ბუნებიდან გამომდინარე.<sup>64</sup> ფსიქოლოგიური დასკვნები, სოციალური სინამდვილე თუ ეკონომიკური ანალიზი მიმართულია რთული შემთხვევების განხილვისას სამართალში თავისთავად არსებული სიცარიელეების შესავსებად.<sup>65</sup> აღნიშნული სიცარიელები სამართალში მისი განვითარებადი ხასიათიდანაც მომდინარებს. სოციალური განვითარებით მოტივირებულ სამართლის რეგულირების სფეროში მოქცეულ ახალ ურთიერთობებს ინერციით უნდა მიყვეს სამართალი და ფეხი აუწყოს საზოგადოების განვითარებას.

#### 1. სოციალური სინამდვილე და ინტერდისციპლინური მეცნიერებები

სამართლის განუსაზღვრელობა სამართალშემოქმედებით პროცესს უკავშირდება. შესაბამისად, სამართლებრივი რეალიზმი განუსაზღვრელობას მნიშვნელოვანი განმარტების ფარგლებში აქცევს. მოსამართლის მიერ სამართალშემოქმედებითი პროცესის აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც გადასაწყვეტი დავის მომწესრიგებელი ნორმები ან პრეცედენტი ურთიერთგამომრიცხავ სამართლებრივ შედეგებს აყენებს.<sup>66</sup> შესაბამისად, ნორმის სწორი განმარტების

<sup>62</sup> Pound R., The Lawyer as a Social Engineer, Journal of Public Law, Vol. 3, No. 2, 1954, 297.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> Rebell M.A., Judicial Activism and Public Policy, Judges Journal, Vol. 50, No. 1, 2011, 10.

<sup>65</sup> Schauer F., Legal Realism Untamed, Texas Law Review, Vol. 91, No. 4, 2013, 763.

<sup>66</sup> Leiter B., Rethinking Legal Realism: Toward a Naturalized Jurisprudence, Texas Law Review, Vol. 76, No. 2, 1997, 273.

შემთხვევაშიც კი, შედეგი სამართლებრივად გაუმართლებელია.<sup>67</sup> რთული შემთხვევების შეფასების სტანდარტს სასამართლო სამართალშემოქმედებით პროცესში აყალიბებს. მოსამართლე უორენის მიხედულებით სასამართლომ უნდა გამოიყენოს და პრაქტიკაში გააცოცხლოს, ძირითადი უფლებებით დაცული სამართლებრივი ღირებულებები.<sup>68</sup> კანონის სახელმწიფოზე მაღლა დაყენების მნიშვნელოვანი გამოცხადი იყო „ბრაუნი ტოპეკას საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ“.<sup>69</sup> სასამართლოს მიერ სკოლებში რასობრივი სეგრეგაციის გაუქმებით სასამართლომ საფუძვლიანად შეცვალა დამკვიდრებული პრაქტიკა და სოციალურ სინამდვილესთან შესაბამისი, არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ფსიქოლოგიურ კვლევებზე დაფუძნებული გადანყვეტილება მიიღო.<sup>70</sup> ამ შემთხვევაში, რთული შემთხვევის შეფასების სტანდარტად შესაძლოა განისაზღვროს სოციალური სინამდვილე და ფსიქო-სოციალური მნიშვნელობის ფაქტები, რომელმაც გაამყარა და შესაბამისი საფუძველი შეუქმნა მოსამართლეს კანონით განმტკიცებული უმართლობა და „განცალკევებული მაგრამ თანაბარი“ დოქტრინა შეეცვალა ახალი გადანყვეტილებით.<sup>71</sup>

სამართალშემოქმედების კონტექსტში მნიშვნელოვან მიდგომებს ავითარებს მოსამართლე კარდოზო. მისთვის სამართალი კონკრეტული საზოგადოების მოთხოვნების გამოცხადების შესაბამის, სრულად შემოქმედებითი პროცესს უკავშირდება.<sup>72</sup> შესაძლოა სამართალი არ იცვლებოდეს ფორმით, მაგრამ მნიშვნელოვანია გარდაისახოს და სინამდვილეს მოერგოს ახალი განმარტებებით.<sup>73</sup> მის სამოსამართლო კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული საქმე, რომელიც მესამე პირების პასუხისმგებლობას ეხებოდა<sup>74</sup> იყო ყველაზე „მშვიდი რევოლუციური მანიფესტი“<sup>75</sup>. მოცემული პრეცედენტი არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ იცვლება სამართლებრივი დოქტრინა საზოგადოების განვითარების პარალელურად, დროთა განმავლობაში. ყველაზე მტკიცე და პრაქტიკაში

<sup>67</sup> იქვე, 274.

<sup>68</sup> White G.E., Earl Warren as Jurist, *Virginia Law Review*, Vol. 67, No. 3, 1981, 471.

<sup>69</sup> Brown v. Board of Education of Topeka, 347 U.S. 483 (1954).

<sup>70</sup> გაგოშიძე მ., მუხადგვარდელი ნ., ბრაუნი ტოპეკას საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ, რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. II, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022, 23.

<sup>71</sup> იქვე, 25.

<sup>72</sup> Stone H.F., Mr. Justice Cardozo, *Columbia Law Review*, Vol. 39, No. 1, 1939, 2.

<sup>73</sup> Cardozo B.N., *The Nature of the Judicial Process*, Yale University Press, 1921, 101.

<sup>74</sup> MacPherson v. Buick Motor Co., 217 N.Y. 382 (1916), 1132.

<sup>75</sup> Ursin E., Holmes, Cardozo, and the Legal Realists: Early Incarnations of Legal Pragmatism and Enterprise Liability, *San Diego Law Review*, Vol. 50, No. 3, 2013, 568.

დამკვიდრებული პრეცედენტებიც კი უძლურია პრაქტიკული გამოყენებისას მათი საზოგადოების დინამიკასთან შეუთავსებლობის წინაშე.<sup>76</sup> სამართლებრივი რეალისტებისათვის, სამართალი გონივრული ქმედებით ნაკარნახევი გამოცდილებაა.<sup>77</sup> ვინაიდან, სამართლებრივი რეალიზმი თავად სოციალური სინამდვილის გამოძახილი და იურისტების რეაქცია იყო სოციალურ ცვლილებებზე,<sup>78</sup> შესაბამისად, რეალიზმის კონტექსტში განხილული რთული შემთხვევების შეფასების ერთ-ერთი მთავარი საზღვრული სწორედ სოციალურად შესაბამისი და გონივრულობით ნაკარნახევი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებაა. დაუშვებელია სამართალშემოქმედებითი პროცესი არა სოციალური ცვლილებების გამოძახილი, არამედ წარსული გადაწყვეტილებებით ნაკარნახევი პროცესი იყოს.<sup>79</sup> ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებებში სოციალური სინამდვილის ფაქტებისა და ფსიქოლოგთა დასკვნების რაოდენობა ეტაპობრივად მატულობს. ბავშვთა უფლებების კონტექსტში მნიშვნელოვანი განმარტებები კეთდება არასრულწლოვნების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე გარემო-პირობების ზეგავლენასთან დაკავშირებით.<sup>80</sup> ასევე ბავშვისა და მშობლის დაშორებით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ტრავმებთან მიმართებით.<sup>81</sup> სამართლის სისტემის გარე მეცნიერებების პრაქტიკული გამოყენება და რთულ შემთხვევებს მორგება თავისთავად, ამყარებს სასამართლოს არგუმენტაციას და მეტად არგუმენტირებულს ხდის.

სამართალი, სისტემურობიდან გამომდინარე, შესაძლოა მეტად კონცენტრირებული იყოს შიდა წესრიგზე, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდეს და გარკვეულწილად, არ სურდეს სხვა მეცნიერებების გამოყენება სამართალშეფარდების პროცესში. შედეგად ცხადია, ნაკლები ყურადღება დაეთმოება მის სინამდვილესთან შესაბამისობას.<sup>82</sup> ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლო, რომელსაც უნდა ესმოდეს საზოგადოების მაჯისცემა<sup>83</sup>, რომელიც მას უკარნა-

<sup>76</sup> იქვე.

<sup>77</sup> Gardner J.A., The Sociological Jurisprudence of Roscoe Pound (Part 1), Villanova Law Review, Vol. 7, No 1, 1961, 11.

<sup>78</sup> Horvath B., Between Legal Realism and Idealism, Northwestern University Law Review, Vol. 48, No. 6, 1953-1954, 693.

<sup>79</sup> Dagan H., Normative Jurisprudence and Legal Realism, University of Toronto Law Journal, Vol. 63, No. 3, 2014, 446.

<sup>80</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განჩინება Nას-967-916-2015.

<sup>81</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება N3-/6778-20.

<sup>82</sup> Cox A., Chief Justice Earl Warren, Harvard Law Review, Vol. 83, No. 1, 1969, 2.

<sup>83</sup> იქვე, 1.

ხებს და უბიძგებს საზოგადოების მისწრაფებებისა და სინამდვილის ამსახველი სასამართლო გადაწყვეტილებების შექმნისაკენ.<sup>84</sup> სამართალი სოციალური მოვლენაა და შესაბამისად უნდა ერგებოდეს მის მიერ მოწესრიგებული სოციუმის სინამდვილეს.<sup>85</sup> სამართლებრივი რეალიზმი განსაზღვრავს სამართლის ცვალებად და ემპირიულ მონაცემებზე აგებულ ბუნებას. დაუშვებელია კანონის სიტყვასიტყვით გამოყენება, როდესაც ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით რამდენიმე სამართლებრივი შედეგი მიიღება.<sup>86</sup> შესაბამისად, სამართალი დაკავშირებულია დროში განვითარებასთან და თანამედროვე სინამდვილეს მორგებასთან, ის არის არა აღმოჩენა, არამედ შექმნის პროცესი.<sup>87</sup> გადაწყვეტილების სამართლიანობის მიზნებიდან გამომდინარე, სწორედ ამ შექმნის პროცესში იკვეთება ფსიქოლოგიური თუ სოციალური კვლევების აუცილებლობა. ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში ცხადად ჩანს მართლმსაჯულების პროცესში, მისი დახვეწის მიზნით, სხვადასხვა ფსიქო-სოციალური კვლევების პრაქტიკული გამოყენების შემთხვევები. ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ რთულ შემთხვევებში სასამართლო აქტიურად მიმართავს ფსიქოლოგების დასკვნებს და ხშირ შემთხვევაში აფუძნებს კიდევ მათზე გადაწყვეტილებას.<sup>88</sup> სწორედ ამ მიზანს ემსახურება სამართალში სხვა მეცნიერებების გამოყენება, რაც თავისთავად ამყარებს მოსამართლის არგუმენტაციას და თავიდან აცილებს იმ საშიში გადაწყვეტილების მიღების რისკებს, რომლის საფრთხეც შემთხვევის არასრული გამოკვლევის შედეგად დგება.<sup>89</sup>

სამართალში ფსიქოლოგიური კვლევები არა მხოლოდ რთული შემთხვევების არგუმენტაციის ნაწილია არამედ მოსამართლის გონებრივ პროცესებთან მიმართებითაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სამართალშემოქმედებით პროცესში, რთული შემთხვევების აღქმისა და გადაწყვეტისას გამოიკვეთა მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე ჩამოყალიბებული ინტუიციით გადაწყვეტილების მიღების საკითხი<sup>90</sup> და სამართალშემოქმედებით პროცესში მისი

<sup>84</sup> იქვე, 3.

<sup>85</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის, თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 67.

<sup>86</sup> Coplan K.S., *Legal Realism, Innate Morality, and Structural Role of the Supreme Court in the U.S. Constitutional Democracy*, Pace Law Faculty Publications, 2011, 190.

<sup>87</sup> იქვე, 191.

<sup>88</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განჩინება №ს-967-916-2015, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება №3-/6778-20.

<sup>89</sup> Pound R., *Mechanical Jurisprudence*, *Columbia Law Review*, Vol. 8, No. 8, 1908, 605.

<sup>90</sup> Coplan K.S., *Legal Realism, Innate Morality, and Structural Role of the Supreme Court in the U.S. Constitutional Democracy*, Pace Law Faculty Publications, 2011, 182.

როლის მტკიცება.<sup>91</sup> ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჰათჩენსონის მიერ რთული შემთხვევების გადაწყვეტასთან დაკავშირებული გონებრივი პროცესის აღწერა.<sup>92</sup> რთული შემთხვევის გადაწყვეტა ფაქტობრივი გარემოების დეტალურად განხილვის შემდეგ მოსამართლის გონებრივი პროცესების საფუძველზე გაღებულადავით აკავშირებდა პრობლემასა და მის გადაწყვეტას.<sup>93</sup> მოსამართლის ინტუიციამი მოიაზრებოდა ის სოციალური და სამართლებრივი ფაქტორები, რომლებიც მოსამართლეს, როგორც პროფესიულად განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე ადამიანს, უყალიბებდა შინაგან რწმენას და გონებრივ ფონს, რომელიც შემდეგ დავის გადაწყვეტაში ეხმარებოდა.<sup>94</sup> რთული შემთხვევების სირთულეც ხომ მის არასტანდარტულ ბუნებაში მდგომარეობს და მოსამართლის გონებაში მიმდინარე მენტალური პროცესების კვლევა ნათელს ფენს მოსამართლის როლს მათი გადაწყვეტის პროცესში.

რთული, იგივე გარკვეულწილად უნიკალური შემთხვევების შეფასების სტანდარტის განსაზღვრისას რეალიზმში მნიშვნელოვანია შემთხვევის გადაწყვეტით მიღებული შედეგი. მოსამართლეების მიერ რთული შემთხვევების, დამკვიდრებული პრეცედენტის ან კანონის საფუძველზე გადაწყვეტა სამართალშემოქმედების შიშის მოტივით კანონის საფუძველზე განმტკიცებული უსამართლობის ტოლფასია.<sup>95</sup> რთული შემთხვევის განხილვისას გადამწყვეტია მოსამართლის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც უკვე არსებულ პრაქტიკასთან შესაბამისი და ამაჯდროულად, სამართლიანიც იქნება.

## 2. სამართლის დროსა და სივრცეში განვითარება

რთული შემთხვევის შეფასების სტანდარტად შესაძლოა განიხილებოდეს სადავო საკითხისადმი ახლებური მიდგომა. სამართალი უნდა ერგებოდეს საზოგადოების განვითარებას.<sup>96</sup> ამიტომ, მიზანშეწონილია რთული შემთხვევის თანამედროვე სინამდვილესთან შესაბამისობაში განხილვა და კონკრეტულ მომენტში

<sup>91</sup> იქვე.

<sup>92</sup> Zygmunt T.J.G., An Intuitive Approach to Hard Cases, Utrecht Law Review, Vol. 16, No. 1, 2020, 29.

<sup>93</sup> Hutchenson H. J., Judgement Intuitive the Function of the Hunch in Judicial Decision, Vol. 14, No. 3, 1929, 278.

<sup>94</sup> Leiter B., Legal Realism and Legal Doctrine, University of Pennsylvania Law Review, Vol. 163, No. 7, 2015, 1979, იხ. ციტირება: Cohen S. F., Transcendental nonsense and the Functional Approach, Columbia Law Review, Vol. 35, No. 6, 1935, 843.

<sup>95</sup> Frank J., Law and the Modern Mind, New York, 1930, 154.

<sup>96</sup> Pound R., The Need of Sociological Jurisprudence, Green Bag, Vol. 19, 1907, 612.

არსებულ საზოგადოებრივ სინამდვილეს მორგება.<sup>97</sup> სამართლისა და საზოგადოების ერთმანეთის პარალელურად განვითარების შედეგად, შესაბამისი სოციალური გარემოს გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის იქნება სამართლებრივად გამართლებული.<sup>98</sup> ამ მოცემულობის გარეშე ხშირად პრეცედენტის ან ძველი, კარგად დამკვიდრებული ნორმების შეფარდების საფუძველზე უცნაური და თანამედროვე სინამდვილესთან შეუთავსებელი შედეგი დგება.<sup>99</sup> რთული შემთხვევების შეფასების სტანდარტად შესაძლოა სწორედ მისი ინოვაციური ბუნება განისაზღვროს ვინაიდან თანამედროვე გონებას მორგებული სამართალი აყალიბებს სამართლიან გადაწყვეტილებებსა და სისტემას.<sup>100</sup>

სამართლებრივი რეალიზმის წარმოდგენა სამართალსა და რთულ შემთხვევებზე განპირობებულია სამართლის განუსაზღვრელი ბუნებით,<sup>101</sup> რაც უშუალოდ კავშირშია შემთხვევის ან საქმის გარემოებების ბუნდოვანებით გამოწვეულ რთულ შემთხვევებთან.<sup>102</sup> ვინაიდან სამართალი სოციალური მოვლენაა,<sup>103</sup> იგი მუდმივად განვითარებადი და საზოგადოებრივი ევოლუციის ნაწილი უნდა იყოს. კონკრეტულ სოციალურ სინამდვილესთან თანხვედრის მიზნიდან გამომდინარე, საჭიროა სამართლის მუდმივად გადახედვა და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა.<sup>104</sup> რთული შემთხვევების შეფასებისათვის სამართალი არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც რაღაც მიუწვდომელი, რომლის შეცვლა და დამკვიდრებული დანაწესებიდან გადახვევა დაუშვებელია.<sup>105</sup> სამართალი იმდენადვე პრაქტიკულია, რამდენადაც მიესადაგება რეალურ, ცხოვრებისეულ მოვლენებს. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის პროცესში სამართლისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება უნდა იყოს გათვალისწინებული.<sup>106</sup> რთული შემთხვევის შეფასების სტანდარტად შესაძლოა განისაზღვროს მათი დროში განვითარების ხარჯზე სოციალურ სინამდვილეს მისადაგება.

<sup>97</sup> Dagan H., The Real Legacy of American Legal Realism, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 38, No. 1, 2018, 1236.

<sup>98</sup> იქვე, 1239.

<sup>99</sup> Cardozo B.N., Growth of the Law, Yale University Press, 1924, 65.

<sup>100</sup> Beatty A.S., On Legal Realism-Some Basic Ideas of Jerome Frank, Alabama Law Review, Vol. 11, No. 2, 1959, 247.

<sup>101</sup> Schauer F., Legal Realism Untamed, Texas Law Review, Vol. 91, No. 4, 2013, 756.

<sup>102</sup> იქვე, 757.

<sup>103</sup> Pound R., The Lawyer as a Social Engineer, Journal of Public Law, Vol. 3, No. 2, 1954, 293.

<sup>104</sup> Llewellyn K.N., Some Realism about Realism – Responding to Dean Pound, Harvard Law Review, Vol. 44, No. 8, 1931, 1236.

<sup>105</sup> Pound R., The Need of a Social Jurisprudence, Green Bag, Vol. 19, 1907, 610.

<sup>106</sup> იქვე, 611.

რთული შემთხვევების შეფასების სტანდარტის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსამართლის მიერ საქმის გადაწყვეტისას გამოყენებული არგუმენტაცია. პოზიტიურსამართლებრივი მეთოდოლოგიით რთულია სამართლის მთლიანობაში აღქმა და მასში წარმოქმნილი პრობლემების შეფასება. სამართლის მუდმივად განვითარებადი ბუნებიდან გამომდინარე,<sup>107</sup> ის საჭიროებს მეცნიერულ მიდგომასა და სწორად შეფასებისათვის შორიდან დაკვირვებას.<sup>108</sup> სამართლებრივ სინამდვილეში მუდმივადაა სასამართლო დოქტრინებისა და პრეცედენტული პრაქტიკის სტატიკურობის საფრთხე. ამიტომაც მოსამართლეთა მთავარი დანიშნულება ამ საფრთხის თავიდან აცილება და სასამართლო პრაქტიკის თანამედროვე სინამდვილესთან შესაბამისობაში მოყვანაა.<sup>109</sup> ვინაიდან რეალური სამართალი იქმნება სასამართლო დარბაზში<sup>110</sup>, მნიშვნელოვანია მოსამართლეების მიერ რთული შემთხვევების სწორი შეფასება. მოსამართლე არა მარტო უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა, შეავსოს ის განუსაზღვრელობა და სიცარიელები, რომლებიც სამართლებრივი რეალიზმის გადმოსახედიდან სამართალში თავისთავად არსებობს.<sup>111</sup> მსგავსი სამართალშემოქმედებით მოსამართლეები აყალიბებენ რთული შემთხვევების მახასიათებლებსა და შეფასების სტანდარტს. სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მოსამართლე უნდა გასცდეს, სამართალში დანერგილ ნორმებს<sup>112</sup>. რთული შემთხვევების შეფასების სტანდარტად განისაზღვრება არაზუსტი და უსამართლო კანონები<sup>113</sup>, რომელთა შეფარდების პროცესში მარტივია უსამართლო გადაწყვეტილების მიღება. სამართლისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კანონებისა და პრეცედენტების ლინგვისტიკური ან ფორმალური მხარე, არამედ შინაარსი, რომელიც რეალურად კანონს აცოცხლებს.<sup>114</sup> საჭიროა სადავო ნორმა ან საკანონმდებლო დანაწესი განიმარტოს სოციალური სინამდვილის შესაბამისად. იარაღის ტარების უფლება, რომელიც მოქალაქეებს ამერიკის სახელმწიფოს ფორმირების ეტაპზე თავდაცვის მიზნით ჰქონდათ, სასამართლომ მოარგო თანამედროვე სი-

<sup>107</sup> Pound R., The Lawyer as a Social Engineer, Journal of Public Law, Vol. 3, No. 2, 1954, 293.

<sup>108</sup> Kennedy W.B., A Review of Legal Realism, Fordham Law Review, Vol. 9, No. 3, 1940, 364.

<sup>109</sup> Leiter B., Legal Realism and Legal Doctrine, University of Pennsylvania Law Review, Vol. 163, No. 7, 2015, 1978.

<sup>110</sup> Tamanaha B.Z., Understanding Legal Realism, Texas Law Review, Vol. 87, No. 4, 2009, 750.

<sup>111</sup> Schauer F., Legal Realism Untamed, Texas Law Review, Vol. 91, No. 4, 2013, 763.

<sup>112</sup> Llewellyn K.N., Jurisprudence Realism in Theory and Practice, New York, 2008, 132

<sup>113</sup> იქვე.

<sup>114</sup> იქვე.

ნამდვილეს და კონსტიტუციის განმარტებით უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე დაადგინა იარაღის სახლში შენახვის უფლება.<sup>115</sup> სწორედ მსგავსი განმარტებებით, სამართალშემოქმედების გზით ყალბდება სამართლიანი გადაწყვეტილებები და საბოლოოდ მთლიანი სისტემა.

## IV. სამართლებრივი რეალიზმის მეთოდოლოგიით როული შემთხვევის გადანყვეტის გამოწვევები

### 1. როული შემთხვევების თანამედროვე სინამდვილესთან შესაბამისობაში გადანყვეტა

სამართლებრივი რეალიზმისათვის, მისი განვითარების საწყის ეტაპზე, მთავარ გამოწვევად იქცა სამართალში მყარად ფესვგადგმული განზოგადებული და აბსტრაქტული დოქტრინების ალტერნატიული მიდგომების ჩამოყალიბება.<sup>116</sup> სამართლის სრულყოფისაკენ სწრაფვის ერთადერთი გზა განვითარება და პრაქტიკასთან შესაბამისობაა<sup>117</sup>. პრაქტიკულად შეუძლებელია სამართალს თანამედროვე სინამდვილის სიახლეების უგულებელყოფის ფონზე ეფექტიანობის ობიექტური პრეტენზია ჰქონდეს.<sup>118</sup> სამართალში ყოველთვის იარსებებს ცუდი პრეცედენტები და კანონები, ამიტომაც როული შემთხვევების გადანყვეტის რეალისტური მიდგომები თანამედროვე სინამდვილის გათვალისწინებით ქმნის წინამორბედისაგან განსხვავებულ და რაც მთავარია, გაუმჯობესებულ პრეცედენტებს.<sup>119</sup> სამართალშემოქმედებით პროცესში კანონმდებლობა მუსიკაა, რომლის მრავალგვარად შესრულების შესაძლებლობა ეძლევა სასამართლოს. სამართლის განვითარებისათვის აუცილებელია ამ მუსიკის შესრულების გზების ცვლა, როული შემთხვევების საუკეთესო და სამართლიანი გადანყვეტის საშუალებების ძიებაში.<sup>120</sup>

<sup>115</sup> District of Columbia v. Heller, 554 U.S 570 (2008).

<sup>116</sup> Leiter B., Legal Realism and Legal Doctrine, University of Pennsylvania Law Review, Vol. 163, No. 7, 2015, 1977.

<sup>117</sup> აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორებით, თბილისი, 2017, 69.

<sup>118</sup> Pound R., Mechanical Jurisprudence, Columbia Law Review, Vol. 8, No. 8, 1908, 605.

<sup>119</sup> Llewellyn K.N., Remarks on the Theory of Appellate Decisions and the Rules or Canons about How Statutes are to be Constructed, Vanderbilt Law Review, Vol. 3, No. 3, 1950, 399.

<sup>120</sup> Frank J., Words and Music: Some Remarks on Statutory Interpretation, Columbia Law Review, Vol. 47, No. 8, 1947, 1259.

სამართალი დროში განვითარების, სოციალური ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე სტატიკური და სიახლეს მოკლებული იქნებოდა.<sup>121</sup> პრეცედენტებთან დაკავშირებით მუდმივად დგას მათი შეცვლის აუცილებლობა. რეალისტური მიდგომების მნიშვნელოვანი გამოწვევაა წარსული გადაწყვეტილებების მომავალში უპირობოდ გადამღერების ვალდებულებისგან სამართლის სისტემის გათავისუფლება და სამართალშემოქმედებით პროცესში მოსამართლისათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭება. თანამედროვე სინამდვილესთან თანმხვედრი<sup>122</sup> ახალი მიდგომების შემუშავება<sup>123</sup> გახდა მოსამართლე უორენის თავმჯდომარეობის პერიოდში ამერიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი.<sup>124</sup> სკოლებში რასობრივი სეგრეგაციის გაუქმება, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, მნიშვნელოვანი სამართლებრივი და სოციალური ცვლილებების დასაწყისი გახდა.<sup>125</sup> მოსამართლე უორენის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მთავარი ამოსავალი წერტილი იყო სამართლიანობა და ნათლად იკვეთებოდა ადამიანის, როგორც სამართლის მთავარი ღირებულების ელემენტი. სამართალი იმდენად სიღრმისეულად ეხება ადამიანთა შორის ურთიერთობებს, რომ შეუძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ძველი ინსტიტუტების იდეალიზებით განვითარება.<sup>126</sup> მოცემული საქმის განხილვაც მარტივი იქნებოდა დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად. თუმცა „უორენის სასამართლოს“ გამორჩეული მიდგომა სწორედ სამართლის ღირებულებების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები იყო. ადამიანური ღირებულებებისგან დაცლილი სამართლის სისტემა, რომელიც მხოლოდ კარგად ნაცნობი და დროთა განმავლობაში დამკვიდრებული დოქტრინებით ხელმძღვანელობს, ვერასოდეს ჩამოაყალიბებს სამართლიან მართლწესრიგს.<sup>127</sup> ამ მიზეზით გახდა სასამართლო სისტემისათვის მნიშვნელოვანი აშშ-ის კონსტიტუციის მეორე შესწორების განმარტებით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სასჯელის სახედ ამერიკის მოქალაქისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევას დაუშვებლად მიიჩნევდა.<sup>128</sup> სასა-

<sup>121</sup> Pound R., The Need of Sociological Jurisprudence, Green bag, Vol. 19, 1907, 611.

<sup>122</sup> იქვე, 612.

<sup>123</sup> Altman A., Legal Realism, Critical Legal studies, and Dworkin, Philosophy and Public Affairs, Vol. 15, No. 3. 1986, 209.

<sup>124</sup> იხ., Brown v. Board of Education of Topeka, 347 U.S. 483 (1954); Trop v. Dulles, 356 U.S. 86 (1958).

<sup>125</sup> Brown v. Board of Education of Topeka, 347 U.S. 483 (1954).

<sup>126</sup> Pound R., Mechanical Jurisprudence, Columbia Law Review, Vol. 8, No. 8, 1908, 606.

<sup>127</sup> Pound R. The Need of Sociological Jurisprudence, Green bag, Vol. 19, 1907, 612.

<sup>128</sup> Trop v. Dulles, 356 U.S. 86 (1958).

მართლმაც განმარტა, რომ მერვე შესწორებაში მითითებული „სასტიკი და უჩვეულო“ სასჯელის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე საზოგადოების განვითარებად სტანდარტებს.<sup>129</sup> რთული შემთხვევების სამართლებრივი რეალიზმის მეთოდოლოგიით გადანყვეტა და ამ შემთხვევაში, მოსამართლე უორენის გადანყვეტილებები ყოველთვის გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას.<sup>130</sup> თუმცა სამართალშემოქმედებისადმი სკეპტიკური მიდგომების მიუხედავად, უორენის სასამართლო რთული შემთხვევებით განპირობებული სიცარიელის ემპირიულ, პრაქტიკასთან შესაბამისი სამოსამართლო აქტივიზმის გზით შევსების<sup>131</sup> ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

რთული შემთხვევების გადანყვეტისას აქტიურად განიხილებოდა ლინგვისტიკური ფორმულირებების მნიშვნელობა და მათი ინტერპრეტაცია. დანაწესების რთული, ბუნდოვანი ან არაზუსტი ბუნება განაპირობებს მათი სწორი ენობრივი ინტერპრეტაციის აუცილებლობას.<sup>132</sup> ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია საზოგადოებასთან, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნორმათა ინტერპრეტაციაში. თუმცა ეს აპრიორი იმის მანიშნებელი არაა, რომ კონტექსტი აყალიბებს ნორმებს. ამის ნათელი მაგალითი აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადანყვეტილებაა, რომლის საფუძველზეც მოქალაქეებს მიეცათ იარაღის თავდაცვის მიზნით, დაშლილ მდგომარეობაში შენახვის უფლება. სწორედ კონსტიტუციის მეორე შესწორებაში მითითებული ტერმინისა და მის კონტექსტურ შინაარსზე აპელირებით მიიღო სასამართლომ გადანყვეტილება, რომელიც მოერგო თანამედროვე სინამდვილეს.<sup>133</sup> რთული შემთხვევების გადანყვეტისას ნორმის ფორმირებისას არსებული კონტექსტი და თანამედროვე სინამდვილის ანალიზი მოსამართლეს ეხმარება ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულების განმარტებაში.<sup>134</sup> სწორედ მათი ურთიერთდაპირისპირებისა და ნორმის გონივრული ინტერპრეტაციის საფუძველზეა შესაძლებელი თანამედროვეობას მორგებული გადანყვეტილების მიღება.

<sup>129</sup> იქვე, 101.

<sup>130</sup> Cox A., Chief Justice Earl Warren, Harvard Law Review, Vol. 83, No. 1, 1969, 2.

<sup>131</sup> Rumble E. W. Jr., Legal Realism, Sociological Jurisprudence and Mr. Justice Holmes, Journal of the History of Ideas, Vol. 26, No. 4, 1965, 549.

<sup>132</sup> Schauer F., Easy Cases, Southern California Law Review, Vol. 58, No. 2, 1985 419.

<sup>133</sup> District of Columbia v. Heller, 554 U.S 570 (2008).

<sup>134</sup> Schauer F., Easy Cases, Southern California Law Review, Vol. 58, No. 2, 1985, 420.

## 2. ემპირიული მონაცემების ანალიზი სამართალშემოქმედებით პროცესში

სამართლებრივი რეალიზმისთვის ბუნდოვანი და ორაზროვანი დანაწესები ქმნიან რთულ შემთხვევებს.<sup>135</sup> შესაბამისად, მათი გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია სამართლის განუსაზღვრელი ბუნების მტკიცება.<sup>136</sup> პოზიტიურსამართლებრივი მიდგომების დომინირებამ და სამართლისა და საზოგადოების განვითარების საჭიროებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა განსხვავებული მიდგომების აუცილებლობა.<sup>137</sup> სამართალი იქმნება და ფორმირდება სასამართლო პროცესზე<sup>138</sup>, ამიტომ სამართლებრივი რეალიზმისთვის სამართალშემოქმედება ერთადერთი სწორი გზაა რთული შემთხვევების გადაწყვეტისას.<sup>139</sup> სამართალს არ ახასიათებს საკრალური ბუნება, ის უნდა იყოს ცვალებადი და თანამედროვე სინამდვილეს მორგებული. განვითარებად სოციუმში წარმოქმნილი რთული შემთხვევების გადაწყვეტა ფაქტობრივად შეუძლებელია წარსულში დამკვიდრებული დოქტრინების საფუძველზე.<sup>140</sup> რთული შემთხვევების განხილვის პროცესში, სამართლიანი გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების მიზნით, სამართალი დინამიკური და საზოგადოების განვითარების შესაბამისი უნდა იყოს.<sup>141</sup> რეალურად, შეუძლებელია სამართალი, რომელიც მიმართულია შეუსწავლელი საზოგადოების ან პირთა წრის მიმართ, იყოს სამართლიანი და ეფექტიანი.<sup>142</sup>

რთული შემთხვევების გადაწყვეტის პროცესში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სამართლის ფორმალისტური მიდგომების საპირისპიროდ მისი საზღვრების გაფართოება და ინტერდისციპლინური მეცნიერებების სამართალშემოქმედებით პროცესში აქტიურად შემოტანაა.<sup>143</sup> რასობრივი სეგრეგაციის გაუქმება და ძველი დოქტრინის („განცალკევებული, მაგრამ თანასწორი“<sup>144</sup>) შეცვლა ნათ-

<sup>135</sup> იქვე, 415.

<sup>136</sup> Coplan K.S., *Legal Realism, Innate Morality, and Structural Role of the Supreme Court in the U.S. Constitutional Democracy*, Pace Law Faculty Publications, 2011, 182.

<sup>137</sup> იქვე, 185.

<sup>138</sup> იქვე, 182, იხ. ციტირება: *Marbury v. Madison*, 5 US 137, 2 L. Ed. 60, 2 L. Ed. 2d 60, (1803).

<sup>139</sup> იქვე.

<sup>140</sup> Pound R., *The Need of Sociological Jurisprudence*, Green Bag, Vol. 19, 1907, 611.

<sup>141</sup> იქვე.

<sup>142</sup> Llewellyn K.N., *Some Realism about Realism – Responding to Dean Pound*, *Harvard Law Review*, Vol. 44, No. 8, 1931, 12049.

<sup>143</sup> Coplan K.S., *Legal Realism, Innate Morality, and Structural Role of the Supreme Court in the U.S. Constitutional Democracy*, Pace Law Faculty Publications, 2011, 191.

<sup>144</sup> გაგოშიძე მ., მუხადგვერდელი ნ., ბრაუნი ტოპეკას საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ, წიგნში: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. II, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022, 25.

ლად მიუთითებს სამართალშემოქმედებით პროცესზე ემპირიული სოციალური მეცნიერებების გავლენასა და მნიშვნელობაზე. ხშირად, რთული შემთხვევების გადაწყვეტისას ფაქტობრივი მონაცემებთან ერთად სოციალური და ფსიქოლოგიური კვლევები გადაწყვეტილების დასაბუთებას მეტად საფუძვლიანსა და სიღრმისეულს ხდის.<sup>145</sup> მოსამართლეებიც ადამიანები არიან, მათთვის დამახასიათებელი ცნობიერი თუ არაცნობიერი ინტერესებით, იურიდიული განათლებით, დავის გადაწყვეტის განსხვავებული მეთოდოლოგიითა და უპირატესობებით.<sup>146</sup> მათ მიერ ფსიქოლოგიური კვლევების გამოყენება გადაწყვეტილების არგუმენტაციის გამყარებისას მუდმივად იქნება საფრთხის შემცველი და უცხო, უმეტესად ფსიქოლოგიური კვლევების განსხვავებული მიდგომებიდან გამომდინარე.<sup>147</sup> ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური კვლევების გამოყენების საფრთხეებისა და გამოწვევების მიუხედავად, უგუნური იქნებოდა ამ მექანიზმების უგულვებლყოფა. შუძლებელია სამართლებრივად ღირებული გადაწყვეტილებების მიღება ადამიანის ქცევის ანალიზისა და იმ გარემო ფაქტორების კვლევის გარეშე, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებს რთული შემთხვევების ჩამოყალიბებას.<sup>148</sup> სწორედ ფსიქოლოგების მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ცხადყო რასობრივი სეგრეგაციის მავნე ზეგავლენა ფერადკანიან ბავშვებზე.<sup>149</sup> ადამიანთა ქცევის ანალიზი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დავებში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით. ემპირიული კვლევა გახდა გადაწყვეტილების საფუძველი სამართლოსთვის ვალდებულების დაწესების ნაწილში, მსაჯულთათვის გაეცნო ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულის მიერ ჩვენებაზე უარი არ უნდა გამხდარიყო მის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.<sup>150</sup> ფსიქოლოგიური კვლევები განსაკუთრებით აქტუალურია არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებში. აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) დასკვნის გათვალისწინებით, არ დაუშვა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დამნაშავეს თანდასწრებით დაკითხვა სასამართლო პროცესზე.<sup>151</sup> ემპირიული კვლევების მიმართ არსებული სკეპტიციზმის მიუხედავად, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მსგავსი მონაცემები სასამართლო არგუ-

<sup>145</sup> Rebel M.A., Judicial Activism and Public Policy, *Judges Journal*, Vol. 50, No. 1, 2011, 10.

<sup>146</sup> Radin M., Legal Realism, *Columbia Law Review*, Vol. 31, No. 5, 1931, 825.

<sup>147</sup> იქვე, 828.

<sup>148</sup> Llewellyn K.N., Some Realism about Realism – Responding to Dean Pound, *Harvard Law Review*, Vol. 44, No. 8, 1931, 1249.

<sup>149</sup> Brown v. Board of Education of Topeka, 347 U.S. 483 (1954).

<sup>150</sup> Carter v. Kentucky, 450 U.S. 288 (1981).

<sup>151</sup> Kentucky v. Stincer, 482 U.S. 730 (1987).

მენტაციის საფუძველს ამყარებს. სამართლიანი, საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით მნიშვნელოვანია პოზიტიურსა-მართლებრივი მიდგომების გარკვეული შეზღუდვებისგან გათავისუფლება და სა-მართლის საზღვრების გაფართოება<sup>152</sup>.

### 3. პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთმიმართება

სამართალშემოქმედებით პროცესში მუდმივად დგას მოსამართლეების მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების რისკი.<sup>153</sup> პოლიტიკური საკითხების ბუნებას ხშირ შემთხვევაში მოსამართლე განსაზღვრავს მათ განხილვაზე უარის თქმით.<sup>154</sup> შესაბამისად, საკითხები, რომელთა განხილვითაც გადაწყვეტილება პოლიტიკურ შინაარსს იღებს, არ უნდა იყოს სასამართლოს განსჯადი.<sup>155</sup> სამოსა-მართლო თვითობების კონტექსტში მნიშვნელოვანია ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის მოქმედება და მოსაწესრიგებელი საკითხების უფლებამოსილებათა შესაბამისად გადანაწილება. ხანდახან სასამართლოს უწევს, უარი თქვას პო-ლიტიკური საკითხების გადაწყვეტაზე სწორედ აღმასრულებელი და საკანონ-მდებლო ხელისუფლებათა კომპეტენციის იმედად.<sup>156</sup>

რეინქუისტის შეფასებით, შემდგომში უკვე პრეცედენტულად მიჩნეული საქმეები მათი განსახილველად დასაშვებობის ეტაპზევე არ უნდა მიეღო სასამა-რთლოს წარმოებაში<sup>157</sup>, ან არ მიეჩნია საკონსტიტუციო კონტროლის საკითხად, ვინაიდან არ იკვეთებოდა სახელმწიფოს შესაბამისი სამართლებრივი ქმედება.<sup>158</sup> სკალია, მისთვის ჩვეული ხისტი და პირდაპირი მსჯელობით, მიუთითებდა საკა-ნონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებისა და სამართალშემოქმედების გამი-ჯვნის აუცილებლობაზე, – მისი მოსაზრებით, დემოკრატიული უმრავლესობით გადასაწყვეტი საკითხების მოწესრიგება არ იყო სასამართლოს განსჯადი<sup>159</sup> და შესაბამისად, გმოზდა მნიშვნელოვან პრეცედენტებსაც (მაგ., ე.წ. ერთნაირსქე-

<sup>152</sup> Pound R., The Need of Sociological Jurisprudence, Green Bag, Vol. 19, 1907, 612.

<sup>153</sup> Sherain H., Thayer, Judicial Self-Restraint, and Watergate, Albany Law Review, Vol. 38, No. 1, 1973, 53.

<sup>154</sup> Mitchel S.R., Judicial Self-Restraint: Political questions and Malapportionment, Washington Law Review, Vol. 39, No. 4, 1964, 762.

<sup>155</sup> იქვე.

<sup>156</sup> *Colegrove v. Green*, 328 U.S 549, 557, (1946).

<sup>157</sup> იხ., *Roe v. Wade*, 410 U.S 113 (1973) (Rehnquist, J., dissenting).

<sup>158</sup> *Moose Lodge No. 107 v. Irvis*, 407 U.S. 163 (1972).

<sup>159</sup> ცვარიანი ბ., სამართლის ლეგენდა – ანტონინ სკალია, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018, 48.

სიანთა ქორწინების ლეგალიზაციის გადანყვეტილება<sup>160</sup>). მსგავსი პრეცედენტების სამართლებრივად მიზანშეწონილობის მიუხედავად, ცხადია, სამართლიანი მართლმსაჯულების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე თითოეული შტოს მიერ საკუთარ უფლებამოსილების განხორციელება. მართლმსაჯულების პროცესში მოსამართლეებს უნევთ განმარტება, თუმცა სკალიას არგუმენტაცია ყოველთვის ემყარებოდა ორიგინალიზმს, სასამართლო არგუმენტაციის ტრადიციებსა და გავრცელებულ სოციალურ პრაქტიკას.<sup>161</sup> მისი მსჯელობა მიმართული იყო მართლმსაჯულებისა და კანონის შექმნის გამიჯვნისაკენ. ორიგინალისტური მიდგომების საფუძველზე, ზოგადი წესის განმტკიცებით, იგი ზღუდავდა არა მხოლოდ ქვედა ინსტანციებს, არამედ საკუთარ თავსაც.<sup>162</sup> შეზღუდვები მიემართებოდა სამართლისა და პოლიტიკის გამიჯვნას, მისი შეფასებით, უმაღლესი სასამართლოს მიერ განმტკიცებული ზოგადი წესი არ მისცემდა მოსამართლეებს საშუალებას საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების ან სახელმწიფოს ინტერესების მორგებული გადანყვეტილებების მისაღებად.<sup>163</sup> ტაიერისეული თვითობოჭვა მოიცავდა მოსამართლის ვალდებულებას, არ შეეცვალა კანონმდებლობა, თუ მკაფიოდ არ იკვეთებოდა ნორმის არაკონსტიტუციურობა.<sup>164</sup> სასამართლოებმა უნდა იმუშაონ პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფლად,<sup>165</sup> რათა მათი გადანყვეტილებები ექცეოდეს არა პოლიტიკურ, რამედ სამართლებრივი არგუმენტაციის საზღვებში.

სამართალწარმოებისას პოლიტიკის შექმნის რისკს განაპირობებს რთული შემთხვევები, რომლებიც მოსამართლეს არჩევანის წინაშე აყენებს. ამ დროს გადამწყვეტია სასამართლოს მიერ გადანყვეტილების იმგვარად მიღება, რომ იგი არ გადავიდეს კანონის შექმნის პროცესში და არ აილოს საკუთარ თავზე საკანონმდებლო ორგანოს პოლიტიკური კონტექსტით გათვალისწინებული ვალდებულება. სამოსამართლო თვითობოჭვის ფარგლებში კანონის შექმნის ფუნქცია, რომელიც დემოკრატიული უმრავლესობით არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს მიემართება, არაა სასამართლოს საქმიანობის საგანი.<sup>166</sup> გადანყვეტილებები

<sup>160</sup> იხ., *Obergefell v. Hodges*, 576 U.S. 644, (2015), (Scalia, J., dissenting).

<sup>161</sup> Manning J.F., *Justice Scalia and The Idea of Judicial Restraint*, *Michigan Law Review*, Vol. 115, No. 6, 2017, 749.

<sup>162</sup> Scalia A., *The Rule of Law as a Law of Rules*, *University of Chicago Law Review*, Vol. 56, No. 4, 1989, 1179.

<sup>163</sup> იქვე.

<sup>164</sup> Luban D., *Justice Holmes and the Metaphysics of judicial Restraint*, *Duke Law Journal*, Vol. 44, No. 3, 1994, 453.

<sup>165</sup> იქვე, 495.

<sup>166</sup> Brennan W.J. Jr., *Constitutional Adjudication*, *Notre Dame Lawyer*, Vol. 40, No. 6, 1965, 567.

უნდა იქმნებოდეს სამართლის და არა პოლიტიკით ნაკარნახევი მიზნების შესაბამისად.<sup>167</sup> სწორედ პოლიტიკური დისკრეციის ფარგლებია საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა და უფლებამოსილება, მიიღოს პოლიტიკურად მოტივირებული კანონები.<sup>168</sup>

ორიგინალისტური მიდგომების მიხედვით, აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს მიერ აბორტის უფლების „გამოგონება“<sup>169</sup> და კონსტიტუციით დაცულ სფეროში მოქცევა შლის ზღვარს მართლმსაჯულებასა და პოლიტიკას შორის, რადგან აშშ-ის კონსტიტუციის მე-14 შესწორება არ მოიცავდა აბორტის უფლებას<sup>170</sup> და შესაბამისად, იყო საკანონმდებლო ორგანოს და არა სასამართლოს მოწესრიგების საგანი. ერთნაირსქესიანთა ქორწინების უფლების კონსტიტუციურად დაცულ უფლებად აღიარების პრობლემა ნათლად იკვეთება მოსამართლე სკალიას განსხვავებულ აზრში.<sup>171</sup> მიუხედავად იმისა, რომ მოცემული პრეცედენტი უდავოდ მნიშვნელოვან პრაქტიკასა და სტატუს კვოს ამკვიდრებს, სადავოა მისი სამართლებრივი საფუძველი. ამ შემთხვევაში ორიგინალისტური მიდგომითა და ძალაუფლების გამიჯვნის თეორიის საფუძველზე ცხადია, რომ საკითხი მეტად პოლიტიკურია და არ უნდა მოქცეულიყო სასამართლოს განსჯის ფარგლებში. როგორც სკალია აღნიშნავს: „თითოეული გადაწყვეტილებით, რომელიც მოუზღებლად დაფუძნებულია არა სამართალზე, არამედ ამ სასამართლოს მცირე უმრავლესობის „ლოგიკურ მსჯელობაზე“ – ჩვენ ერთი ნაბიჯით წინ ვინევთ ჩვენი მნიშვნელობის შესენებისაკენ“<sup>172</sup>. ამ შემთხვევაში სასამართლომ გვერდი აუტომატა ჰომოსექსუალთა უფლებების კონსტიტუციურად დაცულ უფლებად განხილვის საკითხს და გადაწყვეტილება მიიღო მხოლოდ გონივრული მიხედულობის შეფარდებით, რამაც მართლმსაჯულება გარკვეულწილად პოლიტიკური დისკრეციის ფარგლებში მოაქცია. მსგავს საკამათო საკითხებში, სადაც პოლიტიკური ელემენტი მეტია, ვიდრე სამართლებრივი, მნიშვნელოვანია სასამართლოს სწორი შეფასება და პოლიტიკის შექმნისგან თავის შეკავების მიზნით სამართლით ნაკარნახევი გადაწყვეტილებების მიღება. ცხადია, სასამართლო არ უნდა გადავიდეს პოლიტიკის შექმნაში, თუმცა რთული შემთხვევების გადაწყვეტისას სამართალ-შემოქმედება ხშირად აუცილებელი ელემენტია.

<sup>167</sup> იქვე.

<sup>168</sup> Scalia A., Rulemaking as Politics, *Administrative Law Review*, Vol 34, 1982, 3.

<sup>169</sup> ცვარიანი ბ., სამართლის ლეგენდა – ანტონინ სკალია, *ჟურნ. „სამართლის მეთოდები“*, N2, 2018, 47.

<sup>170</sup> იქვე.

<sup>171</sup> *Obergefell v. Hodges*, 576 U.S 644 (2015).

<sup>172</sup> იქვე, 2631 (Scalia, J., dissenting).

#### 4. ინტერპრეტაცია და სამოსამართლო აქტივიზმი რთული შემთხვევების გადაწყვეტის კონტექსტში

სამართალი მნიშვნელობას იძენს ინტერპრეტაციის გზით, ავტორიტეტულ წყაროებში საკუთარი მნიშვნელობის კვლევით.<sup>173</sup> გადაწყვეტილების მიღება ნორმის ინტერპრეტაციით შესაძლოა ორგვარი მნიშვნელობის იყოს: სასამართლო იკვლევს კანონშემოქმედის ნებას, რომელიც კანონის ფორმირების ეტაპზე არსებობდა; სასამართლო არკვევს, თუ რა მნიშვნელობა შეუძლია მოაქციოს სადავო კანონის ტექსტში.<sup>174</sup> ინტერპრეტაციისგან განსხვავებით, მეტად სარისკოა და გამბედაობას მოითხოვს სამოსამართლო აქტივიზმი, რომლის მნიშვნელობა სამართლებრივ წრეებში ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსს იძენს.<sup>175</sup> სამოსამართლო აქტივიზმი ვიწრო საფეხმავლო გზას ჰგავს, რომლისგან მცირედი გადაცდომა და ზომიერების დარღვევა სასამართლოს საკუთარ დანიშნულებას აშორებს.<sup>176</sup> თუმცა მის გარეშე სამართალშემოქმედებისგან დაცლილი სამართლებრივი სისტემა სხვა რისკების შემცველია.

სამოსამართლო აქტივიზმი, მიუხედავად გამოწვევებისა, სამართლიან, არაგუმენტირებულ პრაქტიკას აყალიბებს, იკვლევს და ადგენს კანონის იმ მიზნებს, რომლებიც კანონმდებელს შესაძლოა სულაც არ ჰქონოდა ნორმის ფორმირების ეტაპზე, თუმცა კანონი მას მოიაზრებდეს იმპლიციტურად.<sup>177</sup> სამოსამართლო აქტივიზმი გახდა გადაწყვეტილება სკოლებში რასობრივ სეგრეგაციის გაუქმებასთან დაკავშირებით,<sup>178</sup> რომელიც იყო არა მარტო სამართლიანი, არამედ მისი საშუალებით სასამართლომ საკუთარი უფლებამოსილება გააფართოვა და მართლმსაჯულების ახლებური მიდგომა განავითარა.<sup>179</sup> სამოსამართლო აქტივიზმის მეთოდოლოგიით განიმარტა ამერიკის კონსტიტუციის მე-14 შესწორება: არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კანონმდებლობით სამუშაო საათების ზედა

<sup>173</sup> Schlag P., On Creativity in Constitutional Interpretation, *Law: Journal of the Higher School of Economics*, Vol. 2014, No. 2, 2014, 143.

<sup>174</sup> Perry M.J., Judicial Activism, *Harvard Journal of Law and Public Policy*, Vol. 7, No. 1, 1984, 70.

<sup>175</sup> Kmiec K.D., The Origin and Current Meaning of Judicial Activism, *California Law Review*, Vol. 92, No. 5, 2004, 1443.

<sup>176</sup> იქვე, 1465, იხ., *Kimel v. Florida Board of Regents*, 528 U.S 62 (2000), 98 (Stevens, J., dissenting).

<sup>177</sup> Perry M.J., Judicial Activism, *Harvard Journal of Law and Public Policy*, Vol. 7, No. 1, 1984, 69.

<sup>178</sup> *Brown v. Board of Education of Topeka*, 347 U.S. 483 (1954).

<sup>179</sup> *Rebell M.A.*, Judicial Activism and Public Policy, *Judges Journal*, Vol. 50, No. 1, 2011, 9.

ზღვრის დანესება და დადგინდა, რომ ეს შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო თავისუფლების იდეას.<sup>180</sup> სამოსამართლო აქტივიზმი შეეხო რელიგიის და აღმსარებლობის თავისუფლებასაც: სასამართლომ განმარტა კონსტიტუციის პირველი შესწორება, ამოვიდა ლოცვის ტექსტის შინაარსიდან და მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში კონკრეტული კონფესია არ იკვეთებოდა, დაადგინა მოსწავლეებისათვის ლოცვის წაკითხვის დავალდებულებით კონსტიტუციით აღიარებული უფლების შელახვა.<sup>181</sup>

სამოსამართლო აქტივიზმის კრიტიკის მიუხედავად, სინამდვილეში სამართალი არის ის, რაც სასამართლო დარბაზში წყდება.<sup>182</sup> საკანონმდებლო დანაწესები მართლმსაჯულების პროცესში მიმართულებას იძლევიან, ხოლო სასამართლო რთული შემთხვევების გადაწყვეტისას განმარტავს, განავრცობს და საჭიროების შემთხვევაში ქმნის სამართალს. ფორმალისტური მიდგომა და დავის მხოლოდ კანონმდებლის მიზნებიდან ამოსული მსჯელობით გადაწყვეტა ზღუდავს და ჩარჩოებში აქცევს სამართალს. სტატიკური სამართალი კი ვერ ამართლებს განვითარებული საზოგადოების მოთხოვნებს და ფეხს ვერ უწყობს თანამედროვეობას.<sup>183</sup>

## V. დასკვნა

სამართალი, სამყაროს მსგავსად, მიზეზშედეგობრივია. სამართლის სოციალური ბუნება მის მუდმივ განვითარებას და თანამედროვე სინამდვილეს მორგებას მოიპოვებს. რთული შემთხვევების სამართლებრივი რეალიზმის კონტექსტში განხილვისას იკვეთება მისი ძირითადი მახასიათებლები. რეალიზმისათვის რთული შემთხვევა პენუმბრულ სივრცეში მოსამართლისათვის შემოქმედებითი თავისუფლების შესაძლებლობას გულისხმობს, ასევე მოიპოვებს პოზიტიური კანონმდებლობის მიერ შემოთავაზებული ნორმის გამოყენებით განპირობებული უსამართლო გადაწყვეტილების თავიდან არიდების საშუალებას. რთულ შემთხვევას აყალიბებს დავის გადაწყვეტის მომწესრიგებელი რამდენიმე საკანონმდებლო დანაწესის თანაარსებობა. სამართლებრივი რეალიზმი რთულ შემ-

<sup>180</sup> *Lochner v. New York*, 198 U.S 45, (1905).

<sup>181</sup> *Engel v. Vitale*, 370 U.S 421 (1962), 438.

<sup>182</sup> *Tamanaha Z.B.*, *Understanding Legal Realism*, *Texas Law Review*, Vol. 87, No. 4, 2009, 750.

<sup>183</sup> *Coplan K.S.*, *Legal Realism, Innate Morality, and Structural Role of the Supreme Court in the U.S. Constitutional Democracy*, *Pace Law Faculty Publications*, 2011, 190.

თხვევებს ასევე მიაკუთვნებს საქმეებს, რომელთა პოზიტიური კანონმდებლობის შესაბამისად გადანაცვების შედეგად თანამედროვე სინამდვილესთან შეუსაბამო შედეგი დგება. შესაძლოა ითქვას, რომ რეალისტებისთვის რთული შემთხვევები ბუნდოვან, გაურკვეველ და ორაზროვან კანონმდებლობასთან ასოცირდებოდა.

განვითარების დასაწყისშივე, სამართლებრივი რეალიზმის მთავარ მიზნად ემპირიულ კვლევებზე დამყარებული მართლმსაჯულების განვითარება იქცა. შემთხვევების შეფასების სტანდარტად ინტერდისციპლინური მეცნიერებებისა და თანამედროვე სინამდვილესთან შესაბამისი გადანაცვებების მიღების აუცილებლობა განისაზღვრება. რთული შემთხვევის გადანაცვებისას რეალისტური მიდგომის ერთ-ერთი ღირებულება სწორედ სამართლის საზღვრების გაფართოება და ფსიქო-სოციალური ფაქტების, ეკონომიკურ ანალიზსა და ემპირიულ მონაცემებზე დამყარებული მართლმსაჯულებაა. მიუხედავად სამართალში არსებული სკეპტიციზმისა, პრაქტიკა ცხადყოფს ინტერდისციპლინური მეცნიერებების მართლმსაჯულების პროცესში გამოყენების მიზანშეწონილობასა და გარდაუვალ აუცილებლობას. რეალიზმის მეთოდოლოგიით რთული შემთხვევების გადანაცვების პროცესში მთავარი გამოწვევა სამართალსა და პოლიტიკას შორის არსებული საზღვრის დაცვაა. სასამართლომ უნდა შეინარჩუნოს ოქროს შუალედი და სამოსამართლო აქტივიზმის პროცესში გადანაცვებება ჩამოაყალიბოს სამართლებრივი და არა პოლიტიკური კონტექსტით მოტივირებულ მსჯელობაზე. სამართლებრივი სისტემის სრულყოფისაკენ სწრაფვის გარდაუვალი ნაწილია მუდმივი ჭიდილი სამოსამართლო აქტივიზმსა და სამოსამართლო თვითბოჭვას შორის. სამართალშემოქმედებისას რთული შემთხვევების განხილვის პროცესში მკრთალი გამმიჯნავი საზღვრები ხშირად იშლება და სასამართლო ქმნის პოლიტიკას (რაც, თავის მხრივ, განპირობებულია საკანონმდებლო ორგანოთა არაეფექტიანი საქმიანობით). ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სამოსამართლო აქტივიზმის გზით სამართალშემოქმედების გარეშე სამართალი მხოლოდ მშრალი ენობრივი ფორმებით გამოხატული ქცევის წესების ერთიანობა იქნებოდა, მყიფე პოზიტივისტური მიდგომა კი ღირებულებებისგან დაცლილი სისტემის საფრთხეს ქმნის.

სამართლებრივი რეალიზმი, ტრადიციული მიდგომების საპირისპიროდ, სამართალს ღია სივრცედ განიხილავს და არ ზღუდავს მას პრეცედენტებისა თუ ნორმების სავალდებულო ძალით. რთული შემთხვევების გადანაცვებისას სამართალთან მჭიდროდ დაკავშირებულ მეცნიერებებს იყენებს და სამოსამართლო აქტივიზმის საფუძველზე ქმნის პრაქტიკულ, თანამედროვე სამართლებრივ სინამდვილესთან შესაბამის ადამიანურ ღირებულებებზე ორიენტირებულ პრეცედენტებს.

## გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის და ლ. გიორგაძის, თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017 [aponasini e., didik'ini a., samartlis pilosopia, t. sekhniashvilis, t. zarkuas, t. mamulashvilis, l. giorgadzis da l. giorgadzis, targmani, d. gegenavas redakt'orbit, tbilisi, 2017]
- გაგოშიძე მ., მუხადგვერდელი ნ., ბრაუნი ტოპეკას საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ, რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. II, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022 [gagoshidze m., mukhadgverdeli n., brauni t'op'ek'as saganmanatleblo sabch'os ts'inaagmdeg, rtuli shemtvvebi sasamartlo p'rakt'ik'ashi, t'. II, d. gegenavas redakt'orbit, tbilisi, 2022]
- გეგენავა დ., კამიუ „უცხო“, სამართალი და მორალი გემოვნებით, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018 [gegenava d., k'amiu „utskho“, samartali da morali gemovnebit, zhurn. „samartlis metodebi“, N2, 2018]
- ერლიხი ო., სამართლის სოციოლოგია, ლ. ბრეგვაძის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2021 [erlikhi o., samartlis sotsiologia, l. bregvadzis targmani, „samartlis zhurnali“, N2, 2021]
- ცვარიანი ბ., სამართლის ლეგენდა – ანტონინ სკალია, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018 [tsvariani b., samartlis legenda - ant'onin sk'alia, zhurn. „samartlis metodebi“, N2, 2018]
- ჭეიშვილი ი., „პენუმბრის“ მნიშვნელობა სამართალში და მისი შინაარსობრივი ევოლუცია პარტამდე, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018 [ch'eishvili i., „p'enumbris“ mnishvneloba samartalshi da misi shinaarsobrivi evolutsia hart'amde, zhurn. „samartlis metodebi“, N2, 2018]
- Altman A., Legal Realism, Critical Legal Studies, and Dworkin, Philosophy and Public Affairs, Vol. 15, No. 3. 1986
- Beatty A.S., On Legal Realism-Some Basic Ideas of Jerome Frank, Alabama Law Review, Vol. 11, No. 2, 1959
- Brennan W.J. Jr., Constitutional Adjudication, Notre Dame Lawyer, Vol. 40, No. 6, 1965
- Burrus B.R., American Legal Realism, Howard Law Journal, Vol. 8, No. 1, 1962
- Cardozo B.N., Growth of the Law, Yale University Press, 1924
- Cardozo B. N., The Nature of the Judicial Process, Yale University Press, 1921
- Charles P. L. Jr., Future Constitutional Opinions of Mr. Justice Cardozo, Cornell Law Review, Vol. 17, No. 4, 1932
- Coplan K.S., Legal Realism, Innate Morality, and the Structural Role of the Supreme Court in the U.S. Constitutional Democracy, Tulane Law Review, Vol. 86, No. 1, 2011
- Cox A., Chief Justice Earl Warren, Harvard Law Review, Vol. 83, No. 1, 1969
- Dagan H., Normative Jurisprudence and Legal Realism, University of Toronto Law Journal, Vol. 63, No. 3, 2014

- Dagan H., The Real Legacy of American Legal Realism, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 38, No. 1, 2018
- Dworkin R., Hard Cases, Harvard Law Review, Vol. 88, No. 6. 1975
- Frank J., Law and the Modern Mind, New York, 1930
- Frank J., Words and Music: Some Remarks on Statutory Interpretation, Columbia Law Review, Vol. 47, No. 8, 1947
- Gardner J.A., The Sociological Jurisprudence of Roscoe Pound (Part 1), Villanova Law Review, Vol. 7, No 1, 1961
- Greely H.T., A Footnote to “Penumbra” in Griswold V. Connecticut, Constitutional Commentary, Vol. 6, No. 2, 1989
- Henly B., Penumbra: The Roots of a Legal Metaphor, Hastings Constitutional Law Quarterly, Vol. 15, No. 1, 1987
- Holmes O.W. Jr., The Autocrat of the Breakfast-Table, Vol. 2114, 1883
- Holmes O.W. Jr, The Path of the Law, Harvard Law Review, Vol. 10, No. 8, 1897
- Horvath B., Between Legal Realism and Idealism, Northwestern University Law Review, Vol. 48, No. 6, 1953-1954
- Hutchenson H. J., Judgement Intuitive the Function of the Hunch in Judicial Decision, Vol. 14, No. 3, 1929
- Kellogg F.R., Holmes, Common Law Theory, and Judicial Restraint, The John Marshall Law Review Vol. 36, No. 2, 2003
- Kennedy W.B., A Review of Legal Realism, Fordham Law Review, Vol. 9, No. 3, 1940
- Kmiec K.D., The Origin and Current Meaning of Judicial Activism, California Law Review, Vol. 92, No. 5, 2004
- Leiter B., Legal Indeterminacy, Legal Theory, Vol. 1, No. 4, 1995
- Leiter B., Legal Realism and Legal Doctrine, University of Pennsylvania Law Review, Vol. 163, No. 7, 2015
- Leiter B., Rethinking Legal Realism: Toward a Naturalized Jurisprudence, Texas Law Review, Vol. 76, No. 2, 1997
- Llewellyn K.N., Jurisprudence Realism in Theory and Practice, New York, 2008
- Llewellyn K.N., Remarks on the Theory of Appellate Decisions and the Rules or Canons about How Statutes are to be Constructed, Vanderbilt Law Review, Vol. 3, 1950
- Llewellyn K.N., Some Realism about Realism – Responding to Dean Pound, Harvard Law Review, Vol. 44, No. 8
- Luban D., Justice Holmes and the Metaphysics of judicial Restraint, Duke Law Journal, Vol. 44, No. 3, 1994
- Manning J.F., Justice Scalia and The Idea of Judicial Restraint, Michigan Law Review, Vol. 115, No. 6, 2017
- Mitchel S.R., Judicial Self-Restraint: Political questions and Malapportionment, Washington Law Review, Vol. 39, No. 4, 1964

- Perry M.J., Judicial Activism, *Harvard Journal of Law and Public Policy*, Vol. 7, No. 1, 1984
- Posner R.A., Legal Formalism, Legal Realism, and the Interpretation of Statutes and the Constitution, *Case Western Reserve Law Review*, Vol. 37, No. 2, 1986
- Posner R.A., Realism about Judges, *Northwestern University Law Review*, Vol. 105, No. 2, 2011
- Pound R., Mechanical Jurisprudence, *Columbia Law Review*, Vol. 8, No. 8, 1908
- Pound R., The Lawyer as a Social Engineer, *Journal of Public Law*, Vol. 3, No. 2, 1954
- Pound R., The Need of Sociological Jurisprudence, *Green bag*, Vol. 19, 1907
- Radin M., Legal Realism, *Columbia Law Review*, Vol. 31, No. 5, 1931
- Rebell M.A., Judicial Activism and Public Policy, *Judges Journal*, Vol. 50, No. 1, 2011
- Rumble E. W. Jr., Legal Realism, Sociological Jurisprudence and Mr. Justice Holmes, *Journal of the History of Ideas*, Vol. 26, No. 4, 1965
- Savarese R.J., American Legal Realism, *Houston Law Review*, Vol. 3, No. 2, 1965
- Scalia A., Rulemaking as Politics, *Administrative Law Review*, Vol 34, 1982
- Scalia A., The Rule of Law as a Law of Rules, *University of Chicago Law Review*, Vol. 56, No. 4, 1989
- Schlag P., On Creativity in Constitutional Interpretation, *Law: Journal of the Higher School of Economics*, Vol. 2014, No. 2, 2014
- Schauer F., Easy Cases, *Southern California Law Review*, Vol. 58, No. 2, 1985
- Schauer F., Legal Realism Untamed, *Texas Law Review*, Vol. 91, No. 4, 2013
- Sherain H., Thayer, Judicial Self-Restraint, and Watergate, *Albany Law Review*, Vol. 38, No. 1, 1973
- Stone H.F., Mr. Justice Cardozo, *Columbia Law Review*, Vol. 39, No. 1, 1939
- Tamanaha B.Z., Understanding Legal Realism, *Texas Law Review*, Vol. 87, No. 4, 2009
- Ursin E., Holmes, Cardozo, and the Legal Realists: Early Incarnations of Legal Pragmatism and Enterprise Liability, *San Diego Law Review*, Vol. 50, No. 3, 2013
- White G.E., Earl Warren as Jurist, *Virginia Law Review*, Vol. 67, No. 3, 1981
- Wilkins D.B., Legal Realism for Lawyers, *Harvard Law Review*, Vol. 104, No. 2, 1990
- Zygmunt T.J.G., An Intuitive Approach to Hard Cases, *Utrecht Law Review*, Vol. 16, No. 1, 2020

Nino Mukhadgverdeli\*

## RESOLVING HARD CASES AND AMERICAN LEGAL REALISM

### Abstract

Law's inherent ambiguity and indeterminacy generate complex cases that require balancing legal values with empirical evidence. Legal realism expands law's formal boundaries through creative interpretation that aligns with contemporary reality. While acknowledging written norms, this approach recognizes that law fundamentally governs human relationships and should not prioritize positive law over human welfare.

Given law's social control function, it must reflect current social realities. Legal realist methodology incorporates empirical data and contemporary practices specific to the decision's temporal and spatial context. In resolving hard cases, judges can supplement positive law and precedent with interdisciplinary insights, particularly from behavioral sciences. This integration of psychological, sociological, and economic research becomes especially crucial in cases involving discrimination or minors.

The Georgian legal system increasingly recognizes the necessity of such non-traditional approaches, as demonstrated by the growing incorporation of interdisciplinary scientific findings in judicial reasoning

*Keywords: Hard Cases, Legal Realism, Legal Ambiguity, Social Reality, Judicial Self-Restraint.*

---

\* Assistant, PhD Candidate at Sulkhan-Saba Orbeliani University, [n.mukhadgverdeli@sabauni.edu.ge](mailto:n.mukhadgverdeli@sabauni.edu.ge) <https://orcid.org/0009-0004-7712-5124>

თენგიზ ვერულავა\*

## სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა: პრობლემები და გადაწყვეტიის გზები

### I. შესავალი

სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობაა. სამედიცინო მომსახურებაზე ადეკვატური ხელმისაწვდომობის ნაკლებობას განიცდის მილიონობით ადამიანი მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ბარიერის ორი სახე არსებობს: ფინანსური და არაფინანსური. ფინანსურ ბარიერებს განეკუთვნება გადახდისუნარიანობა, ხოლო არაფინანსურს – სამედიცინო პერსონალის და დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, კულტურული და ენობრივი ხელმისაწვდომობა, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების დროულად მიღება. ჩამოთვლილ სახეებს შორის ყველაზე ხშირად გამოყოფენ ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა სწორედ ეფექტიან სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები: სამედიცინო სადაზღვევო პოლისის მფლობელთა (ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამების ბენეფიციარები, ინდივიდუალური ან დამქირავებლის მიერ დაზღვეული პირები) პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში; მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, რომელიც ფინანსური მიზეზების გამო უარს ამბობს საბაზისო სამედიცინო ინტერვენციებზე მაშინ, როდესაც არსებობს ამის საჭიროება; ერთ სულ მოსახლეზე კერძო ჯანდაცვითი დანახარჯების ოდენობა მომსახურების ტიპის მიხედვით. სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები: მოსახლეობის პროცენტული

\* კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, [tverulava@cu.edu.ge](mailto:tverulava@cu.edu.ge) <https://orcid.org/0000-0001-8110-5485>

წილი, რომელსაც ჩვეულებრივი სამგზავრო საშუალებებით შეუძლია სამედიცინო დაწესებულებამდე 30 წუთის განმავლობაში მისვლა; დაწესებულებათა წილი, სადაც ექიმი იმყოფება სულ მცირე 5 დღე კვირაში. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდის კომპონენტში გაითვალისწინება: მოსახლეობის მიერ მედიკამენტებზე გადახდილი თანხების პროცენტული წილი მათ ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯებში; კონსულტაციების პროცენტული წილი, როდესაც მედიკამენტების დაინიშნა, მაგრამ ისინი არ შეუძენიათ სიძვირის გამო; მედიკამენტების საშუალო ფასნამატის მარჯა.

2013 წლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედების შედეგად გაიზარდა სამედიცინო სერვისების ფინანსური ხელმისაწვდომობა, მაგრამ ფინანსური რისკებისაგან თანაბარი დაცვა ისევ სერიოზულ პრობლემად რჩება. ნაშრომის მიზანია სწორედ ჯანდაცვაზე ფინანსურ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული იმ პრობლემების ანალიზი, რაც განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა.

## II. სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ბარიერები

ჯანდაცვაზე ფინანსური ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაზღვევით მოსახლეობის მოცვა<sup>1</sup>. დაზღვევა, როგორც სოციალური, ასევე ნებაყოფლობითი, განიხილება როგორც ჯანდაცვაზე მოულოდნელი, კატასტროფული დანახარჯებისაგან დაცვის საშუალება.

2006 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო იღებდა სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას. მომდევნო წლებში მას დაემატა სახელმწიფო მოხელეთა ცალკეული კატეგორიების (მაგ., მასწავლებლები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, სამხედრო პირები) სადაზღვევო მოცვა.

2012 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებში ჩართული იყო 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვები, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალები და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცები (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

<sup>1</sup> ვერულავა თ., ჯორბენაძე რ., ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, როგორც ფუნდამენტური უფლება თუ პრივილეგია?, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. 12, N4, 2020, 34-48.

2013 წლის 28 თებერვლამდე საქართველოში დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა შეზღუდული იყო და მოიცავდა შემდეგ პროგრამებს: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევა; კომპაქტურ დასახლებებში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირების სამედიცინო დაზღვევა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა სახლების ბენეფიციარების და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დაზღვევა; სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურიატების ჯანმრთელობის დაზღვევა; სკოლა-პანსიონების ბენეფიციარები; პედაგოგები; რესურს-ცენტრების თანამშრომლები; აფხაზეთის ა/რ-ის ოკუპირებულ ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა; სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარები; საპენსიო ასაკის პირები; 6 წლამდე ასაკის ბავშვები; პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები; სტუდენტები.

წლიდან წლამდე იზრდებოდა სამედიცინო დაზღვევის ამა თუ იმ ფორმით მოცული მოსახლეობის რაოდენობა. 2007 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით მოსახლეობის მხოლოდ 4.1% იყო მოცული, 2008 წელს იგი 17%-მდე გაიზარდა, ხოლო 2012 წლისთვის 37.9%-ს მიაღწია. თუ ამას დავუმატებთ ჯანმრთელობის კერძო და კორპორაციული დაზღვევით მოცულ პირებს (362 663 პირი), მთლიანად ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევით მოცული იყო 1 981 123 ადამიანი (50,8%).

**ცხრილი 1:** ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეთა და სამედიცინო სადაზღვევო პოლისის მფლობელთა პროცენტული წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობასთან მიმართებით (სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მონაცემებზე დაყრდნობით)

| მედიკა                                                        | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|---------------------------------------------------------------|------|------|------|------|------|------|
| ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეთა წილი | 4.1  | 17.1 | 20.6 | 20.3 | 20.2 | 37.9 |
| სულ სამედიცინო სადაზღვევო პოლისის მფლობელთა წილი              | 6    | 23.2 | 29.9 | 33.8 | 32.4 | 50.8 |

სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების გაფართოების მიუხედავად, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, დაახლოებით 2 მილიონზე მეტ ადამიანს არ გააჩნდა სამედიცინო დაზღვევა და ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებდნენ ექიმთან საკუთარი სახსრებით მისვლას. პრობლემის გადაჭრის მიზნით, 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში 6-დან 60 წლამდე ასაკის ყველა იმ ადამიანს, რომელსაც მანამდე არანაირი სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონდა, მინიმალური სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული მომსახურების – გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული და გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობის – საშუალება მიეცა; საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე გახდა 2 300 000 ბენეფიციარი. 2013 წლის პირველი ივლისიდან კი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაემატა პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი დახმარების პროგრამების გეგმური სერვისებიც. პროგრამის მიზანია, ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა.

დღეისათვის საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით. ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახები (რომლებიც იღებენ 40 000 ლარზე მეტს ან 12 300 აშშ დოლარს წელიწადში) 2017 წლიდან მოხსნილი არიან საყოველთაო ჯანდაცვის შეღავათებიდან, მაგრამ მათ მაინც აქვთ გარკვეულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა ვერტიკალური პროგრამების საშუალებით. სავარაუდოდ, ისინი შეიძენენ კერძო ჯანმრთელობის დაზღვევას. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვის დასაშვებობა და დასაფარი თანადაფინანსების დონე ეფუძნება იმ ადამიანების შემოსავლებს, ვისაც არ გააჩნია კერძო დაზღვევა. აგრეთვე არსებობს 23 ეროვნული ჯანმრთელობის ვერტიკალური პროგრამა, რაც მოიცავს მთლიანი მოსახლეობის დაავადებების ან მკურნალობის საჭიროებებს.

თანადაფინანსების დონე განისაზღვრება პრიორიტეტული დაჯგუფების, შემოსავლის, ასაკის ან სხვა კრიტერიუმების მიხედვით. შემოსავლების მიხედვით ძირითადი პრიორიტეტული ჯგუფი მოიცავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ ოჯახებს. სხვა პრიორიტეტული ჯგუფები არიან 5 წლამდე ასაკის ბავშვები, ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები, სტუდენტები, პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ვეტერანები, იძულებით გადაადგილებული პირები, მასწავლებლები და სახალხო არტისტები (ლაურეატები). სიღარიბის ზღვარს ქვე-

მოთმცხოვრები ოჯახები და ვეტერანები (2020 წელს მოსახლეობის დაახლოებით 12%) გათავისუფლებულნი არიან სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისგან, მაგრამ ამბულატორიული მედიკამენტების მათი ხარჯის მხოლოდ 50% იფარება, თუ საქმე არ ეხება კონკრეტულ ქრონიკულ მდგომარეობას. შედარებით მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფებს, რომლებიც კვლავ აკმაყოფილებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის კრიტერიუმებს (2020 წელს მოსახლეობის 41%), ეძლევათ უფასო ვიზიტები ოჯახის ექიმებთან პირველადი ჯანდაცვის, გადაუდებელი ინტენსიური თერაპიისა და მშობიარობის სფეროში, მაგრამ ისინი სრულად იხდიან სპეციალისტებთან ვიზიტისა და ამბულატორიული მედიკამენტების ხარჯებს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ერთადერთი სარგებელი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველაზე მაღალშემოსავლიანი 1%-ისთვის, მიუხედავად კერძო დაზღვევის სტატუსისა, არის მშობიარობა (100% დაფარული) და ინფექციური დაავადებების მკურნალობა (80% დაფარული).

## ცხრილი 2: ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევით მოცული პირები, 2020

| კატეგორიები                                                                                                                             | დაზღვეულთა რაოდენობა | ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევის მქონე პირთა წილი (%) |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|-----------------------------------------------------------|
| სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კერძო დაზღვევის მქონე პირები (მაგ., სამხედრო მოსამსახურეები)                                             | 151 476              | 35                                                        |
| ნებაყოფლობითი კერძო დაზღვევის მქონე პირები (ჯგუფური ან ინდივიდუალური), რომლებზეც არ ვრცელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეღავათები | 240 827              | 55                                                        |
| ნებაყოფლობითი კერძო დაზღვევის მქონე პირები, რომლებზეც ასევე ვრცელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეღავათები                         | 45 999               | 10                                                        |
| სულ                                                                                                                                     | 438 302              | 100                                                       |

არსებობს ზღვარი, თუ რა თანხას დაფარავს მთავრობა. 2022 წლამდე, დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების დაფინანსების მოდელის დანერგვამდე, არ არსებობდა ზედა ზღვრის შეზღუდვები პაციენტების მიერ გადახდილ გადასახადებსა და იმ ფასებზე, რასაც საავადმყოფოები აკისრებენ პაციენტებს. შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების პირების მიერ პირადი დანახარჯები კვლავ მაღალი რჩებოდა. დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების დაფინანსების მოდელის დანერგვის შემდეგ სახელმწიფოს მიერ დაწესდა ზედა ზღვრის შეზღუდვები პაციენტების მიერ გადახდილ გადასახადებზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სამედიცინო მომსახურებაზე პაციენტების კერძო დანახარჯები. თუმცა დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების მოდელის დანერგვის შემდეგ გარკვეულ სერვისებზე, მაგალითად, ონკო-ჰემატოლოგიურ სერვისებზე დაწესებული თანაგადახდის ზემო ზღვარი საპენსიო ასაკის პირებისათვის საკმაოდ დიდი თანხაა, რაც ამცირებს ფინანსურ ხელმისაწვდომობას. მიზანშეწონილია აღნიშნულ სერვისებზე დაწესებული თანაგადახდების გადახედვა.<sup>2</sup>

### III. დაზღვევა და სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა


სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ იყენებს პიროვნება სამედიცინო მომსახურების სერვისებს. ამისათვის შეისწავლიან ექიმთან ვიზიტების სიხშირის მონაცემებს, საავადმყოფოში გატარებული საწოლ-დღეებისა და განუხლები პრევენციული ღონისძიებების რაოდენობას. გარდა ამისა, ხელმისაწვდომობა შეიძლება შევაფასოთ საჭიროებისას სამედიცინო მომსახურებით მიღების შესაძლებლობით.<sup>3</sup>

კვლევები ადასტურებს, რომ, დაზღვეულებთან შედარებით დაუზღვეველი პირები ნაკლებად იღებენ სამედიცინო მომსახურებას და აქვთ უარესი ჯანმრთელობის შედეგები. დაუზღვეველი მოზრდილების 24%-მა მოსალოდნელი ხარჯების გამო გადადო სამედიცინო მომსახურება და ხოლო 30%-მა ვერ შეძლო

<sup>2</sup> ვარდუაძე მ., ვერულავა თ., საპენსიო ასაკის პირების ფინანსური ხელმისაწვდომობა გადაუდებელ ონკო-ჰემატოლოგიურ მომსახურებაზე DRG მოდელის დანერგვის შემდეგ, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია“, ტ. 7, N2, 2023, 56-67.

<sup>3</sup> ვერულავა თ., ჯანდაცვის პოლიტიკა, თბილისი, 2023, 128-137; ვერულავა თ., ჯორბენაძე ა., ჰოსპიტალური სექტორის რეფორმა საქართველოში, ჟურნ. „ეკონომისტი“, ტ. 18, N3, 2022, 84-98.

**დიაგრამა 1: შინამეურნეობების წილი, რომლებმაც ჯანდაცვაზე ჯიბიდან კატასტროფული დანახარჯები განიეს (2010-2018) (წყარო: ჯანმოს ანგარიში: რამდენად შეუძლიათ ადამიანებს ჯანდაცვის მომსახურების საფასურის დაფარვა? 2021)**



საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღება მაღალი ხარჯების გამო.<sup>4</sup> დაზღვეულებთან შედარებით, დაუზღვეველი პირების ჰოსპიტალიზაცია ხდება სიცოცხლისთვის საშიშ გვიან ეტაპებზე.

აშშ-ში დაუზღვეველებს შორის უფრო მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს და ძუძუს კიბოს მაჩვენებლები, რაც დაკავშირებულია კიბოს სკრინინგზე ნაკლებ წვდომასთან. დაუზღვეველ პირებს აქვთ ჰიპერტენზიის, დიაბეტის და მომატებული ქოლესტერინის უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე დაზღვევის მქონე ადამიანებს.<sup>5</sup> გარდა ამისა, დაუზღვეველ პირებში უფრო მაღალია სიკვდილიანობის მაჩვენებელი.<sup>6</sup>

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედებამ ხელი შეუწყო სამედიცინო სერვისების მოხმარების ზრდას. 2013-2020 წწ-ში გაიზარდა როგორც ამბულატორიულ (33%), ისე სტაციონარული სერვისების მოხმარება (40%). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, USAID და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ 2014 წელს თებერვალი-აპრილის პერიოდში განხორციელდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ერთი წლის შედეგების შეფასება და ანალიზი (საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2014).

<sup>4</sup> Kaiser Family Foundation, Key Facts about the Uninsured Population, December 2018.

<sup>5</sup> Wilper A.P., Woolhandler S., Lasser K.E., McCormick D., Bor D.H., Himmelstein D.U., Hypertension, Diabetes, and Elevated Cholesterol among Insured and Uninsured U.S. Adults, Health Affairs, Vol. 28, No. 6, 2009, 134-148.

<sup>6</sup> Woolhandler S., Himmelstein D.U., The Relationship of Health Insurance and Mortality: Is Lack of Insurance Deadly?, Annals of Internal Medicine, Vol. 167, No. 6, 2017, 97-112.

ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედების შედეგად გაიზარდა სამედიცინო სერვისების ფინანსური ხელმისაწვდომობა. გეგმიური ამბულატორიის კომპონენტში გამოკითხულთა 84.1% და გეგმიური ჰოსპიტალიზაციისა და გადაუდებელი ამბულატორიის კომპონენტში რესპონდენტთა 78.2% აღნიშნა, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ყველაზე დადებით მხარეს წარმოადგენს მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერა.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს მოხმარების ზრდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვის შემდეგ. მაგალითად, ამბულატორიული სერვისების გამოყენება თითქმის გაორმაგდა: 2,1 ვიზიტიდან ერთ სულ მოსახლეზე 2012 წელს 4.0 ვიზიტამდე 2019 წელს. ჯანმრთელობის, მოხმარებისა და ხარჯების უახლესი კვლევის შედეგები (HUES) აჩვენებს, რომ ადამიანების 82%-მა მიმართა ჯანდაცვის პროვაიდერებს 2017 წელს ავადმყოფობისას, 2010 წელს კი – მხოლოდ 75%-მა და 2014 წელს – 79%-მა. დაუკმაყოფილებელი საჭიროებების შემცირება განსაკუთრებით ძლიერი იყო იმ შემოსავლების ჯგუფებისთვის, რომლებიც დაუზღვეველი იყვნენ 2013 წლამდე (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვამდე), ხოლო 2014 და 2017 წლებში სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრებ ადამიანებს შორის უთანასწორობა შემცირდა; თუმცა ბოლო წლებში მოსახლეობის მიერ გადახდილი თანხები მნიშვნელოვნად იზრდება და კატასტროფული დანახარჯების წილი 2013 წლიდან 2018-მდე 11.5%-დან 17.4%-მდე გაიზარდა; ეს ხარჯები კი განსაკუთრებულ ტვირთად მოსახლეობის უღარიბეს კვინტილს აწევა.<sup>7</sup>

## IV. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა

ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ხარისხიან სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მედიკამენტებზე დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში 40%-ს აღწევს (შედარებისათვის, ევროკავშირის ქვეყნებში ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების ხარჯი დაახლოებით 16-17%-ის ფარგლებში მერყეობს). აღნიშნული

<sup>7</sup> Goginashvili, K., Nadareishvili M., Habicht T., Can people Afford to Pay for Health Care? New Evidence on Financial Protection in Georgia (No. 9789289055802), World Health Organization, Regional Office for Europe, 2021, 23-35.

მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას. მედიკამენტებზე მაღალი დანახარჯების უმთავრეს მიზეზებია: მედიკამენტების არარაციონალური დანიშვნის პრაქტიკა, გენერიკული მედიკამენტების ნაკლებად გამოყენება, რეცეპტურის არასაკმარისი გამოყენება, პაციენტთა მიერ თვითმკურნალობა, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მედიკამენტების არასაკმარისი ფინანსური ლიმიტი, ფარმაცევტული ინდუსტრიის მხრიდან აგრესიული მარკეტინგი.<sup>8</sup>

მედიკამენტებზე მაღალ დანახარჯებს განაპირობებს მედიკამენტების არარაციონალური დანიშვნა. მკურნალობის დანიშვნისას ექიმები უპირატესობას ანიჭებენ ძირადღირებული ორიგინალი ბრენდებით მკურნალობას და შედარებით ნაკლებად იყენებენ გენერიკული დასახელების დაბალფასიან მედიკამენტებს. გენერიკული დასახელების მედიკამენტების დანიშვნის დაბალ დონეზე გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ დაბალია ასეთი სახის მედიკამენტებზე ფიზიკური ხელმისაწვდომობა.<sup>9</sup>

2009 წლის სექტემბერში მთავრობამ განახორციელა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის ლიბერალიზაცია, რის შედეგად შესაძლებელი გახდა პარალელური იმპორტი და გამარტივდა იმ ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაცია, რომელიც წარმოებულია და/ან დარეგისტრირებულია ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში, აშშ-ში, კანადაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. საქართველოს ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქტის დაშვება ხდება სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმით ან სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით. მოიხსნა ფარმაცევტული პრეპარატების ბაზარზე შესვლის ბარიერები, ბაზარი გახდა თავისუფალი და კონკურენტუნარიანი ადგილობრივი და უცხოური ფარმაცევტული ინდუსტრიისთვის. იმ ფარმაცევტულ პროდუქტიაზე, რომელიც უკვე რეგისტრირებულია საქართველოს ბაზარზე და შემოდის განსხვავებული მარკირებით, მოქმედებს მხოლოდ შეტყობინების რეჟიმი. კვლევები ადასტურებს, რომ შემცირდა ფასნამატის მოცულობები, თუმცა საქართველოში მედიკამენტების ფასნამატი მაინც უფრო მაღალი რჩება ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით.

<sup>8</sup> ვერულავა თ., ამბულატორიული მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია“, N3, 2019, 56-68.

<sup>9</sup> მასიუკოვიჩი ნ., ფარმაცევტული ბაზრის რეგულირება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია“, ტ. 7, N1, 2023, 45-58.

მედიკამენტების რაციონალურად დანიშვნის პრაქტიკაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, თუ რამდენს შეადგენს ექიმის მიერ ერთდროულად დანიშნულ მედიკამენტთა საშუალო რაოდენობა. საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ექიმები უმეტეს შემთხვევაში (51%) ნიშნავენ 3 და მეტ მედიკამენტს, შედარებით ნაკლებად 1 (25%) და 2 (24%) მედიკამენტს. მოსახლეობის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამედიცინო და ფარმაცევტული სფეროების სუსტი რეგულირება. მკურნალობისთვის მედიკამენტების შერჩევისას ექიმების 34% ყველაზე მეტად ეყრდნობა ფარმაცევტული კომპანიების მიერ მონოდებულ საინფორმაციო მასალებს.<sup>10</sup>

კვლევების თანახმად, მოსახლეობის მაღალრისკიანი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით, საპენსიო ასაკის ბენეფიციარებისთვის, პრობლემურია მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა; ისინი ოჯახის უმთავრეს პრობლემად გამოყოფენ მედიკამენტების შეძენას (36,6%), ასევე შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღების დაბალ ფინანსურ ხელმისაწვდომობას (22,8%), ბენეფიციართა ნაწილი (32,8 %) ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტს სიძვირის გამო ვერ ყიდულობს.<sup>11</sup>

## V. ჯანმრთელობის დაზღვევა და ჯანმრთელობის შედეგები

დაუზღვეველ ადამიანებს, დაზღვეულებთან შედარებით, აქვთ ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. დაუზღვეველ ადამიანებში უფრო ხშირია სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების დიაგნოსტიკა დაგვიანებულ სტადიებზე, ან მათი ჰოსპიტალიზაცია ჯანმრთელობის შედარებით მძიმე მდგომარეობაში.<sup>12</sup>

ჰიპერტენზიით, საშვილოსნოს ყელის სიმსივნით დაავადებულთა მაღალი მაჩვენებელი, აგრეთვე ძუძუს კიბოს მოგვიანებით სტადიებზე დიაგნოსტიკა

<sup>10</sup> საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია, მედიკამენტების დანიშვნის პრაქტიკა საქართველოში (2013), 2014, <[http://insurance.org.ge/admin/editor/uploads/files/Physician%20Prescription%20Practices%20\(2013\).pdf](http://insurance.org.ge/admin/editor/uploads/files/Physician%20Prescription%20Practices%20(2013).pdf)> [01.12.2024]

<sup>11</sup> Verulava T., Access to Medicines within the State Health Insurance Program for Pension Age Population in Georgia (Country). HealthMED, Vol. 8, No. 9, 2014, 56-72.

<sup>12</sup> Zhao J., Han X., Nogueira L., Fedewa S.A., Jemal A., Halpern M.T., Yabroff K.R., Health Insurance Status and Cancer Stage at Diagnosis and Survival in the United States, CA: A Cancer Journal for Clinicians, Vol. 72, No. 6, 2022, 112-123.

უფრო მეტად აღინიშნება დაუზღვეველ პირებში, ვიდრე დაზღვეულებში, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაუზღვეველი ადამიანები უფრო ნაკლებად ახდენენ სისხლის წნევის მონიტორინგს, იშვიათად იტარებენ საშვილოსნოს ყელის და მკერდის დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს.<sup>13</sup>

დაუზღვეველ ადამიანებში უფრო ხშირად აღინიშნება სიკვდილიანობის უფრო მაღალი დონე, ვიდრე დაზღვეულ პირებში. ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი სხვა ფაქტორების (მაგ., ასაკი, სქესი, განათლება, სიგარეტის მოწევა და სხვ.) გათვალისწინებით დადგინდა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის არქონა სიკვდილიანობის რისკს ზრდიდა 25%-ით<sup>14</sup>.

## VI. არასრული დაზღვევა

სამედიცინო დაზღვევა არ იძლევა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის სრულ გარანტიას. ბევრ ადამიანს აქვს არასრული დაზღვევა, ანუ მათი ჯანმრთელობის დაზღვევა ლიმიტირებულია, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობაზე.

აშშ-ში ჩატარებული კვლევების მიხედვით, სამედიცინო დაზღვევა ხშირ შემთხვევაში არ ფარავს მძიმე ავადმყოფობის ძირითად ხარჯებს.<sup>15</sup> დაბალი ან საშუალო შემოსავლების მქონე პირთათვის სამედიცინო მომსახურებაზე დაწესებული თანაგადახდები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემა. მოხუცთა ბევრი ოჯახი ცხოვრების დანაზოგს ხარჯავს ქრონიკული დაავადებების მკურნალობაზე, შინმოვლის სერვისებზე.

ჯანდაცვის ხარჯებში პაციენტის თანამონაწილეობა, ერთი მხრივ, ამცირებს დაუსაბუთებელი სამედიცინო მომსახურების რაოდენობას, მეორე მხრივ, საჭირო ამბულატორიული სერვისების რაოდენობას და შესაბამისად, ამცირებს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით ღარიბებში.

<sup>13</sup> Fu S., Rose L., Knowlton L., The Affordable Care Act and Insurance Status, Stage, and Timely Treatment Among Patients With Cancer: What Are the Possible Effects?, JAMA Network Open, Vol. 3, No. 2, 2020.

<sup>14</sup> Kronick R., Health Insurance Coverage and Mortality Revisited, Health Services Research, Vol. 44, No. 4, 2009, 1211.

<sup>15</sup> Seifert R.W., Rukavina M., Bankruptcy Is the Tip of a Medical-debt Iceberg, Health Affairs Web Exclusive, 2006.

## VIII. ჯანდაცვის არაფინანსური ბარიერები

ჯანდაცვის არაფინანსური ბარიერები მოიცავს საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებაზე ფიზიკურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას; ასევე, პაციენტებს და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს შორის ენის, განათლების, კულტურული განსხვავებების გენდერული და რასის ფაქტორების გამო წვდომის უუნარობას.

სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა გულისხმობს მგზავრობის ჩვეული საშუალებებით სამედიცინო დაწესებულებამდე 30 წუთის განმავლობაში მისვლის შესაძლებლობას. სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

საყოველთაო ჯანდაცვის ამოქმედების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. 100 000 მოსახლე და მეტი რიცხოვნობის დასახლებულ პუნქტებში უახლოეს მესამე ამბულატორიასთან მისასვლელად საშუალოდ 4 წუთია, პატარა ქალაქებში (<10 000 მოსახლე) 24 წუთამდე გაიზარდა<sup>16</sup>. 2010 წელს საქართველოს მოსახლეობის 85.5% აღნიშნავდა სამედიცინო დაწესებულებებთან წვდომას მათი საცხოვრებელი ადგილიდან 30 წუთის მანძილზე, ხოლო 2019 წლის ივლისში ეს მაჩვენებელი 90%-მდე გაიზარდა.<sup>17</sup>

საბაზისო სერვისებზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის შესაფასებლად გამოიყენება სამედიცინო მომსახურების განვითარების ადგილზე ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარების შესაძლებლობა. ჩატარებული კვლევის მიხედვით, როგორც ქალაქად, ისე სოფლად მცხოვრები პაციენტების 80%-ზე მეტს შეეძლო ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარება იმავე დაწესებულებაში, რომელსაც მიმართა ბოლო კონსულტაციისათვის. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობისათვის საბაზისო სამედიცინო სერვისები ფიზიკურად ხელმისაწვდომია.<sup>18</sup>

<sup>16</sup> სამედიცინო ბაზარი საქართველოში, მისი სტრუქტურა და სტრუქტურიდან გამომდინარე შედეგები. ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრის XV ტალღა, საერთაშორისო ფონდი კურაციო, 2022.

<sup>17</sup> ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), საზოგადოებრივი განწყობის კვლევა, 2019, <<https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20Poll%20-%20August%202020%20-%20GEO%20-%20Final.pdf>> [01.12.2024]

<sup>18</sup> საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2009, <[https://issuu.com/georgianpolitics3/docs/2009\\_shepaseba\\_jand-sistemis-angar](https://issuu.com/georgianpolitics3/docs/2009_shepaseba_jand-sistemis-angar)> [01.12.2024]

ჯანდაცვის არაფინანსურ ბარიერია სამედიცინო მომსახურებაზე ოპერატიული ხელმისაწვდომობა. იგი გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ექიმების მიერ პაციენტების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის შესაძლებლობას. აშშ-ში ჩატარებული კვლევის მიხედვით, პაციენტები ხშირად ვერ ახერხებენ ოჯახის ექიმთან ვიზიტის დანიშვნას, რის გამოც საჭირო სამედიცინო მომსახურების მისაღებად მიმართავენ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების სამსახურებს. კვლევის მიხედვით, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების სამსახურებში განხორციელებული ვიზიტების 53% არ იყო გადაუდებელი და მოიცავდა ისეთ პაციენტებს, რომლებმაც სამედიცინო მომსახურების ძიებაში ვერ შეძლეს ოჯახის ექიმთან ვიზიტის დანიშვნა.<sup>19</sup>

სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობაზე გავლენას ახდენენ სქესობრივი თავისებურებები. ჩატარებული კვლევები მონშობს, რომ ექიმი ქალები უფრო მეტად არიან პაციენტზე ორიენტირებულნი და უფრო მეტ დროს უთმობენ თავიანთ პაციენტებს, ვიდრე მამრობითი სქესის ექიმები.<sup>20</sup>

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე გავლენას ახდენენ ეთნიკური თავისებურებები. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, კალიფორნიის გადაუდებელი დახმარების ცენტრში, ლათინოამერიკელი პაციენტების 55%-მა, რომელთაც აღენიშნებოდათ კიდურების მოტეხილობა, ვერ მიიღეს ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები, მათი ეთნიკური სტატუსის გამო.<sup>21</sup> აფროამერიკელი პაციენტებიც შედარებით ნაკლებად ღებულობენ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს, ვიდრე თეთრკანიანები. აშშ-ში ეთნიკური უმცირესობები უფრო მეტად არიან დაუზღვეველები და აქვთ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. კვლევების მიხედვით, აფროამერიკელები, ლათინოამერიკელები ღებულობენ დაბალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას, ვიდრე თეთრკანიანი ამერიკელები, ხოლო ისეთ უბნებში, სადაც უფრო მეტად აფროამერიკელები და ლათინოამერიკელები ბინადრობენ, ბევრად ნაკლები პრაქტიკოსი ექიმი ეწევა სამედიცინო მომსახურებას.<sup>22</sup>

<sup>19</sup> Cunningham P., May J., Insured Americans Drive Surge in Emergency Department Visits, Center for Studying Health System Change Issue Brief, October 2003, <<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/14577417/>> [01.12.2024]

<sup>20</sup> Roter D.L., Hall J.A., Physician Gender and Patient-centered Communication, Annual Review of Public Health, Vol. 25, No. 1, 2004, 497-519.

<sup>21</sup> Todd K.H., Deaton C., D'Adamo A.P.D., Goe L., Ethnicity and Analgesic Practice, Annals of Emergency Medicine, Vol. 35, No. 1, 11-26.

<sup>22</sup> King T.E., Wheeler M.B., Medical Management of Vulnerable and Underserved Patients, New York, 2007, 128-135.

## IX. დასკვნა

სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა არის საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა. სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა ეფექტური სამედიცინო სერვისების თანაბარი გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. 2013 წლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედების შედეგად გაიზარდა სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს მოხმარების ზრდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვის შემდეგ. მიუხედავად აღნიშნულისა, ფინანსური რისკებისაგან თანაბარი დაცვა ისევ სერიოზულ პრობლემად რჩება. მოსახლეობის მაღალრისკიანი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით, საპენსიო ასაკის ბენეფიციარებისთვის, პრობლემურია მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა. დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების დაფინანსების მოდელის დანერგვის შემდეგ სახელმწიფოს მიერ დაწესდა ზედა ზღვრის შეზღუდვები პაციენტების მიერ გადახდილ გადასახადებზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სამედიცინო მომსახურებაზე პაციენტების კერძო დანახარჯები. თუმცა დიგნოზთან შეჭიდული ჯგუფების მოდელის დანერგვის შემდეგ გარკვეულ სერვისებზე დაწესებული თანაგადახდის ზემო ზღვარი საკმაოდ დიდი თანხაა, რაც ამცირებს ფინანსურ ხელმისაწვდომობას.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ვარდუკაძე მ., ვერულავა თ., საპენსიო ასაკის პირების ფინანსური ხელმისაწვდომობა გადაუდებელ ონკო-ჰემატოლოგიურ მომსახურებაზე DRG მოდელის დანერგვის შემდეგ, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია“, ტ. 7, N2, 2023 [varduk'adze m., verulava t., sap'ensio asak'is p'irebis pinansuri khelmisats'vdomoba gadaudebel onk'o-hemat'ologiuur momsakhureobaze DRG modelis danergvis shemdeg, zhurn. „jandatsvis p'olit'ik'a, ek'onomik'a da sotsiologia“, t. 7, N2, 2023]
- ვერულავა თ., ამბულატორიული მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია“, N3, 2019 [verulava t., ambulat'oriuli medik'ament'ebis pinansuri khelmisats'vdomoba khandazmultatvis, zhurn. „jandatsvis p'olit'ik'a, ek'onomik'a da sotsiologia“, N3, 2019]
- ვერულავა თ., ჯანდაცვის პოლიტიკა, თბილისი, 2023 [verulava t., jandatsvis p'olit'ik'a, tbilisi, 2023]
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა., ჰოსპიტალური სექტორის რეფორმა საქართველოში, ჟურნ. „ეკონომისტი“, ტ. 18, N3, 2022 [verulava t., jorbenadze a., hosp'it'aluri sekt'oris reporma sakartveloshi, zhurn. „ek'onomist'i“, t. 18, N3, 2022]

- ვერულავა თ., ჯორბენაძე რ., ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, როგორც ფუნდამენტური უფლება თუ პრივილეგია?, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. 12, N4, 2020 [verulava t., jorbenadze r., jandatsvaze khelmisats'vdomoba, rogorcs pundament'uri upleba tu p'riviligia?, zhurn. „ek'onomik'a da biznesi“, t'. 12, N4, 2020]
- მასიუკოვიჩი ნ., ფარმაცევტული ბაზრის რეგულირება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია“, ტ. 7, N1, 2023 [masiuk'ovichi n., parmatsevt'uli bazris regulireba dasavlet balk'anetis kveq'nebshi, zhurn. „jandatsvis p'olit'ik'a, ek'onomik'a da sotsiologia“, t'. 7, N1, 2023]
- Cunningham P., May J., Insured Americans Drive Surge in Emergency Department Visits, Center for Studying Health System Change Issue Brief, October 2003, <<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/14577417/>> [01.12.2024]
- Fu S., Rose L., Knowlton L., The Affordable Care Act and Insurance Status, Stage, and Timely Treatment Among Patients With Cancer: What Are the Possible Effects?, JAMA Network Open, Vol. 3, No. 2, 2020
- Goginashvili, K., Nadareishvili M., Habicht T., Can people Afford to Pay for Health Care? New Evidence on Financial Protection in Georgia (No. 9789289055802), World Health Organization, Regional Office for Europe, 2021
- Kaiser Family Foundation, Key Facts about the Uninsured Population, December 2018
- King T.E., Wheeler M.B., Medical Management of Vulnerable and Underserved Patients, New York, 2007
- Kronick R., Health Insurance Coverage and Mortality Revisited, Health Services Research, Vol. 44, No. 4, 2009
- Roter D.L., Hall J.A., Physician Gender and Patient-centered Communication, Annual Review of Public Health, Vol. 25, No. 1, 2004
- Seifert R.W., Rukavina M., Bankruptcy Is the Tip of a Medical-debt Iceberg, Health Affairs Web Exclusive, 2006
- Todd K.H., Deaton C., D'Adamo A.P.D., Goe L., Ethnicity and Analgesic Practice, Annals of Emergency Medicine, Vol. 35, No. 1
- Verulava T., Access to Medicines within the State Health Insurance Program for Pension Age Population in Georgia (Country), HealthMED, Vol. 8, No. 9, 2014
- Wilper A.P., Woolhandler S., Lasser K.E., McCormick D., Bor D.H., Himmelstein D.U., Hypertension, Diabetes, and Elevated Cholesterol among Insured and Uninsured U.S. Adults, Health Affairs, Vol. 28, No. 6, 2009
- Woolhandler S., Himmelstein D.U., The Relationship of Health Insurance and Mortality: Is Lack of Insurance Deadly?, Annals of Internal Medicine, Vol. 167, No. 6, 2017
- Zhao J., Han X., Nogueira L., Fedewa S.A., Jemal A., Halpern M.T., Yabroff K.R., Health Insurance Status and Cancer Stage at Diagnosis and Survival in the United States, CA: A Cancer Journal for Clinicians, Vol. 72, No. 6, 2022

Tengiz Verulava\*

## ACCESEBILITY OF MEDICAL SERVICES: ISSUES AND POTENTIAL SOLUTIONS

### Abstract

Access to medical services is the ability to receive medical services when needed. Millions of people in the world, including Georgia, suffer from inadequate access to medical services. Access barriers to medical services are categorized into two types: financial and non-financial. Financial barriers primarily include solvency. Non-financial barriers include geographical accessibility of medical personnel and institutions, cultural and linguistic accessibility, and timely receipt of relevant medical services for those who need them. Among these types, financial and geographical accessibility are most frequently identified as primary challenges.

The main task of the state is to ensure equal geographic and financial access to effective medical services. Since 2013, as a result of the implementation of the universal healthcare program, financial access to medical services has increased in Georgia; however, equal protection from financial risks remains a serious problem. The aim of this paper is to analyze the problems related to financial access to healthcare, which are particularly relevant in the current context.

*Keywords: Accessibility to Medical Services, Financial Access to Health Care, Medical Services.*

---

\* Professor at Caucasus University, [tverulava@cu.edu.ge](mailto:tverulava@cu.edu.ge) <https://orcid.org/0000-0001-8110-5485>

გურამ ანანიშვილი\*

## პოლიტიკური ანომია და სამოქალაქო ომი

### I. შესავალი

1897 წელს დიურკემმა ადამიანთა თვითმკვლელობის მიზეზთა კვლევის საფუძველზე შექმნა თეორია, რომელსაც სოციალური ანომია უწოდა.<sup>1</sup> ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრებოდა საზოგადოების მდგომარეობა მყისიერი ცვლილებების პერიოდში, როდესაც ძველი სოციალური ნორმები დისფუნქციური ხდება, ხოლო ახალი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. დიურკემს მიაჩნდა, რომ ეს ნორმები ადამიანებს ეხმარება ქაოსურ სოციალურ სამყაროში შეძლონ ორიენტირება, იპოვონ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, ჰქონდეთ მიზანი, თვითრეალიზების შესაძლებლობა, რაც სტიმულს მისცემს, განაგრძონ ცხოვრება. ნორმების არარსებობა ადამიანთა ცხოვრებას ართულებს, ზრდის დეზორიენტაციას და გაუგებრობას, რაც გამოიხატება სუიციდური შემთხვევების რაოდენობის ზრდაში. დიურკემი ასევე შენიშნავს, რომ ნორმატიული მარეგულირებელი მექანიზმები ინგრევა როგორც პოზიტიური განვითარებების დროს (მაგ., ეკონომიკური ბუმი), ისე ნეგატიური პროცესების პირობებში (მაგ., ეკონომიკური დეპრესია).<sup>2</sup>

დიურკემი არაერთხელ გაუკრიტიკებიათ საზოგადოების ცხოვრებაში სახელმწიფოს დიდი როლის არგუმენტირების გამო. მისი, როგორც სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი ადევტის, პოლიტიკური მოსაზრებების კრიტიკა პოსტსტრუქტურალიზმის და შემდგომ ეპოქებში მეტად გამძაფრდა.<sup>34</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიურკემის სოციალური ანომიის კონცეფცია, ისევე, როგორც მისი სააზროვნო ტრადიციის მიხედვითა და გავლენით წარმოქმნილი

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, [g.ananishvili@sabauni.edu.ge](mailto:g.ananishvili@sabauni.edu.ge)  
<https://orcid.org/0009-0004-0079-5349>

<sup>1</sup> Durkheim É., *Suicide: A Study in Sociology*, Translated by J. A. Spaulding and G. Simpson, London, 2005.

<sup>2</sup> იბ., იქვე, 201-239.

<sup>3</sup> Giddens A., *Capitalism and Modern Social Theory: An Analysis of the Writings of Marx, Durkheim and Max Weber*, Cambridge University Press, 1971, 95-104.

<sup>4</sup> Sydie R.A., *Natural Women Cultured Men: A Feminist Perspective on Sociological Theory*, Toronto, 1987, 13-50.

სხვა თეორიები პოლიტიკის თუ დევიაციის შესახებ, არასდროს გაანალიზებულა შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი დინამიკის ცალკეული ასპექტების ანალიზისათვის თანამედროვე მკვლევართა ობიექტივში სოციალური ანომიის პოლიტიკური კონტექსტი მაინც მოექცა<sup>5</sup>. დღეს პოლიტიკურ ანომიას უკავშირებენ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა, დემოკრატიული ნორმების რღვევა, პოლიტიკური გაუცხოება, გამონეწეული საზოგადოების უუნარობის განცდითა და უკმაყოფილების ზრდით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებებში რადიკალიზმის, ავტორიტარიზმის და პოლიტიკური ექსტრემიზმის კულტივირებას. ისინი უმეტესად სოციალური პრობლემების აქტუალობის ზრდის გვერდით შედეგად მიიჩნევა.

ეკონომიკური აქტივობის, კეთილდღეობის და სოციალური უსაფრთხოების საკითხები ფუნდამენტშივე გადაჯაჭვული იყო სოციალური ანომიის საკითხთან, რამდენადაც თავდაპირველად ამ კონცეფციის კონტურები დიურკემმა 1893 წლის ნაშრომში – „შრომის დანაწილება საზოგადოებაში“ – გამოკვეთა.<sup>6</sup> თანამედროვე პრობლემების ანომიის პარადიგმაში განმარტებაც ძირითადად ეკონომიკური საკითხებიდან გამომდინარე ხდება. მაგალითად, უმუშევრობით გამოწვეული დეზორგანიზაცია და დეზორიენტაცია;<sup>7</sup> ასევე რადიკალური თავისუფალი საბაზრო პრინციპების ინსტიტუციონალიზაციის პირობებში, მოსახლეობაში კონკურენციის ზრდის კვალდაკვალ, სოციალური უსაფრთხოების მიმართ გაზრდილი მგრძნობელობა, რაც ხშირ შემთხვევაში ტრანსფორმირდება იმიგრანტების მიმართ აგრესიით და ქსენოფობიური ნარატივების გამავრცელებელი პოპულისტური პოლიტიკური ძალების პოპულარობით.<sup>8</sup>

მოსახლეობის ანომიური კონდიციის კლასიკური გაგების არსებითი კომპონენტების პოვნა მარტივად შესაძლებელია თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრე-

<sup>5</sup> იხ., Heydari A., Teymoori A., Nasiri H., Fardzadeh H. E., Relationship Between Socioeconomic Status, Anomie, and Authoritarianism, Journal of Social Sciences and Humanities, Vol. 7, No. 1, 2012, 1-12; Ionescu O., Tavani J., Collange J., Political Extremism and Perceived Anomie: New Evidence of Political Extremes' Symmetries and Asymmetries Within French Samples, International Review of Social Psychology, Vol. 34, No. 1, 2021, 1-16; Sprong S. J., "Our Country Needs a Strong Leader Right Now": Economic Inequality Enhances the Wish for a Strong Leader, Psychological Science, Vol. 30, No. 11, 2019, 1625-1637.

<sup>6</sup> Durkheim E., The Division of Labor In Society, Translated by G. Simpson, Edited by S. Lukes, The Free Press of Glencoe, 1960, 277-292.

<sup>7</sup> Stankunas M., Lindbert J., Avery M., Sorensen R. Suicide, Recession and Unemployment, The Lancet, Vol. 381, No. 721. 2013, 721-722.

<sup>8</sup> Burgi N., Societies Without Citizens: The Anomic Impacts of Labor Market Restructuring and the Erosion of Social Rights in Europe, European Journal of Social Theory, Vol. 17, No. 3, 2014, 290-306.

ბის არაერთ პრობლემურ ასპექტში. თუმცა ამ ვითარების ძირითადი ელემენტები – რადიკალიზმი, პოლარიზაცია, პოლიტიკური პროცესის არაინკლუზიურობა, ეკონომიკური უთანასწორობა და ა.შ., განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს სხვა, მეტად დესტრუქციული პროცესების წინაპირობებთან.

სამოქალაქო ომის წინარე პერიოდისთვის დამახასიათებელი გარემოებებზე მსჯელობისას არაერთი მკვლევრის მიერ იდენტიფიცირებული ფაქტორები, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტს იწვევს, ავლენს მნიშვნელოვან მსგავსებებს პოლიტიკური ანომიის კონდიციის ზემოთ აღწერილ მახასიათებლებთან.<sup>9</sup> ამის გათვალისწინებით, კვლევის მიზანია პოლიტიკური ანომიის კონცეფციის გადაზრება და მისით გამოწვეული შესაძლო ნეგატიურ განვითარებათა ანალიზი, კერძოდ, პოლიტიკური ანომიის კომპონენტების მიმართების დადგენა საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის ყველაზე უფრო დესტრუქციულ მოვლენასთან – სამოქალაქო ომის წინაპირობებთან.

## II. პოლიტიკური ანომიის თანამედროვე აღქმა

თანამედროვე დემოკრატიის პრობლემების სოციალური ანომიის პოლიტიკურ ასპექტებთან არსებითი კორელაციის მიუხედავად, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი მაინც რჩება თანამედროვე მკვლევართა ყურადღების მიღმა. როგორც ცნობილია, ნებისმიერ ჯანსაღ სოციუმში საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ნორმათა ერთობლიობა, ნორმატიული კომპლექსი, მუდმივად იცვლება. სამეცნიერო მიღწევებისა და განვითარების სხვა მახასიათებლების კვალდაკვალ, ზოგიერთი ნორმა კარგავს მნიშვნელობას, იქმნება ახალი ქცევისა და ურთერთობის სტანდარტები. ეს პროცესი, როგორც წესი, ეტაპობრივად ხდება და ხშირად მრავალი თაობის განმავლობაში მიმდინარეობს. ნორმალურ პირობებში, მსგავსი ცვლილებები შესაძლოა ნეგატიურ ასპექტებსაც შეიცავდეს, მაგრამ არ ქმნის ანომიას, რადგან საზოგადოებას აქვს დრო შესაბამისი რეფლექსიისთვის.

სოციუმის ანომიური კონდიცია, დიურკემისეული განსაზღვრების თანახმად, მიეწერება რადიკალურ ცვლილებებს, რომლებიც იმდენად სწრაფად ხდება,

<sup>9</sup> Collier P., Hoeffler A., On economic causes of civil war. Oxford Economic Papers, Vol. 50, No. 4, 1998, 563-573; Abu Bader S., Ianchovichina E., Polarization, Foreign Military Intervention and Civil Conflict. Policy Research Working Paper, Report Number WPS8248, 2017, 38-39; De Figueiredo R. J., Weingast B. R., Rationality of Fear: Political Opportunism and Ethnic Conflict, in: Civil Wars, Insecurity, and Intervention, Edited by B. F. Walter and J. Snyder, Columbia University Press, 1999, 261-302.

რომ ნორმები ვერ ასწრებს ახალ გარემოსთან ადაპტირებას.<sup>10</sup> თანამედროვე დემოკრატიის ისეთი პრობლემური გვერდითი გამოვლინებები კი, როგორიცაა, პოპულიზმი, უმუშევრობა და სიმდიდრის გადანაწილების უთანაბრობა, არ დამდგარა რევოლუციური ცვლილებების შედეგად და ეტაპობრივად სულ უფრო მეტი სიმწვავით იჩენდა თავს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. მეორე მხრივ, ისეთი რისკები, როგორიცაა, რიგითი მოქალაქეების პოლიტიკური გაუცხოება, მოსახლეობის დიდ ნაწილში უუნარობის შეგრძნება იმასთან დაკავშირებით, რომ მათი ჩართულობა სახელმწიფოს მართვაში შესაძლებელიცაა და საჭიროც, ისევე, როგორც მათით მანიპულირების პრობლემა არ გაჩენილა დემოკრატიული მმართველობის ფორმის მყისიერი გარდაქმნის ან რეფორმაციის შედეგად.<sup>11</sup> მოსახლეობის მანიპულაციისა და ძალაუფლების მიტაცების საფრთხეს იმპლიციტურად დემოკრატია მუდმივად შეიცავდა, რაზეც ჯერ კიდევ პლატონი, საკუთარ „სახელმწიფოში“, მმართველობის ამ ფორმის კრიტიკისას მიანიშნებდა<sup>12</sup>.

პოლიტიკურ ანომიაზე მსჯელობისას ძირითადად უგულებელყოფილია საერთაშორისო განზომილება, რაც არასამართლიანად გამოიყურება. რადგან ყველა დიდი ეკონომიკური თუ პოლიტიკური, პოზიტიური და ნეგატიური გარდაქმნა, რომელიც უკანასკნელ საუკუნეში მოხდა, და რომელმაც ხელი შეუწყო ცალკეული სახელმწიფოების დონეზე რადიკალურ ცვლილებებს, იშვიათად იყო ლოკალური მოვლენა და როგორც წესი, მთელ რეგიონზე ვრცელდებოდა. ამის მაგალითები უხვად მოტანაა შესაძლებელი პირველი მსოფლიო ომიდან „ოთხი აზიური ვეფხვის“ ეკონომიკურ სასნაულამდე, აფრიკული განმათავისუფლებელი მოძრაობიდან 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე. ნებისმიერი კატალიზატორი, რომლითაც შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებები (ისევე, როგორც სტაბილურობა) წარმოიქმნებოდა, ყოველთვის მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული რეგიონულ თუ გლობალურ საერთაშორისო ურთიერთობებთან.

<sup>10</sup> Durkheim É., *Suicide: A Study in Sociology*, Translated by J. A. Spaulding and G. Simpson, London, 2005, 213.

<sup>11</sup> Tughushi L., Turmanidze K., Gagua M., Khundadze T., Ananeishvili G., Zurabashvili T., *Anti-liberal Populism and the Treat of Russian Influence in the Regions of Georgia*, Tbilisi, 2018, 58-61.

<sup>12</sup> იხ., პლატონი, სახელმწიფო, ბ. ბრეგვაძის თარგმანი, თბილისი, 2003, 199-206.

### III. არგუმენტები კვლევის ჰიპოთეზისთვის

შეუქცევადი გლობალიზაციის პირობებში შიდასახელმწიფოებრივ პროცესებზე საერთაშორისო პოლიტიკის გაზრდილი ზეგავლენის საკითხი მოცემული კვლევის მიზნებისთვისაც დიდი მნიშვნელობისაა. სამოქალაქო კონფლიქტთა არაერთი მკვლევარი წლების მანძილზე მიაწინებდა, რომ შიდა დაპირისპირებების მიზეზთა კომპლექსი საკუთარ თავში აერთიანებს როგორც ეროვნულ დონეზე არსებულ ფაქტორებს, ისე საერთაშორისო ვითარების ზეგავლენას (სხვადასხვა მეცნიერულ ხედვაში გამოთქმული სამოქალაქო ომების წარმოქმნის უმთავრესი მიზეზები ეკონომიკური ვითარება,<sup>13</sup> ხელისუფლების ლეგიტიმაციის კრიზისი,<sup>14</sup> პოლიტიკური მომენტუმი<sup>15</sup> და ა.შ. პირდაპირ თუ ირიბად, დაკავშირებულია არიან საერთაშორისო პოლიტიკასთან).

პოლიტიკური ანომიისა და სამოქალაქო ომის მიმართების კონცეპტუალური ჩარჩოს განსასაზღვრად აგრეთვე მნიშვნელოვანია შევხვთ ისეთ მკვლევარს, როგორიც რობერტ მერტონია. მისთვის ემილ დიურკემის სოციალური ანომია გახდა ძირითადი იდეური წყარო სტრუქტურულ რღვევის თეორიის შესაქმნელად. სოციუმში დევიაციურ ქმედებათა მიზეზების ახსნისას ამერიკელი სოციოლოგი აღნიშნავდა, რომ ყველა ადამიანი მიდრეკილია მოახდინოს ინტერნალიზაცია იმ კულტურული ნორმებისა, რომლებშიც ცხოვრობს (რითაც ახდენს ორიენტირებას დიურკემის მიერ აღწერილ კომპლექსურ სოციალურ გარემოში, რომელიც სულ უფრო პრობლემური ხდება ცვლილებათა ინტენსივობის ზრდის გამო).<sup>16</sup>

ნორმების ნაწილი უნივერსალურია. ნებისმიერ საზოგადოებაში ადამიანებს სჭირდებათ კეთილდღეობის და თვითრეალიზების შესაძლებლობები. თუმცა ნორმატიული კომპლექსი მოიაზრებს იმ კულტურული თვალსაზრისით სპეციფიკურ მიზნებსაც, რომელთა მიღწევა პიროვნებისთვის მთავარი საშუალებაა სასურველი სტატუსის მოსაპოვებლად. სასურველად მიჩნეული პერსონალური თუ ჯგუფური მიზნების მისაღწევად ჩამოყალიბებულია საყოველთაოდ მიღებული და კანონიერი საშუალებები, ერთგვარი საგზაო რუკა, ნორმატიული მექანიზმე-

<sup>13</sup> იხ., Collier P., Elliott V. L., Hegre H., Hoeffler A., Reynal-Querol M., Sambanis N., *Breaking the Conflict Trap: Civil War and Development Policy*, Washington DC, 2003.

<sup>14</sup> Djankov S., Reynal-Querol M., *The Causes of Civil War*, Policy, Research Working Paper, Report Number WPS 4254, Washington DC, 2007, 15-19.

<sup>15</sup> Kaufman S. J., *Symbolic Politics or Rational Choice*. *International Security*, Vol. 30, No. 4, 2006, 45-86.

<sup>16</sup> იხ., Merton R. K., *Social Theory and Social Structure*, New York, 1968.

ბის სახით. როდესაც ეს მექანიზმები (ან მათი ქმედითობა) შეზღუდულია ან აღარ არსებობს, ინდივიდები იწყებენ ალტერნატიული გზების ძიებას მიზნების მისაღწევად ან საერთოდ უგულვებელყოფენ მათ. შედეგად, სოციალური სტრუქტურა ირღვევა და იწვევს დევიაციას.<sup>17</sup>

დიურკემისა და მერტონის ნააზრევის ურთიერთთავსებადობის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ სოციალური სისტემა ადამიანს უბიძგებს დევიაციისკენ, მათ შორის იმითაც, თუ არ (აღარ) არსებობს რელევანტური ნორმატიული მექანიზმები, რომლებიც ქმედითი იქნება კულტურაში გაზიარებული და შესაბამისად, პიროვნების მიერ ინტერნალიზებული მიზნების მისაღწევად. მსგავსი ნორმების არარსებობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი საზოგადოებაში (ან მის გარშემო) რადიკალური გარდაქმნებით გამოწვეული სოციალური ანომიის კონდიციაა.

როგორც ცნობილია, სტერილური საზოგადოებები არ არსებობს. შესაბამისად, მერტონის მიერ განხილული დევიაციის გარკვეული დონე (ისევე, როგორც სისტემის მხრიდან მისკენ ადამიანთათვის ბიძგის მიცემა) ყველა სოციუმისთვისაა დამახასიათებელი. ის არ არის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური მოვლენა განსაზღვრულ მასშტაბამდე და სხვა რამდენიმე დადებით თვისებასთან ერთად, მათ შორის, შესაძლოა ხელს უწყობს საზოგადოების კონსოლიდაციას.<sup>18</sup> მაგრამ სოციალური ანომიის დროს, რადგან ძველი ნორმები უფუნქციოა, დევიაციის განსაზღვრება რელატიური ხდება, რითაც კარგავს საზოგადოების გამაერთიანებელ ფუნქციასაც. მეტიც, ნორმების არაერთმნიშვნელოვნება შეუძლებელს ხდის მათ გარშემო სოციუმის კონსოლიდაციას, ქმნის მოსახლეობის დეზინტეგრაციის და ფრაგმენტაციის პერსპექტივებს.

საზოგადოებრივი ჯგუფები და ინდივიდები ანომიის პირობებში ინდივიდუალურად წყვეტენ, რა გზებით უნდა მიიღწეს ესა თუ ის მიზანი.<sup>19</sup> როგორც წესი, ამას მხოლოდ საკუთარი ვიწრო ინტერესების შესაბამისად აკეთებენ, რადგან სხვა რაციონალური ინდიკატორი საჭირო ნორმის განსასაზღვრად, ისევე, როგორც მაიძულებელი ფაქტორი, არ არსებობს. ნორმების რელევანტურობის დაკარგვასთან ერთად, დიდი ალბათობით, მოსალოდნელი ხდება საზოგადოების დიდი ნაწილის მაკონსოლიდირებული სისტემების, მათ შორის, იმ სოციალური ინ-

<sup>17</sup> იხ., იქვე, 227-257.

<sup>18</sup> Thorlindsson T., Bernburg J. G., Durkheim's Theory of Social Order and Deviance: A Multi-level Test, European Sociological Review, Vol. 20, No. 4, 2004, 271-285.

<sup>19</sup> იხ., Merton R. K., Social Theory and Social Structure, New York, 1968, 132.

სტიტუტების (განმეორებადი სოციალური პრაქტიკების) დელეგიტიმაცია და დეკონსტრუქცია, რომლებიც აღნიშნული ნორმატიული მექანიზმების შესაბამისად დაფუძნდნენ. მეორე მხრივ, ვინაიდან ადამიანები, განსაკუთრებით კრიზისების დროს გადარჩენის მიზნით, როგორც წესი, გრძნობენ გაერთიანების აუცილებლობას,<sup>20</sup> სხვა შესაძლებლობების არასასურველობის ან არარსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელია, მობილიზაცია მოახდინონ, ერთი მხრივ, ნაკლებად კომპლექსურ, მეორე მხრივ, ჰომოგენურობის სიმყარის მეტი პერსპექტივის მქონე საწყისებზე: რასა, ეთნიკურობა, რელიგია, გვარი და ა.შ. მსგავს საწყისებზე დაფუძნებული ინსტიტუტები, მათ განმეორებად სოციალურ პრაქტიკებში მონაწილე ინდივიდების მსგავსად, შინაარსის თვალსაზრისით, მინიმალურად ატარებს ამბივალენტურ მახასიათებლებს (ან ხარ რომელიმე გვარის/რასის ან არა. შუალედური მდგომარეობა თითქმის არ არსებობს. ამასთან, ბევრად რთულია, პიროვნებამ აღნიშნული საწყისები უარყოს ან შეიცვალოს, პოლიტიკური შეხედულების ან რაიმე სახის ინტერესისაგან განსხვავებით). მსგავსი განსაზღვრულობა კრიზისში (ანომიაში) მყოფი საზოგადოების წევრებისთვის სიმშვიდის და უსაფრთხოების განცდის შექმნის ერთ-ერთი გზაა, რაც მათთვის ექსტრემალურ ვითარებაში გადამწყვეტია.

აქედან გამომდინარე, საზოგადოების განგრძობადი ანომიური მდგომარეობა, სამართლიანად მიიჩნევა დეზინტეგრაციის მაღალი რისკის შემცველად. როგორც აღინიშნა, როცა გაზიარებული ნორმები არ მნიშვნელობს, კონსოლიდაცია რთულდება. ასეთ ვითარებაში ადამიანთა თანაცხოვრებისთვის ორგანული ფენომენის – კონკურენციის, გამოსვლას ინსტიტუციური, კონსტრუქციული ჩარჩოდან და კონფლიქტის (მათ შორის, ჯგუფურის) ესკალაციას მხოლოდ შესაბამისი გარემოებების არსებობა განაპირობებს: მობილიზაციის შესაძლებლობა<sup>21</sup>, სამხედრო და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და მობილიზაციის ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა<sup>22</sup> სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ ან ზღვაზე გასასვლელით.

აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით ჩნდება ვარაუდი, რომ შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში პოლიტიკური ანომიის კონდიცია

<sup>20</sup> Burton-Chellow M. N., Ross-Gillespie A., West S. A., Cooperation in Humans: Competition Between Groups and Proximate Emotions, Evolution and Human Behavior, Vol. 31, No. 2, 2010, 104-108.

<sup>21</sup> იხ., Kaufman S. J., Symbolic Politics or Rational Choice, International Security, Vol. 30, No. 4, 2006, 53.

<sup>22</sup> Toft M. D., The Geography of Ethnic Violence: Identity, Interests, and Indivisibility of Territory, Princeton University Press, 2003, 127.

ქმნის მნიშვნელოვან წინაპირობას სამოქალაქო ომისთვის. კვლევის მთავარი კითხვა იყო ემპირიულად იმის განსაზღვრა, თუ რა მიმართება არსებობს პოლიტიკური ანომიასა და შეიარაღებულ სამოქალაქო კონფლიქტს შორის.

#### IV. კვლევის დიზაინი

პოლიტიკურ ანომიას შესაძლოა მრავალფეროვანი და კომპლექსური გამოვლინება ჰქონდეს, რომელთაგან სამოქალაქო ომი მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთ-ერთია. ისევე, როგორც, არასწორი იქნება, თუ ყველა სამოქალაქო ომი ანომიით დეტერმინირებულ შემთხვევად მიიჩნევა. მოცემული სტატიის ფარგლებში საკვლევი ობიექტის შერჩევის პირველ კრიტერიუმად იმგვარი ცვლილებები იქნა აღებული, რომლებიც საკუთარ თავში მოიაზრებდა პოლიტიკური პროცესის წარმართვის ხანგრძლივად არსებული ნორმატიული მექანიზმების გარდაქმნას და რომლებიც მანამდე განაპირობებდა სტაბილური პოლიტიკური გარემოს.

ვინაიდან ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობს, ხოლო ანომიის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი არა უზრალოდ აწინდელი ნორმების ქმედითობის დაკარგვა, არამედ მათი ფუნქციური უნარის უეცარი დაქვეითებაა პოლიტიკურ თუ სოციალურ მიზანთა მიღწევადობასთან მიმართებით, კიდევ ერთ კრიტერიუმად განსაზღვრულ იქნა მყისიერი და რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები (რაც გახდა ნორმატიული მექანიზმების რელევანტურობის დაკარგვის მიზეზი).

აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საკვლევ ობიექტად განისაზღვრა ბოსნია-ჰერცეგოვინის ფედერაციული რესპუბლიკა. წარსულში სამოქალაქო ომის მქონე ქვეყანა. „ცივი ომის“ დასრულების და იუგოსლავიის დაშლის საწყისი პერიოდი ხასიათდება როგორც რადიკალური და მყისიერი სოციალ-პოლიტიკური ცვლილებებით, ისე მანამდე ეროვნულ თუ საერთაშორისო პოლიტიკაში ხანგრძლივად არსებული ნორმატიული მექანიზმების რელევანტურობის გაქრობით. საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 1985-1995 წლები, როგორც შეიარაღებული დაპირისპირების წინა პერიოდი. ძირითად მეთოდოლოგიად განისაზღვრა შემთხვევის შესწავლის მეთოდი.

## V. პოლიტიკური ანომია სამოქალაქო ომის წინა პერიოდში: ბოსნია-ჰერცეგოვინის მაგალითი

1990-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკაში განვითარებული მოვლენების მიზეზების შესახებ განსხვავებული მეცნიერული მოსაზრებები არსებობს, თუმცა საკითხზე მომუშავე ავტორთა უმეტესობა თანხმდება, რომ „ცივი ომის“ დასრულება იყო იმ ტიპის რადიკალური ცვლილება, რომელმაც სრულად შეცვალა საერთაშორისო ძალთა ბალანსი და გავლენა მოახდინა სახელმწიფოთა უმრავლესობის შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე.<sup>23</sup> აღნიშნული კარდინალური გარდაქმნის კვალდაკვალ, რომელიც პოლიტიკური ანომიის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია, არაერთი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ემპირიული მონაცემი ადასტურებს, რომ მსოფლიოში შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნის ინტენსივობა „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ არსებითად არ შეცვლილა.<sup>24</sup> შედეგები ერთი შეხედვით პარადოქსულია, რადგან 1990 წლის შემდეგ მსოფლიო აღარ იყო გაყოფილი ორ დაპირისპირებულ ბანაკად, რომლებიც ერთმანეთის დასასუსტებლად აპრობირებულ, ე.წ. „პროქსი ომებს“ წარმოქმნიდნენ.

„ცივი ომის“ პერიოდში სამოქალაქო კონფლიქტებით გამორჩეულ რეგიონებში (მაგ., სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ცენტრალური ამერიკა) 1990-იან წლებში სიტუაცია მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა. მაგრამ გაჩნდა ახალი ცხელი წერტილები ქვეყნებში, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებში მნიშვნელოვანი შეიარაღებული დაპირისპირება არასდროს ყოფილა. მსგავსი რეგიონები იყო აღმოსავლეთ ევროპა და ბალკანეთი, სადაც ყოფილი სსრკ-ს და იუგოსლავიის 21 რესპუბლიკიდან 10-ში სამოქალაქო ომი დაიწყო.<sup>25</sup>

არაერთი მეცნიერი პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოებში 1990-იან წლებში შექმნილ ვითარებას სხვადასხვა კონტექსტით უკავშირებს რადიკალურ ცვლილებებს. მაგალითად, კალივასისა და ბალსელსის აზრით, მიუხედავად იმისა,

<sup>23</sup> Abashidze Z., Ananeishvili, G., International Armed Conflicts in the Final Stage of the Cold War (1975-1990) and Subsequent Period (1991-2005), Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 17, No. 4, 2023, 184-190.

<sup>24</sup> Gleditsch N. P., Wallensteen P., Eriksson M., Sollenberg M., Strand H., Armed Conflict 1946-2001: A New Dataset, Journal of Peace Research, Vol. 39, No. 5, 2002, 615-637; Harbom L., Melander E., Wallensteen P., Dyadic Dimensions of Armed Conflict, 1946-2007, Journal of Peace Research, Vol. 45, No. 5, 2008, 697-710; Pettersson T., Wallensteen P., Armed conflicts 1946-2014. Journal of Peace Research, Vol. 52, No. 4, 2015, 536-550.

<sup>25</sup> Congressional Research Service Report for Congress – Foreign Affairs, Defense and Trade Division, Armed Conflicts in the World Since the End of the Cold War (1989 – Present), 2000, 3-4.

რომ შეიარაღებული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და წარმოქმნისთვის აუცილებელი გარემოებები იდენტურია, როგორც ცივი ომის პერიოდში, ისე მის შემდგომ შემთხვევებში, საერთაშორისო პოლიტიკაში ძალთა ბალანსის რადიკალური ცვლის ფენომენი კონკრეტულ შემთხვევებზე დიდი ზეგავლენის მომხდენი გახდა. დიდი ხნის მანძილზე არსებული სტატუს კვოს რღვევამ პირდაპირი გავლენა მოახდინა ცალკეულ სახელმწიფოებში შიდა პოლიტიკურ პროცესებზე და ეროვნულ პოლიტიკაში ტურბულენტური ძვრები გამოიწვია.<sup>26</sup>

ცვლილებათა გამო გამოწვეულ არასტაბილურობას უსვამენ ხაზს ჯონსი და სტიდმანი.<sup>27</sup> სსრკ-ის დაშლის შედეგად დამოუკიდებლობამოპოვებულმა, ძირითადად მრავალეთნიკურმა სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა დაიწყო თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს, როგორც წარმატების საუკეთესო მაგალითის, მშენებლობა დასავლური მოდელის შესაბამისად. მიუხედავად სურვილისა, პოსტ-კომუნისტურ რესპუბლიკებში დემოკრატიისა და ერი-სახელმწიფოს შენება მიმდინარეობდა პირობებში, სადაც მსგავსი პროექტის განსახორციელებლად საჭირო გამოცდილება და სოციალური წინაპირობები მინიმალური იყო.

შესაბამისი პოლიტიკური კულტურის და სოციალური წინაპირობების არარსებობა, როგორც დემოკრატიული და თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი, სხვა მკვლევართა ინტერესის საგანიც გახდა. მაგალითად, მანსფილდი და სნაიდერი, საკუთარ კვლევაზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ ავტორიტარული რეჟიმების სწრაფი დემოკრატიზაცია ზრდიდა ომის წარმოქმნის საფრთხეს, როგორც საერთაშორისო, ისე შიდაპოლიტიკურ პერსპექტივაში.<sup>28</sup>

იმავე პერიოდის შესახებ ტონი სმიტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად დემოკრატიის მიმზიდველობისა, მის მისაღწევად მხოლოდ ენთუზიაზმით განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებები გარდამავალ დემოკრატიებში ვერ უზრუნველყოფდნენ ისეთი კულტურული, ეკონომიკური და საზოგადოებრივი გარემოს შექმნას, რომელიც გადამწყვეტი იყო როგორც დემოკრატიული წესრიგის შესანარჩუნებლად, ისე მომავალი პროგრესული რეფორმებისთვის.<sup>29</sup>

<sup>26</sup> Kalyvas S. N., Balcells L., *International System and Technologies of Rebellion: How the Cold War Shaped Internal Conflict*, American Political Science Association, Vol. 104, No. 3, 2010, 415-429.

<sup>27</sup> Jones B. D., Stedman S. J., *Civil Wars & the Post-Cold War International Order*, Dædalus, Vol. 146, No. 4, 2017, 33-44.

<sup>28</sup> Mansfield E. D., Snyder J., *Democratization and War*, Foreign Affairs, Vol. 74, No. 3, 1995, 79-97.

<sup>29</sup> Smith T., *America's Mission: The United States and the Worldwide Struggle for Democracy*, Princeton University Press, 2012, 346-360.

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომი პერიოდის შესახებ ანალიზში, რომელსაც სხვადასხვა ავტორი საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ აკეთებდა, საგულისხმო პარალელებია უკვე აღწერილ პოლიტიკურ ანოშიასთან: რადიკალური ცვლილებებით გამოწვეული დეზორიენტაცია; მიზნად დასახული თანამედროვე ტიპის სახელმწიფო, რომლის შექმნისთვის ძველი პოლიტიკური ნორმები გამოუსადეგარია, ხოლო ახალი ნორმატიულ კომპლექსი ჯერ არ ჩამოყალიბებულა და ლეგიტიმაცია არ მოუპოვებია. პრაქტიკულად იმავე ტიპის პროცესი მიმდინარეობდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში „ცივი ომის“ მიწურულს და დამოუკიდებლობის პირველ წლებში.

იუგოსლავიაში ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები ცივი ომის დასრულებამდე, 1980-იან წლებში დაიწყო. კრიზისული სიტუაცია გაამძაფრა სსრკ-ის დასუსტებამ, რომლის კვალდაკვალ აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიზაციის მოთხოვნა გაიზარდა და დამოუკიდებლობის მსურველმა ეროვნულმა მოძრაობებმა სულ უფრო დიდი გავლენა მოიპოვა.<sup>30</sup>

ბოსნიაში მცხოვრები მოსახლეობის დეზორიენტაცია რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა:

- (1) იუგოსლავიის ფედერაციასთან მათი რესპუბლიკის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ საერთო შეხედულების არარსებობა. მსგავსი საკითხი განხილვის საგანი იქამდე, იოსიფ ბროს ტიტოს მყარი ავტორიტარული მმართველობის პირობებში არასდროს ყოფილა. აქტუალური კი მას შემდეგ გახდა, რაც იუგოსლავიამ დასუსტება, ხოლო სლოვენიამ და ხორვატიამ მისი შემდგენლობიდან გასვლა დაიწყო;
- (2) ათწლეულების მანძილზე გეგმური ეკონომიკის პირობებში მცხოვრები მოსახლეობისთვის დამოუკიდებლობის პირველ წლებში თავისუფალ საბაზრო პრინციპებთან ადაპტირება გაჭირდა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად დაეცა ეკონომიკური აქტივობის ინტენსივობა და გაიზარდა უმუშევრობა. როგორც ყველა პოსტ-კომუნისტურ რესპუბლიკაში, პრობლემები ბოსნიაშიც გამოიწვია დასაქმების ბაზარზე კონკურენციის გაჩენამ. წლების მანძილზე სოციალიზმის

<sup>30</sup> ჯენტელსონი, ბ., ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თარგმანი – დ. აფრასიძის, ა. მიქაუტაძის, ა. აბაშიძის, გ. გვალიას, ნ. ტიკარაძის, ტ. სიხარულიძის, თ. ქუმსიაშვილის, ნ. ფავლენიშვილის თარგმანი, დ. აფრასიძისა და გ. გვალიას რედაქტორობით, თბილისი, 2015, 618-619.

პირობებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელიც შეგუებული იყო სამუშაო ადგილებზე განაწილებას ხელისუფლების ორგანოების მიერ, ახლა სრულიად განსხვავებულ პირობებში უწევდა სამსახურის შენარჩუნება ან ძებნა;<sup>31</sup>

- (3) მოსახლეობის კონსოლიდაცია, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების და სახელმწიფოს ჩამოყალიბების არსებითი კომპონენტი იყო, საჭიროებდა საზოგადოების ჰომოგენიზაციას. დასავლურ სამყაროში აღნიშნული პროცესი სამოქალაქო ფუნდამენტზე ხდებოდა. მაგრამ, ვინაიდან ბოსნიასა და სხვა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში არ არსებობდა ისეთივე ეკონომიკური და სოციალური წინაპირობები, როგორც დასავლეთში, აღნიშნული ამოცანის სათანადოდ განხორციელება მოკლე ვადაში ურთულესი აღმოჩნდა. გაურკვევლობა და კრიზისი ჯგუფებს უკვე გამოცდილი მაკონსოლიდირებელი მდგენელების გარშემო გაერთიანებას აიძულებდა.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ფედერაციულ ერთეულს იუგოსლავიაში ეთნიკურად ყველაზე ეკლექტური მოსახლეობა ჰყავდა (44% – მუსლიმი ბოსნიელები, 33% – სერბები, 17% – ხორვატები, სხვა – 6%).<sup>32</sup> 1980-იან წლებამდე საარჩევნო უფლება ბოსნიაში ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე მკვეთრი ცვლილებების პერიოდში, გაზრდილი დემოკრატიზაციის კვალდაკვალ, ახლად მიღებული ხმის რეალურმა უფლებამ მოსახლეობას მანამდე არნახული პოლიტიკური შესაძლებლობა მისცა. თუმცა, რაკი მათი პოლიტიკური აზროვნება ახლანდლისგან სრულიად სხვა, არათავისუფალ და ამავედროულად, ცხად და განსაზღვრულ გარემოში ყალიბდებოდა, სიახლეებმა და რადიკალური ცვლილებებმა გამოიწვია დეზორიენტაცია. ხმის მიცემა კი უმეტესობამ იმ ნიშნით გადაწყვიტა, რომელიც, თანამედროვე ქაოსური ვითარებისგან განსხვავებით, უფრო გასაგები და უცვლელი იყო. ეს ნიშანი იყო ეთნიკური იდენტობა. შედეგად, ქვეყნის მართვისთვის აუცილებელი პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება ეთნიკურ საფუძველზე მოხდა. 1990 წლის ბოსნიის საპარლამენტო არჩევნებში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა გადანაწილდა ეთნიკურ ბაზისზე დაფუძნებულ სამ პარტიაზე, რომელთა შეხედულებები ბოსნიის სახელმწიფოს შესახებ რადიკალურად განსხვავებული იყო.

<sup>31</sup> Magyar B., Madlovics, B., *The Anatomy of Post-Communist Regimes*, Budapest, 2020, 503-505.

<sup>32</sup> Bosnia-Herzegovina, <<https://ucdp.uu.se/country/346>> [12.12.2024]

სერბული დემოკრატიული პარტია (SDS) და მის მიერ დე ფაქტო კონტროლირებადი, ბოსნია ჰერცეგოვინაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკა „კრავინა“ იუგოსლავიის შემადგენლობაში დარჩენის და ოფიციალურ ბელგრადთან მჭიდრო კოორდინაციის მომხრე იყო. ბოსნიელი ხორვატების პარტია (HDZ) სანაყის ეტაპზე უმეტესად ხორვატებით დასახლებულ ჩრდილოეთ რეგიონების ბოსნიიდან სეცესიას და ხორვატიასთან შეერთებას უჭერდა მხარს (შემდგომ წლებში მათი შეხედულება კონფედერაციული რესპუბლიკის სასარგებლოდ შეიცვალა). ბოსნიელების პარტია (SDA), რომლის წინასაარჩევნო კამპანია ანტი-სერბულ პათოსს და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეთნიკურად სერბი მოსახლეობის მხრიდან ბოსნიელების შევიწროების ფაქტებზე აპელირებით მიმდინარეობდა, სახელმწიფოს სუვერენიტეტის და იუგოსლავიიდან სრული გამოყოფის მომხრე იყო.<sup>33</sup>

საზოგადოების პოლიტიკური დეზორიენტაციის პირობებში ეთნიკურ საფუძველზე შექმნილმა, ზოგ შემთხვევაში ალტერნატიულმა პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა, უმეტესად ვერ მოახერხა, სწრაფად მიეღწია მედეგობისთვის და ფართო მასებში მოეპოვებინა ლეგიტიმაცია. დევიანტური ქმედება, მათ შორის, უკანონობა, შეუდარებლად გაიზარდა. სახელმწიფო ორგანოები ვერ ახერხებდნენ ქაოსის ელიმინაციას და პოლიტიკური დინამიკის დაქვემდებარებას საკანონმდებლო ნორმებში განერილი შინაარსისთვის. მსგავსი ანტაგონიზმის პირობებში შეუძლებელი ხდებოდა სახელმწიფოსთვის კრიტიკული საჭიროების ორგანოების რეფორმირება ან ჩამოყალიბება. არსებული ინსტიტუტები, პოლიტიკური გაურკვევლობის გამო, ვერ ახერხებდნენ გამართულ ფუნქციონირებას.<sup>34</sup>

1991 წელს იუგოსლავიის ფედერაციის ყველაზე ძლიერმა და განვითარებულმა ერთეულებმა – სლოვენიამ და ხორვატიამ, ფედერაციის შეიარაღებულ ძალებთან მცირემასშტაბიანი დაპირისპირების კვალდაკვალ, მიმართეს საერთაშორისო საზოგადოებას დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით. მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, 1992 წელს, იგივე სურვილი ბოსნია-ჰერცეგოვინამაც გამოთქვა.

ბოსნიელ სერბებს არ ხიბლავდათ პერსპექტივა, ეცხოვრათ ისეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში, რომელიც ოფიციალური ბელგრადის იურისდიქცი-

<sup>33</sup> Lampe J. R., Allcock J. B., History of Kosovo, Encyclopedia Britannica, November 7, 2023, <<https://www.britannica.com/place/history-of-Kosovo>> [12.12.2024].

<sup>34</sup> Vukušić I., Karčić H., Torture, Humiliate, Kill: Inside the Bosnian Serb Camp System, Comparative Southeast European Studies, Vol. 71, No. 1, 2023, 138-140.

ამი არ მოექცეოდა და ამავედროულად, დამოუკიდებელი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას ბოსნიელი მუსლიმები შექმნიდნენ. შესაბამისად, შეიქმნებოდა პოლიტიკური ორგანოები, რომლებშიც სერბები მათი ინტერესების გატარების შესაძლებლობას ვერ ხედავდნენ. აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობა ბოიკოტი, რომელიც სერბულმა მოსახლეობამ 1992 წელს დანიშნულ რეფერენდუმს გამოუცხადა. რეფერენდუმს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის გამოცხადება მოჰყვა.<sup>35</sup>

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი ვითარება ბოსნიაში სხვა პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ანალოგიური იყო. ავტორიტარიზმის პირობებში აღზრდილი მოსახლეობის აღქმა ხელისუფლების მიმართ იყო მეტწილად პატერნალისტური. მათი უმეტესობა საკუთარი თანამონაწილეობის, ინიციატივის ან გავლენის პოტენციალს სახელმწიფო მართვის განგრძობად პროცესებში ნაკლებად ხედავდა. ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში მსგავსი შესაძლებლობები ხელისუფლების მხრიდანაც მინიმალური იყო. შესაბამისად, გარდაქმნით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემები კრიტიკულად მოქმედებდა მთავრობების ლეგიტიმაციაზე.<sup>36</sup>

დემოკრატიზაციისადმი საუკეთესო მოლოდინების კონტრასტი დამდგარი რეალობასთან, რომელიც ხასიათდებოდა გაზრდილი კრიმინალით, სეპარატიზმით, საზოგადოების პოლიტიკურ ჯგუფებში მწვავე პოლარიზაციით და დეზინტეგრაციის სხვა თვალსაჩინო მაგალითებით. შექმნილმა ვითარებამ, ყველაფერთან ერთად, დემოკრატიისთვის მეტრძოლ საზოგადოებათა უმრავლესობაში ხელი შეუწყო ფარდობით დეპრივაციას და აწინდელი იდეალების უარყოფას.<sup>37</sup>

1992 წელს ბოსნიაში დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება. იუგოსლავიის ფედერაციული ჯარები ბოსნიიდან გავიდა. სერბული წარმოშობის სამხედროები თანაეთნოსელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დარჩა და საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო ბოსნიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელთა შენაერთები უმეტესად მუსლიმებით იყო დაკომპლექტებული. სულ მალე სერბებმა

<sup>35</sup> ქილორი უ. რ., მეოცე საუკუნის მსოფლიო, საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან, თ. ზუნნარიას და ბ. ჯავახიშვილის თარგმანი, ა. რონდელისა და ე. მეტრეველის რედაქტორებით, თბილისი, 2015, 689-693.

<sup>36</sup> Ekiert G., Kubik J., Vachudova M. A., *Democracy in the Post-Communist World: An Unending Quest?*, *East European Politics and Societies*, Vol. 21, No. 1, 2007, 7-30.

<sup>37</sup> Ekiert G., *Three Generations of Research on Post Communist Politics—A Sketch*, *East European Politics and Societies*, Vol. 29, No. 2, 2015, 323-337.

სარაევო ალყაში მოაქციეს, რასაც ხანგრძლივი ჰუმანიტარული კრიზისი და დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა.<sup>38</sup>

აღსანიშნავია, რომ ბოსნიის სამოქალაქო ომის შემთხვევაში არსებობდა შეიარაღებული დაპირისპირების განგრძობადობისთვის საჭირო ის გარემო-პირობებიც, რომლებიც ჰიპოთეზის არგუმენტირებისას აღინერა. სერბებით კომპაქტურად დასახლებულ „კრაინას“, იმავე „რესპუბლიკა სრპსკას“, სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილს გრძელი საერთო საზღვარი აქვს სერბეთთან, რომელიც ომის პერიოდში თავის თანაეთნოსელებს აქტიურ სამხედრო და ფინანსურ დახმარებას უწევდა.

## VI. დასკვნა

კლევის ფარგლებში განხორციელებული ანალიზის საფუძველზე ნაპოვნი იქნა არაერთი არგუმენტი, რომლებიც ადასტურებს საზოგადოების პოლიტიკური ანომიის კონდიციის კორელაციას სამოქალაქო ომის წინაპირობებთან. რიგ შემთხვევებში კი, ამ ორი სოციო-პოლიტიკური ფენომენის კომპონენტები სრულიად იდენტურია. აღნიშნული მოსაზრება არ გულისხმობს სოციუმის ამგვარი მდგომარეობის შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებულ კონფლიქტისგან განუყოფლობას.

ცხადია, ერთი მხრივ, სამოქალაქო ომი შესაძლოა პოლიტიკური ანომიის არარსებობის პირობებშიც წარმოიქმნას, რადგან არსებობდნენ შესაბამისი შესაძლებლობის მქონე ინტერესჯგუფები, პროცესებში უცხო სპეცსამსახურები ჩაერიონ და ა.შ. ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური ანომია შესაძლებელია არ გადაიზარდოს სამოქალაქო ომში, თუკი ვერ მოხერხდა საბრძოლო და ფინანსური რესურსის მოპოვება, შეუძლებელი გახდა ერთ გეოგრაფიულ არეალში ცოცხალი ძალის მობილიზება და სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულმა ფუნქციონირებამ მოახერხა შესაძლო შეიარაღებული ინციდენტების პრევენცია.

ბოსნია-ჰერცეგოვინის მაგალითი აჩვენებს, რომ რადიკალური ცვლილებების შედეგად პოლიტიკურ ნორმათა რელევანტურობის დაკარგვამ, საზოგადოების დეზორიენტაციამ და მცირე ჯგუფებში გაერთიანებამ არსებითი საფუძველი შექმნა, პოლიტიკური პროცესი ესკალირებულიყო შეიარაღებულ დაპირისპირე-

<sup>38</sup> United States Central Intelligence Agency, Dayton Agreement, 1995, 24 November: Bosnia and Herzegovina, <<https://www.loc.gov/item/2009584228/>> [12.12.2024]

ბამდე. სამოქალაქო ომი დაიწყო, რადგან აღნიშნულთან ერთად არსებობდა სხვა ნინაპირობებიც: დომოგრაფიული ასპექტი სასურველ გეოგრაფიულ არეალში, რესურსები და მთავარი – სახელმწიფოს ლეგიტიმაციის კრიზისი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახსენები, საფრთხის შემცველი, დამატებითი გარემოებები მაგალითად, ეთნიკური ერთობების სახელმწიფო საზღვართან კომპაქტური დასახლება და სხვადასხვაგვარ რესურსზე წვდომა სტაბილური პოლიტიკური ვითარების შემთხვევაში საფრთხის მატარებელი არ არის, რადგან არსებობს უამრავი მშვიდობიანი სახელმწიფოს მაგალითი მსგავსი მახასიათებლებით.

აქედან გამომდინარე, მოცემული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია დავადსტუროთ, რომ საზოგადოების ანომიური მდგომარეობა ატარებს მნიშვნელოვან რისკებს, შესაბამისი გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში, მარტივად ესკალირდეს შეიარაღებულ დაპირისპირებამდე, რადგან მსგავსი სოციალური ნიადაგი მინიმუმამდე ამცირებს მოსახლეობის თუ პოლიტიკური ელიტის რეზისტენტულობას შიდა თუ გარე უსაფრთხოების გამონევენების მიმართ.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- პლატონი, სახელმწიფო, ბ. ბრეგვაძის თარგმანი, თბილისი, 2003 [p'lat'oni, sak-helmts'ipo, b. bregvadzis targmani, tbilisi, 2003]
- ქილორი უ. რ., მეოცე საუკუნის მსოფლიო, საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან, თ. ხუნწარიას და ბ. ჯავახიშვილის თარგმანი, ა. რონდელისა და ე. მეტრეველის რედაქტორობით, თბილისი, 2015 [kilori u. r., meotse sauk'un-is msoplio, saertashoriso ist'oria 1900 ts'lidan, t. khunts'arias da b. javakhishvilis targmani, a. rondelisa da e. met'revelis redakt'orobit, tbilisi, 2015]
- ჯენტელსონი ბ., ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თარგმანი – დ. აფრასიძის, ა. მიქაუტაძის, ა. აბაშიძის, გ. გვალიას, ნ. ტიკარაძის, ტ. სიხარულიძის, თ. ქუმსიაშვილის, ნ. ფავლენიშვილის თარგმანი, დ. აფრასიძისა და გ. გვალიას რედაქტორობით, თბილისი, 2015 [jent'elsoni b., amerik'is sagareo p'olit'ik'a, targmani - d. aprasidzis, a. mikaut'adzis, a. abashidzis, g. gvalias, n. t'ik'aradzis, t. sikharulidzis, t. kumsiashvilis, n. pavlenishvilis targmani, d. aprasidzisa da g. gvalias redakt'orobit, tbilisi, 2015]
- Abashidze Z., Ananeishvili, G., International Armed Conflicts in the Final Stage of the Cold War (1975-1990) and Subsequent Period (1991-2005), Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 17, No. 4, 2023
- Abu Bader, S., Ianchovichina E., Polarization, Foreign Military Intervention and Civil Conflict, Policy Research Working Paper, Report Number WPS8248, 2017

- Burgi N., *Societies Without Citizens: The Anomic Impacts of Labor Market Restructuring and the Erosion of Social Rights in Europe*, *European Journal of Social Theory*, Vol. 17, No. 3, 2014
- Burton-Chellew M. N., Ross-Gillespie A., West S. A., *Cooperation in Humans: Competition Between Groups and Proximate Emotions*, *Evolution and Human Behavior*, Vol. 31, No. 2, 2010
- Collier P., Elliott V. L., Hegre H., Hoeffler A., Reynal-Querol M., Sambanis N., *Breaking the Conflict Trap: Civil War and Development Policy*, Washington DC, 2003
- Collier P., Hoeffler A., *On Economic Causes of Civil War*, *Oxford Economic Papers*, Vol. 50, No. 4, 1998
- De Figueiredo R. J., Weingast B. R., *Rationality of Fear: Political Opportunism and Ethnic Conflict*, in: *Civil Wars, Insecurity, and Intervention*, Edited by B. F. Walter and J. Snyder, Columbia University Press, 1999
- Djankov S., Reynal-Querol M., *The Causes of Civil War*, Policy, Research Working Paper, Report Number WPS 4254, Washington DC, 2007
- Durkheim É., *Suicide: A Study in Sociology*, Translated by J. A. Spaulding and G. Simpson, London, 2005
- Durkheim E., *The Division of Labor In Society*, Translated by G. Simpson, Edited by S. Lukes, The Free Press of Glencoe, 1960
- Ekiert G., Kubik J., Vachudova M. A., *Democracy in the Post-Communist World: An Unending Quest?*, *East European Politics and Societies*, Vol. 21, No. 1, 2007
- Ekiert G., *Three Generations of Research on Post Communist Politics—A Sketch*, *East European Politics and Societies*, Vol. 29, No. 2, 2015
- Giddens A., *Capitalism and Modern Social Theory: An Analysis of the Writings of Marx, Durkheim and Max Weber*, Cambridge University Press, 1971
- Gleditsch N. P., Wallensteen P., Eriksson M., Sollenberg M., Strand H., *Armed Conflict 1946-2001: A New Dataset*, *Journal of Peace Research*, Vol. 39, No. 5, 2002
- Harbom L., Melander E., Wallensteen P., *Dyadic Dimensions of Armed Conflict, 1946-2007*, *Journal of Peace Research*, Vol. 45, No. 5, 2008
- Heydari A., Teymoori A., Nasiri H., Fardzadeh H. E., *Relationship Between Socio-economic Status, Anomie, and Authoritarianism*, *Journal of Social Sciences and Humanities*, Vol. 7, No. 1, 2012
- Jones B. D., Stedman S. J., *Civil Wars & the Post – Cold War International Order*, *Dædalus*, Vol. 146, No. 4, 2017
- Ionescu O., Tavani, J., Collange J., *Political Extremism and Perceived Anomie: New Evidence of Political Extremes' Symmetries and Asymmetries Within French Samples*, *International Review of Social Psychology*, Vol. 34, No. 1, 2021
- Kalyvas S. N., Balcells L., *International System and Technologies of Rebellion: How the Cold War Shaped Internal Conflict*, *American Political Science Association*, Vol. 104, No. 3, 2010

- Kaufman S. J., Symbolic Politics or Rational Choice. *International Security*, Vol. 30, No. 4, 2006
- Magyar B., Madlovics, B., *The Anatomy of Post-Communist Regimes*, Budapest, 2020
- Mansfield E. D., Snyder J., Democratization and War, *Foreign Affairs*, Vol. 74, No. 3, 1995
- Merton R. K., *Social Theory and Social Structure*, New York, 1968
- Smith T., *America's Mission: The United States and the Worldwide Struggle for Democracy*, Princeton University Press, 2012
- Sprong S. J., "Our Country Needs a Strong Leader Right Now": Economic Inequality Enhances the Wish for a Strong Leader, *Psychological Science*, Vol. 30, No. 11, 2019
- Stankunas M., Lindbert J., Avery M., Sorensen R. Suicide, Recession and Unemployment, *The Lancet*, Vol. 381, No. 721. 2013
- Sydie R.A., *Natural Women Cultured Men: A Feminist Perspective on Sociological Theory*, Toronto, 1987
- Thorlindsson T., Bernburg J. G., Durkheim's Theory of Social Order and Deviance: a Multi-level Test, *European Sociological Review*, Vol. 20, No. 4, 2004
- Toft M. D., *The Geography of Ethnic Violence: Identity, Interests, and Indivisibility of Territory*, Princeton University Press, 2003
- Tughushi L., Turmanidze K., Gagua M., Khundadze T., Ananeishvili G., Zurabashvili T., *Anti-liberal Populism and the Treat of Russian Influence in the Regions of Georgia*, Tbilisi, 2018
- Vukušić I., Karčić H., *Torture, Humiliate, Kill: Inside the Bosnian Serb Camp System*, *Comparative Southeast European Studies*, Vol. 71, No. 1, 2023

Guram Ananeishvili\*

## POLITICAL ANOMIE AND CIVIL WAR

### Abstract

The article critically analyzes the concept of political anomie and examines how such social conditions are influenced by radical changes at the national level, as well as the impact of international dynamics on its emergence. Case study methodology was employed to research the correlation between political anomie and the genesis of armed civil conflict. Using Bosnia-Herzegovina as a case study, empirical evidence was identified that demonstrates how civil war can be, in some cases, determined by political anomie.

*Keywords: Political Anomie, Civil War, Radical Changes.*

---

\* Assistant at Sulkhan-Saba Orbeliani University; PhD Candidate at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, [g.ananeishvili@sabauni.edu.ge](mailto:g.ananeishvili@sabauni.edu.ge) <https://orcid.org/0009-0004-0079-5349>

ნიკო კვარაცხელია\*

## აჭარული ნაქარგობა და ლურჯი სუფრის დამზადების ტექნოლოგია, როგორც საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

### I. შესავალი – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რაობა

„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ (შემდგომში აკმ) ნიშნავს ადათ-წესებს, წარმოსახვისა და გამოხატვის ფორმებს, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, – ასევე მათთან დაკავშირებულ საშუალებებს, საგნებს, არტეფაქტებს და კულტურულ სივრცეებს, – აღიარებულს გაერთიანებების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად. აკმ ვლინდება შემდეგ სფეროებში: ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით; საშემსრულებლო ხელოვნება; ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები, დღესასწაულები; ბუნებასა და სამყაროსთან დაკავშირებული ცოდნა და ადათ-წესები; ხელოსნობის ტრადიციულ დარგებთან დაკავშირებული ცოდნა და ჩვევები.<sup>1</sup>

აჭარული ნაქარგობა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საინტერესო ნიმუში, მიეკუთვნება ხელოსნობის ტრადიციულ დარგებთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ხოლო აღორძინებული „ლურჯი სუფრის“ შემთხვევაში შენარჩუნებულია ძველი ფორმები და გარეგნობა, ხოლო დამზადების ტექნოლოგია სრულიად თანამედროვეა. სტატია მიმოიხილავს აჭარული ნაქარგობის ისტორიას, საერთაშორისო გამოცდილებასა და „ლურჯი სუფრის“ დამზადების ტექნოლოგიას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში.

\* საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, niko.kvaratskhelia@sangu.edu.ge <https://orcid.org/0009-0001-7934-4652>

<sup>1</sup> „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

## II. ნაქარგობის ისტორია და ადგილი არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაში

რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა ფუნდამენტური კოლექტიური ნაშრომი საქართველოში ნაქარგობის ისტორიის შესახებ. ხსენებული გამოცემის თანახმად, „ასწლეულების მანძილზე მქარგველი ოსტატები თაობიდან თაობას გადასცემდნენ თავიანთ ცოდნას. ყოველი ახალი თაობა საკუთარი გამოცდილებით, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნებითა და ფანტაზიით ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა წინამორბედისაგან გადმოცემულ ტრადიციას, ხვეწდა თავისი შემოქმედების ნაყოფს. ამ თაობათა რუდუნების წყალობით ჩვენამდე მოვიდა არამარტო მხატვრული ხელსაქმისა და შემოქმედებითი მუშაობის ტრადიცია, არამედ ფასდაუდებელი, მაღალი მხატვრული ღირსებით შემკული და შესრულების უზადო ოსტატობით გამორჩეული ნიმუშები ნაქარგობისა. ისინი არა ხელოსნობის, არამედ ჭეშმარიტად ხელოვნების ნიმუშებია და ორგანულადაა შერწყმული ჩვენი ხალხის მატერიალურ კულტურასა და გამოყენებით ხელოვნებასთან. ამავდროულად, ხელოვნების ეს ნიმუშები წარსულის უტყვი მონმეებია და ერთგვარი სარკეა, რომლის საშუალებით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ჩვენი ხალხის მხატვრული გემოვნება, ხასიათი, სულიერება, და მისი ესთეტიკური იდეალები“<sup>2</sup>. ეს ესთეტიკა კარგად შემოინახა აჭარის მთებში შეფენილმა სოფლებმა. „აჭარაში ხელსაქმეს ტრადიციულად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ მხარეში ნაქარგობა პატარძლის მზითვის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა. ქარგვის ტრადიციები აჭარაში ძველიდან მომდინარე ზოგადქართული ტრადიციული კულტურის განუყოფელი ნაწილი და მისი საინტერესო გაგრძელებაა. აჭარულ ნაქარგობაში გამორჩეულია ორნამენტი და სიუჟეტური მრავალფეროვნება. ძირითადად, დამახასიათებელი იყო მცენარეული, ცხოველური და ანთროპომორფული სახეები. გვხვდება გეომეტრიული ფორმებიც. აჭარულ ნაქარგობას მჭიდრო პარალელები ეძებნება ქართულ საეკლესიო ნაქარგობაში გამოყენებულ მხატვრულ-სიმბოლურ ფორმებთან. ასეთებია: ჯვარი, ვარსკვლავი, რომბი, მასში ჩაქარგული ჯვარი, ან რომბში მოქცეული ჩიტები, თევზები, მზის სიმბოლოები, ირმები, მიხაკები, და ოთხყურა მცენარეული ორნამენტები. განსაკუთრებით კი საინტერესოა სიცოცხლის ხის თემის ფორმათა გადმოცემის

<sup>2</sup> ლანჩავა ო., ჩუბინიძე ე., სულაბერიძე დ., ქარციძე ნ., სარავა ნ., დოლონაძე ა., მსხილაძე მ., უგრეხელიძე ი., ძველი ქართული ნაქარგობა წერილობით წყაროებში, არქეოლოგიურ მასალებსა და ხელოვნების ძეგლებში, ქუთაისი, 2017, 5.

ვარიანტები.“<sup>3</sup> აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინიციატივით და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადამწყვეტილებით, ტრადიციულ აჭარულ ნაქარგობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.<sup>4</sup>

აჭარელი ქალები ქარგვის დიდოსტატები იყვნენ. ახალგაზრდები ერთმანეთს ტანსაცმლისა თუ თავსაბურავის ნაწილების გაფორმებაში ეჯიბრებოდნენ. მათი ნაქარგობა გამოირჩეოდა ფერთა შეხამებით, სახეთა მრავალფეროვნებითა და დახვეწილობით. ეს ნაქარგები მზითვის აუცილებელი ნაწილი იყო. ამიტომ 10 წლიდან გოგონები ამზადებდნენ სამზითვოდ ნაქარგ ტილოებს – ხელნაქნარებს, რათა ამით მოერთოთ მეუღლის სახლი და ისტატობით თავი მოეწონებინათ. აჭარელი ქალები ქარგვის სხვადასხვაგვარ ტექნიკას ფლობდნენ: სადა, ატლასის, ამოზურცული, ყაისნალური, ხავერდულა, ოქრომკედი და ა.შ.

ნაქარგობანი მრავალფერი და მრავალსახოვანი შემკულობით ხასიათდება. გვხვდება გეომეტრიული, მცენარეული, ზოომორფული, ასტრალური და ანთროპომორფული ორნამენტები. განსაკუთრებით საინტერესოა ასტრალური სიმბოლოების გამოსახვა, რომლებიც მრავალგვარი სახელით მოიხსენიება: მზე, მზისთვალი, მზეგრძელა, მზისსხივა, ციცქალა, ბორჩხალაი, ვარსკვლავი და ა.შ. ხშირია ჯვარი და მისი სტილიზებული გამოსახულებები.

კედლის ფარდაგებში, პირსახოცებზე, ბალიშის პირებსა და თეთრეულზე უფრო ხასხასა და ფერადოვანი ნაქარგები გვხვდება მცენარეული და ზოომორფული გამოსახულებებით. განსაკუთრებით პოპულარულია სიცოცხლის ხის მოტივები, რომლებშიც სჭარბობს ირმების, ფარშევანგის, მამლის, სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის გამოსახულება. აჭარული ქალები დღემდე სათუთად ინახავენ ტრადიციული ქარგვის ხელოვნებას.<sup>5</sup>

### III. „ბლუტაბლას“ ლურჯი სუფრა

ინოვაციური პროდუქტი საქართველოს ტურისტულ ბაზარზე: „ლურჯი სუფრა XVII საუკუნიდან ქართული ყოფის განუყოფელი ნაწილია. ბლუტაბლას

<sup>3</sup> ტრადიციული აჭარული ნაქარგობა, <<https://ajaraheritage.ge/ge/aramaterialuri/traditsiul-acharuli-naqargoba/345>> [12.09.2024]

<sup>4</sup> იხ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2020 წლის 2 ნოემბრის №02/73 ბრძანება „კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“.

<sup>5</sup> იხ., ხალხური რენვა აჭარაში, ბათუმი, 2024.

ისტორიაც ლურჯი სუფრის კომპოზიციის აღდგენით დაიწყო. ტრადიციული სუფრის პირვანდელი ნიმუშის აღსადგენად ბლუტაბლა იყენებს ტექსტილის ციფრულად ბეჭდვის უახლეს ტექნოლოგიას. თითოეული ორნამენტი სუფრის დიზაინში ინდივიდუალურ, სიმბოლურ როლს თამაშობს, ამიტომაც მათი შე-რჩევა და ქსოვილზე კომპოზიციური განლაგება დიდი სიზუსტით სრულდება. შემდეგი ეტაპი ორნამენტებით მორთული ტექსტილის შემოჭრა და სუფრის კიდეების ხელით შემოკერვაა<sup>6</sup>.

„ლურჯი სუფრის ტრადიციული მოდელები იღებებოდა ლურჯისა და თე-თრი ფერის კომბინაციით. მათზე დატანილი ორნამენტებიც ერთი ტიპისაა და ხშირად განმეორებადია. დიდი სიხშირით გვხვდება ცხოველების, ფრინველე-ბის, მცენარეებისა და ტრადიციულ ტანისამოსში გამოწყობილი ქალ-ვაჟების გამოსახულებები. ასევე ხშირია აღმოსავლური მანა, რომელიც წარმოშობით სპარსულია და საქართველოშიც აღმოსავლური კულტურის ზეგავლენით გავ-რცელდა. რადგან ერთგვარი ტენდენცია შეიმჩნევა ლურჯი სუფრის დიზაინზე ორნამენტების განმეორების, სავარაუდოა, რომ ეს შემთხვევითი სულაც არ არის და მათ უკან უფრო ღრმა შინაარსი და უძველესი ნეს-ჩვეულებები, ხალხის ზოგადი მსოფლმხედველობა იმალება.

ლურჯი სუფრის ტრადიციულ ნიმუშებზე ხშირად ვხვდებით ცხოველებისა და ფრინველების ფიგურებს, მაგალითად, ირემი საკმაოდ გავრცელებული მოტივია. მისი გამოსახულება, გარდა ლურჯი სუფრისა, გვხვდება ანტიკური დროის სამკაულებსა და ნაკეთობებზე. ძველი წარმართული წარმოდგენებით ეს ფიგურა კავშირშია სიცოცხლესთან, რწმენასა და ცოდნასთან. ჩიტის გამო-სახულება ასევე სიცოცხლეს უკავშირდება, მათ შორის ქართულ მითოლოგი-აშიც. თევზის ფიგურა კავშირშია რელიგიურ, ხალხურ რწმენა-წარმოდგენებ-თან და აქვს საკრალური მნიშვნელობა, ამიტომაც ის ლურჯ სუფრაზე ხშირად გვხვდება და განსაკუთრებული დატვირთვით გამოირჩევა. მსგავსი დატვირთვა აქვს გეომეტრიულ ფიგურებსაც, როგორიცაა ჯვარი, რომბი, წრე, ბორჯღალო. ეს მოტივები გავრცელებული იყო მაღალმთიან რეგიონებში, დამახასიათებ-ლია ხევსურული პატერნისთვის, გვხვდება ქართული ხალიჩების დიზაინზეც, რომლებიც ასევე მუზეუმშია დაცული.

---

<sup>6</sup> როგორ იქმნება ბლუტაბლა – წარმოება, <<https://bluetabla.ge/bluetabla-blog/bluetabla-production-blog/?srsltid=AfmBOopOP9ptNpkrFbNyyVcXAZiQ7KU5INhE3nNChyv8-UIGCrHINuHV>> [12.09.2024]

ასევე გავრცელებულია ქალ-ვაჟების ფიგურები, რომლებიც გამონწყობილები არიან იმავე ეპოქის შესაბამისად. ხშირია ნადირობის სცენებიც, რომლებიც ასევე სხვა არქეოლოგიურ წყაროებშიც გვხვდება და ჩვენთვის უცნობი არაა. შედარებით მოგვიანებით, XX საუკუნეში, სუფრებზე გაჩნდა დანა-ჩანგლის გამოსახულება. სავარაუდოა, რომ ის სიმბოლურად სუფრის ფუნქციებზე მიუთითებდა.<sup>7</sup>

ლურჯი სუფრის ხანგრძლივი განვითარების ისტორიისა და შესაბამისი კულტურული დატვირთვა/ღირებულების გათვალისწინებით, მას 2017 წლის 2 ივნისს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.<sup>8</sup>

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ და იუნესკოს ეროვნულმა კომისიამ (UNESCO) განახორციელეს ერთობლივი პროექტი – „ტექსტილის სახელოსნოები რეგიონებში შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებისათვის“. პროექტი შესრულდა სამხატვრო აკადემიის „ლურჯი სუფრის“ ლაბორატორიის ბაზაზე. პროექტი მიზნად ისახავდა მათ შორის ლურჯი სუფრის ელემენტებისა და ქართული და მულტიკულტურული ქსოვილის ტრადიციებისა და მხატვრული ფორმების გამოყენებით ახალი ქსოვილის ნიმუშების მომზადებასა და შემდგომ მოდის დიზაინის/სამოსის, აქსესუარებისა და სუვენირების შექმნას; სახელოსნოებში შექმნილი ნამუშევრების გაყიდვის ვებ-გვერდის მომზადებას და სხვ.<sup>9</sup>

## IV. ნაქარგობის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, შესახებ საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება

### 1. ნაქარგობა „ზმიიანიე“: ბოსნია და ჰერცეგოვინას მაგალითი

ნაქარგობა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და კვლევის ობიექტი, უაღრესად საინტერესო საკითხია. ნაქარგობა „ზმიიანიე“ ბოს-

<sup>7</sup> ლურჯი სუფრის ისტორია, <<https://bluetabla.ge/bluetabla-blog/ლურჯი-სუფრის-ისტორია/>> [12.09.2024]

<sup>8</sup> „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტისათვის“ ლურჯი სუფრის დამზადების ტრადიციული ტექნოლოგია და კულტურა“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2017 წლის 2 ივნისი ბრძანება №2/60.

<sup>9</sup> <<https://www.facebook.com/share/p/14unL5wHo5/>> [12.09.2024]

ნია და ჰერცეგოვინას ინიციატივით შეტანილია კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში. შესაბამისად, ნაქარგობის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, ისტორია ახალია და მასზე ამ თვალსაზრისით ბევრი კვლევა არ ჩატარებულა. ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ ნაქარგობას, როგორც ხელოსნობის მიმდინარეობას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხთა ცხოვრებაში. „ზმიიანიე“ ნაქარგები არის ქარგვის ორიგინალური სტილი ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ზმიიანეს რეგიონში. ტრადიციულად, ეს ნაქარგი მოტივები გამოიყენება ქალის კოსტიუმების, საქორწილო კაბების, შალის, ტანსაცმლისა თუ თეთრეულის გასაფორმებლად. ნაქარგის მთავარი მახასიათებელია მუქი ლურჯი ან შავი ძაფები და იმპროვიზირებული გეომეტრიული ფორმები. ნაქარგი ნიმუშების სიმდიდრე და ვარიაციები განსაზღვრავს ქალთა სოციალურ სტატუსს რეგიონში. „ზმიიანიეს“ ახასიათებს გეომეტრიული ორნამენტების ჰარმონია და სტილისტური სრულყოფილება ექსკლუზიურად მუქ ლურჯ ან შავ ფერებში შერწყმული, განსხვავებით ბოსნია და ჰერცეგოვინის სხვა ნაწილებისგან, სადაც ნაქარგები შესრულებულია ოთხ ფერში. ნაქარგები „ზმიიანიე“ კეთდება ქარგვის სხვადასხვა ტექნიკაში. ბალკანური ქარგვის ტექნიკის „ზმიიანიე“ ქარგვის ერთ-ერთ უძველეს ფორმას, მასში გამოყენებული პირველადი გეომეტრიული ორნამენტები (როგორიცაა, ბორბლები და სხვადასხვა ბრილიანტი), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩნდება ნეოლითის ეპოქაში.

ნაქარგები, როგორც წესი, არის არა მხოლოდ ტურისტებისთვის მიმზიდველი სუვენირი, არამედ მათი დაკვირვების ობიექტი. ისინი ამ პროცესის მონაწილენი არიან. პროცესი მიმდინარეობს ოსტატი ქალების მონაწილეობით, სიმღერებისა და საუბრების თანხლებით. ქალები ქარგვის ხელოვნებას ამ ტურებში სწავლობენ უფრო გამოცდილი მქარგველების ყურებით და განუწყვეტლივ იმეორებენ და აერთიანებენ წინასწარ განსაზღვრულ ელემენტებს მრავალ ვარიაციაში. „ზმიიანიე“ ნაქარგები შეტანილია იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში 2014 წლის 26 ნოემბრიდან.<sup>10</sup>

ტრადიციულად, ხსენებული ნაქარგები გამოიყენება ქალის კოსტიუმების, მათ შორის, საქორწილო კაბების, შარვების, ტანსაცმლისა და თეთრეულის გასაფორმებლად. მისი სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ „ზმიიანიე“ უხვად არის ორნამენტირებული და შექმნილია ქსოვის სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, ასევე შეღებილია მუქი ლურჯის უნიკალურ ჩრდილში. თითოეულ მოტივს აქვს

<sup>10</sup> Zmijanje embroidery, <<https://ich.unesco.org/en/RL/zmijanje-embroidery-00990>> [12.09.2024]

თავისი მნიშვნელობა, როგორცაა ოჯახური ბედნიერების მოტანა, კარგი ჯანმრთელობა, ჯანმრთელი შთამომავლობა და ა.შ.<sup>11</sup>

## 2. აპენცელერის ხელით ნაქარგები Verena Schiegg:

### შვეიცარიის მაგალითი

2024 წლის 15 მაისს Pro Innerrhoden Foundation-ის აღიარების პრიზი გადაეცა ხელით ქარგვის გილდიას – ვერენა შიგს (Verena Schiegg). დაჯილდოების ცერემონია გაიმართა ყოველთვიური Handstick-Stobede-ის ფარგლებში აპენცელის მუზეუმში.<sup>12</sup>

ხელით ქარგვას აპენცელერლანდიაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. სულ რაღაც ასი წლის წინ აპენცელ ინერჰოდენში 3000 ქალი მუშაობდა ხელით ქარგვაში, როგორც სრულ განაკვეთზე ან ნახევარ განაკვეთზე. მიუხედავად იმისა, რომ მექანიზაციამ ბევრი ცოდნის გაქრობა გამოიწვია, საბედნიეროდ, ათიოდე აპენცელი ქალი დღესაც ეწევა ამ დელიკატურ ხელობას. ვერენა შიგმა პრიზი მიიღო სწორედ ინეროდენის ხელით ნაქარგობაში შეტანილი დიდი წვლილისთვის. იგი დაინტერესებულ ადამიანებს ასწავლის აპენზელის ხელით ნაქარგების საფუძვლებს. თეთრეულის ქსოვილზე არა მხოლოდ ტრადიციული ნიმუშები, არამედ თანამედროვე მოტივებიც არის ამოქარგული აპენცელისთვის დამახასიათებელ ლურჯ ჩრდილში შეღებილი თხელი ძაფით. აპენცელის მუზეუმში კურსებითა და ყოველთვიური “Handstickstobede“-ით, მას დიდი წვლილი შეაქვს ტრადიციისა და სპეციალიზებული ცოდნის შენარჩუნებაში. ხშირად ადამიანები გერმანიიდან ან ჰოლანდიიდან სპეციალურად მიემგზავრებიან აპენცელში, რათა გაეცნონ აპენცელის ხელით ნაქარგების ტექნიკას. შიგი არა მხოლოდ გადასცემს ცოდნას, არამედ ასევე ქარგავს სხვების სახელით. იგი უძღვება დეფექტური ნაქარგების შეკეთებას, სუფრის, ხელსახოცების ან ცხვრისახოცების გაფორმებასა და ინეროდენის სადღესასწაულო კოსტუმის ნაწილების დამზადებას უმაღლესი ოსტატობით.<sup>13</sup>

<sup>11</sup> Traditional Embroidery from Zmijanje Village, <<https://etno-muzej.com/en/news/traditional-embroidery-from-zmijanje-village/>> [12.09.2024]

<sup>12</sup> Anerkennungspreis für die Hüterin der Innerrhoder Handstickerei, <<https://www.ai.ch/verwaltung/kommissionen/stiftungsrat-stiftung-pro-innerrhoden/aktuelles/anerknennungspreis-fuer-die-hueterin-der-innerrhoder-handstickerei>> [12.09.2024]

<sup>13</sup> Appenzeller Handstickerei Verena Schiegg, <<https://www.appenzell.ch/de/appenzeller-produkte/produzenten-und-handwerker/appenzeller-handstickerei-verena-schiegg.html>> [12.09.2024]

### 3. ქართული ტუროპერატორის მაგალითი:

#### ათდღიანი ტექსტილის მოგზაურობა

საქართველო ყოველთვის იყო სატრანზიტო ქვეყანა, სადაც თავს იყრიდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მრავალფეროვანი გავლენა და კულტურა. ტექსტილის ათდღიანი მოგზაურობას მიჰყავს ტურისტები თუშეთის შორეულ მთიან მხარეში, რომელიც ცნობილია თუშური მატყლით. ამ გზას ტურისტი მიჰყავს აბრეშუმის სპინერებსა და ხალიჩების მქსოველებამდე და ბოლოს, ეს გზა გადის ახალგაზრდა დიზაინერებზე, რომლებიც ავითარებენ უნიკალურ შემოქმედებას საქართველოს დედაქალაქ თბილისში ტრადიციული მემკვიდრეობისა და თანამედროვე საშუალებების გამოყენებით.<sup>14</sup>

## IV. ნაქარგობა, როგორც სუვენირი და მისი გამოყენება ტურიზმში

ტურიზმის ინდუსტრია, საკუთარი არსით წარმოგვიდგება როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობა – აქ ვხვდებით სხვადასხვა ტიპის საწარმოს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ორიენტირებულნი არიან განსხვავებულ პროდუქტსა და მომსახურებაზე, მაგრამ, ამავდროულად, პირდაპირი თუ ირიბი ქმედებებით, ზეგავლენას ახდენენ ტურიზმზე. თავდაპირველად სუვენირები ძირითადად ასოცირდებოდა სამახსოვრო საჩუქართან, რომელსაც მოსახლეობა ერთმანეთს გადასცემდა, რამაც განაპირობა კიდევ ტერმინ „სუვენირის“ დამკვიდრება (ფრანგ. ხსოვნა, მეხსიერება). სუვენირების განვითარების შემდეგი

<sup>14</sup> მოგზაურობის მთავარი მომენტები: 1. აღმოსავლური ხალიჩების გალერეა თბილისში; 2. ტრადიციული ხელნაკეთობები პანკისის ხეობაში; 3. მეცხვარეობა და პიქტოგრამები თუშეთში; 4. ლამარა ბეჟაშვილის აბრეშუმის მეურნეობა; 5. ფაბრიკა, ლურჯი სახლი, სამოსელი პირველი და სხვ.; 6. თბილისის აღმოსავლური სპა უბანი. ხალიჩების გალერეა – ხალხური ხელოვნების მუზეუმი – ნინო ყიფშიძე; 7. ტრადიციული ცხოვრება პანკისის ხეობაში. თბილისი – პანკისის ველი; 8. თუშეთის მაღალმთიანი რეგიონი. ალვანი – აბანოს უღელტეხილი – ომალო; 9. დართლოს არქაული მთის სოფელი. კესელო – დართლო; 10. კახეთის მზიანი ღვინის რეგიონი. თელავი – წინანდალი – მოსმიერის მელვინეობა; 11. მცენარეული საღებავებით შეღებილი ცხვრის მატყლი ფესვების ქარხნიდან. დედოფლისწყარო – ატელიე ფესვები – სილნალი; 12. ფიროსმანი და აბრეშუმის ჭიის აღორძინება. ქვემო მაღარო – თბილისი; 13. ხალიჩების ქსოვა სამხრეთ საქართველოში; 14. აბრეშუმის მუზეუმი და საკულტო კაფე Fabrika; 15. ხელსაქმიდან მოდის დიზაინამდე. იხ., Textiltreise Georgien 10 Tage | Kunsthandwerk & Fashion, <<https://www.georgia-insight.eu/reisen/textiltreise-georgien-10-tage>> [12.09.2024]

ეტაპი უკავშირდება უკვე ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასაც, რომელიც მეცხრამეტე საუკუნიდან ჩნდება მსოფლიო პრაქტიკაში და დღემდე განვითარების პროცესშია.

მსოფლიო მასშტაბით მოგზაურობის განვითარებამ და პოპულარიზაციამ, შესაბამისი ზეგავლენა მოახდინა სუვენირებზეც – ამ შემთხვევაში მოგზაურები სუვენირებს არა მხოლოდ პირადი გამოყენების მიზნით შეიძენდნენ, არამედ მან მიიღო ახალი დანიშნულება, რომლის მიხედვითაც, უკვე ოჯახის წევრებისათვის, მეგობრებისთვის თუ სხვა პირებისთვის ყიდულობენ თემატურ საჩუქრებს, რომლებიც, როგორც წესი, ასოცირდება იმ ქვეყნის კულტურასთან, რომელშიც მოგზაურობდა კონკრეტული პიროვნება.<sup>15</sup>

წარმოდგენილი განმარტებების შედეგად, იკვეთება სუვენირების, როგორც სამახსოვრო ნივთების, აქტუალობა თემატიკის მიხედვით, რაც განაპირობებს კიდევ მათ მნიშვნელობას ტურისტისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილია ოთხი ძირითადი თემატიკა: 1. სუვენირები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ ადგილს, ასახავს ბუნებას, ეროვნულ და ადგილობრივ მახასიათებლებს; 2. სუვენირები, რომლებიც უკავშირდება თარიღს ან კონკრეტულ მოვლენას; 3. სუვენირები, რომლებიც უკავშირდება გამორჩეულ პიროვნებას; 4. კომბინირებული სუვენირები.

სუვენირი მნიშვნელოვანი სახსოვარია ქვეყნიდან ნაღებული შთაბეჭდილებების გასახსენებლად და გასააქტიურებლად. ამასთან სუვენირს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მახასიათებლები: 1. ფასი (სუვენირი უნდა იყოს ტურისტისათვის ხელმისაწვდომი); 2. კომპაქტური ზომა და წონა, რომელიც მნიშვნელოვანია ხანგრძლივი გადაადგილებების დროს; 3. ტრასპორტაბელობა, რაშიც იგულისხმება მისი ბარგში მოთავსება, ანუ არ უნდა იყოს მსხვრევადი, მტვრევადი და მძიმე; 4. სუვენირს ირჩევენ სილამაზის, პრაქტიკული დანიშნულების და სარგებლიანობის გამო.

შესაბამისად, ნაქარგობა შესანიშნავი სუვენირია, რომელიც მისდამი წაყენებულ პირობებს სრულიად აკმაყოფილებს.

## V. დასკვნა

სტატიაში მოტანილი ორი ქართული მაგალითი მიუთითებს ორ განსახვავებულ გზაზე, რომელიც განვლო თითოეულმა მათგანმა, რომ ჩვენამდე მოეღწია:

<sup>15</sup> იხ., Туризм в Социокультурном Пространстве Тюменского Региона, Тюмень, 2006, 10-23.

- მაღალმთიანი აჭარელი ქალების ქარგვის ხელოვნებამ ყოველგვარი ტექნოლოგიური ცვლილებების გარეშე მოაღწია XXI საუკუნემდე;
- აქ გვხვდება, ერთი მხრივ, უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება საყვარელი საქმისადმი და მეორე მხრივ, აუცილებლობა ძველი ტექნიკის შენარჩუნებაში. ტრადიციული ხელით ქარგვა არ იძლევა ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და გამოყენების საშუალებას, რითაც იგი ვერ გაუწევს კონკურენციას თანამედროვე მანქანებით შესრულებულ ნაქარგობას;
- ცვლილება, რომელიც მოიტანა ახალმა საუკუნემ, მდგომარეობს პროდუქტის გასაღებაში. მთიან აჭარას მცხოვრები ქალები წარმატებით იყენებენ XXI საუკუნის გასაღების საშუალებებს. როგორიცაა: საძიებო სისტემები, სოციალური მედია, ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდები;
- რაც შეეხება „ლურჯ სუფრას“, მისი ისტორია გვიან შუა საუკუნეებში დაიწყო და შეწყდა ისტორიული ავტენტურობის გამო;
- საოცარი ჩიტებით, ირმებითა და ულამაზესი ფიგურებით მორთული ქართული ლურჯი სუფრა უკვე სამი საუკუნეა ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. შემდეგ სუფრის გაფორმების ტრადიცია დავიწყებას მიეცა, მაგრამ ამ ბოლო დროს მოტივირებულია ადამიანებმა დაიწყეს ტექნოლოგიის აღორძინება და მისი გამოყენება;
- „ლურჯი სუფრა“ არის შესანიშნავი ნიმუში უძველესი ტრადიციის ახალი ტექნოლოგიების საშუალებით ინოვაციური პროდუქტის შექმნისა, რომელმაც რამდენიმე წელიწადში დაამტკიცა ასეთი გადარჩევის სისტორია და ბაზარზე ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ლანჩავა ო., ჩუბინიძე ე., სულაბერიძე დ., ქარციძე ნ., სარავა ნ., დოღონაძე ა., მსხილაძე მ., უგრეხელიძე ი., ძველი ქართული ნაქარგობა წერილობით წყაროებში, არქეოლოგიურ მასალებსა და ხელოვნების ძეგლებში, ქუთაისი, 2017 [lanchava o., chubinidze e., sulaberidze d., kartsidze n., sarava n., doghonadze a., mskhiladze m., ugrekheldidze i., dzveli kartuli nakargoba ts'erilobit ts'q'arobeshi, arkeologiur masalebsa da khelovnebis dzeglebshi, kutaisi, 2017]
- ხალხური რენვა აჭარაში, ბათუმი, 2024 [khalkhuri rets'va ach'arashi, batumi, 2024]
- Туризм в Социокультурном Пространстве Тюменского Региона, Тюмень, 2006

Niko Kvaratskhelia\*

## ADJARIAN EMBROIDERY AND BLUE TABLECLOTH MAKING TECHNOLOGY AS MONUMENTS OF INTANGIBLE CULTURAL HERITAGE OF GEORGIA

### Abstract

The UNESCO Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage defines intangible cultural heritage as “practices, representations, expressions, knowledge, skills – as well as the instruments, objects, artefacts and cultural spaces associated therewith – that communities, groups and, in some cases, individuals recognize as part of their cultural heritage.” This heritage, passed down through generations, evolves as communities respond to their environment, interact with nature, and process their history, fostering identity, continuity, and respect for cultural diversity.

This article examines two distinct examples of Georgian intangible cultural heritage in craftsmanship: Adjarian embroidery and the “blue tablecloth.” Adjarian embroidery represents traditional knowledge and skills within craftwork. In contrast, the revived “blue tablecloth” maintains historical forms and appearances while employing modern manufacturing technologies. The study explores the history of Adjarian embroidery, international perspectives, and the manufacturing techniques of the “blue tablecloth” within the framework of intangible cultural heritage.

These two cases demonstrate divergent paths of cultural preservation. The highland Adjarian women’s embroidery art has persisted into the 21st century without technological modification, reflecting both passionate dedication to the craft and commitment to preserving traditional techniques. Conversely, the “blue tablecloth,” originating in the late Middle Ages before being disrupted by historical circumstances, exemplifies successful innovation. Its revival through modern technologies based on ancient traditions has proven commercially viable while maintaining cultural significance.

*Keywords: Intangible Cultural Heritage; Traditional Embroidery; Georgian Souvenir; Blue Tablecloth.*

---

\* Professor of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, [niko.kvaratskhelia@sangu.edu.ge](mailto:niko.kvaratskhelia@sangu.edu.ge) <https://orcid.org/0009-0001-7934-4652> <https://orcid.org/0009-0004-0079-5349>

მარი სიმონიშვილი\*

## რაფიელ ერისთავის შემოქმედება და მისი ლირიკის ძირითადი თანდენციები

### I. შესავლის ნაცვლად

რაფიელ ერისთავი იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული კულტურის, ლიტერატურის, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში. ის პირველად 1846 წელს ჩნდება ქართულ პრესის ფურცლებზე, ნარკვევით ფშავ-ხევსურეთის შესახებ.<sup>1</sup> ამის შემდეგ იგი სიცოცხლის ბოლომდე საქვეყნო საქმის სამსახურშია. აქვეყნებს არა მხოლოდ პოეტური ხასიათის ტექსტებს, არამედ სამეცნიერო შინაარსის პუბლიკაციებსაც. რაფიელ ერისთავი იყო ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფის აღმწერი, ლექსიკოგრაფი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი; მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში პროფესიული თეატრის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის დაარსება. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა გვერდით იღვწოდა ეროვნული საქმის წინსვლისათვის, ქართული კულტურის სათანადოდ წარმოჩენისა და პოპულარიზაციისთვის.

რაფიელ ერისთავის ლექსები გამოხატავს იმ ეროვნულ სულისკვეთებას, რომელიც ქართულ მწერლობაში სამოციანელებმა დაამკვიდრეს. მათი მთავარი მიზანი ხომ ქართველი ერის დამოუკიდებლობისა და ქართული ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა იყო. სალექსოდ ავტორი მარტივ ხალხურ სიტყვებს ირჩევს. მის ბევრ ლექსს ხალხური ამბავი, თქმულება ან გადმოცემა უდევს საფუძვლად, მაგრამ პოეტური ოსტატობის წყალობით ინარჩუნებს ორიგინალურ ხასიათს. მისი ლექსები ვარიანტებად გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგალითად: „პურის მოსავალი“, „სამშობლო ხევსურისა“.

ნაშრომის მიზანია რაფიელ ერისთავის ლირიკის ძირითადი ასპექტების წარმოჩენა. მის შემოქმედებაში ვხვდებით: ლექსებს, მოთხრობებს, ისტორიულ პო-

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, marisimonishvili13@gmail.com <https://orcid.org/0000-0003-4866-8870>

<sup>1</sup> ითონიშვილი ვ., ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1989, 40.

ემებს, პიესებსა და თარგმანებს. პოეტისთვის სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იმდენად ამაღლებული ცნებებია, რომ თავისი შემოქმედებით მკითხველს უღვივებს ქვეყნისა და მშობლიური მიწის უპირობო სიყვარულს.

## II. ბიოგრაფიულ სათავეებთან

რაფიელ ერისთავი 1824 წლის 9 აპრილს დაიბადა სოფელ ჭალაში (გორის მაზრაში), ბავშვობა კი კახეთში, სოფელ ქისტაურში გაატარა. ეს სოფელი მეფე ერეკლეს უბოძებია რაფიელის დიდი პაპისთვის, ბეჟან ერისთავისთვის. წერა-კითხვა დედას უსწავლებია. ოჯახს არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა ჰქონდა, თვით მარი ბროსეც კი აღფრთოვანებულია მისი ნახვით. გონიერი და გულმოდგინე რაფიელი მამამ ჯერ თელავის სამაზრო სასწავლებელში მიაბარა, მერე შუამთის მონასტერში. მცირე ხანს იგი გორში იღებდა განათლებას, ბოლოს უკვე თბილისში – კეთილშობილთა გიმნაზიაში, რომელიც 1844 წელს დაამთავრა. სწავლის გაგრძელება მან თვალების პრობლემის გამო ვეღარ შეძლო და გიმნაზიის დამთავრებიდან ორიოდე წლის შემდეგ იგი თიანეთში იწყებს სამსახურს თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოს თარჯიმნად. რუსული ენის ჩინებული ცოდნის წყალობით იგი მალე გაზეთ „კავკაზში“ ბეჭდავს პუბლიცისტურ წერილებსა თუ ნარკვევებს. მას რუსულად დაუწერია მოთხრობა „ჩანჩურა“, რომელიც გამოუქვეყნებია ალმანახში „ზურნა“. რაფიელმა რამდენიმე სამსახური გამოიცვალა, იყო ზუგდიდის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელიც. სწორედ, ზუგდიდში ცხოვრების პერიოდში გაიცნო მომავალი მეუღლე, თეოდოსია.<sup>2</sup>

სიცოცხლის უკანასკნელი წლები რაფიელ ერისთავმა თელავში გაატარა, აქვე გარდაიცვალა 1901 წლის 19 თებერვალს. პოეტის ანდერძის თანახმად, იგი საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს.<sup>3</sup>

## III. რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი ასპექტები

ქართველ მწერალთა შორის რაფიელ ერისთავს თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი, პოემა, მოთხრობა, პიესა,

<sup>2</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბილისი, 1979, 194.

<sup>3</sup> ზუნდაძე ს., ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, რაფიელ ერისთავი, ქუთაისი, 1918, 5.

თარგმანი, ამასთანავე იგი ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ენათმეცნიერული თუ ლექსიკოლოგიური ნაშრომების ავტორია. მისი გამორჩეული სამწერლო უნარები თავიდანვე სწორად შეაფასა ილია ჭავჭავაძემ და აღნიშნა ივერიის გვერდებზეც, რომ რაფიელმა შექმნა ხალხური პოეზიის სკოლა.<sup>4</sup> სწორედ მან გაუკვალა ლიტერატურული გზა ქართველ ხალხოსნებს: ნიკო ლომოურს, ეკატერინე გაბაშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს. იგი თარგმნიდა პუშკინის პოეზიას, კრილოვის იგავ-არაკებს, გადმოაქართულა ვოდევილები, რომელთაგანაც „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ყველაზე ცნობილია მკითხველი აუდიტორიისთვის, იგი დიდი წარმატებით დაიდგა ქართული თეატრის სცენაზე.

დიდი მონდომებითა და ინტერესით აგროვებდა რაფიელ ერისთავი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, მასვე შეუდგენია ლექსიკონები (მათ შორის – სულხან-საბასი, რომლის ორი ათასი გვერდი საკუთარი ხელით გადაუწერია), დიდა მისი წვლილი ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებაში.<sup>5</sup> რაფიელი თავმჯდომარეობდა დრამატულ საზოგადოებას, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში.<sup>6</sup>

სამოციანელთა საქმიანობამ გააფართოვა რაფიელ ერისთავის პოეტური არეალი, უფრო გააღრმავა სამუშაო თემატიკა და გამოუმუშავა წერის ორიგინალური მანერა. რაფიელის შემოქმედებამ, მისმა ეროვნულ-პატრიოტულმა ლექსებმა, ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარული და აღიარება მოიპოვა. იგი სრულიად ახალგაზრდა ჩაება ეროვნულ ცხოვრებაში.

რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში ვხვდებით: ლექსებს, მოთხრობებს, ისტორიულ პოემებს, პიესებს და თარგმანებს, რომლებიც დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და არ დაუკარგავთ მხატვრული ღირებულება. პოეტის ლექსები განმსჭვალულია უდიდესი ეროვნული სულისკვეთებით, რომელიც ჩვენს მწერლობაში ჯერ კიდევ სამოციანელებმა დაამკვიდრეს. მათ გზას აგრძელებს სწორედ რაფიელ ერისთავიც. მისი შემოქმედებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეროვნული თავისუფლების მოტივი. ეს კი მის შემოქმედებაში თავს იჩენს სამწერლობო ასპარეზზე გამოჩენისთანავე. ამ მხრივ განსაკუთრებულია ლექსი

<sup>4</sup> ნაკაშიძე თ., დედაენის საგალობელი რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში, ხიჭაური, 2019, 22.

<sup>5</sup> იხ., იქვე, 61.

<sup>6</sup> იქვე.

„იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანიანო“, რომელიც რაფიელ ერისთავმა 1853 წელს დაწერა და ქართველ ბავშვებს უძღვნა. ამ ლექსით მათ სამშობლოსთვის თავგანწირვას ასწავლის, მოუწოდებს გმირული საქციელისკენ.

სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით განმსჭვალული პოეტი, იგონებს ქართველთა გმირულ საქციელს, მათ თავგანწირვას. პოეტი ცდილობს შეგვახსენოს ის ღირსეული ეპოქა, რომელიც შექმნეს ქართველებმა. ამის ნათელი მაგალითია ლექსი „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?“, რომელშიც ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის მამა-პაპათა ბრძოლა და თავგანწირვა;

„რას ერჩი მაგ ბიჭს თათარო! –  
ხომ ჰხედავ, დაკოდილია?  
მამულისათვის იბრძოდა,  
რადგან მამულის შვილია.“<sup>7</sup>

საქართველოს დასაცავად ბრძოლის ველზე გასული მეომრები მშობელი ხალხის უდიდესი სიყვარულით არიან შთაგონებულნი და უკიდურესი გაჭირვების დროსაც არ ეცემიან სულიერად.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლექსი „დედაენა“.

მწერალი სამშობლოს მშობელ დედასთან აიგივებს და მიიჩნევს, რომ ისიც უფალივით ერთია ამქვეყნად. 1881 წელს გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის ყველაზე ცნობილი პოეტური შედევერი – „სამშობლო ხევსურისა“. ეს ლექსი დღემდე დიდი სიყვარულით სარგებლობს მკითხველ საზოგადოებაში.

რაფიელ ერისთავი წერდა ლექსებს, რომლებიც ეხებოდა სოციალურ თემატიკას. იგი შემოქმედებაში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ლექსებს, სადაც ბატონყმობაა დაგმობილი. 1857 წელს რაფიელ ერისთავმა დაწერა ლექსი, რომელსაც უწოდა „მთხოვნელი მსაჯულისადმი“. აქ ასახულია ის, რაზეც ილია „კაკო ყაჩაღში“ საუბრობს, მაგრამ უფრო ვრცლად.

სოციალურ თემაზეა დაწერილი ასევე ლექსი „ლარიბი“. ამ ნაწარმოებში ლარიბი, მაგრამ სულიერად მდიდარი, ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი მიმართავს მდიდარს: „მილიონებსა ნატრობ, ეძებ ბედნიერებას, ფულებსა სცემ თავყვანსა, სდევნი მეცნიერებას... რასაც ეძებ ვერ ჰპოვებ, გეტყვი წმინდის გულითა, ვერა ჰპოებ, რადგანაც, ლარიბი ხარ სულითა...“<sup>8</sup> უამრავი ლექსი აქვს დაწერილი თუ გადმოთარგმნილი ამ მოტივზე რაფიელს. იგი ყოველთვის ალალი, მშრომელი ხალხის სადარაჯოზე იდგა და იზიარებდა მათ ჭირ-ვარამს.

<sup>7</sup> ერისთავი რ., ლექსები, პოემები, თბილისი, 1974, 56.

<sup>8</sup> კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1959, 509.

რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში ვხდებით სამ ძირითად ტენდენციას: პატრიოტულს, სოციალურსა და სატრფიალოს. უნდა ითქვას, რომ ერისთავის პატრიოტული მოტივი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. მისი პოეზია გარკვეულწილად დიდაქტიკურ ხასიათსაც ატარებს. ეს აიხსნება ქვეყანაში არსებული იმდროინდელი ვითარებით.

რაფიელ ერისთავს, როგორც ნიჭიერ საბავშვო მწერალს, დიდად აფასებდნენ ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა. მისი საბავშვო ლექსების ანალიზი ცხადყოფს, რომ პოეტი ღრმად იცნობს ბავშვის ფსიქოლოგიას. ამ ტიპის ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა: „მერცხალი“, „გაზაფხული“, „დედა ენა“, „შემოდგომა“, „სურათი“, „ზამთარი“ და სხვ. რაფიელ ერისთავს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებაში. მან ჩაუყარა საფუძველი საბავშვო პოეზიის იმ მიმართულებას, რომელიც შემდგომში ღირსეულად განაგრძო შიო მღვიმელმა.

## IV. დასკვნა

„ქართველმა ხალხმა პოეტის სიცოცხლეშივე შეიგრძნო რაფიელ ერისთავის სისხლბორცეული კავშირი სამშობლო მიწასთან. ამიტომ იგი იმთავითვე იქცა ხალხის საყვარელ პოეტად. ერმა ყველაფერში, რასაც რაფიელი შეჰხებია, სამშობლოსადმი მისი უსაზღვრო სიყვარული ამოიკითხა. ამიტომ არ დანებდა პოეტი ისტორიული წარმავლობის მსახვრალ ხელს. რაფიელ ერისთავი დღესაც ისეა ამეტყველებული, თითქოს ჩვენი თანამედროვე იყოს. იგი ჩვენ წინაშე ხელახალი სიცოცხლით აღიმართა.“<sup>9</sup>

რაფიელ ერისთავის შემოქმედებამ, განსაკუთრებით კი მისმა ეროვნულ-პატრიოტულმა ლექსებმა, ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ერისთავი რ., ლექსები, პოემები, თბილისი, 1974 [eristavi r., leksebi, p'oemebi, tbilisi, 1974]
- ვაშაყმაძე შ., რაფიელ ერისთავის დაბადების 150 წლისთავი, თბილისი, 1974 [vashaq'madze sh., rapiel eristavis dabadebis 150 ts'listavi, tbilisi, 1974]
- ითონიშვილი ვ., ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1989 [itonishvili v., kartuli etnografiis nark'vevebi, tbilisi, 1989]

<sup>9</sup> ვაშაყმაძე შ., რაფიელ ერისთავის დაბადების 150 წლისთავი, თბილისი, 1974, 78-79.

- კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1959 [k'ot'et'ishvili v., kartuli lit'arat'uris ist'oria, tbilisi, 1959]
- ნაკაშიძე თ., დედაენის საგალობელი რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში, ხიჭაური, 2019 [nak'ashidze t., dedaenis sagalobeli rapiel eristavis shemokmedebashi, khich'auri, 2019]
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბილისი, 1979 [kartuli sabch'ota entsik'lop'edia, t'. IV, tbilisi, 1979]
- ხუნდაძე ს., ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, რაფიელ ერისთავი, ქუთაისი, 1918 [khundadze s., kartuli lit'erat'uris sakhelmdzghvaneloebi, rapiel eristavi, kutaisi, 1918]

Mari Simonishvili\*

## THE MAIN TRENDS IN RAFIEL ERISTAVI'S LYRICAL WORKS

### Abstract

Rafiel Eristavi stands as a pivotal figure who left an indelible mark on Georgian culture, literature, and public life. His first appearance in Georgian press came in 1846 with an essay about Pshav-Khevsureti, after which he devoted himself to public service for the remainder of his life. Beyond publishing poetic works, he contributed scientific publications and served as an ethnographic chronicler of Georgian life, a lexicographer, and an active member of the Georgian literacy movement. His legacy includes establishing Georgia's professional theater, museum, and library. Throughout his career, he collaborated with prominent figures like Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, and Jacob Gogebashvili to advance national causes and promote Georgian culture.

Eristavi's poetry embodies the national spirit that characterized Georgian literature in the 1860s, primarily focusing on the struggle for Georgian independence and language preservation. His lyrics employ simple folk vocabulary, and while many of his poems draw from folk stories, tales, and narratives, they maintain their originality through his poetic craftsmanship. Several of his works, such as "Bread Harvest" and "Motherland Khevsuri," achieved widespread popularity across Georgia in various regional versions.

This paper examines the principal aspects of Eristavi's lyrical works, encompassing his poems, short stories, historical poems, plays, and translations. Through his writing, the poet elevates the concepts of national independence and freedom, inspiring in his readers an unconditional love for their country and native land.

*Keywords: Rafiel Eristavi, Ethnographer, Poet, Lyricist.*

---

\* PhD Candidate at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, marisimonishvili13@gmail.com  
<https://orcid.org/0000-0003-4866-8870>

ნინო თოდუა\*

## მსხვერპლის კომპლექსი და მოძალადე (სანდრო კაკულიას პიესა „ხიდზე წვიმის ან ცრის“)

### I. შესავალი

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული დრამატურგია თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგები პოლიტიკურ თემებს გვერდს არ უვლიან და წერენ როგორც თანამედროვე,<sup>1</sup> ასევე ისტორიულ რეალობაზე,<sup>2</sup> მათი ყურადღების ცენტრში უფრო მორალურ-ეთიკური თუ სოციალური პრობლემები დგას.<sup>3</sup>

შექსპირი „ჰამლეტი“ წერს: „ეგენი (მსახიობები – ნ. თ.) ამ დროის შემოკლებულნი მატთანნი არიან და სიკვდილის შემდეგ საფლავის ქვაზედ ცუდი წარწერა უნდა გერჩიოს, სიცოცხლის დროს მაგათთან ცუდი ხმების დაყრას“<sup>4</sup>. სცენაზე მდგომი მსახიობი კი, რა თქმა უნდა, დრამატურგის ხმაა და თანამედროვე ქართული დრამატურგიაც ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ეპოქას და ამდენად, ვფიქრობ, მემატანის ფუნქციასაც ასრულებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დრამატურგიის მკითხველთა რიცხვი ძალიან მცირეა. მკითხველი საზოგადოების უმეტესობა მას საკითხავ ლიტერატურად არ აღიქვამს, თითქოს ის მხოლოდ რეჟისორებისა ან ვიწრო სპეციალობის ადამიანებისათვის იქმნებოდეს, ამდენად ნაკლებად იცის საზოგადოებამ, თუ როგორი გზით ვითარდება იგი. თუ თვალს მივადევნებთ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, დავინახავთ, რომ თანამედროვე ქართული დრამატურგია სხვა ლიტერატურული ჟანრების განუყოფელი ნაწილია და მასში სრულიად ისახება როგორც ლიტერატურის განვითარების გზა, ასევე ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და, შეიძლება ითქვას, უფრო მძაფრადაც, ვიდრე პროზაში.

\* ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, [nino.todua@tsu.ge](mailto:nino.todua@tsu.ge) <https://orcid.org/0009-0006-8329-2652>

<sup>1</sup> მაგ. იხ., ბულაძე ლ., მორალი, თბილისი, 2000.

<sup>2</sup> მაგ. იხ., ბათიშვილი გ., საქართველოს ბედისწერა, თბილისი, 2018.

<sup>3</sup> თანამედროვე ქართული დრამატურგია, თ. კალანდაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015.

<sup>4</sup> ჰამლეტი, შექსპირი უ., ი. მაჩაბლის თარგმანი, წიგნში: უილიამ შექსპირი, ტ. I, ნ. ყიასაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1986, 348.

დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა, სხვადასხვა ფორმითა და მოტივით, განსხვავებულ სოციუმსა და საზოგადოებაში არსებული ძალადობაა. ამ თემას მიეძღვნა კრებული „9 პიესა VS ძალადობა“, რომელშიც ცხრა დრამატურგის თითო პიესაა შესული.<sup>5</sup> მათ შორისაა სანდრო კაკულიას „ხიდზე წვიმს ან ცრის“. სტატია მიმოიხილავს პიესაში გადმოცემული ძალადობის, მოძალადისა და მსხვერპლის კომპლექსის საკითხებს. ნაშრომის მიზანია, საზოგადოება დააფიქროს იმ პრობლემებზე, რომლებიც ძალადობის სხვადასხვა ფორმით გამოვლინებას ახლავს. დააკვირვოს საკუთარ ქმედებებსა თუ ცხოვრებაზე, რადგან, არც თუ იშვიათად, ადამიანი ვერც კი აცნობიერებს, რომ მსხვერპლია ან მოძალადე.

## II. ძალადობის არსის გაგებისათვის

დღეს ბევრმა სოციალურმა, ზნეობრივმა თუ ფსიქოლოგიურმა პრობლემამ ერთად იჩინა თავი. შესაძლოა იმის გამოც, რომ 21-ე საუკუნეში ადამიანი მეტად გათავისუფლდა და უფრო შეამჩნია ის პრობლემები, რომლებიც ადრე პრობლემად არ მიაჩნდა ან ნაკლებად აღელვებდა. ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად გამოიკვეთა ძალადობა და იგი საზოგადოებაში მწვავე დისკუსიის თემაა. ამ საკითხთან მიმართებით პრობლემას ისიც ქმნის, რომ საზოგადოებაში ხშირად ხდება ძალადობის მეტამორფოზი. ის ინათლება მეორე ადამიანის მიმართ სიყვარულის, ზრუნვის, დაცვის გამომხატველ ქმედებად და „აიხსნება“ საზოგადოების მხრიდან მეტ-ნაკლებად „დაშვებული“ ნორმებით.

ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაა.<sup>6</sup> იგი ფარულია და დროის ხანგრძლივ მონაკვეთს მოიცავს, სანამ გამჟღავნდებოდეს (ან სრულიადაც დაფარული რჩება, თუ განსაკუთრებულად მწვავე ფორმა არ მიიღო), რადგან ოჯახის წევრის (ან წევრების) მიმართ ხდება.<sup>7</sup> ის იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფსიქიკურ და ემოციურ აშლილობას, რაც სრულიად შესაძლებელია, ფატალური შედეგით დასრულ-

<sup>5</sup> 9 პიესა VS ძალადობა, თბილისი, 2012.

<sup>6</sup> ხატიაშვილი გ., სახელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თბილისი, 2021, 13; ჰაარი რ., ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი, 2022, 2, 36.

<sup>7</sup> ხატიაშვილი გ., სახელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თბილისი, 2021, 13; ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკმეებზე, თბილისი, 2019, 10, 22.

ლდეს. საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს ისიც, რომ მსოფლიო ორგანიზაციების მრავალი აქტი მიეძღვნა ამ საკითხსა და მისი გადაჭრის გზების ძიებას.<sup>8</sup> მაგალითად, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“. აღნიშნული კონვენცია მრავალ სახელმწიფოს აქვს რატიფიცირებული, მათ შორის, საქართველოს. გარდა ამისა, უშუალოდ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მომწესრიგებელი კანონი ცალკეა მიღებული ამ საკითხის გადასაჭრელად.<sup>9</sup> მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ძალადობა ისედაც იყო კრიმინალიზებული, 2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ახალი მუხლი, რომელიც უშუალოდ ოჯახურ ძალადობას ეხება.<sup>10</sup> ეს სწორედ საკითხის აქტუალობამ და მნიშვნელობამ განაპირობა. ამ საკითხზე იურისტებთან ერთად განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ ფსიქოლოგები.<sup>11</sup>

ფილოსოფოსები ძალადობის ფენომენს ცალკე საკითხად არ განიხილავენ. ის მოიაზრება ბოროტების კატეგორიაში და ეს უდავო ჭეშმარიტებაა. ძალადობა უკურეაქციას იწვევს. ძალადობის მსხვერპლი, უმეტეს შემთხვევაში, თავად ხდება მოძალადე. ქმედება იწვევს უკუქმედებას და ბოროტება შობს ბოროტებას, მას თითქოს არც დასაბამი აქვს და არც დასასრული.

ფსიქოლოგიაში ძალადობის ცნების არაერთი განმარტება არსებობს. აღნიშნულია, რომ ეს ვრცელდება როგორც გარშემომყოფებზე, ასევე საკუთარ თავზეც. ძირითადად ძალადობა სამ ფართო კატეგორიად იყოფა. ესენია: 1. საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ ორ ქვეჯგუფად იყოფა – სუიციდურ ქცევად და საკუთარი თავისადმი სასტიკ მოპყრობად; 2. პიროვნებათშორისი ძალადობა, რომელიც ასევე ორ ქვეკატეგორიად იყოფა – ძალადობა ოჯახში ან ინტიმურ პარტნიორზე და ძალადობა თემში; 3. კოლექტიური ძალადობა, რომელიც სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალადობას გულისხმობს.<sup>12</sup>

სტატიის კვლევის საგანი მეორე კატეგორიის პირველი ქვეპუნქტია – ძალადობა ოჯახსა და ინტიმურ პარტნიორზე.

<sup>8</sup> ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, 10-11.

<sup>9</sup> „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

<sup>10</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლი.

<sup>11</sup> ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები, თ. ფარულავას რედაქტორობით, თბილისი, 2011, 9-13; 38-49; 63-127; 134-152; 175-174.

<sup>12</sup> იქვე, 11-13.

### III. შეხვედრა უცხოსთან – განდობა

სანდრო კაკულიას პიესის – „ხიდზე წვიმს ან ცრის“ – სტრუქტურულიდან გამომდინარე, სათქმელი იმდენად დანურული და დეტალიზებულია, მკითხველს „აი-ძულებს“ არცერთი სიტყვა არ დატოვოს ყურადღების მიღმა. მოქმედება ვენაში, კონკრეტულად აუგარტენის ხიდზე, ვითარდება. მოქმედების უცხო სივრცეში გადატანით, ავტორი მიგვანიშნებს, რომ ძალადობა მსოფლიო პრობლემაა და მას ლოკალური სივრცე არ აქვს. პიესის პერსონაჟები არიან ვენაში მცხოვრები ქართველი ბიჭი ოთო, ორმოც წლამდე ავსტრიელი ქალი (შტეფანია), შტეფანიას ახალგაზრდა საყვარელი (ჰერმანი) და შტეფანიას ქმარი (მოკრივე).

სიგარეტის საყიდლად გამოსული ოთო დაინახავს ხიდის მოაჯირზე მდგარ შტეფანიას და მის გადარჩენას ცდილობს. მათი საუბრიდან ხდება ცხადი ქალ-ვაჟის ბიოგრაფიული მომენტები.

დრამატურგი პიესას გარემოს აღწერით იწყებს. შუალამეა. აუგარტენის ხიდზე ახალგაზრდა ქალის ფეხსაცმელსა (ზოგადად, ლიტერატურაში ფეხსაცმელზე ხაზგასმა ადამიანის ქვეცნობიერში მიმდინარე პროცესებზე ხშირად მიანიშნებს)<sup>13</sup> და ფეხებს ვხედავთ წვივამდე, რომელიც ყანყალებს – ზემოთქმულის ხაზგასმა ქალის არამყარ, მერყევ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს, რაც პიესის კითხვისას ნათელი ხდება. მალე ის მთლიანად ჩნდება. სასიამოვნო გარეგნობისაა, სახეზე მღელვარება და დაძაბულობა ემჩნევა.

პიესაში ოთოს პირველი წინადადება, ერთი შეხედვით, არაფრისმთქმელია: „... ხან წვიმს, ხან ცრის, მაგრამ დუნაი მაინც ჩუმია...“<sup>14</sup> თუმცა ფრაზა მეტაფორულად ცხოვრებას უნდა ასახავდეს, მისი თანმდევი სხვადასხვა მოვლენითა და ფაქტით, რომ, რაც არ უნდა ხდებოდეს, უმეტესწილად ადამიანები მაინც დუმილს ამჯობინებენ სიმართლის თქმას, რადგან დუნე და მიჩვეული ცხოვრება ურჩევნიათ შეუჩვეველსა და მშფოთვარეს. ოთო ხედავს ხიდის მოაჯირზე მდგომ ქალს, ხედავს მის სახეს, მაგრამ თვალს – ვერა, რადგან მას თვალები დახუჭული აქვს. ვფიქრობ, დახუჭული თვალების ხაზგასმა იმას ნიშნავს, რომ საკუთარი ყოფის სიმძიმის გაცნობიერების მიუხედავად, ქალს არ სურს მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით გაცუროს, ამავე დროს, დახუჭულ თვალებში ადამიანის ემოციისა და შინაგანი სამყაროს დანახვა შეუძლებელია. ვაჟი ფრთხილად უახლოვდება ქალს, რომ არ დააფრთხოს. ქალი თავდაპირველად უხეშად ცდილობს ოთოს თა-

<sup>13</sup> ჰამსუნი კ., პანი, თ. კალანდაძე-ტაბახმელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2017.

<sup>14</sup> კაკულია ს., ხიდზე წვიმს ან ცრის, წიგნში: 9 პიესა vs ძალადობა, თბილისი, 2012, 251.

ვიდან მოშორებას, მაგრამ ბიჭი თავს არ ანებებს, რადგან ფიქრობს, რომ შტეფანია გადახტომას აპირებს. ის თავაზიანად ექცევა ქალს, ერთი შეხედვით, არაფრისმთქმელ, მსუბუქ თემებზე საუბრით ცდილობს, მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს და განზრახვა გადააფიქრებინოს. მათი საუბარი ქაოსურია, რადგან ერთი თემიდან მეორეზე გადადიან. თავდაპირველად შტეფანია ოთოსთან საუბრისას ალგზნებული და აღელვებულია, ამის მიზეზი კი ის არის, რომ იგი არავის სჭირდება, მაგრამ ოთოს თავაზიანი საქციელი არბილებს. ისინი საუბრისას არაერთ თემას განიხილავენ. მაგალითად, როგორიცაა, კულტურული განსხვავება ავსტრიელებსა და ქართველებს შორის. საუბრობენ როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, რასაც მამაკაცები ქალების მიმართ ავლენენ და ა. შ. შემდეგ კი საკუთარ ცხოვრებაზე ესაუბრებიან ერთმანეთს. იშვიათი არ არის, როდესაც უცხო ადამიანები უფრო მეტად უშლიან გულს ერთმანეთს, ვიდრე ოჯახის წევრებს ან მეგობრებს. ვფიქრობ, ამას ის ფაქტი განაპირობებს, რომ მათ რჩევა კი არ სჭირდებათ ან შევლას კი არ ითხოვენ, უბრალოდ დაგროვილი სტრესისა და ემოციებისგან გათავისუფლება სურთ.

#### IV. ქმარი – ფსიქოლოგიურ-ფიზიკური მოძალადე

შტეფანიას ქმრის გასაცნობად დრამატურგს მოქმედება მათ სახლში გადააქვს. ქალი სიგარეტს ეწევა, რაც, კონკრეტულ მონაკვეთში (და შემდეგაც) მის მღელვარებაზე მიაწვდის. ოთახში მამაკაცის შემოსვლისთანავე აქრობს სიგარეტს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შტეფანია ქმართან დაძაბულია, ფიქრობს, არაფერი გააკეთოს მის დასანახად ისეთი, რაც მას გააღიზიანებს. ქმარს სახელი არ აქვს, მოკრივეა, რაც ძალისა (და ძალადობის) დემონსტრირებაზე მიაწვდის. მამაკაცისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ მისი პროფესიაა და ყველაფერი, რაც მისგან მომდინარეობს – მატერიალური კეთილდღეობა და სახელი. მოკრივისათვის ქალი მხოლოდ გარეგნობით ფასობს და მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორია მისი შინაგანი სამყარო. ის შტეფანიას გამუდმებით აყვედრის, რომ უზრუნველად და მდიდრულად აცხოვრებს, რომ დღესაც ვინმეს მეგობარი გოგო იქნებოდა, „მხსნელად“ ის რომ არ გამოჩენილიყო და არ მაღავს, რომ მოფერების შემდეგ მისი აღარაფერი უნდა. ხშირად ლაპარაკის უფლებასაც არ აძლევს და მოითხოვს, რომ დადუმებული მაგნიტოფონივით ჩუმად იყოს. არ აძლევს უფლებას მოუსმინოს მუსიკას ყურსასმენების გარეშე. მისთვის შტეფანიას არანაირი ღირებულება არ აქვს, ის ჰგავს იმ ნივთს, რომლითაც ადამიანი

ერთობა და მობეზრებისთანავე მიატოვებს: „ჩემი მომავალი შენთან ერთად ან შენს გარეშე ერთია! და ის კრის, ჩემს სპორტულ კლუბსა და აი ამ ჯილდოებს უკავშირდება“<sup>15</sup>. მოკრივე მოძალადე მამაკაცის ტიპური სახეა. მისი მხრიდან ძალადობა ვლინდება როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ის მეტისმეტად პატივმოყვარეა და, საკუთარი თავისა და ინტერესების გარდა, ვერაფერს ამჩნევს. პატივმოყვარეობა/ამპარტავნება ადამიანს ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის, ვფიქრობ, ამიტომ მიიჩნევა იგი ქრისტიანულ რელიგიაში ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვად, რადგან საკუთარი თავის განადგურებიდან იწყება სხვათა ცხოვრების დანგრევა. პატივმოყვარე ადამიანი წყდება რეალობას, ურთიერთობებს მხოლოდ საკუთარი გადმოსახედიდან აფასებს, გარშემო იქმნის წრეს, რომელიც სჭირდება იმისათვის, რომ თავი სამყაროს ცენტრში წარმოიდგინოს. მას ავინყდება, რომ იგი საზოგადოების წევრია და გარკვეული მოვალეობები და პასუხისმგებლობები აქვს მის წინაშე. ალფრედ ადლერი ამასთან დაკავშირებით წერს: „არცერთ მანკიერ თვისებას არ შეუძლია ადამიანის თავისუფალი განვითარების ისე დამახინჯება, როგორც მას პატივმოყვარეობა ამახინჯებს, რომელიც ინდივიდუალს აიძულებს, ნებისმიერ ადამიანს და ნებისმიერ მოვლენას ასეთი კითხვით მიუდგეს: „სამაგიეროდ რას მივიღებ?“<sup>16</sup>. ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს, რომ მოკრივე პატივმოყვარე ადამიანია. ამ თვისებამ მასში ჰუმანური თვისებები დათრგუნა და მოძალადედ ჩამოაყალიბა. საბოლოოდ, შტეფანია სახლიდან გარბის, რადგან მოკრივე ორგანოში მონაწილეობის მიღებას აძლებს. სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ ხვდება იგი ოთოს.

## V. ჰერმანი – მანიპულატორი

პატივმოყვარეობა და ნარცისიზმი არსობრივად მსგავსი ცნებებია. ვფიქრობ, დამოუკიდებლად ისინი არც არსებობენ. ამ თვისებების მატარებელია შტეფანიას ახალგაზრდა საყვარელი, ჰერმანი, რომელიც მას გათხოვებამდე ჰყავდა. ჰერმანი შტეფანიაზე გაცილებით ახალგაზრდაა. ქალი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მან ბედნიერად იგრძნოს თავი, ჰგონია, რომ თავისი დამოკიდებულებითა და ქცევებით საყვარელი ბედნიერია, მაგრამ პირიქით აღმოჩნდება. ჰერმანი აღმოაჩენს, რომ ქალი ბევრ რამეს მხოლოდ მის საამებლად აკეთებს და

<sup>15</sup> იქვე, 268.

<sup>16</sup> ადლერი ა., როგორ გავიგოთ ადამიანის ბუნება, ნ. თურმანიძის თარგმანი, თ. თურმანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 197.

მას სრულიადაც არ მოსწონს, მაგრამ ქალს საყვარლის ბედნიერება „ახარებს“. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში შტეფანია ძალიან ჰგავს ქართველი ქალის ფსიქოტიკს – ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი ქალი, რომლისთვისაც მამაკაცთან ქორწინების გარეშე ცხოვრება ამორალურ ფაქტად აღიქმება. ამდენად, ამგვარ ურთიერთობაში მყოფი ქალი ივინყებს საკუთარ ინტერესებს და ყველანაირად ცდილობს არ დაკარგოს მამაკაცი, რომელთანაც ურთიერთობის გამო მისი რეპუტაცია ეჭვქვეშ დააყენა. ხშირ შემთხვევაში ეს სრულიად გამორიცხავს სიყვარულს, რადგან ამგვარ სტრესულ სიტუაციაში თანაცხოვრებისას სიყვარულის, ჰარმონიისა და ურთიერთგაგების ადგილი აღარ რჩება, რადგან ქალი გამუდმებით იმაზე ფიქრობს, ყურადღებითა და მზრუნველობით გასაქანი არ მისცეს მამაკაცს, რაც უმეტესად საპირისპირო შედეგს იძლევა, რადგან ასეთ დროს პარტნიორი მხოლოდ ამ მარნუხებიდან თავის დახსნაზე ფიქრობს და ამ შემთხვევაშიც ასე ხდება. მეორე მხრივ, ამგვარი დამოკიდებულება გამონეწულია სისუსტით, მარტოობის შიშით, გაუბედაობით.

რასაც შტეფანია აკეთებს ბიჭისთვის სრულიად უცხო და წარმოუდგენელი გრძნობაა. იგი ქალის სისუსტით სარგებლობს იქამდე, ვიდრე მის ცხოვრებაში სხვა ქალი არ გამოჩნდება – ახალგაზრდა, მხიარული, რომლის გვერდით გავლაც არ მოერიდება. ის ირონიულია შტეფანიას მზრუნველობის მიმართ: „დაასრულე! თქვი, პატარა ბავშვი ვარ, ხო? უტუ-უტუ... დედიკო, შეიძლება რძე შევუკვეთო? ნესქვიკი მინდაა!! შენთვის ბავშვი ვარ, პატარა შავი არაბული ცხენი! გამხედნე, დედიკო!“<sup>17</sup>. ამ სიტყვებში, ირონიასთან ერთად, გაღიზიანებაც იგრძნობა და სრულიად ბუნებრივია, მეტისმეტმა მზრუნველობამ ამგვარი შეგრძნება გამოიწვიოს. მაგრამ აქ ამორალური ის ფაქტია, რომ ამ გრძნობებს ჰერმანი მის ცხოვრებაში სხვა ქალის გამოჩენის შემდეგ ავლენს და, უფრო უარესი – მას შემდეგ, რაც შტეფანია ამხელს, მანამდე კი გემრიელ ლუკმას ხელიდან არ უშვებს, რადგან უზრუნველად ცხოვრობს შტეფანიას მკლავებში. ბოლო შეხვედრისას შტეფანია ეუბნება ჰერმანს, რომ იცის მისი ახალგაზრდა საყვარლის შესახებ, უფრო სწორედ, გრძნობს მის არსებობას. ისე ჩანს, თითქოს, ჰერმანი არ გეგმავდა ქალისთვის სიმართლის თქმას და ორმაგ თამაშს აპირებდა – ჰყოლოდა გვერდით სასურველი ქალი და, ამავე დროს, ჰყოლოდა ქალი, რომლისგანაც მატერიალურ ხეირს ნახავდა. მაგრამ, რადგან შტეფანიამ კუთხეში მიიმწყვდია, უკან აღარ დაიხია და დიდი ხნის ნაგროვები ბოლმა ერთბაშად ამოანთხია: „ყველა მეუბნებოდა, რომ

<sup>17</sup> კაკულია ს., ხილზე წვიმს ან ცრის, წიგნი: 9 პიესა vs ძალადობა, თბილისი, 2012, 258.

ბოზი ხარ, ჩვეულებრივი, გარყვნილი 35 წლის ქალი, რომელსაც მე პატარა სექსუალურ ბიჭად გჭირდებოდი, და რომ შენ მიყენებდი! ხანდახან, როცა იმ გოგოსთან ვიყავი, მძულდი, მძულდა შენი ხელები, შენი მხრები, შენი ძუძუები და სახე! მახინჯი ხარ სინამდვილეში! ის კი ულამაზესია!<sup>18</sup>. ჰერმანი სასტიკად ექცევა ქალს და მასში არანაირი მაღლიერების გრძნობა არ არის შტეფანიას მიმართ. რეალობაა, რომ ჩვენ „გამომყენებლურ საზოგადოებაში“ ცცხოვრობთ. ჰერმანიც ამ საზოგადოების განუყოფელი ნაწილია – წურბელა, რომელიც სხვისი სისხლით იკვებება იქამდე, ვიდრე ბოლომდე არ აიღებს იმას, რაც სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი, ერთი შეხედვით, არაფერს ითხოვს საყვარლისგან, უპრობლემოდ იღებს ყველაფერს, რასაც აძლევენ. როცა ლალატსა და ტყუილში გამოიჭერენ, ღიზიანდება, ბრაზდება, რადგან ვერ შეძლო შეენარჩუნებინა მდგომარეობა, რომლიდანაც, ერთი მხრივ, მატერიალურ უზრუნველყოფას იღებდა, ხოლო, მეორე მხრივ, სასურველ ურთიერთობას და ამ სიბრაზეს ანთხევს იმაზე, ვისაც მისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია. ჰერმანიც სუსტია და ამ სისუსტეს მანიპულაციებით, ირონიითა და ბრაზის გამოვლინებით ნილბავს. ისიც ფაქტია, რომ იგი სრულიად უპასუხისმგებლო ადამიანია და ისევე მოექცევა ახალგაზრდა საყვარელსაც, როგორც შტეფანიას მოექცა, როდესაც მასთან ყოფნას მოიბეზრებს. თავისთავად ცხადია, რომ ჰერმანს არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნია იმ ურთიერთობების მიმართ, რომლებსაც იგი ჟამიდან ჟამზე იწყებს.

## VI. ოთო – „ტიპი ტიპურ გარემოში“

ამ საუბარში ირკვევა ოთოს წარმომავლობა და ცხოვრებისეული მომენტები. ვფიქრობ, იგი ქართველი მამაკაცების გარკვეულ ტიპს განასახიერებს (თანამედროვე ქართულ დრამატურგიას ახასიათებს განზოგადებული ტიპების შექმნა). ის თბილისში, ერთ-ერთ ფირმაში, გაყიდვების აგენტი იყო. დედა, როგორც მრავალი ქართველი ქალი, საბერძნეთში მუშაობდა და ოთო აქ ჩამოვიდა იმედით, რომ „აენყობოდა“, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და ახლა, როგორც ლტოლვილს, 450 ევროს უხდიან თვეში. თბილისში ცოლი ჰყავს, რომელთანაც მხოლოდ ჯვარი აქვს დაწერილი. ის შტეფანიას ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ მოატყუა, მოატყუა, რომ მისი ცოლისთვის არაფერი აუკრძალავს. სინამდვილეში კი ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია, რადგან უამრავ მოთხოვნას უყენებდა:

<sup>18</sup> იქვე, 262.

არ ემუშავა, რადგან დიდი შანსი იყო, იქ ვინმეს მოსწონებოდა. უკრძალავდა თმის მოკლედ შეჭრას, რადგან მოკლე თმა განსაკუთრებით უხდებოდა, უკრძალავდა მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმას, უკრძალავდა ულიფოდ სიარულს და ეუბნებოდა, რომ მის გვერდით გავლა რცხვენოდა. შემდეგ ქუჩაში მარტო ტოვებდა ატირებულს. მერე ოთო ურეკავდა და ის, კვლავ ატირებული, პატიებას სთხოვდა იმას, ვინც მის წინაშე დამნაშავე იყო. სტატიის დასაწყისშიც აღვნიშნე – ხშირად ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რომ მათზე ძალადობენ, სწორედ ასეა ამ შემთხვევაშიც. მსხვერპლი თავად ითხოვს პატიებას, მანიპულაციისა და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლია, მაგრამ იმდენად არის ოთოზე მიჯაჭვული, რომ ეს განცდა სიყვარულად ეჩვენება იქამდე, ვიდრე ეს ეიფორია არ გადაივლის და რეალურ სურათს არ დაინახავს. საბოლოოდ, ოთო აცნობიერებს საკუთარ დანაშაულს და ამბობს: „მე ვართმევდი მთელ ენერგიას და სანაცვლოდ არაფერს ვაძლევდი“<sup>19</sup>. ოთოს საქციელი ძალადობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა, რომელიც შენიღბულია იმით, რომ უყვარს და რომ უნდა, სხვა კაცების გარყვნილი მზერისაგან დაიცვას ქალი. ქალი კი ბრმად ენდობა მას, რადგან ფიქრობს, რომ ამას სიყვარულის გამო აკეთებს. რეალურად ეს სიყვარული კი არა, სისუსტისა და ეგოიზმის უკიდურესი გამოვლინებაა. სიყვარული, თავისი არსით, მსხვერპლს მოითხოვს. მსხვერპლი კი არა საკუთარი თავისთვის, არამედ სხვისთვის ცხოვრებას ნიშნავს, იმ ყველაფრის გაღებას, რასაც შენგან ჯანსაღი ურთიერთობა მოითხოვს და არა ტოქსიკური. ტოქსიკურ ურთიერთობაში ყალიბდება მხოლოდ მსხვერპლის კომპლექსი, რომლისგანაც თავის დახსნა უმეტესწილად შეუძლებელია. საბოლოოდ, ამ ქალმა იპოვა ძალა საკუთარ თავში და ხუთი წლის თავზე, წავიდა მასთან „რომელსაც ის გამოპრანჭული, მოკლედშეჭრილი თმითა და მაღალ ქუსლებზე შემდგარი მოეწონა“<sup>20</sup>. მან გაბედა და თავი დააღწია „სიყვარულად“ მონათლულ ძალადობას. ოთო კი იმაზე მეტად განადგურდა, ვიდრე ქალი მასთან თანაცხოვრებისას. შესაძლოა ვთქვათ, რომ ოთომ საკუთარი დანაშაული გააცნობიერა, რადგან ის გულახდილად საუბრობს ამ თემაზე ქალთან, რომლისგანაც თანაგრძნობას არ უნდა ელოდეს, რადგან ეს ქალიც ძალადობის მსხვერპლია, თუმცა არ ვიცით, ეს გაცნობიერება და ერთგვარი სინანული არის თუ არა პრევენცია იმისა, რომ ოთო შეძლებს სძლიოს ეჭვიან ბუნებას (რაც ისევ ადამიანის სისუსტესა და კომპლექსებზე მიუთითებს)

<sup>19</sup> იქვე, 264.

<sup>20</sup> იქვე, 266.

და მსგავსად აღარ მოიქცეს. რადგან მხოლოდ სინანული არ არის პრობლემის გადაჭრის გზა. მერაბ მამარდაშვილი წერს: „პრობლემის გადაწყვეტა ჩადენილის გამო მონანიება კი არ არის, არამედ ის, რომ მონანიების მდგომარეობისას მოხდეს ჩართვა ისეთ რეგისტრში, რომელშიაც აღარ ჩაიდენ ისეთ რამეს, რაც მონანიებასთან მიგიყვანს“<sup>21</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცით, ოთოს სინანული რამდენად ჭეშმარიტია, ფაქტია, მან შტეფანიასთან შეხვედრისას გაამჟღავნა საკუთარი მანკიერებები და ეს შეხვედრა იქნა მაპროვოცირებელი იმისა, რომ გაეცნობიერებინა საკუთარი დანაშაული. საკუთარ შეცდომებზე კი ხშირად ის ადამიანები გვაფიქრებენ, რომლებიც მსგავსი სიტუაციის მსხვერპლნი ყოფილან.

## VII. შტეფანია – სისუსტის მსხვერპლი

შტეფანიას ეშინია ცხოვრების და, განსაკუთრებით, მარტოობის. მოკრივესთან თმობს თავის პოზიციებს იმის გამო, რომ მარტო არ დარჩეს. ჰერმანის ბედნიერება იმიტომ უნდა და იმიტომ იღებს მსხვერპლს მისთვის, რომ წასასვლელი გზები მოუჭრას. ფაქტია, რომ ის სუსტი ადამიანია და საყრდენს საკუთარ თავში კი არა, არამედ პარტნიორებში ეძებს. „შიშით მოცული ინდივიდუუმები გარბიან, ერთმანეთთან დაცვას ეძებენ, და ამგვარად ცდილობენ ძალის იმ ხარისხამდე მოპოვებას, როცა ისინი თავის თავს იმ საფრთხეებთან შეხვედრის უნარის მქონედ შეიგრძნობენ, რომლებიც, მათი აზრით, ემუქრებათ.“<sup>22</sup> იგი ცდილობს გაექცეს მომავალ საფრთხეებს, ეშინია, რომ მათთან გამკლავებას ვერ შეძლებს და რეალურად ნადგურდება როგორც პიროვნება, ხდება სხვაზე დამოკიდებული, სხვების სურვილების შემსრულებელი, რაც აყალიბებს მონურ ფსიქოლოგიას, აქედან თავის დახსნა კი ძალიან რთულია, რადგან მონა ის კი არ არს, ვინც თავისუფლებისთვის იბრძვის, არამედ ის, ვინც თავისი ნებით ხდება მონა და უყალიბდება შემგუებლური ბუნება. ფაქტია, რომ შტეფანიას ამ ყველაფერზე არ უფიქრია, თეორიულად მან ყველაფერი იცის, მაგრამ სწორედ სისუსტე არ აძლევს საშუალებას გადადგას მკვეთრი ნაბიჯები და, მიუხედავად თავისი მდგომარეობის ნათლად გაცნობიერებისა და თეორიული ცოდნისა, ის მაინც უკან ბრუნდება.

<sup>21</sup> მამარდაშვილი მ., ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში, თბილისი, 2013, 46.

<sup>22</sup> ადლერი ა., როგორ გავიგოთ ადამიანის ბუნება, ნ. თურმანიძის თარგმანი, თ. თურმანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 286.

მას რომ საკუთარ ხასიათსა და ცხოვრებაზე უფიქრია, ნათლად ჩანს იმ მომენტში, როდესაც ოთო თავისი დანგრეული ოჯახის შესახებ უყვება. ამ დროს შტეფანია ამბობს: „შენ ცეცხლს ეთამაშებოდი! ადამიანის ცხოვრებას, მის ფსიქიკას! ვინ მოგცა შენ ამის უფლება?! ის წავიდოდა... ის შენგან აუცილებლად წავიდოდა... დანგრეული, განადგურებული, მაგრამ წავიდოდა“<sup>23</sup>. ამ ქალში ის საკუთარ თავს ხედავს და მწერლის მხრიდან მინიშნებაა იმაზე, რომ მორჩილება, რომელიც ბუნებრივად კი არ არსებობს ადამიანში, არამედ რაღაც ფაქტორებითაა გამოწვეული, აუცილებლად დასრულდება, თუნდაც ეს ძალიან მტკივნეული იყოს. იგი იქვე ამბობს: „ო, როგორი კომპლექსიანები ხართ, როგორი მშიშრები! ეგ ცემაზე უარესია, გესმის! იმიტომ, რომ ქალის ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ხმარება გაუპატიურებაზე უარესია, გესმის! უარესი... (ცრემლები ადგება)“<sup>24</sup>. ამით ის ამბობს, რომ ძალადობა სისუსტისა და კომპლექსების უკიდურესი გამოვლენაა, რომელსაც მოძალადე თავისზე სუსტ არსებაზე ახორციელებს. იგი აღიარებს, რომ სუსტია და იმედი სჭირდება, ოღონდ, არა ყალბი და არადამაჯერებელი, არამედ – ჭეშმარიტი. ჭეშმარიტ იმედს კი იმ ხალხისგან ვერ მიიღებს, რომელთაც არ უყვართ.

პიესის ფინალში ირკვევა, რომ ოთო ამაოდ ირჯებოდა შტეფანიას გადასარჩენად, რადგან ის თავის მოკვლაზე სრულიად არ ფიქრობდა: „შენ გგონია, თავს ვიკლავდი? ჰაჰაჰა! არა! არა! უბრალოდ წამოვედი! შენ კარგად თქვი – გასანიავებლად! მე ვოლკსგარტენის პარკში წასვლას ვაპირებ... იცი, იქ გემორიელად თენდება...“<sup>25</sup> შტეფანია, როგორც პიროვნება, განადგურებულია. მის პიროვნულ განადგურებას კი იწვევს ხვედრთან შეგუება, ბრძოლის უუნარობა, ინდიფერენტიზმი: „რაც უკვე კვლავინდებურად აღარ გვაღიზიანებს, რადგანაც გრძნობები ჩლუნგდება, და თუ რაიმე დამოკიდებულია გრძნობების დაჩლუნგებაზე, ეს „რამე“ განიბნევა და ქრება“<sup>26</sup>. მრავალი ადამიანია ამგვარად ბედს შეგუებული, რადგან მიაჩნია, რომ არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ან საამისო ძალა არა აქვს, რაც, რა თქმა უნდა, მცდარია და ისევ და ისევ პიროვნების სისუსტეზე მეტყველებს.

<sup>23</sup> კაკულია ს., ხილზე წვიმს ან ცრის, წიგნში: 9 პიესა vs ძალადობა, თბილისი, 2012, 265.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, 271.

<sup>26</sup> მამარდაშვილი მ., ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში, თბილისი, 2013, 49.

## VIII. დასკვნა

დასკვნის სახით, შესაძლოა ვთქვათ, რომ დრამატურგმა საკმაოდ დამაჯერებელი პერსონაჟები დახატა – სამი განსხვავებული მამაკაცი, რომელთაც მოძალადის თვისებები აქვთ, მამაკაცთა გულცივობისა და დაუნდობლობის მსხვერპლი ქალი, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის ძალა არ შესწევს, ვფიქრობ, სწორედ მისი სისუსტე უნდა იყოს მასზე ძალადობის მაპროვოცირებელი მამაკაცების მხრიდან, რადგან ამგვარი ფსიქოტიპის მამაკაცები ურთიერთობისთვის შინაგანად სუსტ ქალებს ირჩევენ იმის გამო, რომ საპირისპირო ტიპის ქალებთან თავიანთ ეგოს ვერ დაიკმაყოფილებენ და გოგო, რომელიც ბურანიდან გამოერკვა და აღარ ისურვა ყოფილიყო მოძალადე ქმრის უსიტყვოდ მორჩილი ცოლი. საგულისხმოა, რომ ძალადობის ერთ-ერთ ტიპად შესაძლოა შტეფანიას ქმედებაც განვიხილოთ ჰერმანის მიმართ, რადგან მის მიერ შერჩეული (შესაძლოა გაუცნობიერებელი) მანიპულატორული გზით ცდილობდა საყვარლის შენარჩუნებას. მანიპულაცია კი ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა და არც თუ უსაფრთხო, რადგან ამ დროს ადამიანი ფსიქოლოგიურ წნეხს განიცდის, რაც ფიზიკურზე არანაკლებ მტკივნეულია (ამას ვერ ვიტყვით ჰერმანის შემთხვევაში, რადგან მას ამ ურთიერთობაში საკუთარი ინტერესები ჰქონდა).

ამ პერსონაჟების მეშვეობით მწერალმა ძალადობის არაერთი ფორმა წარმოაჩინა და მისი დათრგუნვის გზაც დაგვანახა, რაც დანაშაულის გაცნობიერებაში, აღიარებასა და სინანულში გამოიხატება. ასევე დაგვანახა, რომ პრობლემებთან შეგუებას ადამიანი თვითგანადგურებამდე მიჰყავს და ყველამ უნდა იბრძოდეს საკუთარი ცხოვრების გადასარჩენად.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ადლერი ა., როგორ გავიგოთ ადამიანის ბუნება, ნ. თურმანიძის თარგმანი, თ. თურმანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014 [adleri a., rogor gavigot adamianis buneba, n. turmanidzis targmani, t. turmanidzis redakt'orbit, tbilisi, 2014]
- ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები, თ. ფარულავას რედაქტორობით, თბილისი, 2011 [bavshvze dzaladobis dziritadi sak'itkhebi, t. parulavas redakt'orbit, tbilisi, 2011]
- ბათიშვილი გ., საქართველოს ბედისწერა, თბილისი, 2018 [batishvili g., sakartvelos bedists'era, tbilisi, 2018]
- ბუღაძე ლ., მორალი, თბილისი, 2000 [bughadze l., morali, tbilisi, 2000]

- თანამედროვე ქართული დრამატურგია, თ. კალანდაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015 [tanamedrove kartuli dramaturgia, t. kalandadzis redakt'orobit, tbilisi, 2015]
- კაკულია ს., ხიდზე წვიმს ან ცრის, წიგნში: 9 პიესა vs ძალადობა, თბილისი, 2012 [k'ak'ulia s., khidze ts'vims an tsris, ts'ignshi: 9 p'iesa vs dzaladoba, tbilisi, 2012]
- მამარდაშვილი მ., ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში, თბილისი, 2013 [mamardashvili m., leksiebi ant'ik'ur pilosopiashi, tbilisi, 2013]
- ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019 [ojakhshi da kalta mimart dzaladobis akt'ualuri sak'itkhebi, sakartvelos akh'algazrda iurist'ta asotsiatsia, 2019]
- ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, თბილისი, 2019 [khat'iashvili g., sakartvelos saerto sasamartloebis mnishvnelovani ganmart'ebebi kalta mimart da ojakhshi dzaladobastan dak'avshirebul sakmeebze, tbilisi, 2019]
- ხატიაშვილი გ., სახელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თბილისი, 2021 [khat'iashvili g., sakhelmdzghvanelo kalta da bavshvta mimart dzaladobisa da ojakhshi dzaladobis ts'inaaghmdeg brdzolis sak'itkhebe, tbilisi, 2021]
- ჰაარი რ., ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი, 2022 [haari r., kalta mimart dzaladobis erovnuli k'vleva sakartveloshi, tbilisi, 2022]
- ჰამსუნი კ., პანი, თ. კალანდაძე-ტაბახმელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2017 [hamsuni k'., p'ani, t. kalandadze-t'abakhmelashvilis targmani, tbilisi, 2017]

Nino Todua\*

## SANDRO KAKULIA'S PLAY "IT RAINS OR DRIZZLES ON THE BRIDGE"

### Abstract

Contemporary Georgian dramaturgy encompasses diverse themes, with violence emerging as a particularly significant focus. Violence has become so deeply embedded in social fabric that it often goes unrecognized as such. This article examines the socio-cultural significance of the interconnections between violence, morality, and personal identity, aiming to reflect contemporary reality and illuminate pressing moral and ethical concerns. Through analysis of Sandro Kakulia's play "It Rains or Drizzles on the Bridge," the study explores various manifestations of violence in modern society. The play's characters serve as archetypal representations of both perpetrators and victims, revealing the pervasive nature of psychological and physical violence. Critical examination of character relationships exposes how societal norms often obscure the recognition of violence, particularly in domestic and intimate settings. By analyzing the psychological portraits of the characters and their interactions, the research demonstrates the profound impact of personal trauma on human lives. The study contributes to broader scholarly discourse on gender, power, and human rights in both Georgian and global contexts.

*Keywords: Post-Soviet Georgian Dramaturgy, Sandro Kakulia, Domestic Violence, Psychological manipulation, Victim and Perpetrator.*

---

\* PhD in Philology, Invited Lecturer at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, [nino.todua@tsu.ge](mailto:nino.todua@tsu.ge) <https://orcid.org/0009-0006-8329-2652>

პრისილა მეიერი

## დოსტოევსკის ახალი სახარება: „დანაშაული და სასჯელი“ და იოანეს სახარება<sup>1</sup>

ინგლისურიდან თარგმნა ლუკა ბარამიძემ\*

ჯოზეფ ფრანკი აღნიშნავს, რომ ბევრ კომენტატორს „არ მოსწონს“ „დანაშაულისა და სასჯელის“ ეპილოგი<sup>2</sup>. ზოგი ფიქრობს, იგი ხელოვნური დამატებაა, რომელიც არ არის მოტივირებული რომანის დანარჩენი ნაწილებით<sup>3</sup>. თვითონ ფრანკს კი მიაჩნია, რომ რასკოლნიკოვის „მოქცევა“ მეტისმეტად სწრაფად და ზედაპირულად ხდება საიმისოდ, რომ ჭეშმარიტად დამაჯერებელი იყოს და სრულიად სამართლიანად უტოვებს მკითხველს დაუკმაყოფილებლობის გრძნობას<sup>4</sup>. თუმცა ბოლო დროს გამოჩნდნენ კომენტატორები, რომლებიც ხედავენ ერთგვარ უწყვეტობას ეპილოგსა და რომანის ძირითად სტრუქტურას შორის<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ეს სტატია მოიცავს იმ იდეებს, რომლებიც პირველად რალფ სავარესმა წარმოადგინა თავისი ლექციის დროს: იოანეს სახარება „დანაშაულსა და სასჯელში“. ნაშრომი თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: Priscilla Meyer. «Dostoevsky's Modern Gospel: Crime and Punishment and the Gospel of John» *Dostoevsky Studies* II.1 (1998): 69-79.

\* გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი, luka.baramidze16@gruni.edu.ge <https://orcid.org/0000-0002-7779-2195>

<sup>2</sup> Joseph Frank, *Dostoevsky: the Miraculous Years, 1865-1871* (Princeton: Princeton University Press, 1995), p. 143.

<sup>3</sup> Frequently cited are Ernest Simmons, *Dostoevsky, the Making of a Novelist* (London: John Lehman, 1950), pp. 152-5 and Konstantin Mochulsky, *Dostoevsky: his Life and Work*, trans. Michael A. Minihan (Princeton: Princeton University Press, 1967), p. 312. For a list of other Western critics who reject the Epilogue, see Gary Rosenshield, *Crime and Punishment: the Techniques of the Omniscient Narrator* (Lisse: the Peter de Ridder Press, 1976), p. 112, n. 5.

<sup>4</sup> Frank, pp. 146-7. როგორც რალფ სავარესი გულისხმობს (პირადი მიმონერა), საბოლოო ჯამში, ეს უკმაყოფილება შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, რომ მკითხველს სწამს ღმერთი და გამოსყიდვა, ხსნის შესაძლებლობა ან ნდობით ეკიდება ლიტერატურას და სჯერა სულის აღდგენის მისეული პოტენციალისა.

<sup>5</sup> Rosenshield, op. cit., chapters 9-10; David Matual, "In Defense of the Epilog of Crime and Punishment," *Studies in the Novel*, Spring 1992, v. 24, n. 1, pp. 26-34. როგორც რალფ სავარესი აღნიშნავს, მხატვრული ერთიანობა თავისთავად არ გამორიცხავს იმას, რომ ეპილოგი არის ხელოვნური ან ნაკლებად სარწმუნო, ვიდრე დანარჩენი რომანი (პირადი მიმონერა).

რობერტ ბელკაპი მიიჩნევს, რომ „კეთილი ტყუილი“, რომლის შესახებ მოჩალსკი საუბრობდა, მნიშვნელოვანი რელიგიური გრძნობაა<sup>6</sup>.

რომანის ნარატიული სტრუქტურის მისეულ ანალიზში გარი როზენშილდი აღნიშნავს, რომ „სასწაულებრივი მოქცევის“ გადმოცემა ძნელად თუ შეედრება მკვლევარობისთვის რასკოლნიკოვის მზადების აღწერას<sup>7</sup>. ის საუბრობს ეპილოგის ბოლო ორ გვერდზე (შეუფერებლად არადიალოგური კულმინაცია), რითაც სრულდება ის სცენა, სადაც სონია რასკოლნიკოვს უკითხავს ლაზარეს აღდგინების ამბავს, რომელსაც როზენშილდი უწოდებს „აღსრულებულ წინასწარმეტყველებას“. რომანის ბოლოს „ლაზარეს აღდგინება არსებით რეალობად იქცა არა მარტო მე-19 საუკუნის, არამედ ყველა დროის რუსეთისთვის“<sup>8</sup>.

ამგვარად, დოსტოევსკის მთელი რომანი შეიძლება წაკითხულ იქნეს როგორც თანამედროვე სახარება; – სახელდობრ, იოანეს სახარება, რომელსაც გასაოცრად დიდხანს უკითხავს სონია რასკოლნიკოვს<sup>9</sup>. დოსტოევსკი იოანეს სახარებას ახალ სამოსელში ხვევს, რათა სიტყვამ თუ ხორცი არა, სულ ცოტა, ახალი ძალა მაინც შეიმოსოს. რომანის პირველი ექვსი თავი აჩვენებს რასკოლნიკოვის სასწაულებრივ ტრანსფორმაციას, რომელზეც ხელი ნებისმიერ მკითხველს მიუწვდება. როგორც აღმოჩნდება, ეპილოგის ტონალობისა და ფოკუსის ვითომდა მყისიერი ცვლილება იოანეს სახარების დასკვნით ნაწილს ეფუძნება<sup>10</sup>.

<sup>6</sup> Robert K. Belknap, “The Plot of Crime and Punishment,” *Literature, Culture and Society in the Modern Age*, ed. Edward J. Brown, Lazar Fleishman, Gregory Freidin, Richard D. Schupbach, *Stanford Slavic Studies*, v. 4, Parts 1-2, Stanford, 1991, Part 1, p. 285.

<sup>7</sup> Rosenshield, pp. 112.

<sup>8</sup> Ibid, p. 116. As will be clear, I agree with Rosenshield’s rejection of Bakhtin’s view of the dialogicity of Crime and Punishment (p. 127).

<sup>9</sup> სონიას წაკითხული ზოგიერთი პასაჟი რომანში შევიდა კომპოზიციის ბოლო ეტაპზე ცენზურის შემცველი მასალის ჩასანაცვლებლად (see Pol. sob. soch., VII, 326), რაც ამტკიცებს იოანეს სახარების მნიშვნელობას რომანისთვის.

<sup>10</sup> სხვა მკვლევრებმა მიუთითეს დოსტოევსკის მიერ თავის შემოქმედებაში სახარებების გამოყენებაზე: რობერტ ლუი ჯექსონი მიუთითებს მარმელადოვის „ძღვევამოსილი პროზაული პოემის“ ლუკას სახარებიდან წარმოშობაზე, 7: 36-50 (*The Art of Dostoevsky: Deliriums and Nocturnes*, Princeton: Princeton University Press, 1981, p. 191); სერგეი ჰაკელი მიუთითებს ალიოშას ინტერპოლაციაზე მათეს სახარების მიხედვით, 22: 1-10 into Chapter XIV “Cana of Galilee” (taken from John 2:1-11) in *The Brothers Karamazov* (“The Religious Dimension: Vision or Evasion? Zosima’s Discourse in The Brothers Karamazov,” *New Essays on Dostoevsky*, ed. Malcolm V. Jones and Garth M. Terry, Cambridge: Cambridge University Press, 1983, p. 159); ნადინ ნატოვმა სახარების წყაროების კვალი აღმოაჩინა რომანში – „ძმები კარამაზოვები“ (“The Ethical and Structural Significance of the Three Temptations in The Brothers Karamazov,” *Dostoevsky Studies*, n. 8, pp. 3-44, 1987).

როგორც უნდა ყოფილიყო დოსტოევსკის პირადი ბრძოლა რწმენისთვის, მწერლის დღიურში (1876 წლის ივნისი, თავი 2, ნაწილი 4) მან წამოაყენა რელიგიური იდეები, რომლებიც შთააგონებდა მის ახალ სახარებას. ის წერს – „ქრისტეს ჭეშმარიტ ამალეებასა და მართლმადიდებლობის უზენაეს სიტყვაზე, რომლის სათავეშიც დიდი ხანია რუსეთი დგას... კაცმა შეიძლება მტკიცედ ირწმუნოს ადამიანებს შორის ძმობა, ერთა საყოველთაო შერიგება, კაცობრიობის საყოველთაო მსახურება და ხალხების ხელახლა შობა იმ ერთობაში, რომელიც ქრისტეს ჭეშმარიტ მცნებებს დაეფუძნება“. დოსტოევსკი ამას უწოდებს „ახალ სიტყვას“, რომელსაც ერთიანი მართლმადიდებლობის სათავეში მოქცეული რუსეთი ეტყვის მსოფლიოს...“<sup>11</sup>.

ქრისტე არის განხორციელებული სიტყვა, რომელსაც ახალი აღთქმის „ახალი სიტყვა“, ქრისტიანული სიყვარულისა და მიტევების იდეა მოაქვს. რასკოლნიკოვი ამ იდეალის პარადიას განასახიერებს: მას სურს ეს „ახალი სიტყვა“ მკვლელობის საშუალებით გამოთქვას – და როგორც მას სონია ეუბნება – მიისაკუთროს სიცოცხლესა და სიკვდილზე ის ძალაუფლება, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის<sup>12</sup>. დოსტოევსკი რასკოლნიკოვს გაატარებს ქრისტეს ცხოვრების პარადიულ ეპიზოდებში, რომლებიც გადმოცემულია იოანეს სახარებაში. მაიკლ ჰოლკვისტი ამტკიცებს, რომ რასკოლნიკოვის თხრობა ნარაციის ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ტიპისგან შედგება: დეტექტიური ამბავი ისტორიულ დროში და „ბრძნული თხრობა“ – მარადიულ დროში, რომელმაც უნდა შეერას და განასრულოს რასკოლნიკოვის ამბავი<sup>13</sup>. ამ დონეების დანახვა შესაძლებელია ტინიანოვის ორიგინალურ ტექსტსა და მის პარადიაში<sup>14</sup>, რომელშიც იოანეს სახარება არის ძირეული „ბრძნული თხრობა“; რასკოლნიკოვის

<sup>11</sup> F. M. Dostoevsky, *A Writer's Diary*, trans. Kenneth Lanz (Evanston: Northwestern University Press, 1993), pp. 525-531, p. 530.

<sup>12</sup> ჰარიეტ მურავემა მიუთითა კავშირზე ბიბლიური ახალი სიტყვის პარადიასა რომანში – „დანაშაული და სასჯელი“ და „წმინდა სისულელეს“ შორის. (Stanford: Stanford University Press, 1992), p. 67.

<sup>13</sup> Michael Holquist, *Dostoevsky and the Novel* (Princeton: Princeton University Press, 1977), pp. 75-103. See also Steven Cassedy («The Formal Problem of the Epilogue in Crime and Punishment: The Logic of Tragic and Christian Structures,» *Dostoevsky Studies*, vol. 3, 1982, pp.171-190), who sees the body of the novel as a Greek tragedy and the epilogue as a Christian resurrection tale.

<sup>14</sup> Yury Tynyanov, "Dostoevsky i Gogol' (K teorii parodii)" (Petrograd, 1921), Part I. Translated in *Dostoevsky and Gogol: Texts and Criticism*, ed. Priscilla Meyer and Stephen Rudy (Ann Arbor: Ardis, 1979), pp.101-117.

ოდისეა გროტესკია, რომელიც დასცინის იმ იდეალურ ბილიკს, „ქრისტეს ძირეულმა სახემ“ ჩვენში რომ აღმოაჩინა<sup>15</sup>.

და მხოლოდ მაშინ, როცა ეპილოგში ორი თხრობა ერთმანეთს შეერწყმება და „ნაწარმოების ზედაპირიერი შრის საშუალებით ხილული ხდება მეორე დონე“<sup>16</sup>, მკითხველი პაროდის მიღმა მის უმაღლეს მიზანს ხედავს<sup>17</sup>.

რუსული მართლმადიდებლობა იოანეს სახარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, დანარჩენ სამ სახარებასთან შედარებით. მისთვის დამახასიათებელია ქრისტეს ადამიანური ასპექტის აღწერა, „ის, თუ როგორ შემოდის ხსნის იდეა მიწიერ ყოველდღიურობაში“<sup>18</sup>. იოანეს სახარება აჩვენებს ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირს და გამოხატავს რწმენის გზას ადამიანის ცხოვრების ეტაპების მიხედვით. რადგანაც იესოში სიტყვამ ხორცი შეისხა, მასში სიკვდილი შევიდა. რწმენის მოსაპოვებლად აუცილებელია სიკვდილის უდრტივებლად მიღება. ღვთის სიტყვა გულის შიდა სივრცეში მოქმედებს და იმ საქმეებში მჟღავნდება, რომლებიც ადამიანებს ერთობისკენ მიუძღვიან. სახარების მეორე ნაწილში, მიუხედავად ღალატის და ძალადობისა, რომლებიც თან ახლდა იესოს ვნებას, მაინც სიყვარული და სიცოცხლის ძალა იმარჯვებს.

ამგვარად, გასაგებია, თუ რატომ იყენებს დოსტოევსკი იოანეს სახარების ტექსტს „დანაშაულისა და სასჯელისთვის“. ეს აშკარაა მე-4 ნაწილში, მაგრამ მე-4 თავში მალავს მის მნიშვნელობას, როცა რასკოლნიკოვი სონიას ეკითხება: „სად არის ლაზარეს ამბავი?“, სონია კი პასუხობს – „მეოთხე სახარებაში“<sup>19</sup>. ლაზარეს აღდგინების ამბავი აშკარად რასკოლნიკოვის გამოსხნის პარალელია: ქრისტემ ლაზარე საფლავში მისი დებიდან ოთხ დღეში აღადგინა<sup>20</sup>. სონია ამ ამბავს რასკოლნიკოვს უკითხავს მის მიერ მკვლელობის ჩადენიდან ოთხი დღის შემდეგ<sup>21</sup> (პარალელი უფრო აშკარა გახდება, თუ გათვალისწინებული იქნება რასკოლნი-

<sup>15</sup> A Writer's Diary, p. 525.

<sup>16</sup> Tynyanov (English translation), p. 117.

<sup>17</sup> სუზან ფუსომ ამ ტიპის პაროდისა უწოდა „აღდგენითი პაროდია“ (“Maidens in Childbirth: the Sistine Madonna in Dostoevskii's Devils,” *Slavic Review*, Summer 1995, v. 54, n. 2, pp. 261-275).

<sup>18</sup> Thomas L. Brodie, *The Gospel According to John: A Literary and Theological Commentary* (New York: Oxford University Press, 1993), p. 32.

<sup>19</sup> Fyodor Dostoevsky, *Crime and Punishment*, trans. Sidney Monas (New York: Signet, 1968), p.318. ყველა გვერდი მითითებულია ინგლისური თარგმანის ტექსტის მიხედვით: Fyodor Dostoevsky, *Crime and Punishment*, trans. Sidney Monas (New York: Signet, 1968), p.318. All page references to the English text will be to this translation.

<sup>20</sup> Dostoevsky, *Pol. sob. soch.*, VII, 386.

<sup>21</sup> David Matual points this out, *op. cit.*, p. 32.

კოვის განმარტება – „თავი მოვკალი“). აქ სონია იესო ქრისტეს როლს თამაშობს რასკოლნიკოვთან, როგორც ლაზარესთან, მიმართებით. სონიას საშუალებით რასკოლნიკოვი ყოველდღიურ ცხოვრებაში იწყებს რწმენისა და მრევლისკენ მოგზაურობას. მისი როლი რასკოლნიკოვის როლის ანტიპოდი, სადაც განასახიერებს მონაზონი-ქრისტეს როლს, რომელიც არის განკაცებული ღმერთი, რაც მას ადამიან-ღმერთად გახდომას შთააგონებს.

## I. პარალელები იესოსა და რასკოლნიკოვის ცხოვრებას შორის

იოანე გადმოსცემს იესოს ცხოვრების მთავარ მომენტებს – პასექის დღესასწაულს, იესოს აღდგომას, პილატეს მიერ იესოს დაკითხვას და იესოს მესამე გამოცხადებას მონაფეების წინაშე – რომლებსაც ეფუძნება „დანაშაულისა და სასჯელის“ სცენები.

მარმელადოვის ქელები პაროდიას პასექისა, რომელსაც იესო ესწრება. განსხვავებით სინოპტიკური სახარებებისგან, რომლებიც იესოს ცხოვრების თითო წელს მოიცავენ, იოანეს სახარება მისი ცხოვრების სამ წელს აღწერს და სამ პასექს მონიშნავს. „დანაშაულსა და სასჯელში“ მარმელადოვის ქელები ყველა იმ ზეიმის – მათ შორის, სამი პასექის – ნიშნებს ატარებს, რომლებიც აღწერილია იოანეს სახარებაში.

პირველ პასექზე იესო ტაძრიდან გარეკავს ვაჭრებს და ამბობს, რომ სამ დღეში აღადგენს ტაძარს. ის საუბრობს მისი სხეულის ტაძარზე, რომელიც სამ დღეში აღდგება. დოსტოევსკი ქმნის ხორცის მეტაფორას სონიაში, რომლის მიწიერი სხეული შებლალულია, მაგრამ რომლის სულს ცოდვა არ შეხებია. ერთი მხრივ, ამით ის ჰგავს მარიამ მაგდალინელს, მეორე მხრივ კი, პარალელი ჩნდება იესოსთან, რომლის სხეული ჯვარს აცვეს, მაგრამ მისი სული მარადიულია. თავისი მამის ქელებზე ლუჟინმა ეს გაყოფა იმისთვის გამოიყენა, რომ სონიას ბრალი დასდო ქურდობაში. მისი, როგორც მეძავის, მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ ამ ცილისწამებით სონია დაუცველია შემოკრებილი ბრბოს წინაშე. ლუჟინი თამაშობს იუდას როლს, რომელმაც სონიას ჯიბეში ქურდულად ჩაუდო ასი მანეთი, ნაცვლად იმისა, რომ კაიაფასგან მიეღო 30 ვერცხლი; ასე რომ, სონია განსაცდელში ჩავარდა.

ეს ნადიმი არის სონიას „საიდუმლო სერობა“, რის შემდეგაც ის გადაეცემა ხელისუფლებას. მაშინ, როცა სონია იესოს განასახიერებს, რასკოლნიკოვს ცრუ

ქრისტეს როლი ხვდა წილად. იმ დროს, როცა სონია წარდგა სასამართლოს წინაშე, როცა მას დაუდგა „განკითხვის დღე“, რასკოლნიკოვი დგას მკერდზე ხელეზად დაჯვარედინებული, ცეცხლოვანი მზერით შეჰყურებს სონიას. „ოჰ, ღმერთო!“, აღმოხდა სონიას<sup>22</sup>.

რასკოლნიკოვი, გარდა მარმელადოვის ქელებისა, მიმსგავსებულია იესო-სთან კიდევ ორჯერ, იმ ასპექტში, რა როლსაც იესო ასრულებს ორ სხვა დღე-სასწაულზე. პირველი არის ქორწილი გალილეის კანაში, სადაც იესომ წყალი ღვინოდ გადააქცია. დოსტოევსკი ასე აღწერს ქელების პროცესს: „ღვინოები მრავლად და სხვადასხვა ღირსებისა, აგრეთვე მადერა, მაგრამ ყველაფერი დაბალი ხარისხისა, თუმცა საკმარისად კი. საჭმელებიდან კოლიოს გარდა, სამი-ოთხი თავი კიდევ სხვა იყო“. ეს ეხმიანება იესოს სიტყვებს იოანეს სახარებიდან: „მიიღეთ ხორცი ჩემი და შესვით სისხლი ჩემი, ჩემს მოსახსენებლად“ (6:56). იოანეს სახარებაში, სიტყვა „შეჭამეთ“ სამზე მეტჯერ არის ნახსენები (6:50, 51, 54). მისი დაკავშირება ზიარების უმნიშვნელოვანეს დოქტრინასთან და ტრანსუბსტანციასთან, რაც ნიშნავს, რომ პური და ღვინო არის ქრისტეს სისხლი და ხორცი, მიანიშნებს რასკოლნიკოვის პოტენციალისკენ, რომ მას შეუძლია აღდგომა, იმ ქრისტიანული თანაგრძნობისა და შემწყნარებლობის საშუალებით, რაც მან გამოავლინა მაშინ, როცა შესწირა თანხა ქელების სუფრისთვის.

რასკოლნიკოვის ეს გაუცნობიერებელი შესანიშნავი მარმელადოვის უკანასკნელი რიტუალისთვის გამოხატავს ორ სასწაულს: წყლის ღვინოდ გადაქცევისა და ასევე პასექის მეორე დღესასწაულის ეპიზოდს იოანეს სახარებიდან, სადაც იესომ 5 პურით და 2 თევზით 5000 ადამიანი დააპურა. იესოს მოწაფე ანდრია ეუბნება მას: „აქ არის ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც აქვს 5 ქერის პური და 2 თევზი“ (6:10). ეს ხუთი პური და ორი თევზი იესომ სასწაულებრივად გაამრავლა და დააპურა 5000 ადამიანი.

ეს ასპექტი არის რასკოლნიკოვის იდენტიფიცირება იმ პატარა ბიჭთან, პატარა რასკოლნიკოვთან, რომელმაც დაინახა, თუ როგორ უმოწყალოდ სცემდა პატრონი მარხილის ცხენს. ამ საზარელი სცენის ხილვამ მასში გააჩინა თანაგრძნობის განცდა და რწმენა. სწორედ ამ განცდებმა და გრძნობებმა იჩინეს თავი რასკოლნიკოვში მაშინ, როცა მან გადანყვიტა აუცილებელი საჭიროებებით უზრუნველყო მარმელადოვის ქელების სუფრა და რომელი გრძნობებიც უეჭველად მიიყვანს მას საკუთარ ფერისცვალებამდე.

<sup>22</sup> Fyodor Dostoevsky, *Polnoe sobranie sochinenii*, 30 vols., Akademiya nauk, Leningrad 1972-1990, vol. 6, p. 303. Citations from the Russian or my translations from it will be indicated in the text by volume and page.

გასვენების სცენას საფუძვლად უდევს კონტრასტი, განსხვავება ხორციელსა და სულიერ საკვებს შორის, ეს არის პურისა და ღვინის საკრალური მეტაფორა; მისი გროტესკულობა გამოიხატება ბიბლიური ტექსტისთვის ზედმეტად ამქვეყნიური, მიწიერი მნიშვნელობის მინიჭებაში. სონიას ფიქტიური სასამართლო გამოხატულებაა რასკოლნიკოვის რეალური სასამართლოსი, რომელიც იმედის წყაროა. ეს კულმინაციას აღწევს მაშინ, როცა სონია გამართლდება და ლუჟინს წაეყენება ბრალი მერყევი ბრბოს წინაშე. ეს არის გამოხატულება იოანეს სახარების კულმინაციისა, პასექის მესამე დღესასწაულზე, როცა იუდა გადასცემს იესოს ხელისუფლებას, ხოლო ბრბო ბარაბას ნაცვლად იესოს სიკვდილით დასჯას მოითხოვს.

## II. პერსონაჟები

დანაშაული და სასჯელი შექმნილია იოანეს სახარების სულისკვეთებით. პარალელები სახარების ტექსტსა და ნაწარმოებს შორის ყოველთვის არ არის გამოკვეთილად ცხადი და ხშირად ფარავს კიდეც ერთმანეთს. იოანეს სახარების პარალელი ნაწარმოებთან კიდეც ერთი ასპექტით გამოიყენება, დოსტოევსკი სახელ „იოანეს“ იყენებს პატრონიმურად 6 პერსონაჟთან მიმართებით: ალიონა და ლიზავეტა, კატერინა, სვიდრიგაილოვი და ორი გერმანელი ქალბატონი, ლუიზა პოლიციის განყოფილებიდან და მარმელადოვის დიასახლისი ამალია. დოსტოევსკი ორჯერ ამახვილებს ყურადღებას პატრონიმზე, ორივეჯერ მარმელადოვის გასვენების სცენაში. პირველად, როცა კატერინა ივანოვნა უკრძალავს ამალიას, საკუთარ თავს უწოდოს „ივანოვნა“, მეორედ კი მაშინ, როცა ლუჟინი მიიჩნევს, რომ სონია არა სემიონოვნა, არამედ ივანოვნაა. ასევე ბიბლიური პერსონაჟები და სცენები იესოს ცხოვრებიდან, არ არის პირდაპირი იდენტიფიკაცია ნაწარმოების შინაარსთან, თუმცა პარალელების გავლება სავსებით შესაძლებელია.

იოანეს სახარებაში იუდა გარკვეულწილად ორეულია სიმონ-პეტრესი, რომელმაც იესო სამგზის უარყო მამლის ყივილამდე<sup>23</sup>. პიოტრ პეტროვიჩ ლუჟინი კი სწორედ მოღალატე პეტრეს როლშია წარმოდგენილი იმ სცენაში, რომელშიც ის ცილს სწამებს სონიას. მის მოსალოდნელ ღალატზე ირიბად მიუთითებს კატერინა ივანოვნას ერთ-ერთი ნაკლებად მნიშვნელოვანი სტუმარი: კატერინა ივანოვნა ჰყვება, თუ როგორ უპოვა მომაკვდავ მარმელადოვს ჯიბეში ბავშვებისთვის გადანახული მამლის ფორმის თაფლაკვერი. ამ დროს კი სტუმარმა წამოიძახა:

<sup>23</sup> See Brodie, pp. 445, 453, 527.

„მამალი? თქვენ თქვით მამალიო?“. მარმელადოვი, რომელსაც მთვრალი სტუმრები, მათ შორის, პიოტრი (პიტერი) და ანდრეი (ანდრია), ლალატობენ იმ გაგებით, რომ მათ ის არ უყვართ, გარკვეულწილად განასახიერებს წამებულ იესოს, რომელსაც, სახარების მიხედვით, უარყოფენ მამლის მეორედ ყივილამდე. ეს აშკარად შემთხვევითი სკანდალური სცენები შექმნილია ბიბლიური ელფერის შენარჩუნების მიზნით, რომ ჩვენი ქვეცნობიერი მისწვდეს თანაგრძნობის იდეის არსს, რომელსაც დოსტოევსკის ეს პერსონაჟები ეწინააღმდეგებიან.

იოანეს სახარებაში, განსხვავებით დანარჩენი სამი სინოპტიკური სახარებისგან, პეტრე თავის ცოდვას, ლალატის დანაშაულს, გამოისყიდის, სახარების ბოლო თავში, როცა იესო მას სამჯერ ეკითხება, უყვარს თუ არა პეტრეს იგი, ხოლო პეტრე სამჯერვე უდასტურებს, რომ, რა თქმა უნდა, უყვარს, ამით მან გამოსწორა თავისი ადრინდელი უარყოფა. რომანში პეტრეს, როგორც მოსიყვარულე მონაფის, როლს, თამაშობს პორფირი პეტროვიჩი. პეტრე ნიშნავს კლდეს, პორფირი კი დაახლოებით იმავეს, რაღაც მენამული გრანიტის მსგავსს. ორივეს, ლუჟინს და პორფირის, აქვთ პატრონიმი „პეტროვიჩი“. პორფირი, როგორც პეტრე, ავსებს ლუჟინის როლს, როგორც იუდა. პორფირის შეეძლო რასკოლნიკოვი გადაეცა იმ ხელისუფლებისთვის, რომელსაც თავად წარმოადგენდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო მისი სახელის – „ძონეული“ – მნიშვნელობის მიხედვით, თუმცა მან, ამ მოლოდინის საპირისპიროდ, სამჯერ თქვა უარი რასკოლნიკოვის ჩაბარებაზე.

როგორც უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფალი, პორფირი ასევე თამაშობს პილატეს როლს. რასკოლნიკოვის უკანასკნელი, მოულოდნელი, შეხვედრა, სანამ დანებდებოდა, ხდება სწორედ პორფირისთან. ეს არის მისი მესამე მტანჯველი საუბარი მასთან. იოანეს სახარებაში პილატემ სამჯერ დაკითხა იესო და სამივეჯერ მხოლოდ მის უდანაშაულობაში დარწმუნდა<sup>24</sup>. პორფირის აქვს კანონის შემწყნარებლური ხედვა და მიუხედავად იმისა, რომ იცის, რასკოლნიკოვი დამნაშავეა და ის ამ დანაშაულისთვის უნდა გასამართლდეს, მას ათავისუფლებს, რადგან მისი უმნიშვნელო ბუნებისა სჯერა. და კვლავაც, დოსტოევსკი ცდილობს მეორე მხრიდან გადმოსცეს იესოს ისტორიის ეს სასტიკი მხარე და ხაზს უსვამს ადამიანის სულის აღდგენისა და გადარჩენის შესაძლებლობის იმედს.

<sup>24</sup> მაშინ პილატემ წაიყვანა იესო და გააშოლტვინა. ხოლო ჯარისკაცებმა ეკლის გვირგვინი დაწნეს, თავზე დაადგეს და ძონეულით შემოსეს იგი. მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ: გიხაროდეს, იუდეველთა მეფეო: და სახეში ურტყამდნენ მას. დოსტოევსკი ხაზს უსვამს ამ ქვეყნიური, მინიერი სასამართლო ძალაუფლების ბუნდოვანებას, ანიჭებს რა პოლიციის ინსპექტორის სახელს „მენამულის“ მნიშვნელობას, რაც მიუთითებს წინააღმდეგობაზე მინიერ და სულიერ ძალაუფლებას შორის.

იოანემ სახარება დაწერა იმის დასამოწმებლად, რომ იესო არის ქრისტე, რომლის სულიერ ძალას ის უპირისპირებს მიწიერ, ამქვეყნიურ ძალაუფლებას. პილატეს კითხვების პასუხად იესო ისევ და ისევ განასხვავებს ღვთაებრივ და ამქვეყნიურ ხელმწიფებას („ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური“, 18:36). დოსტოევსკი იოანეს სახარებას იყენებს იმავე განსხვავების საჩვენებლად. პორფირის მიერ რასკოლნიკოვის დაკითხვა განასახიერებს პილატეს მიერ იესოს დაკითხვას. პორფირი არის ის, ვინც უბიძგებს სულის გადარჩენისკენ მის ურწმუნო პატიმარს. პორფირი ეკითხება რასკოლნიკოვს – „ვინა ხართ, რომ ასე წინასწარმეტყველებთ?“ და ისევ და ისევ იმეორებს – „არ გჯერათ?“, რადგან მის საუბარში აშკარად იგრძნობოდა რწმენის არქონა, მისი სხვა სიტყვების კონტექსტიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ „დაჯერება“ გულისხმობს რწმენის პრობლემას. ის ეუბნება რასკოლნიკოვს, რომ ღმერთი „იქნება, სხვა რამისთვისაც გფარვიდეთ“. პორფირი ამბობს, რომ შეიძლება მისი სიტყვები დაზეპირებულ დარიგებას ჰგავდეს და ეუბნება რასკოლნიკოვს, რომ მას რწმენა სჭირდება. ის მოუწოდებს რასკოლნიკოვს, იტვირთოს მისი ჯვარი და მომავლის ირწმუნოს<sup>25</sup>.

განსხვავებით პილატესგან, რომელმაც იესოში დანაშაული ვერ იპოვა, პორფირი იცის, რომ რასკოლნიკოვი დამნაშავეა, და მაშინ, როცა, მიუხედავად მისი უდანაშაულობისა, პილატე ჯვარცმას მიუსჯის იესოს, დოსტოევსკის ვერსიაში, მსაჯულს დამნაშავეს რწმენა აქვს და გულმონყალებს ათავისუფლებს მას. დოსტოევსკი ერთმანეთს უპირისპირებს რასკოლნიკოვის სასამართლოსა და განაჩენის სამართლებრივ ასპექტებს ღვთაებრივ სამართალსა და შემწყნარებლობას, როგორც რომანის ფილოსოფიური ნაწილის შეპირისპირება 1860 წლის სამართლებრივ რეფორმასა და სოციალისტურ რადიკალიზმთან. და ისევ, დოსტოევსკისთან მის თანამედროვე სახარებას ბედნიერი დასასრული აქვს: თუ იესოს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, რაც აუცილებელი წინაპირობაა მისი შემოდგომი აღდგომისთვის, პორფირის აქვს შესაძლებლობა, დაარწმუნოს რასკოლნიკოვი სიცოცხლეშივე გადადგას ნაბიჯები სულიერი განახლებისაკენ.

### III. რასკოლნიკოვის გზა რწმენისაკენ

რასკოლნიკოვის ცხოვრების გზის დეტალები მიაწვდის იესოს ცხოვრებასთან პარალელზე, როგორც აღწერილია იოანეს სახარებაში, მაგრამ ხშირ შემ-

<sup>25</sup> ამიტომ, გასაკვირია, რატომ უწოდებს ბოის გიბსონი (*The Religion of Dostoevsky*, Philadelphia: Westminster Press, 1973, p. 91) პორფირის პოზიციას „სუფთა ანალიტიკურ ფსიქოლოგიას, რომელიც არ არის დამოკიდებული რელიგიურ ვარაუდებზე“.

თხვევაში შებრუნებული სახით. რასკოლნიკოვი ფაქტობრივად სჩადის იმ ცოდვას, რაშიც ებრაელები სდებდნენ ბრალს იესოს, როცა მას ეუბნებოდნენ – „კაცი ხარ და ღმერთად კი მოგაქვს თავი“. რასკოლნიკოვი მიიჩნევს, რომ ის ღმერთია, როცა მას სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს ალიონა ივანოვნასთვის. ის ფიქრობს, თუ მევახშეს მოკლავს, ამით კაცობრიობისთვის სასიკეთო საქმეს გააკეთებს. იესო კი ამის საპირისპიროს ამბობს – „ქვეყნის განსასჯელად კი არ მოვსულვარ, არამედ ქვეყნის სახსნელად“. „დანა საბლისგან შოლტი და გამორეკა ტაძრიდან ყველა, აგრეთვე ხარები და ცხვრები; მიმოფანტა მეკერმეთა ფული და ააყირავა მათი დახლები“. რასკოლნიკოვმა პალტოს ქვეშ გამოკერა ცულის ჩასადები, აიღო დიდი ხნის წინ გადანახული და მომზადებული ყალბი გირაო და მოემზადა მევახშესთან წასასვლელად, რათა მოეკლა იგი. რასკოლნიკოვის „გამარჯვება მთელ ამ ჭიანჭველელებივით მოფუთფუთე ხალხზე“, არის ამპარტავნული მიზანძვა იესოსი, როცა ის ამბობს – „მე ვძლიე ქვეყანას“. დოსტოევსკიმ რასკოლნიკოვის ამქვეყნიური, მიწიერი ძალა (ფიზიკური ძალა, ეკონომიკური ძალა, ინტელექტი) შეაზავა მორალურ და სულიერ ძალასთან, ეს ხაზგასმულია იმ სცენაში, როცა იგი თავმდაბლობას ავლენს უმწეო სონიას წინაშე.

ტაძრის განმენდა ხდება კაპერნაუმში, გალილეის ადმინისტრაციულ ცენტრში. სვიდრიგაილოვი პეტერბურგს უწოდებს ადმინისტრაციულ ცენტრს. პეტერბურგში სვიდრიგაილოვი არის სონიას კარის მეზობელი, რომელიც ოთახს ქირაობს კაპერნაუმოვისგან. იოანეს სახარებაში კაპერნაუმი ხუთჯერ არის ნახსენები (დანარჩენი სამი სინოპტიკური სახარებისგან განსხვავებით, სადაც მთლიანობაში შვიდჯერ არის ნახსენები). კაპერნაუმი ნიშნავს „ნუგეშის სოფელს“. აქ იესომ ორი სასწაული მოახდინა: მან, მხოლოდ სიტყვით, ისე, რომ არც უნახავს, განკურნა ერთი მთავრის შვილი, რომელიც კვდებოდა და ასევე გალილეის ზღვაში წყალზე ფეხით გაიარა, როცა ნავით კაპერნაუმისკენ მიემართებოდნენ. სწორედ კაპერნაუმის სინაგოგაში ქადაგების დროს წარმოთქვა იესომ სიტყვები, რომ ის იყო სიცოცხლის პური. იესო ამბობს: „ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“. ეს ტექსტი არის დადებითი განზომილება რომანში – „დანაშაული და სასჯელი“ – წყლის მოტივისა. მისი შემავსებელი არის ნევას ჭუჭყიანი წყალი, რომელშიც თავის დახრჩობას გეგმავენ სვიდრიგაილოვი და რასკოლნიკოვი. ბიბლიის წიგნებში ყველაზე მეტჯერ იოანეს სახარებაშია ნახსენები წყალი, – თერთმეტჯერ. ორით მეტჯერ, ვიდრე დაბადებაში. რომანში სვიდრიგაილოვი ირჩევს თვითმკვლელობას და თავს იკლავს წვიმაში, ხოლო რასკოლნიკოვი ირჩევს სიცოცხლეს და აგრძელებს ცხოვრებას ირტიშის სანაპიროზე.

კაპერნაუმი არის სონიას სრულიად შესაბამისი ასოციაცია. ის რასკოლნიკოს ანუგეშებს და სასწაულის იმედს უნერგავს, უკითხავს რა იოანეს სახარებას კაპერნაუმოვას ოთახში. ეს არის გამოხატულება იმ მოძრაობისა, რითაც რასკოლნიკოვი მზადაა უარყოს საკუთარი სიამაყე სონიას რწმენის სასარგებლოდ. როცა იესო ლაზარეს დას, მართას შეხვდა, მართამ მას უთხრა – „აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა“. „დანაშაულსა და სასჯელში“ მარფა პეტროვნას შეეძლო მისი ქმრის შესახებ ეთქვა, – იესოს რწმენა რომ ჰქონოდა, თავს არ მოიკლავდაო. მან ვერ შეძლო გამომსყიდველი ეპოვნა დუნიაში, განსხვავებით რასკოლნიკოვისაგან, რომელმაც სონიაში იპოვა ხსნა. ეს პარალელი ერთმანეთს უპირისპირებს ფიზიკურსა და სულიერ სიკვდილს, როგორც იესო ეუბნება ნიკოდიმოსს, – „ვისაც სწამს იგი, არ განისჯება, ხოლო ურწმუნო ახლავ განსჯილია“.

რომანს დაძაბულობა თან სდევს რასკოლნიკოვის მიერ ალიონა ივანოვნას მკვლელობიდან მის აღიარებამდე. აღიარებს? დააპატიმრებენ? მსგავსი დაძაბულობა სუფევს იოანეს სახარებაშიც, რომელიც გამომდინარეობს იესოს დაპატიმრების მოლოდინისგან: „და ვერავინ შეიპყრო იგი, ვინაიდან ჯერ კიდევ არ მოსულიყო მისი ჟამი“. ეს კიდევ ოთხჯერ მეორდება, იქამდე, ვიდრე იესომ თქვა: „მამაო, მოვიდა ჟამი“. როცა რასკოლნიკოვი უკანასკნელად სტუმრობს დედას, როცა ამზადებს თავს, რომ ჩაბარდეს, დედამ კი მას უთხრა – „როგორც კი შემოგხედე, გავიფიქრე მაშინვე, ეგ არის უთუოდ დამდგარა-მეთქი ბედითი წამი.“

იოანეს სახარებაში იესომ დასაწყისიდანვე იცის, რომ მან უნდა „შესვას სასმისი, რომელიც მამამ მისცა“. ერთ მომენტში, პოლიციის განყოფილებაში, გონსმოსულმა რასკოლნიკოვმა დაინახა, რომ გვერდზე ნიკოდიმ ფომიჩი ედგა და სთავაზობდა წყლით სავსე რაღაც ყვითელი ჭიქით დაელია წყალი და ასევე პორფირი ორჯერ ცდილობს დააღვინოს მას წყალი, იყენებს რა სიტყვა „ИСПИТЬ“-ის ბიბლიურ ფორმას, შემდეგ კი ორჯერ იყენებს უფრო შესაფერის ფორმას – „ВЫПИТЬ“. ორივე შემთხვევაში რასკოლნიკოვი უარს ამბობს წყლის დაღვებაზე. მას შემდეგაც კი, რაც მან საბოლოოდ აიღო სონიას მიერ შეთავაზებული ჯვარი და ავიდა პოლიციის განყოფილების კიბეებზე, უკანასკნელად ის კვლავ უარს ამბობდა შეთავაზებულ წყალზე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მისი აღიარება არ ნიშნავდა, რომ ის უნდა ვნებულიყო, ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ჟამი „სასმისის შესმისა“.

რასკოლნიკოვის არგუმენტი მის სასამართლოზე წარმოჩენილია როგორც იესოს ცხოვრების პარადიული ინვერსია. მესამე დღეს, როცა მისი საფლავიდან ლოდი გადააგორეს, რაც კი ამქვეყნად იესოს ფიზიკური, მინიერი არსებობიდან დარჩა, იყო ტილოები და სუდარა, რომელიც მას ჰქონდა შემოხვეული, ეს იყო

ნიშანი მისი აღდგომისა. როდესაც რასკოლნიკოვის საქმის მტკიცებულებებს იკვლევდნენ, ვოზნესენსკის პროსპექტის ეზოში, მის მიერ ქვის ქვეშ დამალული ნადავლი, მათ შორის, უკიდურესად დაზიანებული ბანკნოტები იპოვეს. რომანში ფული ამქვეყნიური ძალაუფლებისა და სიბრალულის სიმბოლოა. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნადავლი ღებება ქვის ქვეშ, ისე, როგორც ღებება სხეული, რომელსაც არ შეუძლია აღდგომა, მაშინ, როცა თანაგრძნობის მეშვეობით შეიძლება სულის გადარჩენის პოტენციალის წინასწარმეტყველება. რასკოლნიკოვის გოლგოთა იწყება მაშინ, როცა ის დანაშაულს აღიარებს ნიკოდემ ფომიჩთან, მაგრამ აღდგომამდე ჯერ კიდევ შორია. ანალოგიურად, იოანეს სახარებაში ეს ჯერ კიდევ არ არის იესოს ამბის კულმინაცია, როდესაც ნიკოდემოსის დახმარებით იესოს იუდეველთა წესისამებრ ასაფლავებენ, იოანეს სახარების მეცხრამეტე თავის ბოლოს. სასწაული სრულყოფილ სახეს იღებს ოცდამეერთე თავში, როდესაც იესო მკვდრეთით აღდგება.

#### IV. იოანეს სახარებისა და „დანაშაული და სასჯელის“ შესავალი

ბიბლიის შემსწავლელ მეცნიერთა მიერ იოანეს სახარების 21-ე თავი პირობითად ეპილოგადაა მიჩნეული. ამ თავში აღწერილია იესოს მოღვაწეობა აღდგომის შემდეგ და ეს ერთადერთი თავია ოთხივე სახარებაში, ამიტომ არის უნიკალურიც. მოწაფეები, სიმონ-პეტრე, თომა, ნათანელი და კიდევ ორი სხვა, ტიბერიის ზღვაზე თევზაობენ: „ხოლო როცა ინათა, ნაპირზე იდგა იესო; მოწაფეები კი ვერ მიხვდნენ, რომ იესო იყო. უთხრა მათ იესომ: შვილებო, რამე საჭმელი თუ გაქვთ? მიუგეს: არა. და უთხრა მათ: ნავის მარჯვენა კიდიდან ისროლეთ ბადე და იშოვით. ისროლეს და ველარ ამოვიდეს თევზის სიმრავლის გამო. ხოლო მოწაფემ, რომელიც უყვარდა იესოს, პეტრეს უთხრა: ეს უფალია! სიმონ-პეტრემ კი, როცა გაიგონა, უფალიაო, მოსასხამი შემოიხვია, რადგანაც შიშველი იყო, და ზღვაში გადახტა.“

იესომ მოუმზადა მათ საჭმელი, ნაკვერჩხალზე შემწვარი თევზი და პური: „უთხრა მათ იესომ: მოდით, ისაუზმეთ. ხოლო მოწაფეთაგან ვერავინ გაბედა ეკითხა მისთვის, ვინ ხარო, რადგან იცოდნენ, რომ უფალი იყო“.

დოსტოევსკი ამ სასწაულის მარტივ გამოსატყულებას გვაჩვენებს რომანის კულმინაციურ სცენაში, რასკოლნიკოვის ეპიფანიის სცენაში: „თბილი, მონმენდილი დღე იდგა. დილაადრიან, ექვს საათზე, რასკოლნიკოვმა სამუშაოზე

გასწია მდინარის პირას ქურახანაში, სადაც ალექსატრსა სწავდნენ და ფქვაფდნენ. სულ სამი მუშა წავიდა იქით. ერთმა იმათგანმა მცველი გაიყოლა და ციხეში დაბრუნდა, რომ რაღაც სამუშაო იარაღი წამოეღო; მეორემ შეშას დაუწყო დაპოვა და ქურაში შეყარა. რასკოლნიკოვი კი გამოვიდა ფარდულიდან, დაჯდა წყლის პირად დალაგებულ მორებზე და დაუწყო განიერსა და უდაბურ მდინარეს ყურება. [...] უცბად რასკოლნიკოვის გვერდით სონია გაჩნდა საიდანაც. მივიდა ჩუმად და გვერდით მიუჯდა. ჯერ ისევ ადრე იყო [...] სახეზე ავადმყოფობა ეტყობოდა ისევ [...] ალერსით და მხიარულად გაუღიმა სონიამ რასკოლნიკოვს [...] თვითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა, მაგრამ თითქოს რაღაცამ აიტაცაო, წამოხტა რასკოლნიკოვი და სონიას ჩაუვარდა ფეხებში. ტიროდა და ეხვეოდა მუხლებზე [...] მიხვდა, რომ რასკოლნიკოვს უსაზღვროდ უყვარდა, რომ ბოლოს ძლივს ეღირსა ამ ბედნიერ წამს“.

დოსტოევსკის ეს სცენა, ჩუმი, უსიტყვო გაგებისა, გამთენიისას ნაპირთან, შთაგონებულია იოანეს სახარების სწორედ 21-ე თავით:<sup>26</sup> რასკოლნიკოვმა სონიას მეშვეობით გაიგო იესოს გზავნილის ჭეშმარიტება, „ღვთაებრივი სიბრძნე“, ზუსტად ისე, როგორც მოწაფეები, მათი ყოველდღიური სამუშაოს შესრულების დროს, მათი მკვდრეთით აღმდგარი მოძღვრის, იესოს, სასწაულებრივი გამოცხადების ჭეშმარიტებას ჩანვდნენ. იოანეს სახარების 21-ე თავი და დოსტოევსკის ეს სცენა არის „განთიადი განახლებული ცხოვრებისა, სრული აღდგენისა“. ორივე ეპილოგის მიზანი მათი გმირების სრულყოფაა, რათა დასრულდეს მათი ტანჯვა<sup>27</sup>.

იოანე მახარებლის მიზანი არის იესოს სწავლების ჭეშმარიტებისა და უტყუარობის დამოწმება. ის ამტკიცებს, რომ ამბები იესოს ცხოვრებიდან ნამდვილია: „და ვიცით, რომ მისი მოწმობა ჭეშმარიტია“, „ესენი კი დაინერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე“.

სონია ასრულებს იოანე მახარებლის როლს დოსტოევსკის რომანში, როგორც აღმწერი, რომელიც წერს წერილებს რასკოლნიკოვის ცხოვრების შესახებ

<sup>26</sup> კიდევ ერთი რელიგიური მწერალი ამთავრებს რომანს იოანეს სახარების ეპილოგის გამოყენებით. See C. S. Lewis, *The Voyage of the "Dawn Treader," Chronicles of Narnia, Book 3* (New York: Collier, 1970), pp. 214-216. I am grateful to Rachel Trousdale for pointing this out.

<sup>27</sup> „ძმები კარამაზოვების“ ეპილოგი ასევე ეხმიანება იოანეს სახარების 21-ე თავს: მას შემდეგ, რაც ალიოშას თორმეტმა ბიჭმა ქვეები დაუშინეს, საპასუხოდ ის ამ ბიჭებს მარადიულ სიცოცხლეზე ესაუბრება და ბლინების საჭმელად ეპატიჟება. ილიუშას ნასროლი ქვა კი იქნება სიკეთის, დიდსულოვნების რწმენის გარანტორი/საწინდარი, რაც ბიჭებმა ილიუშას გარდაცვალების გაკვეთილით ისწავლეს. ილიუშას ქვა სიკეთის რწმენის სასინჯი ქვაა; – სიკეთისა, რომელიც ბიჭებს ილიუშეჩკას სიკვდილმა ასწავლა. „თორმეტიოდ“ ბიჭის წინაშე ქვასთან წარმოთქმული სიტყვის შემდეგ ალიოშა ადასტურებს მარადიული ცხოვრების არსებობას და ბიჭებს ბლინების საჭმელად ეპატიჟება.

ეპილოგში. მისი წერილები „დაფუძნებულია უტყუარ ფაქტებზე“. ის უანგაროდ, თანმიმდევრულად აღწერს ციმბირში რასკოლნიკოვის აღორძინების, განახლების შესახებ (ქალაქში, რომელიც რუსეთის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრია, მსგავსად პეტერბურგისა, რომელიც, თავის მხრივ, კაპერნაუმს გამოხატავს).

იოანე თავისი სახარების ბოლო მუხლში ამბობს, რომ რაც მან დანერა იესოს ცხოვრების შესახებ, არ არის სრულყოფილი: „ბევრი სხვა რამეც მოიმოქმედა იესომ, მაგრამ ყველაფერი სათითაოდ რომ დაწერილიყო, ვგონებ, ქვეყანაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს“.

„დანაშაულისა და სასჯელის“ ბოლო წინადადება სწორედ ამ იდეის გამოძახილია: „მაგრამ აქ უკვე ახალი ამბავი იწყება, ამბავი ადამიანის თანდათანობით აღდგენისა, თანდათანობით გარდაქმნისა და ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლისა, სრულიად ახალი და უცნობი ნამდვილი ცხოვრების გაცნობისა. ეს შეადგენს საგანს ახალი მოთხრობისას, – ამ მოთხრობას კი ამით ვამთავრებთ“.

ამ დასკვნის დროის შკალის გაფართოებას პრეცედენტი დაეძვნება „მემუარების პასაჟებში“, როგორც გარი როზენშილდი უწოდებს მათ, ეს ჩანს რომანის პირველ ექვს ნაწილში<sup>28</sup>. მოთხრობელი გვიყვება ოც სხვადასხვა შემთხვევაზე, რასაც „შემდეგ“, „მოგვიანებით“ რასკოლნიკოვი იხსენებს<sup>29</sup>. ეს გამოძახილია იესოს მიერ ნათქვამი სიტყვისა „после“/„ამის შემდეგ“ იოანეს სახარებაში: „რასაც ვაკეთებ, ჯერ არ იცით, მხოლოდ ამის შემდეგ გაიგებთ“. მას შემდეგ, რაც რასკოლნიკოვმა რწმენა შეიძინა, ის წარსულში მომხდარ ამბებს ახალი გაგებით აღიქვამს.

იოანეს სახარება, როგორც ყველაზე მისტიკური სახარება, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოაჩენს იესოს ადამიანური ცხოვრების მოვლენებს, აძლიერებს დოსტოევსკის ამ დეტექტიურ თრილერს, რაც რომანს სახარების გარეშე არ ექნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ „დანაშაული და სასჯელი“ შეიცავს მრავალ, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ და პუბლიცისტურ მასალას. იოანეს სახარების ყოვლისმომცველი ინტონაციები ინარჩუნებს ღვთაებრივი პოტენციალის ატმოსფეროს რომანის ინტენსიური ნატურალიზმის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც მკითხველი ამოიცნობს იოანეს სახარებას რომანის პირველ ექვს თავში, გაიზარებს ეპილოგის მნიშვნელობას ნაწარმოების სრულყოფილებისთვის.<sup>30</sup>

<sup>28</sup> Rosenshield, op. cit., pp. 105-111.

<sup>29</sup> Rosenshield, op. cit., p. 106.

<sup>30</sup> ეს უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე „დანაშაულ და სასჯელში“ ადამიანის ქრისტიანული გაგების ის ირიბი ინტერპრეტაცია, რომელსაც მკითხველს ბოი გიბსონი სთავაზობს. (op. cit., p. 102).

მეორე მხრივ, „შეიძლება ითქვას, რომ ეპილოგი არაბუნებრივია სწორედ იოანეს სახარებისადმი მტკიცე ერთგულების გამო. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ეპილოგში მკითხვე-

დოსტოევსკის მიერ მოთხრობილი მკვლელობის ეს ამბავი, არის მისი ეპოქის პარაბოლა, რომელიც მან შექმნა, რათა მის თანამედროვეებს უარი ეთქვათ ადამიანის ბუნების შესახებ მცდარ შეხედულებაზე. რადგან გრძნობდა, რომ ადამიანში ინტელექტი ვითარდებოდა სულიერების მოკლების ხარჯზე<sup>31</sup>. ის ცდილობს მკითხველი აიძულოს, მათაც განიცადონ ის მონამეობრივი გზა, რომელსაც რასკოლნიკოვი გადის, ამით ის მკითხველს ამზადებს იმისთვის, რომ გაითავისოს იოანეს სახარება და იმ გამოცდილებით, რასაც ამ ნაწარმოების წაკითხვით შეიძენს უფრო ფართოდ, ახალ თვალსაწიერში დაინახოს სანქტ-პეტერბურგის სამყაროს რეალური ყოველდღიურობა.

ლმა შესაძლოა გამოსყიდვისკენ დოსტოევსკის პირადი მისწრაფებაც კი დაინახოს... ეპილოგი მიგვითითებს გამოსავალზე გამოუვალი მდგომარეობიდან (რალფ სავარესი, პირადი მიმოწერა). წინამდებარე ნაშრომი ცხადყოფს ამ მსჯელობას, დოსტოევსკის აშკარა თუ ფარული ზრახვების ამოკითხვით.

<sup>31</sup> ეს გაგება უპირისპირდება იმას, რასაც რობერტ ბელენაპი ამბობს ,*op. cit.*, p. 286, რომლის მიხედვით, დოსტოევსკი ეპილოგის არადიალოგური დასკვნის შერბილებას ცდილობდა, როცა რომანს იმ ნარატივით იწყებდა, რაც წინ უსწრებდა რასკოლნიკოვის აღდგომის ამბავს.

---

Priscilla Meyer

## DOSTOEVSKY'S MODERN GOSPEL: CRIME AND PUNISHMENT AND THE GOSPEL OF JOHN

Translated from English by Luka Baramidze\*

### Abstract

This article is a translation of Priscilla Meyer's article «Dostoevsky's Modern Gospel: Crime and Punishment and the Gospel of John.» The paper examines the theological dimension of the literary work as it establishes legal responsibility and the legal subject. She argues that Christ, as the incarnated Word, brings the «new word» of the New Testament – the doctrine of Christian love and forgiveness. Raskolnikov serves as a tragic parody of this divine ideal: his attempt to speak a «new word» through murder represents, as Sonya points out, a transgressive attempt to usurp God's exclusive authority over life and death.

*Keywords: Dostoevsky, Crime, Punishment, Gospel, Forgiveness, Legal Subject.*

---

\* PhD Candidate at Grigol Robakidze University, [luka.baramidze16@gruni.edu.ge](mailto:luka.baramidze16@gruni.edu.ge)  
<https://orcid.org/0000-0002-7779-2195>

